

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
ფილოლოგია (სომხური ფილოლოგია)

ხათუნა გაფრინდაშვილი

**კორიუნის „მაშტოცის ცხოვრება“
(ტექსტის თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები)**

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: **ზაზა ალექსიძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ემერიტუს-პროფესორი, აკადემიკოსი

ნათია ჩანტლაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

აბსტრაქტი

V საუკუნის სომეხი ავტორის კორიუნის „მაშტოცის ცხოვრება“ სომხური მწერლობის უძველესი ორიგინალური ძეგლია. მასში აღწერილია სომეხი საეკლესიო მოღვაწის, მაშტოცის ცხოვრება და საქმიანობა. კორიუნის თხზულება მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საქართველოს შესახებ. განსაკუთრებით ხაზგასმულია მაშტოცის დამსახურება სომეხების, ქართველებისა და კავკასიის ალბანელებისთვის დამწერლობათა შექმნის საქმეში. სომხურ სამეცნიერო წრეებში კორიუნის მონათხრობი უკრიტიკოდ არის გაზიარებული და სრულ ჭეშმარიტებად ითვლება, როგორც მაშტოცის უმცროსი მოწაფისა და თვითმხილველის ნაამბობი, ქართულ სამეცნიერო წრეებში კი ამ საკითხს დღემდე კრიტიკულად განიხილავენ. მიუხედავად იმისა, რომ თხზულებასთან კავკასიოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხებია დაკავშირებული და მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს, დღემდე „მაშტოცის ცხოვრება“ ქართულად თარგმნილი არ ყოფილა.

სადისერტაციო ნაშრომში მიზნად დავისახეთ კორიუნის თხზულების კრიტიკული შესწავლა და ტექსტის ქართულად თარგმნა, რაც, ვფიქრობთ, საშუალებას მისცემს ქართველ მკვლევრებს, ისარგებლონ „მაშტოცის ცხოვრების“ ქართული გამოცემით, აგრეთვე ქართულ ენაზე გაეცნონ ერთად თავმოყრილ საკითხთან დაკავშირებულ ლიტერატურას. ნაშრომში კორიუნის „მაშტოცის ცხოვრება“ ტექსტოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით არის შესწავლილი. თხზულების სამივე (A, B, C) ჯგუფის სომხური ტექსტები სრულად წარმოდგენილია პარალელური ქართული თარგმანითა და შენიშვნებით.

დისერტაციაში ნათლად არის ნაჩვენები, როგორ განიცდიდა კორიუნის თხზულება დროთა განმავლობაში რედაქტორთა მხრიდან გადაკეთებას და როგორ შეიცვალა მაშტოცის როლი ლოკალური მქადაგებლიდან ამიერკავკასიის ანბანების შემოქმედამდე.

Abstract

The Live of Maštoc by Koriwn, Armenian author of 5th century is the oldest original monument of Armenian literature. It describes life and activities of Armenian theologian of 5th

century – Maštoc'. The work contains significant data about Georgia. It makes particular emphasis on Maštoc's merits in creation of the alphabets for Armenians, as well as for Georgians and Caucasian Albanians. Armenian scientific community shares Koriwn's narration without any criticism and regards that this is the truth, just as the story of Maštoc's younger follower and eyewitness while Georgian scientific community still regards this issue critically. Though the work deals with the most significant issues of Caucasian studies, irrespective of great interest to Koriwn's work, *The Life of Maštoc'* was not translated into Georgian up to present.

In our work on dissertation we set as a goal to study of Koriwn's work critically and its translation into Georgian would be the scientific novelty allowing Georgian researchers to rely on Georgian version of *The Life of Maštoc'*, get familiar with the literature related to the issue collected in single publication in Georgian language. In the dissertation work Koriwn's *The Life of Maštoc'* is researched in the context of text studies and source studies. Work presents the Armenian texts of all three (A, B, C) groups fully, with Georgian translations and comments.

The dissertation clearly shows how the abovementioned composition by Koriwn has been altered by editors and how the role of Maštoc' was transformed from the local preacher to the creator of the alphabets in Transcaucasia.

შინაარსი

წინათქმა	5
შესავალი	7
I თავი: „მამტოცის ცხოვრების“ ავტორი და თხზულების შექმნის დრო	17
II თავი: „მამტოცის ცხოვრების“ შესწავლის ისტორია	22
III თავი: „მამტოცის ცხოვრების“ ტექსტოლოგიური ანალიზი	41
IV თავი: მამტოცი ძველ სომხურ მწერლობაში:	
ა) ძველი სომხური საისტორიო მწერლობა:	
ლაზარე ფარპელი, მოსე ხორენელი, მოსე კალანკატუელი, ფილონ ტირაკელი, თომა არწრუნი, იოანე დრასხანაკერტელი, სტეფანოს ტარონელი (ასოლიკი), სამუელ ანელი, ვარდან აღმოსავლელი (არეველცი), კირაკოს განძაკელი, მხითარ აირივანელი, სტეფანოს ორბელიანი.	
ბ) სომხური პოლემიკური ლიტერატურა:	
აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მესამე ეპისტოლე კრონ ქართლის კათალიკოსს, ვანაკან ვარდაპეტი	71
V თავი: მამტოცი სომხურ ლიტურგიკულ კრებულებში	163
VI თავი: კორიუნის თხზულების ისტორიული და გეოგრაფიული რეალიები	185
VII თავი: ცნობა მამტოცის მიერ ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ	217
დასკვნები	223

დანართი

ტექსტები და კომენტარები

A რედაქცია	226
B ჯგუფის ტექსტები	281
C რედაქცია	299
კომენტარები	329
გამოყენებული ლიტერატურა	369

წინათქმა

საუკუნეთა მანძილზე ქართველებისა და სომხების საერთო გეოპოლიტიკურ არეალში თანაცხოვრებამ, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ხასიათის მჭიდრო კავშირმა, დამპყრობლების წინააღმდეგ ერთობლივმა ბრძოლამ, საერთო მეზობლებთან პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრის აუცილებლობამ და, საზოგადოდ, ამ ხალხების ისტორიული ბედის ერთგვარობამ მათ შორის ბევრი საერთო ინტერესი და ამავედროულად საერთო პრობლემატიკა წარმოშვა.

ქართულ-სომხური ფილოლოგია, როგორც სამეცნიერო მიმართულება, თავის უმთავრეს ამოცანად ყოველთვის თვლიდა და დღესაც თვლის ქრისტიანული კავკასიის საერთო პრობლემური საკითხების დასმასა და გადაჭრას. XIX-XX საუკუნეებში საერთო კავკასიური საკითხების კვლევამ სამეცნიერო ხასიათი მიიღო, ქართულ და სომხურ სამეცნიერო წრეებში შეიქმნა ახალ-ახალი თეორიები, რომელთაც ხშირად მწვავე კამათიც მოსდევდა. სხვადასხვა საკითხის ირგვლივ გაჩაღებული პოლემიკა ქართულ არმენოლოგიაში სომხური წყაროების მიმართ ინტერესს უფრო მეტად აძლიერებდა. სწორედ ეს ინტერესი კვებავდა წლების მანძილზე ქართველ მკვლევართა ნაყოფიერ მუშაობას, რასაც შედეგად მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომი მოჰყვა.

საერთოკავკასიური პრობლემატიკით დაინტერესებულ ქართველ მეცნიერებს კარგად ესმოდათ ძველი სომხური მწერლობის შესწავლის მნიშვნელობა და აუცილებლობა. სომხურმა მწერლობამ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ცხოვრების ამსახველი საგულისხმო მასალა შემოგვინახა. ხშირად ეს ცნობები ავსებენ ქართულ წყაროთა მონაცემებს და ნათელს ჰფენენ ბევრ ბუნდოვან საკითხს, რომელთა შესახებ სხვა წყაროები არ შემონახულა.

სადისერტაციო თემად კორიუნის „მაშტოცის ცხოვრების“ შერჩევა ამ თხზულების მიმართ განსაკუთრებულმა ინტერესმა განაპირობა. კორიუნის თხზულებასთან კავკასიოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხებია დაკავშირებული. ერთ-ერთ ასეთ საკითხს ქართული ანბანის წარმოშობის სომხური ვერსია წარმოადგენს. უნდა ითქვას, რომ XIX-XX საუკუნეებში არ დარჩენილა არმენოლოგი

თუ ქართველოლოგი, რომელიც ქართველი და სომეხი ხალხის ისტორიას, ქართულ-სომხურ ურთიერთობებს, ქართული ანბანის წარმოშობის საკითხს იკვლევდა და არ შეხებოდა კორიუნის „მაშტოცის ცხოვრებას“. კორიუნის თხზულების მიმართ ქართველ მკვლევართა ძლიერი ინტერესის მიუხედავად, „მაშტოცის ცხოვრება“ დღემდე ქართულად თარგმნილი არ ყოფილა. მკვლევართა დაინტერესება მეტწილად მიმართული იყო იმ ფაქტობრივი მასალის კრიტიკული შესწავლისაკენ, რომელიც მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნას და მის ქართლში მოგზაურობას ეხებოდა, ქართველ მეცნიერთაგან, ივ. ჯავახიშვილის გარდა, არავის უცდია, თხზულება რედაქციული და ტექსტოლოგიური კუთხით შეესწავლა და ამგვარად განესაზღვრა კორიუნის ცნობების არადაამაჯერებლობა ან პირიქით, სარწმუნოობა.

დისერტაციაზე მუშაობისას მიზნად დავისახეთ „მაშტოცის ცხოვრების“ ტექსტოლოგიური შესწავლა, ძველ სომხურ საისტორიო და პოლემიკურ მწერლობაში მაშტოცის შესახებ დაცული ცნობების კრიტიკული ანალიზი. გარდა ამისა, სომხური ლიტურგიკული კრებულების მაგალითზე შევეცადეთ წარმოგვედგინა, როგორ აისახა მაშტოცის როლი სომეხი ხალხის ინტელექტუალურ ცხოვრებაში და მონაცემთა შეჯერების შედეგად გვეჩვენებინა თხზულებაში დაცულ ცნობათა ავთენტურობა. სომხური წყაროს ქართულ ენაზე თარგმნა და მასში დაცულ ცნობათა კრიტიკული შესწავლა იქნება მეცნიერული სიახლე, რაც საშუალებას მისცემს ქართველ მკვლევარებს, ისარგებლონ სომხური წყაროს ქართული გამოცემით და აგრეთვე ქართულ ენაზე გაეცნონ საკითხთან დაკავშირებულ ერთად თავმოყრილ ლიტერატურას.

შესავალი

კორიუნის „მაშტოცის ცხოვრება“ სომხური მწერლობის უძველესი ორიგინალური ძეგლია. თხზულება 443-451 წლებში შექმნილად ითვლება. მასში გადმოცემულია V საუკუნის სომეხი საეკლესიო მოღვაწის, მაშტოცის ბიოგრაფია. თხზულებას ხელნაწერებში ვრცელი სათაური აქვს: „ისტორია ცხოვრებისა და გარდაცვალებისა ნეტარისა წმიდისა მოძღვრისა მესროპისა, ჩვენი მთარგმნელისა, მისი მოწაფის კორიუნ ვარდაპეტისაგან [თქმული]“. სამეცნიერო ლიტერატურაში მას შემოკლებით „მაშტოცის ცხოვრებას“ უწოდებენ. თხზულების სახელწოდებას ჩვენც შემოკლებული ფორმით ვიყენებთ.

მაშტოცის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერის ფონზე თხზულებაში გაშუქებულია იმდროინდელი სომხეთის პოლიტიკური, რელიგიური და კულტურული ვითარება. ძველი სომეხი ავტორები და თანამედროვე მკვლევრები კორიუნის ნაწარმოებს ავთენტურ წყაროდ განიხილავენ და ეყრდნობიან მას V საუკუნის პირველი ნახევრის სომხეთის ისტორიის შესასწავლად. ამასთანავე, „მაშტოცის ცხოვრება“ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საქართველოს შესახებ. ნაწარმოებში ხაზგასმულია მაშტოცის დამსახურება როგორც სომხების, ასევე ქართველებისა და კავკასიის ალბანელებისათვის დამწერლობათა შექმნის საქმეში. სომხურ სამეცნიერო წრეებში კორიუნის მონათხრობი სრულ ჭეშმარიტებად ითვლება, როგორც მაშტოცის უმცროსი მოწაფისა და თვითმხილველის ნაამბობი. ქართულ სამეცნიერო წრეებში კი წყაროს ეს ცნობა კრიტიკულად ფასდება.

დისერტაციაზე მუშაობისას თხზულებასთან დაკავშირებული რამდენიმე საკვანძო საკითხი იქნა წამოჭრილი და შეძლებისდაგვარად გადაჭრილი. ნაშრომში წარმოდგენილი გამოკვლევა შემდეგ საკითხებს მოიცავს:

„მაშტოცის ცხოვრების“ შემცველ ხელნაწერთა მონაცემების შეჯერება, მათი ტექსტოლოგიური ანალიზი: მაშტოცის სახელობის ძველ ხელნაწერთა კვლევით ინსტიტუტში – მატენადარანში და საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული „მაშტოცის ცხოვრების“ შემცველ ხელნაწერთა კოდიკოლოგიური და

ტექსტოლოგიური ანალიზის შედეგად გამოვავლენთ მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს და შევეცდებით, განვსაზღვროთ თხზულების შემცველ ნუსხათა რედაქციულობა.

ძველ სომხურ მწერლობასა და ლიტურგიკულ კრებულებში მაშტოცის შესახებ დაცული ცნობების წყაროთმცოდნეობითი შესწავლა და კრიტიკული ანალიზი, გამოყენებულ წყაროთა დადგენა: სომხურმა საისტორიო მწერლობამ (ლაზარე ფარპელი, მოსე ხორენელი, მოსე კალანკატუელი, ფილონ ტირაკელი, თომა არწრუნი, იოანე დრასხანაკერტელი, სტეფანოს ტარონელი (ასოდიკი), სამუელ ანელი, ვარდან აღმოსავლელი, კირაკოს განძაკელი, მხითარ აირივანელი, სტეფანოს ორბელიანი) და სომხურმა პოლემიკურმა ლიტერატურამ (აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მესამე ეპისტოლე კირონ ქართლის კათალიკოსს, ვანაკან ვარდაპეტი) მაშტოცის შესახებ ბევრი საგულისხმო ცნობა შემოგვინახა; კრიტიკულად განვიხილავთ ამ ცნობებს და შევეხებით წყაროთა გამოყენების საკითხებს; კორიუნის მომდევნო პერიოდის სომეხ ავტორთა თხზულებების წყაროთმცოდნეობითი ანალიზის შედეგად წარმოვადგენთ მაშტოცის მოღვაწეობის მასშტაბებს შესწავლილი მასალის მიხედვით; ასევე სომხურ ლიტურგიკულ კრებულებში (ლექციონარები, ჰიმნოგრაფიული კრებულები, ჟამნები, სვინაქსარები) მაშტოცის შესახებ შემონახული ცნობების კვლევის შედეგად მოვახდენთ ამ ცნობათა კლასიფიკაციას, გამოვავლენთ ამ კრებულების ძირითად წყაროს (ან წყაროებს) და კიდევ ერთხელ ვაჩვენებთ, როგორი იყო მაშტოცის როლის აღქმა შუა საუკუნეების სომხურ ლიტურგიკაში.

„მაშტოცის ცხოვრების“ ისტორიული და გეოგრაფიული რეალიები: ნაშრომის ამ ნაწილში წარმოვადგენთ, როგორ აისახა IV-V საუკუნეების სომხეთში განვითარებული პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური პროცესები კორიუნის ნაწარმოებში; განვსაზღვრავთ მაშტოცის მისიონერული საქმიანობის მარშრუტს; შევეხებით ასევე თხზულებაში დასახელებულ პირთა იდენტიფიკაციის საკითხს, წარმოვადგენთ მათი ვინაობის შესახებ გამოთქმულ თვალსაზრისებს და ვაჩვენებთ, თუ რამდენად შეესაბამება დასახელებულ პირთა იდენტიფიკაცია და მათი ქრონოლოგია მაშტოცის მოღვაწეობის ეპოქას.

ცალკე შევხებით ცნობას მაშტოცის მიერ ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ: ძველი სომხური მწერლობის შესწავლამ აჩვენა, რომ მაშტოცის როლი კორიუნის მომდევნო პერიოდის ავტორებთან განსხვავებულად აისახა. სომხური ლიტურგიკული მასალის კვლევამაც დაადასტურა, რომ შუა საუკუნეებში მაშტოცის მოღვაწეობის ასპარეზი არათანაბრად იცვლებოდა. ზოგ შემთხვევაში მაშტოცი მხოლოდ მქადაგებელია და არ აღინიშნება მისი მონაწილეობა მთარგმნელობით საქმიანობასა და სომხური ანბანის შექმნაში, ზოგჯერ იგი მქადაგებლობით და მთარგმნელობით საქმიანობას ასრულებს და ამასთან ერთად სომხური ანბანის რეფორმატორია; თუმცა გვხვდება ისეთი წყაროებიც, რომლებშიც მაშტოცი ქრისტიანობის მქადაგებელი, მთარგმნელი და სამი – სომხური, ქართული და ალბანური – დამწერლობის შემოქმედია. მაშტოცის მოღვაწეობის ამსახველი მასალა იმდენად არაერთგვაროვანია, რომ საჭიროდ ჩავთვალებთ კიდევ ერთხელ შეგვეჯამებინა და მოგვეხდინა ამ ცნობათა კლასიფიკაცია და ამის ფონზე წარმოგვედგინა, რამდენად სანდო იყო თხზულებაში დაცული ცნობა მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ.

ტექსტისა და თარგმანისათვის

„მაშტოცის ცხოვრების“ შემცველი ხელნაწერები მრავალრიცხოვანია და დაცულია სხვადასხვა წიგნთსაცავებში. ხელნაწერთა სიმრავლისა და მრავალფეროვნების მიუხედავად, დღეს მიღებული თვალსაზრისით, კორიუნის თხზულება ორ რედაქციულ ჯგუფად იყოფა – ე.წ. ვრცელი და მცირე (მოკლე) კორიუნი; პირველ რედაქციად ე.წ. „ვრცელი კორიუნი“ ითვლება, ე.წ. „მცირე კორიუნი“ კი უფრო გვიან უნდა იყოს შექმნილი¹.

როგორც არ უნდა იყოს რედაქციათა რიგითობის შეფასება, ცალკეული ადგილების თანხვედრის მიუხედავად, ეჭვს არასოდეს იწვევდა ის ფაქტი, რომ საქმე ორ რედაქციასთან გვექონდა, ამიტომაც თხზულების ორივე რედაქცია ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად და ერთმანეთთან მიმართებითაც შევისწავლეთ. ცალკე ჯგუფად

¹ კორიუნის მესამე რედაქციის არსებობაზე საუბრობს პ. პეტერსი (Peeters 1929: 204). სამეცნიერო წრეებში ეს მოსაზრება დღეს გაზიარებული არ არის.

გამოყავით ე.წ. „სადღესასწაულო“ («Տոնասկան») კრებულებში დაცული „მაშტოცის ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრინდელი ტექსტები. სადღესასწაულოს „ცხოვრებები“ თხზულების ე.წ. „ვრცელ რედაქციას“ განეკუთვნებიან, თუმცა უფრო მოკლე ვერსიას წარმოადგენენ. ამიტომ მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მათ დამოუკიდებლად განვიხილავთ ორივე (ვრცელი და მოკლე) რედაქციასთან მიმართებით.

„მაშტოცის ცხოვრების“ დასახელებული ტექსტები გამოკვლევაში პირობითად აღვნიშნეთ – ე.წ. „ვრცელი კორიუნი“ – A, სადღესასწაულოს „ცხოვრებები“ – B, ხოლო ე.წ. „მცირე კორიუნი“ – C ლიტერით გამოვსახეთ.

A რედაქცია

სომხურ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ უშუალოდ კორიუნის ხელიდან გამოსული ტექსტი „მაშტოცის ცხოვრების“ ე.წ. ვრცელი რედაქცია (A რედაქცია) უნდა იყოს. ამ თხზულების რამდენიმე გამოცემა არსებობს. „მატენადარანის“ დირექციის ხელშეწყობით, საშუალება გვექონდა მატენადარანის სომხურ ხელნაწერთა წიგნთსაცავში დაცული „მაშტოცის ცხოვრების“ შემცველი ხელნაწერები შეგვედარებინა არსებული გამოცემებისათვის. ყველაზე კარგ გამოცემად მივიჩნიეთ მანუკ აბელიანის მიერ გამოქვეყნებული „მაშტოცის ცხოვრება“ (Աբելյան 1941; მეორე შევსებული გამოცემა – Աբելյան 1981).

მ. აბელიანმა კორიუნის თხზულების ტექსტი სომხურ ხელნაწერთა საცავში – მატენადარანში დაცული NN2639, 1891, 131, 3143, 3787, 3797 ხელნაწერების გათვალისწინებითა და 1894 წლის ვენეციისა და 1913 წლის თბილისის გამოცემების საფუძველზე გამოაქვეყნა.

ამ ხელნაწერთაგან ყველაზე სრულ ტექსტად ითვლება Mat. 2639 ხელნაწერი, რომელიც 1672 წლით თარიღდება. ხელნაწერი სხვადასხვა თხზულებებისგან შემდგარი კრებულია, რომლის ბოლო თხზულებას კორიუნის „მაშტოცის ცხოვრება“ წარმოადგენს (Mat. 2639: 549-562). მ. აბელიანის გამოცემაში ეს ტექსტი b ლიტერით აღინიშნება (ხელნაწერის ვრცელი აღწერილობისთვის იხ. გამოკვლევა – „მაშტოცის

ცხოვრების“ ტექსტოლოგიური ანალიზი), ძირითად ტექსტად კი აღებულია 1894 წლის ვენეციის გამოცემა, რომელიც, თავის მხრივ, ერთი ხელნაწერის საფუძველზეა გამოქვეყნებული.

მ. აბელიანის გამოცემაში c ლიტერით არის წარმოდგენილი 1774 წელს ეჰმიადინში გადაწერილი Mat. 1891 ხელნაწერი. ხელნაწერი კრებულს წარმოადგენს და შეიცავს ლაზარე ფარპელისა და კორიუნის თხზულებებს. ხელნაწერს ახლავს გადამწერის ანდერძი:

„ისტორია ლაზარე ფარპელისა, რომელიც დაიწერა სომხეთის ქვეყნის შესახებ ჩვენი ნეტარი მამამთავრებისა და მთარგმნელების საჰაკისა და მესროპის დროს, ვაჰან მამიკონიანის მარზპანობამდე. გადაწერილია გასწორებული² ნუსხიდან, ეჰმიადინის წმ. ტაძარში, უწმინდესი კათალიკოსის უფალ სიმეონის ბრძანებით, 1774 წელს“.³

გამოცემაში d ლიტერით აღნიშნულია Mat. 131 ხელნაწერი კრებული, რომელიც ორი სხვადასხვა ხელნაწერისგან შედგება: პირველი ხელნაწერის გადამწერია ჰამბარძუმ მწიგნობარი, დამწერლობის სახეობა – ნოტრიკი, შეიცავს სხვადასხვა სახობო თხზულებებს. ხელნაწერის 41r-58v გვერდებზე „მაშტოცის ცხოვრება“ მოცემული. Mat. 131 კრებულს ახლავს ორი ანდერძი, აქედან ერთი დედნისეულია, რომლიდანაც ეს ხელნაწერი გადაიწერა:

„დაიწერა ეს ისტორია კორიუნ ვარდაპეტისა სომხური წელთაღრიცხვით 1781 წელს, საოცრად ნაშენები, გაბრწყინებული წმინდა კათოლიკესთვის, რომელიც აგებულია არარატის ველზე, ქალაქ ვადარშაპატში, კონსტანტინოპოლში მცხოვრები ვინმე გევორგის მიერ...“⁴

² სომხურ ტექსტში წერია «սրբագիր», რაც „გასწორებულს“ ნიშნავს. გადამწერი აქ უნდა გულისხმობდეს დაზუსტებულ, სარწმუნო ნუსხას, რომლითაც მან ისარგებლა ხელნაწერის გადაწერისას.

³ «Պատմութիւն Ղազարու Փարպեցոյ, զոր արարեալ է վասն անցից Հայաստան աշխարհիս՝ առ ժամանակօք երանելի և սուրբ հայրապետացն մերոց և թարգմանչաց Մահակայ և Մեսրոպայ, մինչև ցոր մարգարանութեան Վահանայ Մամիկոնոյ: Արտագրեցեալ ի սրբագիր օրինակէ, ի Սուրբ աթոռս Էջմիածին, հրամանաւ գերբնտիր գահակալի սորին տեառն Սիմէոնի սրբագան կաթողիկոսի, ի թուոջ փրկչին ՌՆՃՉ, իսկ մեր թուականիս ՌԲՃԻԳ:» (Mat. 1891: 3r)

⁴ «Գրեցաւ մատենաս վարդապետին Կորիւնի, ի ՌՄՂ (1781) թուականին Հայոց, ընդ հարկաւ սքանչելի շինուածոյ լուսաձևեալ սուրբ կաթողիկէին, որ կայ կառուցեալ յԱրարատեան դաշտին ի Վաղարշապատ քաղաքի, ձեռամբ Գևորգայ ուրուսն, բնիկ տէղեաւ Կոստանդնուպօլսեցոյ...» (Mat. 131: 58v)

მეორე ანდერძი კი საკუთრივ Mat.131 ხელნაწერის გადამწერს ეკუთვნის: „ბოლო ახლა იმავე ნუსხიდან კრძალვით გადაიწერა უცბად მწერლის, ვინმე ჰამბარძუმის მიერ.“⁵

მ. აბელიანი Mat. 131 ხელნაწერის გადაწერის თარიღად 1781 წელს ასახელებს, რაც, ჩვენი აზრით, არ არის მართებული. ანდერძების მიხედვით, 1781 წელი იმ ხელნაწერის გადაწერის თარიღია, რომლითაც Mat. 131 კრებულის გადამწერმა ისარგებლა, Mat. 131 ხელნაწერი კი დაახლოებით XVIII საუკუნის ბოლო ათწლეულს ან XIX საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს გადაწერილი.

მ. აბელიანის გამოცემაში e ლიტერით შესულია Mat. 3143 კრებული, გადაწერილი 1827-1828 წწ. თბილისში, ჰოვსეფ ბჟმვიანის მიერ. კრებული შეიცავს მოსე ხორენელის „ვარდავარის“ დღესასწაულისადმი მიძღვნილ ჰომილიას, ნერსე ლამბრონელის „რწმენის გარდამოცემას“ («ԴԱԼՏԱՆՈՒԹԻՒՆ ԽԱԼԱՍՈՒՅ») და კორიუნის „მამტოცის ცხოვრებას“.

გამოცემაში და და დჟ ლიტერებით აღინიშნა Mat. 3787 და Mat. 3797 სადღესასწაულო კრებულებში დაცული ტექსტები, რომლებიც ჩვენ ცალკე (B ჯგუფის ტექსტები) გამოვყავით. მათ შესახებ უფრო დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ.

მ. აბელიანის მიერ გამოყენებული ხელნაწერების გარდა, მატენადარანის წიგნთსაცავში კორიუნის თხზულების შემცველი კიდევ ორი ხელნაწერი ინახება. მათგან ერთი – Mat. 8843 ხელნაწერი ემშიაძინში გადაწერილი კრებულია და 1830 წლით თარიღდება. მეორე – Mat. 2682 ხელნაწერი შესრულებულია გაკრული ხელით, გადაწერილია 1823-1825 წწ., კონსტანტინოპოლში. Mat. 2682 ხელნაწერი კრებული საინტერესოა იმით, რომ ორი ანდერძი ახლავს. პირველი ანდერძი⁶

⁵ «Իսկ այժմ գաղափարեալ եղև գգուշութեամբ ի նմին օրինակէ ձեռամբ Համբարձումի ուրումն ապարդիւն դպրի:» (Mat.131: 58v)

⁶ «Յետնագրութիւն այնր, յորմէ այս օրինակեցաւ: Գրեցաւ մատենաս վարդապետին Կորիւնի, ի ոմ՛լ (1781) թուականին Հայոց, ընդ յարկաւ սքանչելի շինուածոյ լուսաձնեալ սուրբ կաթողիկէին, որ կայ կայացեալ յԱրարատեան դաշտին ի Վաղարշապատ քաղաքի: Ձեռամբ Գեորգայ ուրումն անարժանի, բնիկ տէղեալ կոստանդնուպոլսեցոյ:» (Mat. 2682: 22r)

ეკუთვნის იმ პირვანდელ ხელნაწერს, რომლითაც გადამწერმა ისარგებლა, მეორე კი საკუთრივ Mat. 2682 ხელნაწერის გადამწერის ანდერძია:

„გადაიწერა ეს [ისტორია] ვინმე მდაბალის მიერ კრძალვით, სიტყვა-სიტყვითი შედარებით, კონსტანტინოპოლში, ღვთისმშობლის სახელობის მთავარ ეკლესიაში, 12 მარტს, 1823 წელს.⁷

Mat. 2682 ხელნაწერის ანდერძიცა და ტექსტის შედარება თხზულების შემცველ სხვა ხელნაწერებთან ადასტურებს, რომ Mat. 2682 და Mat. 131 ხელნაწერთა გადამწერებს ერთი საერთო წყაროდან უსარგებლიათ.

ეს ორი ხელნაწერი ტექსტოლოგიურად თითქმის იდენტურია, ჩანს, ამიტომაც არ გამოიყენა მ. აბელიანმა იგი თავის გამოცემაში.

ასეთია „მატენადარანში“ დაცულ იმ ხელნაწერთა მოკლე მიმოხილვა, რომლებიც „მაშტოცის ცხოვრების“ ე.წ. „ვრცელი“ რედაქციის ტექსტებს შეიცავენ.

B ჯგუფის ტექსტები

ცალკე ჯგუფად (B) გამოვყავით „მაშტოცის ცხოვრების“ ე.წ. სადღესასწაულო კრებულებში დაცული ყველაზე ადრინდელი ტექსტები. ეს „ცხოვრებები“ რედაქციულად ე.წ. ვრცელ რედაქციას მიჰყვებიან, თუმცა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებიან. მ. აბელიანმა ეს ორი ხელნაწერი Mat. 3787 და Mat. 3797 გამოცემაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვარიანტულ სხვაობად წარმოადგინა და და დჟ ლიტერებით.

Mat. 3787 ხელნაწერი ბოლორგირით არის შესრულებული, შეიცავს სხვადასხვა სახის სახოტბო თხზულებებს, ასევე ნაწყვეტებს ელიშეს, მოსე ხორენელისა და აგათანგელოსის ისტორიებიდან, საჰაკის ხილვას. ხელნაწერი 1347-1350 წწ. ყირიმის ქალაქ სურდათის (თანამედროვე სურგუტი) ახლოს მდებარე სოფელ ქემჭაკის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერშია გადაწერილი. ხელნაწერის გადამწერები არიან სოსთენი და ვარდანი, მომგებლები კი – ტუაწი და რაისი. მეორე Mat. 3797

⁷ «Ապա և սա օրինակեցաւ յունենէ նուսսոտ գգուշատր բաղդատուփեսաւր բարից և կիտից, ի Կոստանդնուպօլիս յԱստուածամայր Աւագ Եկեղեցի, ի մարտի 12, ի 1823:» (Mat. 2682: 22r)

სადღესასწაულო კრებული გადაწერილია ნატერის მიერ ყირიმის ქალაქ სურდათში დაახლ. 1347 წელს.

„მაშტოცის ცხოვრება“ ორივე ხელნაწერში ამგვარი სათაურით არის წარმოდგენილი: *«Ի յիշատակի սրբոյն Մեսրոպայ վարդապետի գոր սրարեալ և Կորեան Սրբոյ յաղագս վարուց նորա»*; *«Եւ վասն մահուան սրբոյն Մեսրոպայ»* [„*მოსახსენებელად წმინდა მესროპ ვარდაპეტისა, რომლის ცხოვრებაც შექმნა წმინდა კორიუნმა*“; „*და წმინდა მესროპის გარდაცვალების გამო*“].

C რედაქცია

„მაშტოცის ცხოვრების“ ე.წ. მოკლე რედაქციის ყველაზე ძველი ხელნაწერი (Par.Arm.178) დაცულია საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. ხელნაწერი სადღესასწაულო კრებულს წარმოადგენს, გაწერილია XII საუკუნეში, პოლოსის მიერ.

„მაშტოცის ცხოვრება“ Par.Arm.178 ხელნაწერის 467r-472r გვერდებზეა მოთავსებული ასეთი სათაურით: *«Ի յիշատակի պատմութեան վարուց երանելոյ սուրբ վարդապետին Մեսրոպայ գոր սասցեսալ և նորին աշակերտի Կորեան»* [„*მოსახსენებელად ნეტარისა წმინდა მესროვბ ვარდაპეტის ცხოვრების ისტორიისა, რომელიც თქმულია მისი მოწაფე კორიუნის მიერ*“].

ე.წ. მცირე კორიუნი, რომელიც ჩვენ C ლიტერით აღვნიშნეთ, არ. მათევოსიანმა 1994 წელს A და B ჯგუფის ტექსტებთან ერთად გამოაქვეყნა (Մաթևոսյան 1994).

საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული „მცირე კორიუნის“ ხელნაწერი (Par.Arm.178) შევადარეთ არ. მათევოსიანის გამოცემას და ტექსტში რამდენიმე კორექტივი შევიტანეთ. გამოცემაში მექანიკურად გამოტოვებულია ერთი მონაკვეთი, როდესაც საუბარია მაშტოცის მოწაფეების კონსტანტინოპოლში მოგზაურობისა და ნიკეისა და ეფესოს მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებების სომხეთში მოტანის შესახებ: *«...եղբայրութեանն և անդենուաբանեալ զհոգևոր պիտոյցն խնդիր վճարեին յորոյ յետ այնորիկ հաստատուն արինսկաք Աստուածատուր գրոց և բազում շնորհագիր հայրապետային ասանդութեամբք և Նիկիա և Եփեսոսի սուրբ ժողովոյն կանովնովքն դարձեալ լինեին յաշխարհն Հայոց և ի հայրենիսն*

hupkwsng...». ჩვენს ნაშრომში ეს მცირე მონაკვეთიც გასწორდა და შეივსო ხელნაწერის საფუძველზე, ტექსტს ახლავს შესაბამისი მითითება.

საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკაში დაცულია ასევე „მამტოცის ცხოვრების“ ლათინური თარგმანი (NAL 2083): *“Vita beati magistri Mesrop, qui primus caracteres armenicos invenit, composita a discipulo ipsius nomine Coriun, ex armenico in latinum translata. Lacroix scripsit, dictante archiepiscopo Uscano.”* [„ცხოვრება წმინდა მესროპ მოძღვრისა, რომელმაც შექმნა პირველი სომხური ასო-ნიშნები, შედგენილი მისი მოწაფე კორიუნის მიერ, სომხურიდან თარგმნილია ლათინურად. ლაკრუამ დაწერა ვოსკან არქიეპისკოპოსის დაკვეთით“]. ლათინური ტექსტი თხზულების ე.წ. მოკლე რედაქციის თარგმანს წარმოადგენს (ვრცლად იხ. „მამტოცის ცხოვრების“ ტექსტოლოგიური ანალიზი).

ამდენად, ხელნაწერებისა და გამოცემების შედარებისას ტექსტებში მცირე შესწორებები შევიტანეთ, თუმცა ეს მნიშვნელოვნად არ მივიჩნიეთ. ჩვენი კვლევა არსებულ გამოცემებს ემყარება. თხზულების A რედაქციისათვის ვისარგებლეთ მ. აბელიანის გამოცემით, B ჯგუფის ტექსტებისა და C რედაქციისათვის კი – არ. მათევოსიანის მიერ გამოქვეყნებული „მამტოცის ცხოვრებით“. აღნიშნული გამოცემები, ჩვენი აზრით, მამტოცის ცხოვრებისა და საქმიანობის ისტორიას სრულად ასახავენ.

გამოკვლევას მოსდევს ჩვენ მიერ შესრულებული თხზულების ქართული თარგმანი A, B და C ტექსტებისა ცალ-ცალკე, პარალელური სომხური ტექსტებით. თარგმანს ერთვის კომენტარები, რომლებიც მკითხველს ტექსტის უკეთ გაგებას გაუადვილებს. კვლევით ნაწილში კორიუნის თხზულებიდან ციტირებული ადგილები ქართული თარგმანის მიხედვით არის მითითებული.

კორიუნის თხზულებაში ციტატები და სიუჟეტებზე მითითებები მოტანილია ძველი და ახალი აღთქმიდან. ბიბლიური ადგილების თავები და მუხლები მითითებულია მხოლოდ ქართულ თარგმანში. ბიბლიური ციტაცია მოცემულია „წმინდა წერილის“ ძველი ქართული თარგმანების მიხედვით, თუ სომხური ტექსტი

მათ დიდად არ სცილდება. სხვა შემთხვევაში ვთარგმნით და შედარებისთვის შესაბამის ადგილებს მივუთითებთ.

I თავი

„მაშტოცის ცხოვრების“ ავტორი და თხზულების შექმნის დრო

„მაშტოცის ცხოვრების“ ავტორად ტრადიციულად V საუკუნის სომეხ მოღვაწეს, კორიუნს მიიჩნევენ. კორიუნის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები საკმაოდ მწირია. კორიუნის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საუბრისას „მაშტოცის ცხოვრებასა“ და V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის, ლაზარე ფარპელის მონათხრობს ეყრდნობიან. ლაზარე ფარპელი V საუკუნის პირველი ნახევრის მოვლენების აღწერისას წყაროდ „მაშტოცის ცხოვრებას“ ასახელებს: „ნეტარი კაცის კორიუნის ისტორიის წიგნში... ჩვენ არაერთგზის წავიკითხეთ და სარწმუნოდ შევიტყვეთ“ (ՏԷՐ-ՄՍԿՐԱԿԱՆ... 1904: 13). კორიუნს იგი მოიხსენიებს როგორც მაშტოცის მოწაფესა და ბიოგრაფს და შემდეგი ეპითეტებით ამკობს მას – „სულიერი კაცი“, „სასურველი კაცი“, „საოცარი კაცი“, „ნეტარი“.

კორიუნის დაბადებისა და წარმომავლობის შესახებ ცნობები, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება. არც ის არის ცნობილი, რა ვითარებაში დაემოწაფა იგი მაშტოცს. კორიუნის ბიოგრაფიული შტრიხების აღდგენა მხოლოდ „მაშტოცის ცხოვრების“ მიხედვით არის შესაძლებელი. თხზულების თანახმად, კორიუნი მაშტოცთან ძალიან დაახლოებული უნდა ყოფილიყო, ამიტომაც სომხეთის კათალიკოსმა, რომელიც თვითონაც მაშტოცის მოწაფე იყო, სწორედ მას დაავალა, აღეწერა თავისი მოძღვრის, მაშტოცის ცხოვრება; კორიუნი იმ მოწაფეთა შორის უნდა ყოფილიყო, რომლებიც სომხური ანბანის შექმნის შემდეგ სომხეთის კათალიკოსმა, საჰაკ I პართელმა და მაშტოცმა გაგზავნეს სომხეთის სხვადასხვა მხარეში ახლადშექმნილი სომხური დამწერლობისა და სომხური მწიგნობრობის გასავრცელებლად.

თხზულების შესავალში კორიუნი თავს მაშტოცის „უმცროს მოწაფედ“ გვაცნობს, მხოლოდ ერთგან ახსენებს თავის სახელს – „კორიუნს“, როდესაც საუბრობს კონსტანტინოპოლში გაგზავნილ „ძმებზე“ და მათ შორის თავის თავსაც ასახელებს. თხზულების თანახმად, კორიუნი ლევონდთან ერთად გაგზავნეს ბიზანტიაში ბერძნული ენის დასაუფლებლად: „გარკვეული დროის შემდეგ ისე

მოხდა, რომ ძმათაგან ზოგი სომხეთის ქვეყნიდან წავიდა და ჩავიდა ბერძენთა მხარეში. მათგან პირველის სახელი იყო ლევონდესი, მეორე კი მე, კორიუნი [ვიყავი]“ (Աբելյան 1981: 122).

ნინო აფციაურის სამართლიანი შენიშვნით, ამ კონტექსტში სიტყვა „ძმის“ [«խղափ»] გამოყენება იმას უნდა გულისხმობდეს, რომ კორიუნი სასულიერო პირი იყო (აფციაური 1987: 49). კონსტანტინოპოლში კორიუნი და ლევონდი შეუერთდნენ ეზნიკ კოღბელს, ვისაც კორიუნი „უახლოეს მეგობარს და თანაშემზრდილს“ უწოდებს. მოწაფეები სამშობლოში 431 წლის შემდეგ დაბრუნდნენ, თან მოიტანეს ბიბლიის საუკეთესო ბერძნული თარგმანი, ასევე ნიკეისა (325) და ეფესოს (431) მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებები.

„მაშტოცის ცხოვრების“ იმ ვერსიაში, რომელშიც ქართლთან დაკავშირებული ამბებია მოთხრობილი, ვკითხულობთ: ქართული დამწერლობის შექმნისა და ქართველ ჭაბუკთა დამოწაფების შემდეგ მაშტოცმა ისინი „ერთი ღვთიური მცნებით ერთ ხალხად შეკრა და ერთი ღმრთის მადიდებლად აქცია, რომელთაგან მეც უღირსს წილად მხვდა ეპისკოპოსობის წოდება...“ (Աբելյան 1981: 112-113).

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მეცნიერებმა, რომლებიც კორიუნის ვინაობის საკითხებს არკვევდნენ, ამ ცნობის საფუძველზე სხვადასხვა თეორიები ააგეს, არაერთი გამოკვლევა და პუბლიკაცია დაიწერა კორიუნის პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ. მკვლევართა ერთი ნაწილი (გ. ტერ-მკრტიანი, გ. ფნტგლიანი, ღ. ალიშანი, ო. თოროსიანი, ა. სარუხანი, ს. ვებერი) კორიუნის ქართველობას ამტკიცებდა, ან უკეთეს შემთხვევაში იგი საქართველოში დაბადებული და გაზრდილი სომეხი უნდა ყოფილიყო (აფციაური 1987: 41-54); ადგილიც კი დაასახელეს (ტაო-კლარჯეთის მხარე), სადაც კორიუნი ეპისკოპოსად დაუნიშნავთ, როგორც ადგილობრივი მკვიდრი (Մարության 1939: 233-245).

მეცნიერთა მეორე ნაწილმა არ გაიზიარა კორიუნის ქართული წარმომავლობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები და სხვადასხვა არგუმენტები წამოაყენა მათ გასაბათილებლად. ივანე ჯავახიშვილი კორიუნის ცნობას ქართლში ეპისკოპოსების დანიშვნის შესახებ გვიანდელ ჩანართად მიიჩნევდა. ეს ცნობა მაშინ უნდა იყოს

ჩამატებული, როდესაც მაშტოცის მოღვაწეობის ასპარეზი გაუზრდიათ და იგი სომხურის გარდა ქართული და ალბანური დამწერლობების შემოქმედად უქცევიათ. კორიუნის ქართულ წარმომავლობას უფრო ადვილად უნდა დაერწმუნებინა ქართველები, რომ მაშტოცმა მართლაც შეუქმნა მათ დამწერლობა. ამას ასური ან სომეხი კი არ ამბობდა, არამედ თვით ქართველი ეპისკოპოსი. ამით მაშტოცის ღვაწლი ქართველებისთვის უფრო დამაჯერებელი უნდა ყოფილიყო (ჯავახიშვილი 1935: 184).

ნორაირ ბიუზანდაციმ ასევე ექვევებში დააყენა კორიუნის ავტობიოგრაფიული ცნობის ჭეშმარიტება. მკვლევარმა ეს ადგილი გადამწერთა დამახინჯებად ჩათვალა და შესწორება შეიტანა კორიუნის ტექსტში, წინადადება: «յոբոց և իմ անսարժանիս եղեսպ ի կարգ եպիսկոպոսութիսան վիճակ» [რომელთაგან მეც უღირსს წილად მხვდა ეპისკოპოსობის წოდება...“] ამგვარად გაასწორა: «յոբոց և գոսան սարժանիք ելանել ի կարգ եպիսկոպոսութեան վիճակի» [„მათ შორის მოიძებნენ ღირსეულნიც, რომელთაც წილად ხვდათ ეპისკოპოსობის წოდება...“] (Բիւզանդացի 1900: 385-386).

ნ. ბიუზანდაცის ამ შესწორებით, შეიძლება ითქვას, დასრულდა მცდელობა კორიუნის საქართველოსთან დაკავშირებისა.

შუა საუკუნეების ავტორები და თანამედროვე მკვლევარნი კორიუნს რამდენიმე ლიტერატურული ნაწარმოების ავტორობას მიაწერენ.

კირაკოს განძაკელი (XIII ს.) წყაროებს შორის კორიუნის თხზულებას ასახელებს და მას „დიდებული კაცის, კორიუნის ისტორიას“ უწოდებს. კირაკოს განძაკელის ამ ცნობის საფუძველზე მეცნიერებმა მცდარი თეორიები ააგეს, „მაშტოცის ცხოვრების“ გარდა კორიუნს კიდევ ერთი თხზულების – „ისტორიის“ ავტორად თვლიდნენ. კორიუნის „ისტორიის“ არსებობა სხვა წყაროებით არ დასტურდება. კირაკოსის თხზულების წყაროთა კვლევამ აჩვენა, რომ ადრეული V საუკუნის მოვლენების შესახებ საუბრისას მის წყაროს „მაშტოცის ცხოვრება“ წარმოადგენს.

ნორაირ ბიუზანდაციმ სომხურ ენაზე არსებული V საუკუნის ორიგინალური და თარგმნილი ტექსტების სტილისტური ანალიზი ჩაატარა და გამოთქვა ვარაუდი, რომ კორიუნი მარტო „მაშტოცის ცხოვრების“ აღმწერი კი არ ყოფილა, მასვე

უთარგმნია ბერძნულიდან აგათანგელოსისა და ფავსტოს ბუზანდის ისტორიები და საღმრთო წერილის მთელი რიგი წიგნები (Բիւզանդացի 1900).

გალუსტ ტერ-მკრტჩიანი კორიუნსა და აგათანგელოსს ერთ პიროვნებად მიიჩნევდა და ამის დამადასტურებლად მათ თხზულებებში საერთო ხმარების ლექსიკას («ըռոսաստասկ», „მთავარი ქალაქი“, „საზაფხულო რეზიდენცია“; «գոճ» „გოჭი“) ასახელებდა (Տեր-Մկրտչյան 1979: 305). კორიუნისა და აგათანგელოსის იგივეობის საკითხი დღეს მეცნიერულად უარყოფილია არმენისტიკაში (აფციაური 1987: 41-54), არც კორიუნის მიერ ბერძნულიდან თარგმნის შესახებ არსებული თეორიებია მიღებული და გაზიარებული. კორიუნი, როგორც ვარდაპეტი, შესაძლოა, მართლაც აქტიურად იყო ჩართული მქადაგებლობით და მთარგმნელობით საქმიანობაში, მონაწილეობდა კიდევ ბიბლიის სომხურად თარგმნაში, მაგრამ ამის დამადასტურებელი მასალა არ მოგვეპოვება. ერთადერთი ნაწარმოები, რომელმაც კორიუნის ავტორობით ჩვენამდე მოაღწია, არის „ისტორია ცხოვრებისა და გარდაცვალებისა ნეტარისა წმიდისა მოძღვრისა მესროპისა, ჩვენი მთარგმნელისა, მისი მოწაფის კორიუნ ვარდაპეტისაგან [თქმული]“.

თხზულების დაწერის ზუსტი თარიღი ჩვენთვის უცნობია. კორიუნმა „მაშტოცის ცხოვრება“ დაწერა სომხეთის კათალიკოსის, ჰოვსეფ I ვაიოცძორელის დაკვეთით. ნაწარმოებში აღნიშნულია, რომ საჰაკის აღსრულების შემდეგ „ყოველწლიურად იკრიბებოდნენ იმავე თვეში და მისი [საჰაკის ბ.გ.] ხსენების დღეს დღესასწაულობდნენ.“ საჰაკი გარდაიცვალა 439 წელს, მისი გარდაცვალებიდან სამი-ოთხი წელი მაინც უნდა გასულიყო, რომ წმინდანის ხსენების დღე აღენიშნათ და ავტორსაც შეძლებოდა ასეთი ცნობის მოტანა (439+4=443). მეორე მხრივ, თხზულება 451 წლამდე უნდა იყოს დაწერილი, რადგან ჰოვსეფი, რომელმაც კორიუნს მაშტოცის ცხოვრების აღწერა დაავალა, ავარაირის ბრძოლის (451 წ.) შემდეგ მალევე შეიპყრეს და სპარსეთში აწამეს.

„მაშტოცის ცხოვრების“ დათარიღებისას მეცნიერები კიდევ ერთ ფაქტს ითვალისწინებენ. თხზულებაში სომხეთის მარზპანი, ვასაკ სივნიელი დახასიათებულია როგორც „მამაცი, ჭკვიანი და გონიერი, შორსმჭვრეტელი,

ღვთიური სიბრძნით დაჯილდოებული“ (Աբელიან 1981: 110) პიროვნება. 451 წლის აჯანყების დროს ვასაკ სივნიელი სპარსელების მხარეს გადავიდა. მკვლევართა აზრით, კორიუნს „მაშტოცის ცხოვრება“ ავარიანის ბრძოლამდე უნდა დაეწერა, წინააღმდეგ შემთხვევაში კორიუნი სამშობლოს მოღალატე ვასაკს ასეთი ეპითეტებით არ შეამკობდაო (Աբელიან 1981: 55-56). ამიტომ თხზულების დაწერის ზედა ზღვარს 451 წლით განსაზღვრავენ.

ამდენად, თხზულების შექმნის თარიღად 443-451 წლებია მიჩნეული.

კორიუნმა დაწერა მაშტოცის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორია და ამით მომავალ თაობებს გადასცა ხსოვნა თავისი მოძღვრის შესახებ. ავტორი თხზულების დასასრულს აცხადებს, რომ იგი თვითმხილველი და მონაწილე იყო მის მიერ აღწერილი ამბებისა: *„არა თუ ძველი გადმოცემებით შევიტყვეთ და აღვწერეთ, არამედ ჩვენ თვითმხილველნი ვიყავით მათი [საჰაკისა და მაშტოცის ხ.გ.] სახეებისა და მონაწილენი მათ მიერ შესრულებული სულიერი საქმეებისა, და მსმენელნი მათი მადლიანი სწავლებისა...“* (Աբელიან 1981: 144-146). თუმცა თხზულებაში გადმოცემული ამბები ხშირად ბუნდოვანი და გაურკვეველია, რის გამოც ივანე ჯავახიშვილს კორიუნის თანამედროვეობასა და თვითმხილველობაში ეჭვი შეჰქონდა (ჯავახიშვილი 1935: 161-162).

კვლევის თანამედროვე ეტაპზე კორიუნის ავტორობაში და გადმოცემულ ამბავთა თვითმხილველობაში ეჭვი არ შეაქვთ. ტექსტის წინააღმდეგობრივი მონაცემების ახსნა გვიანდელ რედაქტორ-გადაამკეთებელთა მოღვაწეობის შედეგად მიაჩნიათ. და მაინც, როგორც არ უნდა იყოს ამ თხზულების მიმართ დამოკიდებულება, V საუკუნის სომხეთისა და კავკასიის ისტორიით დაინტერესებული მკვლევარი მას გვერდს ვერ აუვლის.

II თავი

„მაშტოცის ცხოვრების“ შესწავლის ისტორია

კორიუნის „მაშტოცის ცხოვრების“ მიმართ ინტერესი არმენოლოგიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბებისთანავე აღიძრა. მხითარისტები, რომლებმაც საფუძველი დაუდეს ევროპულ არმენოლოგიას, ევროპაში სომეხი ხალხის ისტორიის, ენის, ლიტერატურის, ყოფის, და ზოგადად, სომხური კულტურის პოპულარიზაციას ეწეოდნენ. ამ მიზნით მათ უმნიშვნელოვანესი ნაშრომები შესთავაზეს საზოგადოებას, ევროპას გააცნეს ძველი სომეხი ისტორიკოსების – მოსე ხორენელის, აგათანგელოსის, ელიშესა და სხვათა თხზულებები. მათი ინტერესის მიღმა არც კორიუნის „მაშტოცის ცხოვრება“ დარჩენილა.

„მაშტოცის ცხოვრება“ (ე.წ. ვრცელი რედაქცია) პირველად სწორედ ვენეციაში, 1833 წელს დაიბეჭდა (Унѣх... 1833). 1894 წელს ეს გამოცემა გაიმეორეს და თითოეულ გვერდზე ტექსტის ბოლოს დაურთეს პარალელური ადგილები ე.წ. მოკლე რედაქციიდან (Унѣх... 1894). თხზულების ე.წ. მოკლე რედაქცია ცალკე წიგნად პირველად 1854 წელს გამოიცა (Унѣх... 1854). 1894 წლის გამოცემის საფუძველზე „მაშტოცის ცხოვრება“ თბილისში, 1913 წელს გამოქვეყნდა. ვენეციისა და თბილისის გამოცემებს შორის განსხვავება ის იყო, რომ თბილისის გამოცემაში ე.წ. ვრცელი და მოკლე რედაქციების ტექსტები ცალ-ცალკე შევიდა, როგორც ორი დამოუკიდებელი თხზულება (Унѣх... 1913).

„მაშტოცის ცხოვრების“ ბეჭდური გამოცემები იმპულსის მიმცემი გახდა თხზულების მეცნიერული შესწავლისათვის. ტექსტი ითარგმნა და გამოიცა რუსულ და ევროპულ ენებზე. თხზულებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიებისა და სამეცნიერო წერილების რაოდენობამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ სომხურ ფილოლოგიაში ცალკე მიმართულებადაც კი განიხილავდნენ „მესროპმცოდნეობას“, რომელიც მაშტოცის ცხოვრებას, საქმიანობას, სომხური ანბანის შექმნასა და მის მომიჯნავე საკითხებს იკვლევდა.

კორიუნის შემოქმედებას საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა ნორაირ ბიუზანდაციმ. მან „მაშტოცის ცხოვრება“ ისტორიული და ენობრივი თვალსაზრისით შეისწავლა. ნ. ბიუზანდაცი კორიუნის ნაწარმოებს „ჰანეგირიკს“ უწოდებდა და იქვე შენიშნავდა, რომ არ შეიძლება მას ისტორიული ღირებულება მივანიჭოთო (Բիւզանդացի 1900). მკვლევარი საუბრობდა თხზულებაში მოვლენების არაზუსტ დათარიღებასა და ზოგიერთი ადგილის ბუნდოვანებაზე, ეხებოდა კორიუნის ავტორობის საკითხსაც. მან თხზულების ენა შეუდარა V საუკუნის ნათარგმნ ტექსტებს. ნ. ბიუზანდაცი კორიუნს, „მაშტოცის ცხოვრების“ ავტორობის გარდა, მიაწერდა აგათანგელოსისა და ფავსტოს ბუზანდის ისტორიებისა და მაკაბელთა წიგნების თარგმნასაც (Բիւզանդացի 1900). ნ. ბიუზანდაციმ „მაშტოცის ცხოვრების“ ტექსტი გარკვეული კორექტივებით გამოსცა. ნაწილი ამ კორექტივებისა გაზიარებული არ არის არმენოლოგთა მხრიდან, თუმცა აღსანიშნავია ნ. ბიუზანდაცის ერთი შესწორება, რომელმაც მეცნიერთა დიდი ნაწილის მხარდაჭერა მოიპოვა. ეს შესწორება ეხება მაშტოცის ქართლში მოგზაურობის ისტორიას, როდესაც ავტორი საუბრობს ქართლში ეპისკოპოსების დანიშვნის შესახებ: „რომელთაგან მეც, უღირსს, წილად მხვდა ეპისკოპოსობის წოდება“.⁸ ამ ცნობის საფუძველზე მეცნიერებმა სხვადასხვა თეორიები ააგეს კორიუნის წარმომავლობის შესახებ: მკვლევართა ნაწილი კორიუნის ქართველობაზე საუბრობდა, მეორე ნაწილის აზრით კი, იგი საქართველოში მცხოვრები სომეხი უნდა ყოფილიყო. ნ. ბიუზანდაციმ გაასწორა ტექსტი, რის შედეგადაც მივიღეთ – „მათ შორის მოიძებნენ ღირსეულნიც, რომელთაც წილად ხვდათ ეპისკოპოსობის წოდება“. ამ შესწორებამ ერთგვარი ბიძგი მისცა მეცნიერებს, რომ კორიუნის ქართული წარმომავლობის შესახებ პოლემიკა საბოლოოდ დასრულებულიყო (Բիւզանդացი 1900: 385-386).

გარნიკ ფნტგლიანმა, ვენეციის გამოცემაზე დაყრდნობით, 1930 წელს გამოაქვეყნა კორიუნის „მაშტოცის ცხოვრება“ გამოკვლევით, კომენტარებითა და შესწორებებით. ენობრივი ანალიზისა და არსებითი შენიშვნების მიუხედავად, არც

⁸ «յոբոց և իմ անարժանիս՝ եղեսլ ի կարգ եպիսկոպոսութեան վիճակ» – ნ. ბიუზანდაციმ ეს გადამწერის შეცდომად, გრაფიკულ აღრევად ჩათვალა და ტექსტის ამგვარად გასწორებული ვერსია შემოგვთავაზა: «յոբոց և գուսն արժանիք՝ եղեսլ ի կարգ եպիսկոպոսութեան վիճակ»:

ეს გამოცემა ითვლება კრიტიკულად, ვინაიდან არც მასშია გათვალისწინებული „მაშტოცის ცხოვრების“ შემცველი ხელნაწერების ყველა ნუსხა. გ. ფნტგლიანის აზრით, კორიუნმა, როგორც თვითმხილველმა და მონაწილემ მის მიერ აღწერილი ამბებისა, მოგვითხრო რეალური ისტორია ყოველგვარი გადამეტების გარეშე. მკვლევარი შენიშნავს, რომ ნაწარმოებში ბიბლიურ ციტაციას უფრო დიდი ადგილი ეთმობა, ვიდრე ისტორიული ფაქტების აღწერას და მაინც იგი კორიუნის თხზულებას სომხური მწერლობის პირველ ორიგინალურ ისტორიულ ან ნახევრად ისტორიულ ნაშრომად თვლის, კორიუნს კი 384-444 წლების სანდო ისტორიკოსად ასახელებს.

გარნიკ ფნტგლიანი, ნორაირ ბიუზანდაცის მსგავსად, კორიუნის კალამს მიაკუთვნებდა მაკაბელთა წიგნების, ფავსტოს ბუზანდისა და აგათანგელოსის „ისტორიების“ თარგმნას. მკვლევარი ამ ნაწარმოებთა დაწერისა და თარგმნის მიახლოებით დროსაც კი გვთავაზობდა (Ֆնտգլխան 1930: ԻԿ(40), 101), „მაშტოცის ცხოვრების“ შექმნას კი 446 წლამდე ათარილებდა (Փնտգլխան 1926: 268-275).

სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს საუკეთესოდ ითვლება მანუკ აბელიანის მიერ 1941 წელს გამოცემული „მაშტოცის ცხოვრება“. თხზულება გამოქვეყნდა მატენადარანში დაცული „მაშტოცის ცხოვრების“ შემცველი ხელნაწერებისა და ვენეციისა და თბილისის გამოცემათა საფუძველზე, ტექსტს ახლავს პარალელური თარგმანი თანამედროვე სომხურ ენაზე, გამოკვლევა, ვრცელი კომენტარები და საძიებლები (Աբելյან 1941). მ. აბელიანის ეს გამოცემა ხელახლა დაიბეჭდა 1981 წელს, რუსული (Корюн, Жизнь Маштоца. История жизни и смерти блаженного мужа, святого вардапета Маштоца, нашего переводчика, (написанная) учеником его вардапетом Корюном. Пер. с древнеармянского Ш. В. Смбатяна и К. А. Мелик-Огаджаняна. М., 1962) და ინგლისური (Koryun, The Life of Mashtots, Translated by Bedros Norehad, New York, 1964) ტექსტებით, გამოკვლევითა და სრული სამეცნიერო აპარატით (Աբելյან 1981). მკვლევარი შესავალში ვრცლად მიმოიხილავს თხზულებასთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებს და მათ შესახებ საკუთარ შეხედულებებს გვაცნობს. მ. აბელიანის მოსაზრებათა დიდი ნაწილი დღეს

მიღებული და გაზიარებულია სომხურ სამეცნიერო წრეებში. მეცნიერის აზრით, კორიუნის ერთადერთი ნაშრომი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, „მაშტოცის ცხოვრება“, იგი გამორიცხავს კორიუნის მონაწილეობას სხვა თხზულებათა შექმნისა და თარგმნის საქმეში. მკვლევარმა „მაშტოცის ცხოვრების“ დაწერის დრო 443-451 წლებით განსაზღვრა. სომხეთის კათალიკოსმა საჰაკმა, მეფე ვრამშაპუჰმა, საჰაკისა და მაშტოცის მოწაფეებმა მაშტოცთან ერთად დიდი როლი ითამაშეს სომხური დამწერლობისა და სომხური მწიგნობრობის გავრცელებაში და მაინც, მანუკ აბელიანი ამ საქმეში მთავარ ფიგურად მაშტოცს წარმოგვიდგენს. მკვლევარს სარწმუნოდ მიაჩნია ის შეხედულება, რომ მაშტოცმა იზრუნა არა მხოლოდ საკუთარ ქვეყანაზე, არამედ მეზობელ ხალხზეც და შექმნა სამი – სომხური, ქართული და ალბანური – დამწერლობა. მანუკ აბელიანი შენიშნავდა, რომ კორიუნის თხზულება დამახინჯებული და შერყვნილი იყო გადამწერთა მხრიდან, ერთ-ერთ ასეთ გადაკეთებულ ადგილად მიიჩნევდა ცნობას მაშტოცის მიერ ქართლის ეპისკოპოსების დანიშვნის შესახებ. მ. აბელიანმა არ გაიზიარა კორიუნის ქართველობასთან დაკავშირებით გამოთქმული ვარაუდები, ტექსტის ეს ადგილი კი ხელნაწერთა ჩვენებების გათვალისწინების გარეშე შეცვალა და ძირითად ტექსტში ნ. ბიუზანდაცის შესწორებული ვერსია შეიტანა (Աբელიან 1981: 112). მ. აბელიანმა განიხილა დანიელ ასურის ანბანის წარმოშობის საკითხი, კავშირი დანიელისა და მესროპულ ანბანებს შორის. მ. აბელიანი აღნიშნავდა, რომ მაშტოცის უმთავრესი მიზანი იყო, ქრისტიანული ლიტერატურის სომხურ ენაზე თარგმანით სომეხი ხალხი ბიზანტიურ და სირიულ ქრისტიანულ კულტურას ზიარებოდა. ამ საქმეში კი მთავარი როლი ეროვნული დამწერლობით შექმნილ სომხურ მწერლობას უნდა შეესრულებინა (Աբელიან 1981: 45-52).

მ. აბელიანის გამოცემის მიხედვით, გ. მაქსუდიანმა გამოსცა „მაშტოცის ცხოვრების“ ინგლისური თარგმანი, ვრცელი შესავლითა და კომენტარებით (Maksoudian 1985).

ნ. აკინიანმა კრიტიკულად შეისწავლა კორიუნის „მაშტოცის ცხოვრება“. მან, საისტორიო წყაროებისა და თხზულების შემცველი ხელნაწერების მიხედვით,

გამოსცა კრიტიკული ტექსტი, შესავლით, ხელნაწერთა განსხვავებული იკითხვისებითა და კომენტარებით. ნ. აკინიანი კორიუნს აღწერილი ამბების თანამონაწილედ აცხადებდა, რომელიც მაშტოცს თან ახლდა გოლთნში, სივნიეთში, ალბანეთში, ქართლსა და სომხეთის ბერძნულ ნაწილში მისიონერული საქმიანობისას. ნ. აკინიანის მოსაზრებით, კორიუნი იმდენად ემოციურად მოგვითხრობს მაშტოცის გარდაცვალების ამბავს, რომ, სავარაუდოდ, იგი ბოლო წუთებშიც თავისი მოძღვრის გვერდით უნდა ყოფილიყო. მკვლევარი არ იზიარებს კორიუნის ქართველობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს და მხარს უჭერს ნ. ბიუზანდაცის შესწორებას. მისი აზრით, ქართლში მოგზაურობისას მაშტოცი ესტუმრა იმ რაიონებს, სადაც შერეული მოსახლეობა ცხოვრობდა. იმ ადგილებში გახსნეს სკოლები და ქართულ და სომხურ ენებს ასწავლიდნენ, კორიუნი კი ამ მოვლენების თვითმხილველი უნდა ყოფილიყო. ნ. აკინიანი თხზულების დაწერის დროდ 440-442 წლებს ასახელებს (Ակինևს 1952).

ნ. აკინიანის მოსაზრებით, ტექსტის მცდარად გაგების შედეგი უნდა იყოს ის, რომ მკვლევარნი მაშტოცს ალბანური ანბანის შემოქმედად ასახელებენ. მისი თვალსაზრისით, მაშტოცს ალბანური ანბანი არ შეუქმნია, მან ალბანეთში სომხური მწიგნობრობა გაავრცელა, რადგან ალბანეთის მოსახლეობა სომხურად მეტყველი იყო. ნ. აკინიანი კორიუნთან დასახელებულ «ააქსანს»-ებს ალანებად – აღმოსავლეთ გოთებად მიიჩნევს და მაშტოცსაც აღმოსავლურ გოთური ანბანის ავტორობას მიაწერს. ბენიამინიც აღმოსავლეთ გოთ-ალანებიდან უნდა ყოფილიყო. მისი თხოვნით მაშტოცმა შექმნა ანბანი და საფუძველი დაუდო ალანურ-გოთურ მწერლობას. მაშტოცისა და ბენიამინის შეხვედრა შეიძლებოდა მხოლოდ კონსტანტინოპოლში მომხდარიყო. ამდენად, მკვლევარი მაშტოცს სომხური, ქართული და აღმოსავლურ გოთური ანბანების შემოქმედად თვლიდა (Ակինևს 1935ա: 505-550). ნ. აკინიანის მოსაზრება გოთური ანბანის შესახებ დღეს არმენოლოგიაში უარყოფილია.

ნ. აკინიანის შეხედულებით, თხზულების ჩვენამდე მოღწეული ნუსხები იმდენად არის ნასწორები და დამახინჯებული გადამწერთა მიერ, რომ სრულ

ნდობას არ იმსახურებენ. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, მკვლევარმა გარკვეული კორექტივები შეიტანა „მაშტოცის ცხოვრების“ ტექსტში და სცადა თხზულების პირვანდელი სახით აღდგენა. ამ მიზნით მან რამდენიმე ეპიზოდს კი გადაადგილა, რის შედეგადაც თხზულებაში მოვლენები ამგვარი თანმიმდევრობით დალაგდა: მაშტოცი სივნიეთიდან გაემართა ალბანეთში, იქ მან ალბანეთის მეფისა და ეპისკოპოსის დახმარებით გაავრცელა სომხური მწიგნობრობა, ამის შემდეგ გადავიდა ბაღასაკანის მხარეში, ისინიც აზიარა სომხურ მწიგნობრობასა და ქრისტიანობას და კვლავ სივნიეთში დაბრუნდა, განზრახული ჰქონდა ქართველთა ქვეყანაში გამგზავრება. მაშტოცმა „მოაწესრიგა ქართული ენის გრაფემები“ და წავიდა ქართლში. ნ. აკინიანის მოსაზრებით, მაშტოცმა სომხური ანბანი ბერძნულის მიხედვით გააფორმა, ქართულ ანბანს კი საფუძვლად დაუდო სომხური და ბერძნული დამწერლობები, ქართული ენის გრაფემები ანბანურ სისტემაში მოაქცია ისე, რომ ბერძნულის რიგს შეუსაბამა, ხოლო ის გრაფემები, რაც ახალი და მხოლოდ ქართულისთვის იყო დამახასიათებელი, ბოლოს განათავსა; მაშტოცმა ისარგებლა არა იმდენად ბერძნულის რიგით, რამდენადაც ბერძნული ანბანის რიცხვითი მნიშვნელობით; მაშტოცს ეხმარებოდა ჯალა, რომელმაც იცოდა სომხური და ქართული ენები და იყო მთარგმნელი მაშტოცსა და ქართველ მოწაფეთა შორისო (სკიხნასი 1938: 319-333).

ნ. აკინიანის ნაშრომს სხვადასხვა შეფასებები მოჰყვა მეცნიერთა მხრიდან. ნორაირ ეპისკოპოს წოვაკანმა კრიტიკულად განიხილა ნ. აკინიანის ეს შრომა და ტექსტში ასეთი ცვილებების შეტანა არ ჩათვალა მართებულად (თიქასიანი 1953: 262-264; სკიხნასი 1956: 46-64).

პრ. აჭარიანიც არ ეთანხმებოდა ასეთ ჩარევას ტექსტში და წერდა, რომ „მან (ნ. აკინიანმა ხ.გ.) აიღო მჭრელი მაკრატელი, მარჯვენა და მარცხენა მხრიდან [ტექსტს ხ.გ.] ჩამოაჭრა, გამოაკლო, გადაადგილა, წაშალა, შეცვალა და მოგვცა სრულიად ახალი კორიუნი“ (სადაიუანი 1984: 32).

პრაჩია აჭარიანის მონოგრაფია „სომხური ანბანი“ 1968 წელს დაიბეჭდა. ამ გამოცემაში გაერთიანდა წლების მანძილზე (1958-1962) „ეპმიადინის“ («Էպիადին»)

ნომრებში გამოქვეყნებული მისი ცალკეული სტატიები, რომლებიც ეხებოდა კორიუნის „მაშტოცის ცხოვრებას“ და თხზულებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკამათო საკითხებს (Աճառյան 1968). წიგნის მეორე შევსებული გამოცემა 1984 წელს დაიბეჭდა. მონოგრაფია სამი ნაწილისგან შედგება: პირველ ნაწილში განხილულია ძველი და შუა საუკუნეების სომხური წყაროები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს მაშტოცის მოღვაწეობისა და სომხური ანბანის წარმოშობის შესახებ. აქვე მოცემულია ნუსხა ამ საკითხების ირგვლივ არსებული თანამედროვე გამოკვლევებისა. მეორე ნაწილში გადმოცემულია მაშტოცის ბიოგრაფია კორიუნის თხზულების მიხედვით: თხრობა იწყება მაშტოცის საერო ცხოვრებიდან, დეტალურად არის შესწავლილი სომხური ანბანის აღმოჩენის ისტორია, მაშტოცის მქადაგებლობითი საქმიანობა (ჰრ. აჭარიანი მაშტოცის მქადაგებლობით მოღვაწეობას ხუთ ეტაპად ჰყოფს. ამ ეტაპებს დეტალურად განვიხილავთ გამოკვლევაში, იხ. „მაშტოცის ცხოვრების“ ტექსტოლოგიური ანალიზი“), ასევე V საუკუნის სამწიგნობრო მოძრაობის, ბიბლიის თარგმნის ისტორიისა და ამ დროს გავრცელებული მწვალებლობის შესახებ; ავტორი თხრობას ამთავრებს საჰაკისა და მაშტოცის გარდაცვალებით, აქვე გვაწვდის მათი მოღვაწეობის უმთავრესი მომენტების ქრონოლოგიას. მესამე ნაწილში განხილულია სომხური ანბანის სისტემა და სტრუქტურა, საუბარია სომხური ანბანის სხვა ანბანებთან კავშირზე და მის ისტორიულ განვითარებაზე მესროპული ერკათაგირიდან (ასომთავრულიდან) თანამედროვე დამწერლობამდე (Աճառյան 1984).

1994 წელს არტაშეს მათევოსიანმა გამოაქვეყნა „მაშტოცის ცხოვრების“ ე.წ. ვრცელი და მოკლე რედაქციებისა და „სადღესასწაულო“ კრებულებში დაცული „მაშტოცის ცხოვრების“ ტექსტები. ა. მათევოსიანმა ე.წ. ვრცელი რედაქციის ტექსტი გაკრვეული ცვლილებებით (ძირითადი ტექსტი ვარიანტული წაკითხვების გარეშე, შესავლითა და კომენტარებით) გამოაქვეყნა მ. აბელიანის 1941 წლის გამოცემის მიხედვით, ე.წ. მოკლე რედაქციის ტექსტი – საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერის (Par. Arm. 178) საფუძველზე, „სადღესასწაულო“ კრებულებში დაცული ტექსტები კი გამოსცა მატენადარანის ორი ხელნაწერის (Mat. 3787, 3797) მიხედვით (Մաթևոսյան 1994).

არ. მათევოსიანი, სხვა მკვლევართა მსგავსად, თხზულებაში არსებულ ბუნდოვან და გაურკვეველ ადგილებს საუკუნეების მანძილზე გადამწერთა მიერ დაშვებული შეცდომებით ხსნიდა. ამის შედეგად მივიღეთ სახეშეცვლილი თხზულება, რამაც სამეცნიერო წრეებში არაერთი გაუგებრობა გამოიწვია და ბევრი საკამათო საკითხი წამოჭრა. ამ გაურკვეველ და პრობლემატურ ადგილებს ახსნა სჭირდებოდათ. ამ მიზნით არ. მათევოსიანმა კორიუნის თხზულების ტექსტოლოგიური და კოდიკოლოგიური ანალიზი ჩაატარა და ტექსტში გარკვეული ცვლილებები შეიტანა:

1. პირველი ცვლილება დანიელ ეპისკოპოსთან აღმოჩენილი სომხური ანბანის ისტორიას ეხება. თხზულების მიხედვით, დანიელის ასო-ნიშნები მოიტანეს სომხეთში, ამ ანბანს ორი წელი ცდიდნენ და მიხვდნენ, რომ სომხურ ენას არ შეესაბამებოდა. ამის შემდეგ მაშტოცი გაგზავნეს შუამდინარეთში ახალი ანბანის საძიებლად. არ. მათევოსიანმა დანიელის გრაფემებით სწავლება გადამწერთა შეცდომად ჩათვალა. მისი აზრით, დანიელის ანბანს ორი წელი გამოცდა არ სჭირდებოდა, რომ არ გამოდგებოდა, ეს თავიდანვე ცხადი იყო, რადგან „ეს ასო-ნიშნები სხვათა მწიგნობრობაში დამარხული და აღმდგარი“ იყო. ამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, არ. მათევოსიანმა ტექსტი გადაადგილა ისე, რომ მოწაფეების შეკრება და ახალი მწიგნობრობით ორი წელი სწავლება დაუკავშირა იმ ეპიზოდს, როდესაც მაშტოცი შუამდინარეთიდან ვალარშაპატში ახლადშექმნილი ანბანით დაბრუნდა.

2. კორიუნის თხზულების შემცველი ხელნაწერების თანახმად, შუამდინარეთიდან დაბრუნებულმა მაშტოცმა მეფისგან ბრძანება მიიღო, რომ ქადაგება მართა მხარეებიდან დაეწყო. აქედან კი გადავიდა სხვა ადგილებში – გოლთნში, სივნიეთში და ა.შ. არ. მათევოსიანის ცვლილების მიხედვით, შუამდინარეთიდან დაბრუნებულმა მაშტოცმა სომხური დამწერლობის გავრცელებითა და მოწაფეების აღზრდით მოძღვრის უმაღლეს საფეხურს მიაღწია. მან მოწაფეები სხვადასხვა მხარეებში საქადაგებლად გაგზავნა, თავად კი პირველ სამყოფელში – გოლთნში გაემართა. სწორედ გოლთნში ყოფნისას მაშტოცმა მეფე

ვრამშაპუჰისგან ბრძანება მიიღო, რომ „სატანური, ეშმაკეული, ველური ბუნების“ მქონე მარები ქრისტიანულ რწმენაზე მოექცია (Մաթևոսյան 1994: 148-172).

აი, ეს ორი ეპიზოდი, რომელიც არ. მათევოსიანმა თავის გამოცემაში შეცვალა. პირველი ცვლილებით მკვლევარი შეეცადა დანიელის ანბანთან დაკავშირებით არსებული საკამათო საკითხები საბოლოოდ გადაეჭრა. არ. მათევოსიანის ეს ცვლილება არ მიგვაჩნია მართებულად, ვინაიდან დანიელის ანბანით სწავლების შესახებ ცნობას შეიცავენ „სადღესასწაულოებში“ დაცული „მაშტოცის ცხოვრების“ ტექსტები, რომლებიც ე.წ. ვრცელი რედაქციის შემოკლებულ ვერსიას წარმოადგენენ და ქრონოლოგიურად გაცილებით ადრინდელია. დანიელის ანბანის გამოცდის შესახებ თხზულების ე.წ. მოკლე რედაქციაშიც არის აღნიშნული: „დიდი გარჯის, ძიებისა და სწავლების შემდეგ, უსარგებლო აღმოჩნდა [დანიელის ანბანი].“ ამას გარდა, ძველ სომხურ ისტორიოგრაფიაში თითქმის ყველა ავტორი საუბრობს დანიელის ანბანის რაგვარობასა და ფუნქციებზე (ამასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, იხ. გამოკვლევა „მაშტოცი ძველ სომხურ მწერლობაში“).

ზემოთ აღნიშნული მონოგრაფიების გარდა, კორიუნის პიროვნებისა და მისი თხზულების შესახებ არანაკლებ საყურადღებოა ის სამეცნიერო პუბლიკაციები, რომლებიც წლების მანძილზე სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში იბეჭდებოდა. ამ სტატიებში არაერთი არსებითი საკითხი იქნა შესწავლილი და გადაწყვეტილი. დისერტაციაზე მუშაობისას ჩვენ ვისარგებლეთ ამ ნაშრომებით და სათანადოდ აღვნიშნეთ კიდევ გამოკვლევაში. ამიტომ აქ მათ განხილვას არ შემოგთავაზებთ, მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.

ამ მხრივ აღსანიშნავია პოლოს ანანიანის სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც 1962-1969 წლებში იბეჭდებოდა ჟურნალ „ბაზმავეპის“ («Բազմապէս») ფურცლებზე სათაურით «Վարք Ս. Մեսրոպ Մաշտոցի» („ცხოვრება წმ. მესროპ მაშტოცისა“). პ. ანანიანის ნაშრომი ჩვიდმეტი ნაწილისაგან შედგება. მასში დეტალურად არის განხილული კორიუნის თხზულება, მოცემულია თხზულების ირგვლივ ამოთქმული სხვადასხვა მეცნიერთა თვალსაზრისები, რომელთაგან ზოგიერთს

ავტორი ითვალისწინებს კიდევ. პოლს ანანიანი მაშტოცის ცხოვრებისა და საქმიანობის შესასწავლად პირველწყაროდ კორიუნს ასახელებს, ყველა სხვა წყარო (მათ შორის, ლაზარე ფარპელი და მოსე ხორენელი) მეორეხარისხოვნად მიაჩნია. მისი შეხედულებით, საჰაკ პართელი და მაშტოცი ნათესავები უნდა ყოფილიყვნენ, რამაც განაპირობა მათი ასეთი მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობა. პ. ანანიანის შეფასებით, თხზულებაში სომხური ტრადიციისთვის დამახასიათებელი სიუჟეტი გადმოცემული: მაშტოცის მეშვეობით ქრისტიანობა გავრცელდა და განმტკიცდა სწორედ ისე, როგორც გრიგოლის დროს, როდესაც მან ქრისტეს რჯულზე მოაქცია სომხეთი. თუ გრიგოლ განმანათლებელს ამ საქმეში ხელს სომხეთის მეფე თრდატი უწყობდა, მაშტოცის დამხმარედ გოლთნის მთავარი, შაბითი გვხვდება.

პ. ანანიანის ნაშრომებში განსაკუთრებით საინტერესოდ არის წარმოჩენილი სომხური ანბანის შექმნის ისტორია. მკვლევარი ერთმანეთს ადარებს კორიუნის, ლაზარე ფარპელისა და მოსე ხორენელის თხზულებებში დაცულ ცნობებს სომხური ანბანის წარმოშობის შესახებ. კორიუნის და მოსე ხორენელის ცნობით, ორჯერ აღმოაჩინეს სომხური ანბანი, ორჯერ შეკრიბეს მოწაფეები და ორჯერ გახსნეს სკოლები. ლაზარე ფარპელთან კი ეს მოვლენა მხოლოდ ერთხელ აღინიშნა, როდესაც დანიელის გრაფემები მოიტანეს სომხეთში და საჰაკ კათალიკოსმა მასში გარკვეული კორექტივი შეიტანა. შესაბამისად, ლაზარეს მიხედვით, სომხეთში ერთხელ შეკრიბეს ბავშვები და ერთხელ გახსნეს სკოლები.⁹ ნერსეს აკინიანმა კორიუნის ტექსტის გადაადგილებით სცადა ამ გაუგებრობის გამოსწორება, თუმცა ამით არაფერი შეცვლილა – ლაზარესთან კვლავ ერთხელ არის მოთხრობილი გრაფემების ისტორია, კორიუნთან კი – ორჯერ. ნ. აკინიანი ლაზარეს „ისტორიის“ ამ ნაწილს „ცრუ ლაზარეს“ უწოდებდა და VIII საუკუნით ათარილებდა (Ակինեսი 1949წ: 13). პ. ანანიანმა კორიუნისა და ლაზარე ფარპელის ამ ცნობათა შეპირისპირების საფუძველზე დაასკვნა, რომ ლაზარე ფარპელს ხელთ უნდა

⁹ უნდა ითქვას, რომ ლაზარე ფარპელთანაც სომხეთში სკოლების გახსნის ფაქტი ორჯერ არის ნახსენები. პირველად ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ „სურდათ სკოლების გახსნა“, მაგრამ ეს ვერ განხორციელდა, რადგან წმინდა წერილი ჯერ არ იყო თარგმნილი. მას შემდეგ, რაც საჰაკმა წმინდა წიგნი სომხურად გადმოთარგმნა, ლაზარე წერს, რომ «կարգესან դպրոց» – „დაარსდა სკოლები“ (იხ. Ղազարայ... 1908: 35).

ჰქონოდა კორიუნის ნამდვილი ტექსტი, მოსე ხორენელს კი კორიუნის თხზულების უკვე გადაკეთებული ვერსიით უნდა ესარგებლა (Ասանեսան 1962: 208-236).

პოლოს ანანიანი, ნ. აკინიანის მსგავსად, სომხური ანბანის პროტოტიპად ბერძნულს მიიჩნევს. მაშტოცი სომხური ანბანის შექმნისას ბერძნული ანბანით ხელმძღვანელობდა გრაფემათა გაფორმებისას, სახელების დარქმევისას და რიგზე გაწყობისას. თუმცა ამ ორი ანბანის დეტალური შედარება აჩვენებს, რომ ამ დამწერლობათა არც ერთი გრაფემა, გრაფემათა სახელწოდებები და თანმიმდევრობა არ შეესაბამება ერთმანეთს, გრაფემების რაოდენობითაც სომხური 12-ით აღემატება ბერძნული ანბანის ბგერათა რაოდენობას. კ. ანანიანი მაშტოცს სწორედ ამ 12 გრაფემის ავტორად მოიაზრებს (Ասանესան 1963: 237-246).

სხვა სომეხ მკვლევართა მსგავსად, პოლოს ანანიანიც მაშტოცს სამი – სომხური, ქართული და ალბანური – დამწერლობის შემოქმედად თვლის.

პოლოს ანანიანს ცოტა უცნაურად ეჩვენება ქართლში მაშტოცის ორჯერ გამგზავრება. ქართლში მეორედ მოგზაურობისას, მკვლევარი მაშტოცის ვიზიტს ტაშირის მთავარ არშუშასთან იმით ხსნის, რომ ტაშირი შერეული დასახლების მქონე რეგიონი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, მაშტოცმა იქ სომხური სკოლები დააარსა და სომხურ მწიგნობრობას ასწავლიდა ადგილობრივ სომეხ მოსახლეობას (Ասանესան 1965: 206-214).

კ. ანანიანი ასევე მიმოიხილავს V საუკუნის I ნახევრის სომხეთის პოლიტიკურ და რელიგიურ მდგომარეობას, მიუთითებს იმ დროს გავრცელებული მწვალებლობის, თეოდორე მოფსუესტელის ნაწერების შესახებ და საუბრობს შექმნილ ვითარებაში სომხეთისა და აღმოსავლური ეკლესიების პოზიციებზე (Ասანესან 1967: 5-11). და ბოლოს, პოლოს ანანიანი, წყაროებისა და ისტორიული ფაქტების შეჯერების შედეგად, თხზულებაში განვითარებული მოვლენების ქრონოლოგიას გვთავაზობს. მკვლევარი სომხური მწიგნობრობის შექმნას 404/5 წლით ათარიღებს (Ասანესან 1969: 97-108).

პოლოს ანანიანმა საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერის (Par.Lat.2083) საფუძველზე გამოსცა ვოსკან ვარდაპეტის მიერ

თარგმნილი „მაშტოცის ცხოვრების“ ლათინური ტექსტი, გამოკვლევით (Անսანსან 1966: 273-283). „მაშტოცის ცხოვრების“ რედაქციულობას ცალკე განვიხილავთ (იხ. „მაშტოცის ცხოვრების“ ტექსტოლოგიური ანალიზი“), ამიტომ ამ საკითხზე აქ არ შევჩერდებით.

არმენისტიკაში ერთ-ერთ საკამათო საკითხს სომხური მწიგნობრობის შექმნის ზუსტი თარიღის განსაზღვრა წარმოადგენდა. სამეცნიერო წრეებში ამასთან დაკავშირებით მრავალი მოსაზრება და ვარაუდი გამოითქვა.

კორიუნის თხზულების ბოლოს დართული ქრონოლოგიის საფუძველზე, მ. ჩამჩიანიდან მოყოლებული მეცნიერთა უმრავლესობა სომხური ანბანის აღმოჩენას 404-406 წლებით ათარიღებდა. გ. ტერ-მკრტიანი 406 წელს დანიელის ანბანის ვაღარშაპატში მოტანის თარიღად, ანუ სომხური გრაფემების აღმოჩენის საწყისად თვლიდა, ხოლო ნამდვილი მესროპული ანბანის აღმოჩენის დროდ იგი 412 წელს მიიჩნევდა (Տեր-Մկրտչյան 1962: 181-198).

სომხური ანბანის შექმნის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები გამოთქვეს ნ. ადონცმა და ჰ. მანანდიანმა.

ნ. ადონცმა ნაშრომში „მაშტოცი და მისი მოწაფეები უცხოური წყაროების მიხედვით“ ბერძნულ და ლათინურ წყაროთა (Bib. Photii, Migne, Patrologia graeca, t. 103, col. 281; Liberati diaconi Breviarium, Migne, Patrologia Latina, t. 63, col. 963) მონაცემების გათვალისწინებით აჩვენა V საუკუნის პოლიტიკური და რელიგიური სურათი, მაშტოცის იდეოლოგიური საქმიანობა, შეეხო ასევე ანბანის აღმოჩენის დროის საკითხს და ეს მნიშვნელოვანი მოვლენა 383-392 წლებით დაათარიღა. ნ. ადონცმა კრიტიკულად შეისწავლა ეს წყაროები და გამოავლინა მაშტოცის საქმიანობის უცნობი მხარეები, გამოთქვა ვარაუდი, რომ მაშტოცს პირადი ნაცნობობა აკავშირებდა ნესტორის მოწაფე თეოდორე მოფსუესტელთან (Ադունց 1925: 398-402). მოგვიანებით მკვლევარმა შეცვალა თავისი შეხედულება სომხური დამწერლობის შექმნის შესახებ. იგი აღნიშნავდა, რომ მაშტოცმა სომხური ანბანის შექმნა 392 წელს დაიწყო და 405 წელს დაასრულა. ამ დროს არა მხოლოდ გრაფემები იყო მზად, არამედ წმ. წიგნის ნაწილიც კი თარგმნილი უნდა ყოფილიყო (Ադունց 1936: 16).

3. მანანდიანმა საგანგებო კვლევა მიუძღვნა მაშტოცის საქმიანობას. მან ნაშრომში „მესროპ მაშტოცი და სომეხი ხალხის ბრძოლა კულტურული თვითმყოფადობისათვის“ კრიტიკულად განიხილა IV-VI საუკუნეების სომხეთის პოლიტიკური მოვლენები, მაშტოცის ბიოგრაფია და საგანმანათლებლო მოღვაწეობა, წინარემესროპული ანბანისა და მწერლობის არსებობის საკითხი, სომხური ანბანის აღმოჩენის ისტორია და დრო, ამ აღმოჩენის ისტორიული მნიშვნელობა და შედეგები. მკვლევარი შეეხო ასევე კორიუნის ავტორობის საკითხს, მისი ცნობების ნაწილი საეჭვოდ და ზოგ შემთხვევაში ერთმანეთის საპირისპიროდ ჩათვალი (Մանասიսյան 1962: 25-84). 3. მანანდიანი კორიუნის თხზულების ბოლოს დართულ ქრონოლოგიას გვიანდელ დანართად მიიჩნევდა და სომხური ანბანის აღმოჩენის თარიღად 391/392 წელს ასახელებდა (Մանասიսյան 1952: 41-57).

ე. ტერ-მინასიანმა „სომხური გრაფემების აღმოჩენის თარიღისა და სხვა მომიჯნავე საკითხების შესახებ“ ნაშრომში თავი მოუყარა ამ საკითხის ირგვლივ არსებულ შეხედულებებს (Տեր-Մինասյան 1964: 25-48). მიუხედავად იმისა, რომ კორიუნის თხზულებაში მეფეთა ქრონოლოგია ხშირად არეულია ან შეცდომით არის გადმოცემული, ე. ტერ-მინასიანის აზრით, სომხური გრაფემების შექმნის დრო არ შეიძლება ზუსტად არ სცოდნოდა ან მცდარად გადმოეცა მაშტოცის ბიოგრაფს. კორიუნის ცნობით, მაშტოცმა გარდაცვალებამდე 35 წლით ადრე შექმნა სომხური გრაფემები. ე. ტერ-მინასიანის თანახმად, ეს თარიღი შეესაბამება 405/406 წელს (Տեր-Մինասյան 1964: 25-48).

როგორც აღვნიშნეთ, მაშტოცის პიროვნება და მისი საქმიანობის უმთავრესი ასპექტები იმთავითვე მოექცა ევროპელ არმენოლოგთა (სენ-მარტენი, ვიქტორ ლანგლუა, ფელიქს ნევი, მარი ბროსე, ედუარდ დიულორიე, ჰაინრიხ კლაპროტი, ფრედერიკ მაკლერი, ანტუან მეიე, ფრედერიკ ფეიდი, პაულ პეტერსი და სხვ.)¹⁰ ინტერესის სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ მკვლევართა უმეტესობას მიზნად არ ჰქონია სპეციალურად შეესწავლა კორიუნის თხზულება, თითქმის ყველა მეცნიერი,

¹⁰ ევროპელ მკვლევართა შრომები შეკრიბა, მოკლედ მიმოიხილა და ერთ კრებულად გამოსცა აელიტა დოლუხანიანმა სათაურით „ევროპელი არმენოლოგები მაშტოცისა და სომხური ანბანის შესახებ“ (Դոլուխանյան 2005).

ვინც სომეხი ხალხის ისტორიას, ენას, მწერლობასა და ზოგადად, სომხურ კულტურას სწავლობდა, ეხებოდა კორიუნის „მაშტოცის ცხოვრებას“.

ამ მხრივ აღსანიშნავია სენ-მარტენის ნაშრომი „ისტორიული და გეოგრაფიული ნარკვევები სომხეთის შესახებ“ (Saint-Martin 1818), რომელმაც საფუძველი დაუდო არმენოლოგიის განვითარებას საფრანგეთში. სენ-მარტენი საუბრობდა ვრამშაპუჰის დროინდელ სომხეთზე, სწორედ ვრამშაპუჰის დროს, საჰაკ კათალიკოსის დაკვეთით, მესროპმა (მაშტოცმა *ხ.გ.*) შექმნა სომხური დამწერლობა და საფუძველი ჩაუყარა სომხური მწიგნობრობის განვითარებას, ამ დროს თარგმნეს სომხურ ენაზე ბიბლია სამოცდაათი ტექსტის მიხედვით (Saint-Martin 1818: 318-319).

საინტერესოა ჰ. კლაპროტის ნაშრომი „ნარკვევები ძველი მსოფლიოს სხვადასხვა ანბანების წარმოშობის შესახებ“. მასში განხილულია სომხური და ქართული დამწერლობების წარმომავლობის საკითხი, საუბარია ქართულ და სომხურ ბგერათა გრაფიკულ მსგავსებაზე (Klaproth 1832: 68-76). ჰ. კლაპროტი გადმოგვცემს მაშტოცის შუამდინარეთში მოგზაურობისა და იქ შესრულებულ საქმეთა შესახებ და ამ ამბებს მიქაელ ჩამჩიანის ისტორიის მიხედვით აღწერს (Chamich 1827: 237; Klaproth 1832: 69).

კორიუნის პიროვნებასა და მისი ცნობების სარწმუნოებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ვიქტორ ლანგლუა. მისი აზრით, კორიუნის მონათხრობში ბუნდოვანი და გაუგებარი ადგილები გვხვდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ გარკვეულ ეპიზოდებს არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეთ მაშტოცის ბიოგრაფიასთან და ისინი გადამწერთა მიერ უნდა იყოს ჩამატებულიო. ვ. ლანგლუა ხაზგასმით მიუთითებს კორიუნის, აგათანგელოსისა და ფავსტოს ბუზანდის ისტორიების სტილისტურ მსგავსებაზე (Langlois 1869: 4). ვ. ლანგლუა საუბრობს სომხური ანბანის აღმოჩენის შესახებ, მოაქვს სომეხ ისტორიკოსებთან ანბანის შესახებ დაცული ცნობები. მისი შეხედულებით, მაშტოცმა დანიელის ნაკლულ გრაფემებს ცხრამეტი ასო-ნიშანი დაუმატა და ასე შეიქმნა სომხური ანბანი. ვ. ლანგლუას აზრით, საჰაკ პართელმა და მეფე ვრამშაპუჰმა დიდი როლი შეასრულეს სომხური ანბანის შექმნაში. მათი ხელშეწყობით დანიელის ანბანი მოიტანეს

სომხეთში და სწორედ ამ ანბანის საფუძველზე მამტოცმა ახალი დამწერლობა შექმნა, პროფანოსმა კი საბოლოოდ გამართა სომხური ანბანური სისტემა (Langlois 1869: 7).

ფრედერიკ მაკლერი სომხური ანბანის წარმოშობას ბიბლიის სომხურად თარგმნას უკავშირებს. იგი სომხური გრაფემების თავდაპირველ შემოქმედად დანიელ ეპისკოპოსს ასახელებს და მასვე მიაწერს სოლომონის იგავების სომხურად თარგმნას სირიულიდან და არა ბერძნულიდან (Macler 1911: 13). ანტუან მეიე და ფრედერიკ ფეიდი მხარს უჭერენ სომხური ანბანის ბერძნულიდან მომდინარეობას (Ustun 1978: 18; Feydit 1982).

სომხური ანბანის წარმოშობის შესახებ განსხვავებული შეხედულებები აქვს ფრიდრიხ მიულერს. იგი თავდაპირველად სომხურ ანბანს სემიტურიდან, კერძოდ, არამეულიდან მომდინარედ თვლიდა: წინარემესროპულ სომხურ გრაფემებს სემიტური ნიშნები ჰქონდათ, ხმოვნები არ იწერებოდა. მესროპმა ბერძნულის მიხედვით შვიდი ხმოვანი (ա, ե, է, ը, ի, ո, ւ) შექმნა და დანიელ ასურის ნაკლულ გრაფემებს დაუმატა (Ustun 1889: 86-87). მოგვიანებით ფრ. მიულერმა შეცვალა თავისი მოსაზრება და წინარემესროპული სომხური ანბანის წყაროდ სირიული მიიჩნია (Müller 1890: 284-288).

ჯოზეფ მარკვარტი 1918 წელს აქვეყნებს ნაშრომს „სომხური ანბანის ისტორია და წმ. მამტოცის ცხოვრება“. შესავალ ნაწილში მკვლევარი მოკლედ მიმოიხილავს V საუკუნის სომხეთის პოლიტიკურ ვითარებას, საუბრობს მამტოცის აღმოჩენის ისტორიულ მნიშვნელობასა და წინარემესროპული ანბანის საკითხებზე. სტატიაში დიდი ადგილი ეთმობა იმაზე მსჯელობას, კონკრეტულად რომელი დამწერლობა დაედო საფუძვლად სომხური ანბანს. ნაშრომში მოტანილია სხვადასხვა მეცნიერთა (პ. ა. დე ლაგარდი, პ. ჰიუბშმანი, ვ. გარდჰაუზენი, ფრ. მიულერი, მ. ემინი, ვ. ლანგლუა) შეხედულებები სომხური ანბანის წარმომავლობის შესახებ. ჯ. მარკვარტის აზრით, ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. მკვლევარი მამტოცის დამსახურებად დანიელის ანბანის რეფორმას თვლის. ამ მოსაზრებამ შემდგომში მეცნიერთა შორის დიდი პოლემიკა გამოიწვია და არმენოლოგიაში

აქტიური განხილვის საგნად იქცა. ჯ. მარკვარტი დაწვრილებით განიხილავს კორიუნის მონათხრობს და მაშტოცს ქართული ანბანის შემოქმედად მიიჩნევს. მაშტოცმა ახლადშექმნილი ქართული ანბანი შეუსაბამა ძველ დამწერლობას, რომელიც მანამდე გამოიყენებოდა ქართლის სამეფო კარზე. მეცნიერის აზრით, კორიუნს კარგად უნდა სცოდნოდა ქართული ანბანის წარმოშობის ისტორია, მით უფრო, რომ იგი ქართლის ეპისკოპოსი იყო (Մարկվարտ 1918: 40; Մարկվարտ 1962: 117-180).

პაულ ვეტერმა ყურადღება გაამახვილა მაშტოცის მთარგმნელობით საქმიანობაზე. მკვლევარმა მაშტოცი დიდმარხვის საგალობლებისა და იმ პანეგირიკის მთარგმნელად მიიჩნია, რომლის თარგმნასაც სომხური ეკლესია გრიგოლ განმანათლებელს მიაწერს. პ. ვეტერი „მაშტოცის ცხოვრებას“ ორ ნაწილად ჰყოფს: ვრცელი შესავალი და მაშტოცის ბიოგრაფია. მისი ვარაუდით, კორიუნის თხზულება 445-451 წლებში უნდა იყოს დაწერილი. პ. ვეტერი თხზულების დაწერის ზედა ზღვრად 451 წელს თვლიდა. ამ თარიღს იმით ასაბუთებდა, რომ ჰოვსეფ I კათალიკოსი, რომელმაც, თხზულების თანახმად, კორიუნს „მაშტოცის ცხოვრების“ დაწერა დაუკვეთა, ავარაირის ბრძოლის (451 წ.) შემდეგ ტყვედ წაუყვანიათ სპარსეთში, სადაც მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა (Ֆեթիხ 1895: 66-74).

1994 წელს რომში გამოქვეყნდა გაბრიელე ვინკლერის მიერ გერმანულად თარგმნილი კორიუნის თხზულება, გამოკვლევითა და კომენტარებით. ნაშრომში „მაშტოცის ცხოვრების“ ორივე (ე.წ. ვრცელი და მოკლე) რედაქცია ცალ-ცალკეა თარგმნილი, სომეხ ისტორიკოსთა თხზულებებიდან მოტანილია ნაწყვეტები, რომლებიც ეხება სომხური გრაფემების აღმოჩენას. მკვლევარი საუბრობს თხზულებაში აღნიშნულ სხვადასხვა ისტორიულ მოვლენათა და დასახელებულ პირთა (მაშტოცის მოღვაწეობა ქართლსა და ალბანეთში, საეკლესიო კრებებში, ბიზანტიელი და სირიელი მოღვაწეები, მეფეები და ა.შ.) შესახებ. გ. ვინკლერი ცალკე განიხილავს კორიუნის ბურუსით მოცულ პასაჟებს და ამ გაურკვეველი ადგილების შესახებ არსებულ მოსაზრებებს წარმოგვიდგენს. მკვლევარი ერთმანეთს ადარებს თხზულების ე.წ. ვრცელ და მოკლე რედაქციებს და აღნიშნავს მათ შორის

არსებულ მსგავსება-განსხვავებებს, ცალკე განიხილავს „მესამე რედაქციის“ საკითხს, აჩვენებს, რომ მსგავსი ვერსია არ არსებობდა (Winkler 1994: 57-60). სხვადასხვა დროის მეცნიერები ტექსტში ცვლილებების შეტანით ცდილობდნენ, აღედგინათ „მაშტოცის ცხოვრების“ თავდაპირველი ვერსია, რამდენიმე ასეთი შესწორებული გამოცემა არსებობს. გ. ვინკლერმა კორიუნის თხზულება გერმანულად თარგმნა მ. აბელიანის 1941 წლის გამოცემის მიხედვით და ამით უარყო ყველანაირი მცდელობა ტექსტის აღდგენისა (Winkler 1994: 452).

კორიუნის „მაშტოცის ცხოვრების“ ფრანგული თარგმანი, მცირე შესავლითა და კომენტარებით გამოსცა ჟან-პიერ მამე 2005-2007 წლებში (Mahé 2005-2007: 59-97). რამდენიმე თვის წინ გამოიცა ჟან-პიერ მამეს ახალი ნაშრომი „სომხური ანბანი ისტორიასა და მეხსიერებაში: კორიუნი, „მაშტოცის ცხოვრება“, ვარდან არეველცი, „წმინდა მთარგმნელთა პანეგირიკი“. სამწუხაროდ, ამ ნაშრომზე ჯერჯერობით ხელი არ მიგვიწვდება.

უახლესი გამოკვლევა, რომელიც მაშტოცის მოღვაწეობასა და მის ე.წ. ისტორიულ აღმოჩენას უკავშირდება, ხუან ს. კოდონიერს ეკუთვნის. მკვლევარი განიხილავს ისტორიულ და კულტურულ ფონს და იკვლევს სომხური ანბანის ტიპოლოგიას ბერძნულთან მიმართებაში. მისი აზრით, ამ ორი მთავარი ასპექტის შესწავლა ნათელს მოჰფენს ქართული და ალბანური ანბანების წარმოშობის საკითხს, რომელთა შექმნაც მაშტოცს მიეწერება. ხ. ს. კოდონიერის შენიშვნით, სრულიად აშკარაა და ძნელია უარყო „მაშტოცის ცხოვრების“ პატრიოტული პოზიცია. თუმცა არ არსებობს არანაირი ალტერნატიული ვერსია, რომელიც შეძლებდა ამ პატრიოტული პოზიციის დაბალანსებას.

ხ. კოდონიერის მსჯელობის თანახმად, კორიუნის თხრობიდან ჩანს, რომ სომხებს დიდი ძალისხმევა და დრო დასჭირდათ ახალი ანბანის მოსაპოვებლად. მათ არ შეეძლოთ ბერძნული ანბანის მიღება, ვინაიდან მათი აღმოსავლელი მეზობლების გამძვინვარების საფრთხე არსებობდა. მკვლევრის მოსაზრებით, სომხური დამწერლობა ტიპოლოგიურად ბერძნულზეა დაფუძნებული, თუმცა გარეგნულად ეს კავშირი არ არის ნაჩვენები. ქართული ანბანი კი, რომლის

ავტორობასაც მაშტოცს მიაწერენ, გარეგნობით და სტრუქტურით, ძალიან განსხვავდება სომხურისგან. უფრო მეტიც, არც ტიპოლოგიურად და არც ისტორიულად არ არის დამაჯერებელი, რომ სომეხმა საეკლესიო მოღვაწემ ქართველი ერისათვის ანბანი შექმნა. ხ. ს. კოდონიერი ითვალისწინებს ქართული და სომხური ანბანების გრაფიკულ, სტრუქტურულ და ტიპოლოგიურ განსხვავებებს და კორიუნის ცნობას მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ არადამაჯერებლად თვლის. მკვლევარი იმოწმებს ვერნერ ზაიბტს, რომელიც ქართული დამწერლობის წარმოშობას სირია-პალესტინაში მყოფი ქართველი ბერების წრეში ვარაუდობს (Codoñer 2014: 131-138).

ქართველი მეცნიერი, რომელმაც საგანგებო კვლევა მიუძღვნა კორიუნის „მაშტოცის ცხოვრებას“, კრიტიკულად შეისწავლა თხზულება, შეუდარა სხვა წყაროებს და მასში დაცული ცნობები სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენა, ივ. ჯავახიშვილი იყო. მკვლევარი კორიუნის ცნობებს ბუნდოვანს, დაუჯერებელს და ურთიერთგამომრიცხავს უწოდებდა და აღნიშნავდა, რომ უკრიტიკოდ და პარალელურ მასალასთან შედარების გარეშე მათი ნდობა შეუძლებელიაო. ივ. ჯავახიშვილი გამოკვლევაში აჩვენებდა იმ რედაქციულ ცვლილებებს, რომლებიც მაშტოცის ცხოვრების ამსახველ წყაროებს ამჩნევია იმ საერთო კულტურულ-რელიგიური თუ პოლიტიკური განწყობილებების ფონზე, რაც სომხეთში სხვადასხვა დროს სუფევდა. ივ. ჯავახიშვილმა ცნობები კორიუნის ვინაობის შესახებ კრიტიკულად განიხილა და მის თანამედროვეობასა და თვითმიხლველობაში ეჭვი შეიტანა. მკვლევარს მაშტოცის მიერ ქართული და ალბანური ანბანების შექმნის შესახებ გადმოცემული ამბები გვიანდელ ჩამატებად მიაჩნდა და „ეპისტოლეთა წიგნის“ საფუძველზე ამ ცნობის გაჩენას VI საუკუნის ბოლო მეოთხედით ათარიღებდა (ჯავახიშვილი 1935: 150-203).

ილია აბულაძემ საინტერესო სტატია მიუძღვნა სომხური ანბანის წარმოშობის საკითხს. მან კრიტიკულად განიხილა ის სომხური წყაროები, რომლებიც სომხური ანბანის შექმნის შესახებ საყურადღებო ცნობებს შეიცავდნენ. მკვლევარმა მასალის შესწავლის საფუძველზე დაასკვნა, რომ მაშტოცი ძველ სომხურ წყაროებში არა თუ

სომხური ანბანის შემოქმედად, არამედ დანიელის ანბანის რეფორმატორად გვევლინება. ჩვენამდე მოღწეული უძველესი წყარო, რომელიც მაშტოცის დამსახურებად სომხური ანბანის რეფორმას თვლის, VII საუკუნის „ანონიმური ქრონოგრაფიაა“. „ანონიმური ქრონოგრაფიის“ ცნობა საყურადღებოა იმითაც, რომ იგი დაცულია უძველეს (971 წლის) ხელნაწერში.

სომხურ მწერლობაში მაშტოცის მოღვაწეობის არეალი რომ თანდათანობით გაუზრდიათ და იგი ამიერკავკასიის ხალხთა მომაქცევლად და მათთვის დამწერლობათა შემოქმედად უქცევიათ, ეს თვალნათლივ გამოჩნდა ზაზა ალექსიდის გამოკვლევებით. მეცნიერმა ორი უმნიშვნელოვანესი სომხური წყაროს – „ეპისტოლეთა წიგნისა“ და უხტანესის „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ – მეცნიერული შესწავლისას ყურადღება გაამახვილა კორიუნის თხზულებაზე, რომელშიც მაშტოცი სამი დამწერლობის შემოქმედად წარმოგვიდგება. მკვლევარმა მაშტოცის შესახებ ცნობათა შემცველი სომხური წყაროების კრიტიკული ანალიზის შედეგად, ეს ცნობები გვიანდელ ინტერპოლაციად მიიჩნია. „ეპისტოლეთა წიგნისა“ და უხტანესის „ისტორიის“ კვლევის საფუძველზე, ზაზა ალექსიდემ დაასკვნა, რომ ცნობა მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ X საუკუნეშიც არ ყოფილა პოპულარული (ალექსიძე 1968; ალექსიძე 1975).

კიდევ მრავალი საინტერესო ნაშრომის განხილვა შეიძლებოდა, მათში გამოთქმული პოზიცია კარდინალურ საკითხებზე არ სხვაობს ზემოთ მოყვანილ ავტორთა პოზიციებისგან. ამიტომაც დაწვრილებით მათ აქ აღარ განვიხილავთ, თუმცა გამოკვლევაში თითქმის ყველა მათგანი გვაქვს გამოყენებული და სათანადოდ აღნიშნული.

III თავი

„მაშტოცის ცხოვრების“ ტექსტოლოგიური ანალიზი

„მაშტოცის ცხოვრებამ“ ჩვენამდე ორი რედაქციით მოაღწია: პირველ რედაქციას „ვრცელს“ უწოდებენ – «Исаитицѣиں царицѣ и махиюан аинъ еранъелюу аѣюиъ Мъарицѣау мѣюиъ ѣарицѣанъѣи ѣи ѣирицѣиں царицѣауцѣиъ иацѣацѣиъ иирицѣи» [„ისტორია ცხოვრებისა და გარდაცვალებისა ნეტარისა წმინდისა მოძღვრისა მესროპისა, ჩვენი მთარგმნელისა, მისი მოწაფისაგან, კორიუნ ვარდაპეტისაგან [თქმული]“, მეორეს კი „მოკლე“ ან „მცირე კორიუნის“ სახელით აღნიშნავენ – «Иицѣауцѣиъ ааитицѣанъ царицѣ еранъелюу аирицѣ царицѣауцѣиъ Мъарицѣау цѣи асаацѣау ѣ иирицѣ ацѣацѣиъѣи ѣирицѣанъ» [„მოსახსენებელად ნეტარისა წმინდა მესროვზ ვარდაპეტის ცხოვრების ისტორიისა, რომელიც თქმულია მისი მოწაფე კორიუნის მიერ“].

კორიუნის ნაწარმოების ამ რედაქციათა წარმომავლობისა და ურთიერთმიმართების საკითხი არაერთხელ გამხდარა მკვლევართა ინტერესის საგანი. სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა. კიდევ ერთხელ მიმოვიხილავთ ამ საკითხთან დაკავშირებულ ძირითად თვალსაზრისებს.

ვენეციის მხითარისტები კორიუნის ნამდვილ თხზულებად ე.წ. „მცირე კორიუნს“ მიიჩნევდნენ. ეს შეხედულება გაიზიარა ფ. კ. კონიბერმაც (Исацѣауцѣанъ 1904ა: 257).

ნ. ბიუზანდაციმ დაწვრილებით განიხილა „მაშტოცის ცხოვრება“ და ორ არსებულ რედაქციათაგან ე.წ. „ვრცელი რედაქცია“ მიიჩნია კორიუნის ნაწარმოებად. ნ. ბიუზანდაცის აზრით, კორიუნის თხზულება 443-444 წლებშია დაწერილი, „მცირე კორიუნს“ კი იგი მოგვიანებით, XI-XII საუკუნეებში შექმნილად თვლიდა (Исацѣауцѣауѣи 1898: 238). მისივე აზრით, კორიუნი მარტო მაშტოცის ცხოვრების აღმწერი კი არ ყოფილა, არამედ მასვე უთარგმნია ბერძნულიდან აგათანგელოსისა და ფავსტოს ბუზანდის ისტორიები და საღმრთო წერილის მთელი რიგი წიგნები (Исацѣауцѣауѣи 1898: 245-246).

გრ. ხალათიანი, ნ. ბიუზანდაცის მსგავსად, კორიუნის თხზულების „მოკლე“ რედაქციას გვიანდელს უწოდებდა. მკვლევარმა ერთმანეთს შეადარა კორიუნის „ვრცელი“ და „მოკლე“ რედაქციები, ლაზარე ფარპელის „ისტორიის“ I ნაწილი (სადაც სომხური ანბანის შექმნის ისტორიაა გადმოცემული), აგათანგელოსის „სომხეთის ისტორია“, მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“ და წყაროთა ანალიზის საფუძველზე დაასკვნა, რომ „მცირე კორიუნი“ არ არის ორიგინალური ნაშრომი, იგი მოსე ხორენელის გავლენას განიცდის და IX საუკუნეზე ადრე დაწერილი ვერ იქნებაო (Խալաթեան 1904a: 257-262; Խալաթեան 1904բ: 361-367).

დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულია აზრი, რომ კორიუნის თხზულების ჩვენამდე მოღწეული ყველა ტექსტი, მიუხედავად მათი მრავალფეროვნებისა, მაინც ორ რედაქციულ ჯგუფად იყოფა – პირველადი რედაქცია ე.წ. „ვრცელი კორიუნია“ (ამ ჯგუფში გაერთიანებული ტექსტებით), ხოლო მეორე – „მცირე კორიუნი“ (მასთან დაკავშირებული ტექსტებით) უფრო გვიან არის შექმნილი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ „მამტოცის ცხოვრების“ ტექსტებში ცალკე ჯგუფად გამოყოფენ მატენადარანის ორ, XIV საუკუნით დათარიღებულ ხელნაწერს, ე.წ. სადღესასწაულო კრებულებს («Տոնասկան»), სადაც ასევე დაცულია „მამტოცის ცხოვრების“ ტექსტი: «Ի յիշատակի սրբոյն Մեսրոպայ վարդապետի զոր արարեսալ է Կորեսն Սրբոյ յաղագս վարուց նորս», «Եւ վասն մահուան սրբոյն Մեսրոպայ» [„მოსახსენებელად წმინდა მესროპ ვარდაპეტისა, რომლის ცხოვრებაც შექმნა წმინდა კორიუნმა“, „და წმინდა მესროპის გარდაცვალებისათვის“]. ეს ტექსტები მიჰყვებიან კორიუნის ე.წ. „ვრცელ რედაქციას“, თუმცა უფრო მოკლე ვერსიის სახით. ასე რომ, განსხვავებულ რედაქციას არ წარმოადგენენ. მაგრამ რადგანაც სადღესასწაულოს ტექსტები კორიუნის „ვრცელი რედაქციის“ ყველაზე ადრინდელი ნუსხებია, ამიტომ, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენც მათ ცალკე ჯგუფად მივიჩნევთ და დამოუკიდებლად განვიხილავთ ორივე რედაქციასთან მიმართებით.

ჩვენ გავიზიარეთ „მამტოცის ცხოვრების“ ტექსტების არ. მათევოსიანისეული პირობითი აღნიშვნა და ისინი A, B, C ლიტერებით აღვნიშნეთ, სადაც ე.წ. „ვრცელი“

რედაქციაა – A, სადღესასწაულოს „ცხოვრებები“ – B, ხოლო ე.წ. „მცირე კორიუნი“ – C. რაც შეეხება რედაქციების ტრადიციულ მოხსენიებას – „ვრცელი“ და „მოკლე“, არ მიგვაჩნია სწორად. საქმე ისაა, რომ ეს ტერმინები ქმნიან მცდარ განცდას, რომ ერთი მეორის შემოკლებას ან პირიქით – გავრცობას, შეიძლება წარმოადგენდეს. ეს კი ასე არ არის. ტექსტოლოგიურმა შესწავლამ აჩვენა, რომ ე.წ. „მცირე კორიუნი“ სრულიად განსხვავებული რედაქციაა და არა „ვრცელის“ შემოკლებით მიღებული ტექსტი. მიუხედავად ამისა, რადგანაც სამეცნიერო ლიტერატურაში ამ სახელწოდებათა ხმარების ტრადიცია მეტად ხანგრძლივი და მყარია, ჩვენ მათი ჩანაცვლება აღარ გვიცდია.

„მაშტოცის ცხოვრების“ ორივე (A და C) რედაქციის ტექსტები ერთმანეთის პარალელურად პირველად ვენეციაში, 1894 წელს გამოქვეყნდა (Урилин... 1894). 1894 წლის გამოცემის საფუძველზე „მაშტოცის ცხოვრება“ თბილისში, 1913 წელს დაიბეჭდა. თბილისის გამოცემაში ე.წ. ვრცელი და მოკლე რედაქციების ტექსტები ცალ-ცალკე შევიდა, როგორც ორი დამოუკიდებელი თხზულება (Урилин... 1913).

თხზულების A რედაქცია ცალკე წიგნად გამოსცა მ. აბელიანმა 1941 წელს მატენადარანში დაცული №№ 2639, 1891, 131, 3143, 3787, 3797 ხელნაწერების, 1894 წლის ვენეციისა და 1913 წლის თბილისის გამოცემების საფუძველზე (Աբელიან 1981). „მაშტოცის ცხოვრების“ A (ე.წ. ვრცელი) რედაქციის ჩვენამდე მოღწეული ტექსტებიდან ყველაზე ვრცელი ტექსტი, რომელიც საფუძველად დაედო მ. აბელიანის გამოცემას, დაცულია მატენადარანის ხელნაწერთა ფონდში N2639 ნორმით. Mat.2639 ხელნაწერი გადაწერილია ბაღეშში, ამრდოლის მონასტერში 1672 წელს. გადამწერები არიან: პოლოს გავრელი (4v-359r), გრიგოლ ხუცესი (364r-548r), ანონიმი (549r-562r); ხელნაწერის მომკაზმველია საჰაკ ვანელი, მომგებელი – ვარდან ბაღიშელი. დამწერლობის სახეობად გამოყენებულია ბოლორგირი¹¹. ხელნაწერი კრებულს წარმოადგენს და შეიცავს „კავშირთა წიგნს“ («Դիպխանք թուղթ»), აგათანგელოსის, მოსე ხორენელის „ისტორიებს“, წმ. ნერსეს ცხოვრებას, საჰაკის ხილვას და ელიშეს თხზულებას (გადამწერი პოლოს გავრელი), ლაზარე ფარპელისა და სებეოსის

¹¹ ნუსხური, სომხური დამწერლობის მეორე სახეობა.

ისტორიებს (გადამწერი გრიგოლ ხუცესი). კრებული მთავრდება კორიუნის „მაშტოცის ცხოვრებით“, რომელსაც ხელნაწერის 549-562 გვერდები უკავია და რომლის გადამწერიც უცნობია. კორიუნის თხზულების შემცველი ხელნაწერის ფურცლები კოდიკოლოგიური ნიშნებით – გრაფიკა, სტრიქონების რაოდენობა – 33 სტრიქონის ნაცვლად აქ 38 გვხვდება, არშიების გაფორმება, ფურცლის ზომები – ძირითად ხელნაწერთან შედარებით ხელნაწერის გვერდები სიგრძით უფრო მოკლეა, სიგანით – ფართო, ამიტომაც არშიები ნაწილობრივ ჩამოჭრილია, 12-ფურცლიანი რვეულის ნაცვლად აქ გვაქვს 14-ფურცლიანი რვეული, მელანიც უფრო მუქია – განსხვავდება წინა თხზულებებისაგან.

არ. მათევოსიანის აზრით, კორიუნის თხზულება სხვა ხელნაწერის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო და შემდეგ უნდა დაერთოთ Mat.2639 კრებულისათვის, რაც კარგად ჩანს ხელნაწერის აკინძვის ნიშნებიდან. თხზულება 562r გვერდზე მთავრდება და ახლავს ანდერძი: „მოიხსენიეთ მამაცი რაბუნაპეტი, ვარდან ვარდაპეტი, ქრისტეს წინაშე და ღმრთისადმი დაუდუმებლად წყალობა თქვით ასევე საბრალო გადამწერისათვის“.

არ. მათევოსიანი ფიქრობდა, რომ ტექსტი აღნიშნულ ხელნაწერში ვარდან ბალიშელის დავალებით უნდა დაემატებინათ. კორიუნის თხზულება კრებულში 1675 წლის შემდეგ ვარდანის გარდაცვალებამდე (1703 წ.) უნდა ჩაერთოთ (Шахлиуян 1994: 9-11).

ძნელია იმის თქმა, თუ რომელი ხელნაწერის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა ან რომელ წელს იყო გადაწერილი კორიუნის თხზულება. ერთი რამ ფაქტია: დღემდე შემონახულ „მაშტოცის ცხოვრების“ ტექსტებს შორის Mat.2639 ხელნაწერში დაცული ტექსტი ყველაზე ვრცელია.

„მაშტოცის ცხოვრების“ C (ე.წ. მოკლე) რედაქციის ყველაზე ძველი ხელნაწერი №178 დაცულია საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. ხელნაწერი სადღესასწაულო კრებულს წარმოადგენს, გადაწერილია ვინმე პოლოსის მიერ XII საუკუნეში. დამწერლობის სახეობად გამოყენებულია ერკათაგირი ¹², კრებული

¹² ასომთავრული, სომხური დამწერლობის უძველესი, პირველი სახეობა.

ნაკლულია, სულ 643 ფურცლისგან შედგება, არა აქვს მთავარი ანდერძი. მინაწერებიდან ირკვევა, რომ პოლოს გადამწერს ხელნაწერი დაუწერია თავისთვის და მიზნად ჰქონია შეექმნა მდიდარი შინაარსის მქონე სადღესასწაულო კრებული. ამ მიზნით მას მრავალი ცხოვრება და წამება დაუძებნია და შეუტანია ხელნაწერში. კორიუნის თხზულება ამ კრებულში მოთავსებულია 467r-472r გვერდებზე. პარიზულ ხელნაწერში (Par.Arm.178) დაცული „მაშტოცის ცხოვრება“ A და B ჯგუფის ცხოვრებებთან ერთად არ. მათევოსიანმა 1994 წელს გამოაქვეყნა (Մաթևոսյան 1994)¹³.

საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდში ინახება ასევე „მაშტოცის ცხოვრების“ ლათინური თარგმანი (NAL 2083): “Vita beati magistri Mesrop, qui primus characteres armenicos invenit, composita a discipulo ipsius nomine Coriun, ex armenico in latinum translata. Lacroix scripsit, dictante archiepiscopo Uscano.” [„ცხოვრება წმინდა მესროპ მოძღვრისა, რომელმაც შექმნა პირველი სომხური ასო-ნიშნები, შედგენილი მისი მოწაფე კორიუნის მიერ, სომხურიდან თარგმნილია ლათინურად. ლაკრუამ დაწერა ვოსკან¹⁴ არქიეპისკოპოსის დაკვეთით“].

ნ. აკინიანმა „მაშტოცის ცხოვრების“ შემცველ ხელნაწერთა შორის განიხილა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული თხზულების ლათინური ტექსტი და გამოთქვა ვარაუდი, რომ ვოსკანის თარგმანი კორიუნის თხზულების ე.წ. „ვრცელ“ (A) რედაქციას მიჰყვებოდა. პ. ანანიანმა გამოსცა „მაშტოცის ცხოვრების“ ვოსკანისეული ლათინური ტექსტი (NAL 2083) გამოკვლევით (Անանյան 1966: 273-283). პ. ანანიანის აზრით, ლათინური ტექსტი „მაშტოცის ცხოვრების“ ე.წ. „მოკლე“ რედაქციის (რომელსაც ჩვენ C ლიტერით აღვნიშნავთ), კონკრეტულად კი

¹³ პარიზის ხელნაწერი (Par.Arm.178) შევადარეთ არ. მათევოსიანის გამოცემას და ტექსტში მცირე კორექტივი შევიტანეთ. ეს შესწორება მნიშვნელოვნად არ მივიჩნიეთ, ამიტომ C რედაქციის სომხური ტექსტი დართულია არ. მათევოსიანის გამოცემის საფუძველზე. გამოცემაში გამოტოვებული იყო ერთი მცირე ფრაგმენტი, რომელიც გასწორდა და შეივსო ხელნაწერის საფუძველზე და ახლავს შესაბამისი მითითება.

¹⁴ ვოსკან ერევანცი XVII საუკუნის მოღვაწე, ენათმეცნიერი და სასტამბო საქმის ხელმძღვანელი იყო. მთელი ცხოვრების მანძილზე იგი სომხური ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციას ეწეოდა. ვოსკანმა 1666-1668 წწ. ამსტერდამში ყოფნისას დაბეჭდა სომხური ბიბლია. ეს იყო ბიბლიის პირველი გამოცემა, რომელიც ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო პოლიგრაფიულ ნიმუშად. ვოსკან ერევანციმ სიცოცხლის ბოლო წლები საფრანგეთში, ქალაქ მარსელში გაატარა, 1670-იან წლებში იგი პარიზში იმყოფებოდა. შესაძლოა, მან სწორედ ამ პერიოდში, ვინმე ლაკრუას დახმარებით შეასრულა „მაშტოცის ცხოვრების“ ლათინური თარგმანი.

საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული თხზულების სომხური ტექსტის (Par.Arm.178) თარგმანს წარმოადგენს (Անանեան 1966: 273). პ. ანანიანის ეს მოსაზრება ჩვენ მიერ ტექსტების შედარებამაც დაადასტურა.

ჩვენი ტექსტობრივი ანალიზი ემყარება არსებულ გამოცემებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, სრულად ასახავენ „მაშტოცის ცხოვრების“ ტექსტის ისტორიას. დავიწყებთ „მაშტოცის ცხოვრების“ ორი (A და C) რედაქციის ტექსტოლოგიური ანალიზით, რომ უფრო ნათლად ვაჩვენოთ ამ ორი ტექსტის მიმართება და დამოკიდებულება ერთმანეთთან. შედარების მეორე ეტაპზე კი უკვე B ჯგუფის ტექსტებს შევუდარებთ A-სა და C-ს. ტექსტების დეტალურმა შედარებამ საინტერესო და მნიშვნელოვანი მონაცემები გამოავლინა: თხზულებები რიგ შემთხვევაში ერთმანეთს მიჰყვება ისე, რომ საერთო წყაროდან მომდინარეობას გვაფიქრებინებს, თუმცა გვაქვს სრულიად განსხვავებული პასაჟები. განსხვავება ძირითადად ორი მიმართულებით შეინიშნება: როდესაც C რედაქციის ტექსტი შემოკლებულია A რედაქციასთან შედარებით და მხოლოდ მოცულობით სხვაობას გვიჩვენებს, და როდესაც საქმე გვაქვს ფაქტობრივ განსხვავებასთან (ეს სწორედ ის შემთხვევაა, რის გამოც არასწორად მივიჩნიეთ რედაქციათა ტრადიციული სახელწოდებები, იხ. გამოკვლ. გვ. 40).

უპირველეს ყოვლისა, განვიხილავთ იმ ადგილებს, რომლებიც საერთოა ორივე რედაქციისათვის:

1. თხზულების შესავალ ნაწილში ორივე (A და C) რედაქცია საუბრობს თავისი მიზნის შესახებ – მოგვითხროს დამწერლობის შექმნისა და იმ პიროვნების სათნო ცხოვრებაზე, ვისი მეშვეობითაც გავრცელდა ქრისტიანული მოძღვრება. C რედაქციაში თხრობა ოდნავ შემოკლებულია, თუმცა ორივე რედაქციის მიზანი ერთია:

A რედაქცია	C რედაქცია
„ასქანაზიანთა ტომის და სომხეთის ქვეყნის ღმრთივბოძებული დამწერლობის [შესახებ], თუ როდის და რომელ დროს ებოძა, როგორი კაცის	„ასქანეზიანთა ტომისა და სომხეთის ქვეყნის ღმრთივმიმადლებული დამწერლობის აღმოჩენისა და ღმრთისაგან მინიჭებული მოძღვრების

<p>მეშვეობით საცნაურ იქმნა ახლადმინიჭებული ღვთიური მადლი, აგრეთვე მისი ნათელი მოძღვრებისა და ანგელოზებრივი სარწმუნოების სათნოების გამო რომ ვფიქრობდი ცალკე მოსახსენებელი შემექმნა...“ (Աբխუյან 1981: 70)</p>	<p>შესახებ მოგითხრობთ, თუ როდის და როგორი კაცის ნათელი მოძღვრებით [იქნა გავრცელებული], აგრეთვე მისი ანგელოზებრივი სათნო ცხოვრების შესახებ“ (Մաթևոսյան 1994: 116).</p>
--	---

2. ორივე (A და C) რედაქცია მაშტოცის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის და აღნიშნავს არშაკუნთან სამეფო კარზე მის საქმიანობასა და თანამდებობას. თხზულებები შინაარსობრივ განსხვავებას არ გვიჩვენებენ, მხოლოდ C რედაქცია არ ახსენებს სომხეთის ათასისთავ არავანს, რომლის დროსაც მაშტოცი სამხედრო საქმეებს განაგებდა:

A რედაქცია	C რედაქცია
<p>„კაცს, რომელსაც წინასიტყვაობაში მოვიხსენიებთ, ვის შესახებაც ვისწრაფით, რომ მოგითხროთ, სახელად ერქვა მაშტოცი, [იყო] ტარონის გავარიდან, სოფელ ჰაცეკაციდან, ძე ნეტარი კაცისა, სახელად ვარდანისა. ყრმობის წლებიდან გაწვრთნილი ელინური მწიგნობრობით, და მოვიდა, მოაღწია დიდი სომხეთის არშაკუნთანა მეფის კარზე, დაემკვიდრა სამეფო კარის სამდივნოში, <i>იყო მსახური მეფის მიერ გაცემული ბრძანებებისა,</i> სომხეთის ქვეყნის ათასისთავად ვინმე არავანის [ყოფნის] დროს. იგი ღრმად</p>	<p>„იყო ასეთი კაცი მესროვბი, ტარონის გავარიდან, სოფელ ჰაცეკაციდან, ძე ვარდანისა. ყრმობიდანვე გაწვრთნილი ელინური მწიგნობრობით, მოვიდა სომხეთის არშაკუნთანა მეფის კარზე, დაემკვიდრა სამეფო კარის სამდივნოში, <i>იყო მსახური მეფის მიერ გაცემული ბრძანებებისა.</i> და იყო განსწავლული საერო წესებში, <i>სამხედრო საქმეში წარმატებული, და საყვარელი გახდა ყველასათვის – დიდებულთა და მცირეთათვის, სიბრძნით წარმართავდა ყოველგვარ სამართალს“</i> (Մաթևոսյան</p>

ჩახედული და მცოდნე იყო საერო საქმეებისა, სამხედრო ხელოვნების გამო სასურველი გახდა თავის ჯარისკაცთათვის“ (Աբելյან 1981: 84).	1994: 116).
---	-------------

3. „მაშტოცის ცხოვრებიდან“ ვიცით, რომ მან უარი თქვა სამხედრო საქმიანობაზე და საერთოდ, საერო ცხოვრებაზე, ბერად აღიკვეცა და განმარტოვდა სომხეთის განაპირა მხარეებში. A და C რედაქციები მაშტოცის მარტოდმყოფობის პერიოდის ამსახველ მოვლენებს ერთმანეთის მსგავსად გადმოგვცემენ, ორივე რედაქციაში ჩამოთვლილია ყველა ის განსაცდელი, რომელიც მაშტოცმა ასკეტობის გზაზე იტვირთა. თხზულების შინაარსი, ლექსიკა საერთოა ორივე რედაქციისთვის:

A რედაქცია	C რედაქცია
„ამის შემდეგ, სახარებისეული წესის თანახმად, იგი მოექცა კაცთმოყვარე ღმრთის მსახურებაში, შემდგომ განიდარცვა წარჩინებულის სურვილები, აიღო დიდების ჯვარი, გამოვიდა და ყოველთა მაცხოვრებელ ჯვარცმულს შეუდგა. განიმსჭვალა მისი მცნებებით, შეუერთდა ქრისტეს ჯვრისმტვირთველთა გუნდს და მსწრაფლ შევიდა განდგომილთა რიგებში. მრავალი და სხვადასხვაგვარი განსაცდელი იტვირთა ყოველმხრივ სახარების თანახმად, ყოველგვარი სულიერი წვრთნით თავი მიუძღვნა	„ამის შემდეგ იგი მოექცა კაცთმოყვარე ღმრთის მსახურებაში, განიდარცვა ყოველგვარი საზრუნავი, აიღო დიდების ჯვარი, სახარებისეული სჯულის თანახმად, გამოვიდა და ყოველთა მაცხოვრებელ ჯვარცმულ ქრისტეს შეუდგა. [იგი] განიმსჭვალა კანონთა მცნებებით, შეუერთდა ქრისტეს მოწაფეთა ჯვრისმტვირთველ გუნდს და შჯული მარტოდმყოფთა იტვირთა და აღთქმას კეთილად ემსახურებოდა. მრავალი და სხვადასხვაგვარი განსაცდელი იტვირთა სახარების თანახმად, თავი მიუძღვნა ყოველგვარ სულიერ წვრთნას: მოწესებოდა

<p>მარტოდმყოფობას, მთაში ცხოვრებას, შიმშილსა და წყურვილს, მძოვრობას, უსინათლო საპყრობილეს, ძაძითშემოსვას და იატაკზე წოლას. და მრავალჯერ ღამის დასვენების სიტკბობას და ძილის საჭიროებას ფეხზე დგომითა და მღვიძარებით თვალის დახამხამებაში განდევნიდა.</p> <p>...და ამგვარად მასზე მოწევნული ყოველგვარი განსაცდელი ნებაყოფლობითი მხნეობით მიიღო და გაბრწყინდა და სათნო ექმნა ღმერთსა და კაცთა“ (Աբելუյან 1981: 86).</p>	<p>შიმშილითა და წყურვილით, სიცივესა და სიშიშვლეში, გახდა მძოვარი, ძაძითშემოსილი და მიწაზე მწოლი, და მრავალჯერ ღამის ტკბილ ძილს ფეხზე დგომითა და მღვიძარებით თვალის დახამხამებაში განდევნიდა.</p> <p>და მასზე მოწეულ ყოველგვარ განსაცდელს ნებაყოფლობითი მხნეობით ატარებდა, ამით განდევილთა შორის განათლებული და გაბრწყინებული სათნო ექმნა ღმერთსა და კაცთა“ (Մաթևոսյան 1994: 116).</p>
---	---

4. თხზულების თანახმად, სომხური დამწერლობის შექმნის შემდეგ საჰაკ კათალიკოსისა და მაშტოცის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ფართო ლიტერატურულ და მთარგმნელობით საქმიანობას, მოწაფეები საზღვარგარეთ სასწავლებლად და ახალი თარგმანების შესასრულებლად გაგზავნეს: ჰოვსეფი და ეზნიკი (ქ. ედესაში), ლევონდი და კორიუნი (ქ. კონსტანტინოპოლში). საჰაკმა საეკლესიო წიგნები ბერძნული ენიდან სომხურად თარგმნა, შემდეგ კი მან ეზნიკთან ერთად ახლადმოტანილი სარწმუნო ნუსხის მიხედვით ბიბლიის სახელდახელო თარგმანი გაასწორა. ორივე (A და C) რედაქცია წმ. მამების თავდაუზოგავ შრომას აღწერს და ბიბლიური შეგონებებით ამდიდრებს ტექსტს. C რედაქცია, შეიძლება ითქვას, სიტყვასიტყვით მიჰყვება A-ს, ლექსიკა, ბიბლიური ციტაციაც კი იდენტური აქვთ:

A რედაქცია	C რედაქცია
„... მამები მთელ თავიანთ	„ნეტარი წმინდა მამები მთელ

<p>დროს, დღესა და ღამეს, წიგნების კითხვაში ატარებდნენ, და ამით გაბრწყინებულნი და მომადლებულნი, კარგი მაგალითის მიმცემნი ხდებოდნენ სწავლისმოყვარე შეგირდებისთვის, ვინაიდან გამაფრთხილებელი მცნებები ჰქონდათ ღმრთისაგან დადგენილ მოციქულთაგან, რომელთაგან პირველი ბრძანებს: <i>„უფლის კანონების შესახებ დღე და ღამ უნდა იფიქრო“</i>, მეორე ამის მსგავსად გვამცნობს: <i>„ეკრძალე საკითხავსა, ნუგეშისცემასა, მოძღვრებასა, ნუ უღებ-ჰყოფ, რომელ-იგი არს შენ თანა მადლი. ამაზე იზრუნე და ამით გაატარე შენი დრო, რამეთუ ამას რად ჰყოფდე, თავიცა შენი აცხოვნო და მორჩილნიცა შენნი“</i> (Աբեղյան 1981: 124).</p>	<p>თავიანთ დროს, დღესა და ღამეს, წმინდა წიგნების კითხვაში ატარებდნენ, და ამით გაბრწყინებულნი და მომადლებულნი, კარგი მაგალითის მიმცემნი ხდებოდნენ სწავლისმოყვარე შეგირდებისთვის, ვინაიდან გამაფრთხილებელი მცნებები ჰქონდათ ღმრთისაგან დადგენილ მოციქულთაგან, რომელთაგან პირველი გვამცნობს: <i>„უფლის კანონების შესახებ დღე და ღამ უნდა იფიქრო“</i>, მეორე კი გვეუბნება: <i>„ეკრძალე საკითხავსა, ნუგეშის-ცემასა, მოძღვრებასა; ნუ უღებ-ჰყოფ, რომელ-ეგე არს შენ თანა მადლი, ამას იწურთიდ და ამას შინა იყავ, რადთა წარმატებულებაჲ ეგე შენი ცხად იყოს ყოველსა შინა. ეკრძალე თავსა შენსა და მოძღვრებითა მით დაადგერ მათ ზედა, რამეთუ ამას რად ჰყოფდე, თავიცა შენი აცხოვნო და მორჩილნიცა შენნი“</i> (Մաթևոսյան 1994: 120).</p>
--	--

5. თხზულების თანახმად, მაშტოცი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე დადიოდა სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის სხვადასხვა კუთხეებში და ქრისტიანულ მოძღვრებას ქადაგებდა. ორივე (A და C) რედაქცია ამ ცნობას

ერთნაირად გვაწვდის და მაშტოცს ამიერკავკასიის ხალხთა შორის ქრისტიანობის მქადაგებლად წარმოაჩენს:

A რედაქცია	C რედაქცია
<p>„ამგვარად, სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის ყველა მხარეში, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, ზამთარ-ზაფხულ, დღე და ღამ, უშიშრად და შეუფერხებლად, თავისი სახარებისებრი და შეწირული ცხოვრებით – მეფეთა, მთავართა და ყველა წარმართის წინაშე, მოწინააღმდეგეთაგან დაუბრკოლებლად, ყოვლისა მხსნელის, იესოს, სახელი იტვირთა“ (Աբխუյան 1981: 126).</p>	<p>„ამგვარად, სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის ყველა მხარეში, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, ზამთარ-ზაფხულ, დღე და ღამ, უშიშრად და შეუფერხებლად ახლადმოპოვებულ მოძღვრებას ასწავლიდა. და დადიოდა იგი თავისი სახარებისეული და კეთილისმაცნე სიტყვით, რწმენისა და [წმინდანთა] ცხოვრების შესახებ მეფეთა, მთავართა და უბრალო ხალხთა წინაშე, მოწინააღმდეგეთაგან დაუბრკოლებლად, ზემოდან მინიჭებული მადლის წყალობით ასწავლიდა მათ სადიდებლად და საქებრად ღმრთისა“ (Մաթևոսյան 1994: 121).</p>

ამდენად, A და C რედაქციის თხზულებათა შედარებიდან ჩანს, რომ ძირითადი სტრუქტურა, მიზანი – მაშტოცის, როგორც მქადაგებლის, საქმიანობის აღწერა, საჰაკისა და მაშტოცის გარდაცვალების ამბის თხრობაც კი საერთოა ორივე რედაქციის თხზულებებისთვის.

ახლა განვიხილოთ არსებული განსხვავებანი:

1. მთავარი და უპირველესი განსხვავება ამ ორ (A და C) რედაქციას შორის არის ანბანის შემოქმედის სახელი. A რედაქციის მიხედვით, დამწერლობის

შემქმნელი ყველგან «*Σαυρογ/Σαυριγ/Σαυριγγ*»-ად („*მაშოც/მაშდოც/მაყდოც*“-ად) მოიხსენიება, მხოლოდ ერთგან სათაურში გვხვდება „*მესროპ*“ ფორმით (ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს გვიანდელი ცვლილების შედეგი უნდა იყოს (ჯავახიშვილი 1935: 159). C რედაქცია კი V საუკუნის სომეხ საეკლესიო მოღვაწეს ყველგან «*Σαυριϋ*»-ს („*მესროვბ*“-ს) უწოდებს. C რედაქცია ამ განსხვავებით მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიას“ უახლოვდება.

„*მესროპ-მაშტოც*“-ის ფორმასთან და ამ სახელის ვარიაციებთან დაკავშირებით განსხვავებული ვარაუდები გამოითქვა სამეცნიერო წრეებში. გ. სიმონიანმა ამ საკითხის ირგვლივ არსებულ მოსაზრებებს თავი მოუყარა ნაშრომში „*მაშტოცის* სახელის წარმოშობის შესახებ“: ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, რომელმაც ყურადღება გაამახვილა „*მესროპ-მაშტოც*“-ის სახელზე, ჰრ. აჭარიანი იყო. მისი აზრით, ნამდვილი სახელი *მესროპია*, *მაშტოცი* კი - მეტსახელი. ს. პარონიანი *მესროვბ*-ს სირიულ სიტყვად მიიჩნევს («*μαρ*» - „*მარ*“, რაც სირიულად ნიშნავს «*სქრ*»-ს („*უფალს*, *ბატონს*“) – *Σαυρ+Σαυριϋ* > *Σαυρ+Σαυριϋ* (მარ+სეროვბე > მარ+სროვბ) და ფიქრობს, რომ *მაშტოც*ს ეს სახელი უნდა მიეღო სირიაში მოგზაურობის დროს, ედესის ეპისკოპოს ბაბილასაგან, როდესაც *მაშტოცი* სამოსატიდან დაბრუნდა და ამ უკანასკნელს წარუდგინა სომხური ანბანი. მ. ორმანიანიც *მაშოც*ს საერო სახელად, *მესროვბ*ს კი ხელდასხმის შემდეგ მიღებულად მიიჩნევს. გ. ნაჰაპეტიანის აზრით, სომეხი მოღვაწის ძველი სახელია *მაშტოცი*, *მესროპი* კი უწოდეს საბერძნეთში ატიკოს პატრიარქის მიერ ეკლესიასტიკოსად¹⁵ დანიშვნისას. ა. გარაგაშიანი თვლის, რომ *მესროპი* საერო სახელია, *მაშტოცი* კი – საეკლესიო, იგი *მაშტოც*ს მიიჩნევს ბერძნული *Mastos* სიტყვიდან მომდინარედ, რაც „*სიმაღლეს*“ ნიშნავს. ამ მოსაზრებას იზიარებს ე. თოფჩიანი. მ. ავგერიანი პირველად სახელად *მაშტოც*ს ან *მაშოც*ს თვლის, *მესროპ*ს კი განმარტავს როგორც მოძღვარს. გ. სიმონიანი თავის ნაშრომში განიხილავს ყველა აღნიშნულ მოსაზრებას და სრულიად ახალ ვერსიას გვთავაზობს. მისი აზრით, სომხურ ლექსიკაში ყველაზე ცოცხალი სიტყვაა «*μαρϋ*» („*კაცი*, *ადამიანი*“), რომელმაც შემდგომში

¹⁵ Ἐκκλησιαστικόν (ბერძნ. *ekklēsiastikòs*) – ეკლესიის წევრი, მოძღვარი. *მაშტოც*ს „*ეკლესიასტიკოსად*“ დანიშვნის შესახებ პირველი ცნობა მოსე ხორენელთან გვხვდება. ამ ცნობის მიხედვით, *მაშტოცი* ეკლესიის მსახურთა, ეკლესიის მოძღვართა შორის განაწესეს.

მიიღო ინდოევროპული **-ng** (-ოც) სუფიქსი. მასში გარკვეული აზრი ჩაიდო, რომელსაც უნდა გაეღრმავებინა «**μαυη**»-ის მნიშვნელობა და ადამიანის ღირებულება, „რ“ გრაფემა „შ“-დ შეიცვალა და ასე მივიღეთ **მაშდოცი** (Uchinjua 1988: 62-72).

გ. ფნტგლიანს ნამდვილ სახელად **მაშტოცი** მიაჩნია. მკვლევარი **მაშტოცის** სახელს აკავშირებს სირიულ წარწერებში დასახელებულ მართა მთავრების ირანული წარმოშობის **Mazdak** სახელთან. **მაშტოცის** ძირია – **მაშტ>mazd**, **-ng** (-ოც) დაბოლოება გვხვდება სხვა სახელებთანაც. რაც შეეხება მოსე ხორენელთან დადასტურებულ **მესროპს**, გ. ფნტგლიანის აზრით, ეს სახელი IV-V საუკუნეებში საეკლესიო და საერო პირების სახელებად არ გამოიყენებოდა, რაც იმის ეჭვს ბადებს, რომ შეიძლება ხელოვნურად იყოს შექმნილი (Φυσικησαν 1926: 268-275).

ფოტიოს პარტიარქი (დაახლ. 820-896 წწ.) თავის „ბიბლიოთეკაში“ ანუ „**Μυρίοβιβλιος**“-ში ასახელებს თეოდორე მოფსუესტელს (დაახლ. 350-428, მოფსუესტია, კილიკია; ქალაქ მოფსუესტიის ეპისკოპოსი 392-428 წწ.), რომელიც წერილს წერს სომეხ ქორეპისკოპოს **მასტუბიოსს** (**Μαστούβιος**). ნ. ადონცი მასტუბიოსს აიგივებს მაშტოცთან. აქვე შენიშნავს, რომ ზოგმა ეს სახელი შეცდომით წაიკითხა – **მასრუბიოს** (**Μασρούβιος**) ფორმით, რის შედეგადაც მივიღეთ **მესრობი**-ო (Auhing 1962: 202).

მაშტოცის ბიოგრაფმა კორიუნმა რომ კარგად იცის თეოდორე მოფსუესტელის გარშემო წარმოშობილი ხმაურის შესახებ, ეს ჩანს მისივე თხზულებიდან. A და B ჯგუფის ტექსტებში გადმოცემულია თეოდორეს სწავლებების შესახებ: „იმ დროს სომხეთის ქვეყანაში გამოჩნდა [ახლად] მოტანილი სიცრუის მთხრობელი წიგნები, ფუჭი გადმოცემები თეოდოროსის სახელით ცნობილი ერთი რომელი კაცისა. წმინდა ეკლესიის სინოდის მამამთავრებმა ამის შესახებ აღნიშნეს და აცნობეს ჭეშმარიტი სარწმუნოების მადიდებლებს – საპაკს და მაშტოცს. მათ კი ჭეშმარიტი სიყვარულის ძალით აიღეს და განაშორეს [ეს წიგნები] თავიანთი ქვეყნის საზღვრებს გარეთ, რომ არანაირი სატანური კვამლი არ შერეოდა ნათელ სწავლებას“ (Auhing 1981: 134).

C რედაქცია ამ ცნობას განსხვავებულად გვაწვდის: „იმ დროს ეფესოს კრებიდან განდევნილმა ვილაც კაცებმა, რომელთაგან ერთის სახელი იყო თეოდოროსი, პავლე სამოსატელისა და ნესტორის მწვალებლური წიგნები მოიპოვეს შესაფერი წრფელთათვის და მალემრწმენთათვის, მოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში და სურდათ ბოროტი მწვალებლობის სწავლება. ამის შესახებ წმინდა კრების [მონაწილეებმა] წერილები გაუგზავნეს და აცნობეს ჭეშმარიტი რწმენის მადიდებლებს – საჰაკსა და მესროვს. მათ კი მართლაც სწრაფად განდევდნენ ცბიერი მწვალებლები თავიანთი ქვეყნიდან, რომ არანაირი სატანური კვამლი არ შერეოდა ნათელ სწავლებას“ (Մաթևոսյան 1994: 113).

თხზულების მიხედვით, მამტოცმა ანბანის ძიების გზაზე მოიარა სხვადასხვა ადგილები და შეხვდა სომხეთის მოსაზღვრე ქვეყნების ცნობილ მოღვაწეებს. შესაძლებელია, ამ მოგზაურობის დროს მას რაიმე ფორმით კავშირი ჰქონდა იმ პერიოდის გავლენიან და განათლებულ სასულიერო მამასთან, თეოდორე მოფსუესტელთან. ჩანს, ამასვე ითვალისწინებდა ნ. ადონცი, როდესაც თეოდორეს მასტუბიოსის მიმართ ეპისტოლის ადრესატად მამტოცს მიიჩნევდა (Ադունց 1925: 398-402).

ძველ სომხურ ისტორიოგრაფიაში სომეხი მოძღვარი ორივე („მამტოცი“ და „მესროპი“) სახელით გვხვდება. ლაზარე ფარპელი მას ყველგან „მამტოც“-ს უწოდებს და „მესროპ“-ად არსად მოიხსენიებს, მოსე ხორენელთან კი „მესროპ“-ად იწოდება, მხოლოდ ერთგან ხორენელის „ისტორიის“ II წიგნის X თავში დასტურდება „მამტოც/მამდოც“ სახელის ფორმა. მოსე კალანკატუელის „ალბანთა ქვეყნის ისტორიის“ I ნაწილში „მამტოც“-ად არის მოხსენიებული, მეორე ნაწილში კი (რომელიც, ჩვენი აზრით, მოსე ხორენელის გავლენას განიცდის და გვიანდელი ინტერპოლაციაა) გვხვდება „მესროპ“ ფორმით.

B ჯგუფის ტექსტები, რომლებიც ზუსტად მიჰყვება A რედაქციის ტექსტს, მთავარი გმირის სახელს ზოგჯერ შეცვლილი ფორმით გვაწვდის. B ჯგუფის ტექსტებში სომეხი საეკლესიო მოღვაწის სახელი ორჯერ გვხვდება „მამდოც“ ფორმით, ოთხჯერ კი „მესროპ/მესროვპ“-ით. სათაურებშიც ტრადიციულად „მესროპ/მესროვპ“-ია. ჩანს, ესეც დროთა განმავლობაში ცვლილების შედეგი უნდა იყოს. ვფიქრობთ, ერთი მხრივ,

არსებობდა ტექსტი, რომლის საფუძველზეც იქმნებოდა B ჯგუფის ტექსტები, მეორე მხრივ კი, საუკუნეთა მანძილზე დაგროვებული ვერბალური ცოდნა, რომელსაც ძველი ავტორები ხშირად ეყრდნობოდნენ. თანამედროვე მკვლევართა მიერ *მესროზ-მამტოცის* სახელის ირგვლივ გამოთქმული თვალსაზრისები კი მათი თანადროულობის დადასტურების მცდელობაა, რაც არღვევს სახელით დათარიღების ტრადიციას.

ჩვენი აზრით, ნამდვილი და პირვანდელი სახელი მამტოცი უნდა ყოფილიყო, როგორც ეს „მამტოცის ცხოვრების“ A და ნაწილობრივ B ჯგუფის ტექსტებში აისახა. ამას ადასტურებს ლაზარე ფარპელის „ისტორია“ და მოსე კალანკატუელის „ისტორიის“ პირველი და მეორე ნაწილები, რომელთაც საფუძველად, ვფიქრობთ, კორიუნის თხზულების არქეტიპი უდევთ.

2. მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება, რომელიც ამ ორ (A და C) რედაქციას შორის შეინიშნება, სომხური ანბანის შექმნის ისტორიას, მის სხვადასხვა ეტაპებს უკავშირდება:

A რედაქციის მიხედვით, სომხეთის მეფე ვრამშაპუჰმა ვაჰრიჰი და ერთი ხუცესი, სახელად აბელი, გაგზავნა სირიელ ეპისკოპოს დანიელთან სომხური ანბანის მოსატანად. ორი წელი დანიელისაგან მოტანილი ანბანით ასწავლიდნენ და მიხვდნენ, რომ ეს გრაფემები სომხურ ენას არ შეესაბამებოდა. ამის შემდეგ დაიწყო მამტოცის მოგზაურობა ედესასა და ამიდში ახალი ანბანის მოძიების მიზნით. ანბანის ძიების გზაზე მამტოცს თან ახლდა თავის მოწაფეთა გუნდი, რომელიც მან ორ ჯგუფად გაყო, ერთი ჯგუფი – ბერძნულის, მეორე კი სირიული მწიგნობრობის შესასწავლად მიავლინა (Աբელიანი 1981: 94).

C რედაქციის ცნობით, მამტოცი მოწაფეების თანხლებით თავად მიდის სირიელ ეპისკოპოს დანიელთან სომხური ანბანის მოსაპოვებლად. მამტოცის შემდგომი მოგზაურობა ედესასა და ამიდში და მოწაფეების გაგზავნა სხვადასხვა მხარეში მწიგნობრობის დასაუფლებლად C რედაქციაში აღწერილი არ არის: „... გზავნიან მესროზს მოწაფეებთან ერთად ასურეთის შუამდინარეთში. და წავიდა იგი სადაც გამოეძიებდა ბრძენ კაცთაგან და განივრცობდა ცოდნას. იგი შეხვდა ვინმე დანიელს, სირიის მართალ ეპისკოპოსს, რომელმაც უთხრა მას, რომ აჩვენებდა სასურველ

ასო-ნიშნებს. დიდი გარჯის, ძიებისა და სწავლების შემდეგ, უსარგებლო აღმოჩნდა [ეს ანბანი], რადგან ის სომხური ენის სიტყვებს და ანბანის ბგერებს ვერ გადმოსცემდა“ (Մախსույան 1994: 117).

ორივე რედაქციით სომხური ანბანის შექმნა უფლის ჩარევით ხდება. A რედაქცია ანბანის შექმნას ღვთაებრივ ჯილდოდ მიიჩნევს, თუმცა ამ პროცესში მთავარ ფუნქციას მაშტოცს ანიჭებს. A რედაქციაში მაშტოცის მოღვაწეობის ასპარეზი, როგორც ანბანის შემოქმედისა, უფრო ფართოდ არის წარმოჩენილი:

„ხოლო დააჯილდოვა იგი ყოვლადმოწყალე უფალმა [ამგვარი] ხვედრით: მან თავისი წმინდა მარჯვენით, ვითარცა მამამ, შვა [შექმნა] ახალი და საოცარი ნაშობნი – სომხური ენის ასო-ნიშნები. მან სწრაფად ჩაინიშნა [ეს ასო-ნიშნები], სახელები დაარქვა, რიგზე განალაგა და შექმნა თხზულ მარცვლებად.

ამის შემდეგ იგი დაემშვიდობა წმინდა ეპისკოპოსს, თავის დამხმარებებთან ერთად ჩამოვიდა სამოსატელთა ქალაქში, სადაც დიდი პატივით განადიდეს იგი ეპისკოპოსმა და ეკლესიამ.

და იქ, იმავე ქალაქში მან ჰპოვა ელინური მწიგნობრობის მცოდნე მწერალი, სახელად ჰროფანოსი, ვისი [მეოხებითაც] ერთბაშად შეიქმნა და განსრულდა ასო-ნიშნების ყველა სახესხვაობა – წვრილი და მსხვილი, მოკლე და გრძელი, ცალკეული და ორმაგი...“ (Աբელიან 1981: 95).

C რედაქცია კი სიტყვასიტყვით იმეორებს მოსე ხორენელის სომხური ანბანის შექმნასთან დაკავშირებულ ცნობას. მოსე ხორენელის მსგავსად, C რედაქციაში სომხური ანბანის შექმნა მთლიანად ღვთაებრივ ხილვას უკავშირდება, გრაფემების შექმნის ყოველი დეტალი დაწვრილებით არის აღწერილი, მაშტოცი კი ამ გამოცხადების მხილველად და მის რეალიზატორად წარმოგვიდგება. თხზულების მიხედვით, მაშტოცმა, რუფინოსთან ერთად, ანბანურ სისტემაში მოაქცია ხილვაში ნანახი გრაფემები და ბერძნული ანბანის მოდელით გამართა:

„და იხილა, არც ძილში სიზმარი, არც ღვიძილში ხილვა, არამედ გულში, სულის თვალით გამოეცხადა: მარჯვენა ხელის მტევანი კლდეზე [ნიშნებს] წერდა, თითქოს

ხაზის კვალი რჩებოდა ეტრატზე. არა მხოლოდ გამოეცხადა, არამედ ყველა დეტალმა როგორც ერთმა მთლიანობამ, მის ფიქრებში მოიყარა თავი“ (Uააქსიუას 1994: 117-118).

ლოცვის შემდეგ ადგა და „შექმნა ჩვენი ანბანი ეპიფანოსის მოწაფე რუფინოსთან ერთად, რომელიც სამოსში იყო განმარტოებული, ნეტარი მოძღვრის მესროვბის ბრძანებით ასო-ნიშნებს ფორმა მისცა: სომხური ასოები გარდაქმნა ელინთა მყარი მარცვლების მსგავსად“ (Uააქსიუას 1994: 118).

3. თხზულების A რედაქციის მიხედვით, მაშტოცმა ცხოვრების უმეტესი ნაწილი ქრისტიანობის ქადაგებასა და წარმართული წეს-ჩვეულებების აღმოფხვრას მოანდომა. მკვლევრები მაშტოცის მქადაგებლობით მოღვაწეობას ხუთ ეტაპად ჰყოფენ: 1. გოლთნი; 2. მართა მხარე; 3. გოლთნი, სივნიეთი და ქართლი; 4. სომხეთის ბერძნული ნაწილი; 5. ალბანეთი, ბალასაკანი, გარდმანი, ქართლი და ტაშირი (Աճառუას 1968).

ამავე პრინციპით დავყავით მაშტოცის მოღვაწეობა C რედაქციაში: 1. გოლთნი; 2. ქართლი, ალბანეთი; 3. სომხეთის ბერძნული ნაწილი; 4. სომხეთის სხვადასხვა მხარე.

კარგად გამოჩნდა, რომ განსხვავდება როგორც მოძრაობის თანმიმდევრობა, ისე მარშრუტის მოცულობაც. განსხვავდება, აგრეთვე, მოგზაურობისა და მოქმედებათა დეტალების, დასახელებულ პირთა რაოდენობაც.

A რედაქციის ცნობით, საჰაკ კათალიკოსმა და მაშტოცმა გაინაწილეს სომხეთის მხარეები: კათალიკოსს სამეფო ჯარის ნაწილებში უნდა ექადაგა, მაშტოცი კი დადიოდა წარმართულ ადგილებში ახალი მოძღვრების გასავრცელებლად. მაშტოცმა მისიონერული საქმიანობა გოლთნიდან დაიწყო, მეორე ეტაპზე კი იქადაგა მართა მხარეში, გაათავისუფლა და ქრისტიანულ რწმენაზე მოაქცია წარმართული წეს-ჩვეულებების მიმდევარი მარები. მაშტოცმა გააქრისტიანა გოლთნის მოსახლეობა, მოსაზღვრე სივნიეთის მკვიდრნი. ავტორის სიტყვებით, უფალმა ისე დააჯილდოვა სივნიეთის ქვეყანა, რომ მმართველი გახდა „მამაცი ვასაკ სივნიელი, კაცი ჭკვიანი და გონიერი, შორსმჭვრეტელი, ღვთიური სიბრძნით დაჯილდოებული. მან მრავალი დახმარება აღმოუჩინა [მაშტოცს] სახარების სწავლების საქმეში, როგორც ძე მამის

მიმართ, იმგვარ მორჩილებას გამოხატავდა, ემსახურებოდა სახარების ბრწყინვალეების საკადრისად და სიკვდილამდე მის ბრძანებებს აღასრულებდა“ (Աբელიან 1981: 110).

ახალი მოძღვრების შესასწავლად მოწაფეები სომხეთის სხვადასხვა კუთხეებიდან მოდიოდნენ და მამტოცის გარშემო იკრიბებოდნენ, მამტოცი კი ღვთაებრივ საქმეს – თარგმნას, წერასა და სწავლებას – სრულყოფდა. თხზულებაში ამგვარ საქმეთა შესახებ თხრობა ბიბლიური მაგალითებითა და სწავლებებით არის გაჯერებული.

კორიუნის თხზულების C რედაქციაში მთელი ეს პასაჟი ერთი აბზაცით არის გადმოცემული:

„მოვიდა სომხეთის ნეტარი მოძღვარი მესროპი, მოუტანა ჩვენი ენის ასონიშნები სომხეთის [კათალიკოსს] წმინდა საჰაკს და სომხეთის მეფე ვრამშაპუჰს, მათ ფრიად განიხარეს, როგორც ღმრთის დაწერილი მცნებების მიღებისას. ისინი მადლიერებას და დიდებას შესწირავდნენ ყოველთა შემოქმედს იმ ახლადბოდებული ძღვენისთვის, რაც მათ მიეცათ ზემოდან. და შეკრიბეს გონიერი, ნიჭიერი, ხმატკბილი და დიდსულოვანი ბავშვები, ყველა გავარსა და სოფელში გამართეს სკოლები წმინდა მამამთავრისა და მეფის ბრძანებით. ასწავლიდა [მესროპი] მთელი სომხეთის ქვეყანას“ (Մաթևոսյան 1994: 118).

სომხეთის ბერძნულ მხარეში მამტოცის მოგზაურობას, იქ ქრისტიანობის ქადაგებასა და ახლადდმოჩენილი დამწერლობის გავრცელებას ორივე (A და C) რედაქციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. C რედაქციაში ეს ამბები შემოკლებულია და, ამასთანავე, ფაქტობრივ განსხვავებას გვიჩვენებს: თხზულებები შინაარსობრივად ერთმანეთს მიჰყვება, განსხვავება კი ისაა, რომ C რედაქციით, საჰაკ კათალიკოსმა მამტოცს ეპისტოლეები გაატანა თეოდოსი კეისართან და ატიკოს პატრიარქთან, თან თავისი შვილიშვილი, ვარდანი გააყოლა (Մաթևոսյան 1994: 118-119). ამ მონაკვეთში C რედაქცია მოსე ხორენელის გავლენას განიცდის. მოსე ხორენელი ამ ეპისტოლეთა შინაარსსაც კი გვაწვდის, რაც სხვა წყაროებით არ დასტურდება. A რედაქცია კი, რომელიც უფრო დეტალურად აღწერს მამტოცის

სომხეთის ბერძნულ ნაწილში საქმიანობას, არაფერს ამბობს ვარდანისა (საჰაკის შვილიშვილი) და ეპისტოლეების შესახებ.

კორიუნის თხზულებაში ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის ადგილი, რომელიც მაშტოცის ქართლსა და ალბანეთში მოგზაურობას ეხება და გადმოგვცემს ისტორიას ქართველი და ალბანელი ხალხისათვის დამწერლობათა შექმნის შესახებ. A რედაქციაში მაშტოცის ქართლსა და ალბანეთში მოგზაურობა სამ ეპიზოდად არის აღწერილი:

პირველად ავტორი მაშტოცის ქართლში მოსვლას ქრონოლოგიურად ბაკურის მეფობისა და მოსეს ეპისკოპოსად ყოფნის პერიოდს უკავშირებს. მაშტოცმა ამ დროს ქართლის მეფესა და ეპისკოპოსს წარუდგინა ქართული ანბანი, რომელიც სივნიეთში მისიონერობის დასრულების შემდეგ შექმნა და მთარგმნელი ჯაღას დახმარებით წერის ხელოვნება შეასწავლა ქართლის მეფის ბრძანებით შეკრებილ მოწაფეებს (Աբელიან 1981: 110).

მეორე ეპიზოდი უკვე ალბანური დამწერლობის შექმნას აღწერს. A რედაქციის თანახმად, ქართული ანბანის შექმნის შემდეგ მაშტოცმა იზრუნა ალბანელ ხალხზეც, მან სომხეთის ბერძნულ ნაწილში ყოფნისას ბენიამინის დახმარებით დამწერლობა შექმნა ალბანური ენისათვის, წავიდა ალბანეთში, შეხვდა ალბანეთის მეფე არსვალენს და იერემია ეპისკოპოსს, იქ მყოფ მოწაფეებს ახალი მწიგნობრობა შეასწავლა, იერემია ეპისკოპოსმა კი „ხელი მიჰყო სასწრაფოდ საღმრთო წიგნების თარგმანების შესრულებას, რითაც მაშინვე, თვალის დახამხამებაში ველური, ზარმაცი და პირუტყვთა მსგავსი ალბანეთის ქვეყანა წინასწარმეტყველთა, მოციქულთა მცოდნე და სახარების მემკვიდრე ხდებოდა, ღვთიური გადმოცემებიდან არაფერი [დარჩა] შეუმცნებელი“ (Աբელიან 1981: 116-117).

მესამე ეპიზოდში მაშტოცი გარდმანის ხევის გავლით ალბანეთიდან კვლავ ქართლში მიემგზავრება და არშუშა პიტიახშის მოწვევით მიემართება ტაშირის გავარში. პიტიახშის დახმარებით მაშტოცმა ამ მხარეშიც გაავრცელა ქრისტიანული მოძღვრება. ამ დროს ქართლის სამეფო ტახტზე მეფედ არჩილია დასახელებული, ეპისკოპოსად კი სამოელი გვევლინება (Աբელიან 1981: 120-122).

ს რედაქციაში ქართლსა და ალბანეთში ქადაგებისა და ქართული და ალბანური ანბანების შექმნის ისტორია ზოგადია, ერთ ეპიზოდს წარმოადგენს და მხოლოდ ერთი აზრით არის გადმოცემული: „წავიდა ნეტარი კაცი ღმრთისა ქართველთა ქვეყანაში, შეუქმნა მათ ანბანი ღმრთისაგან მინიჭებული წყალობით და სხვადასხვა ქალაქებში დატოვა მოძღვრები მათი ბავშვების განსასწავლად. თავად კი ალბანეთში წავიდა. იქ მსგავსადვე ახლად ჰქმნა ანბანი და სწავლების მიმართ სიყვარულის ტრადიცია. იქაც დატოვა მოძღვრები [და] დაბრუნდა სომხეთში“ (Մաթևոսյան 1994: 118).

ს რედაქცია არც მეფეთა და ეპისკოპოსთა და არც დამხმარე პირთა სახელებს არ გვთავაზობს. ასევე, თხზულებაში არაფერია ნათქვამი მაშტოცის ქართლში მეორედ მოგზაურობის შესახებ.

ს რედაქციის ცნობა მაშტოცის (მესროპის) მიერ ქართულ და ალბანურ დამწერლობათა შექმნის შესახებ ყველაზე ახლოს დგას სომხური სვინაქსარების ტექსტთან: «*Ասպ գնաց սուրբ վարդապետն Մեսրոպը յաշխարհն Վրաց, արար և նոցա նշանագիրս ըստ նոցա լեզուին և ասպ գնաց յաղուսնս և ըստ տուևելոյ նմա շնորհացն ի Տեանէ: Արար և նոցա նշանագիրս և կարգեաց դպրոցս յերկուսին աշխարհսն, ինքն դառնա ի Հայս*» (Mat. 2695): [„მაშინ წავიდა წმინდა ვარდაპეტი მესროპი ქართველთა ქვეყანაში, შეუქმნა მათ ანბანი მათი ენის შესაბამისად და წავიდა ალბანეთში, მისთვის მინიჭებული უფლის წყალობით მათაც შეუქმნა ანბანი, გამართა სკოლები ორივე ქვეყანაში. თავად კი დაბრუნდა სომხეთში.“]

4. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და არსებითი განსხვავება, რომელიც ამ ორ რედაქციაში გვხვდება, საჰაკისა და მაშტოცის მთარგმნელობით მოღვაწეობას ეხება:

კორიუნის ცნობით, ქრისტიანული სარწმუნოების სომხეთში გავრცელებისა და სომხური ანბანის საბოლოოდ გამართვის შემდეგ, საჰაკ კათალიკოსისა და მაშტოცის მთელი ინტერესი და ყურადღება მიმართული იყო სომხური მწიგნობრობის განვითარებისკენ. ამ ორი საეკლესიო მოღვაწის უმთავრეს მიზანს სომეხი ხალხის სულიერი აღზრდა წარმოადგენდა. ამისათვის კი, ბუნებრივია, ბიბლია, საეკლესიო

სწავლების შესახებ სხვა წიგნები და ცნობილ საეკლესიო მამათა საღვთისმეტყველო ნაშრომები სომხურ ენაზე უნდა ეთარგმნათ. თხზულების A რედაქციის მიხედვით, ეს საქმიანობა თითქოს ორ ეტაპადაა წარმოდგენილი: სომხური ანბანის შექმნისთანავე მაშტოცმა დაიწყო თარგმანების შესრულება და თავის ორ მოწაფესთან, ჰოვჰანესთან და ჰოვსეფთან ერთად „იწყო მან [წმინდა] წიგნის თარგმნა სოლომონის იგავებით“ (Աբელიან 1981: 98). ამ ცნობას იმეორებს B ჯგუფის ტექსტებიც.

ამიტომ ცოტა უცნაურია, როდესაც A და B ჯგუფის ტექსტების მეორე ეპიზოდში აღარ აღინიშნება, რომ მაშტოცი უშუალოდ იყოს ჩართული და მონაწილეობდეს თარგმანების შესრულებაში. მაგალითად, როდესაც საგანგებოდ საუბარია საკუთრივ ბიბლიის თარგმნაზე (მთარგმნელობითი საქმიანობის აღმწერი მეორე ეპიზოდი), ამ დროს ტექსტში მთარგმნელობითი საქმის ინიციატორიც და შემსრულებელიც საკავ კათალიკოსია და მას მოწაფეები ეხმარებიან: „ხოლო ნეტარმა საკავმა თავდაპირველად ბერძნული ენიდან სომხურად თარგმნა საეკლესიო წიგნების კრებულები და წმინდა მამამთავართა მრავალი ჭეშმარიტი სიბრძნე“ (Աբელიან 1981: 124).

C რედაქციაშიც მთლიანობაში იგივე ვითარება გვაქვს – მაშტოცი აქაც პირველ ეპიზოდშია ნახსენები, მხოლოდ დეტალები სხვაობს. მაშტოცი, ორ მოწაფესთან ერთად, სომხურ ენაზე წიგნების თარგმნას იწყებს „სოლომონის იგავებით“, მხოლოდ C რედაქცია, იგავებთან ერთად, მას ძველი აღთქმის 22 წიგნის თარგმნასაც მიაწერს:

„... მყისვე წამოიწყო თარგმნა, ზრახვით დაიწყო სოლომონ ბრძენის იგავებით და შეკრიბა ოცდაორი კანონიკური [წიგნი] ძველი აღთქმისა და სომხურად გადმოთარგმნა. მისი მოწაფეები – ჰოვჰანი და ჰოვსეფი შეეწეოდნენ მას ამ საქმეში“ (Մաթևոսյան 1994: 118).

C რედაქციის მონაცემები ემთხვევა მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიას“ იმ განსხვავებით, რომ ხორენელი მხოლოდ ძველი აღთქმის წიგნებით არ შემოიფარგლება და ახალი აღთქმის წიგნებსაც ამატებს:

«Եւ իսկոյն ի թարգմանութիւն ձեռն արկեալ, խորհրդաբար սկսանելով յԱռակաց, քովանդակ գքսան և երկու յայտնիսս և գնոր Կտակս յեղով ի հայ բան, նա և աշակերտք նորա Յոհան եկեղեցային և Յովսէփ պաղնացի. միանգամայն և զարուեստ գրչութեան ուսուցանել տալով իւրոց մանկագոյն աշակերտացն» (Աբելյան... 1991: 327): [და მაშინვე მიჰყო ხელი [მესრობმა] თარგმნას, ზრახვით დაიწყო [სოლომონის] იგავებით, მან ოცდაორი ცნობილი წიგნი და ახალი აღთქმა სრულად გადმოთარგმნა სომხურად თავის მოწაფეებთან, ჰოპან ეკელეცელთან და ჰოვსეფ პალინელთან ერთად. იმავდროულად, იგი წერის ხელოვნებას ასწავლიდა თავის ყმაწვილ მოწაფეებს.]

С რედაქცია თარგმანების დედნის ენასთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავ ცნობებს შეიცავს. ტექსტში ერთგან ნათქვამია, რომ საჰაკმა და მაშტოცმა ბერძნული ენიდან გადმოთარგმნეს წიგნები: „ხოლო ნეტარმა საჰაკმა და მესროვბმა თავდაპირველად ბერძნული ენიდან სომხურად თარგმნეს საეკლესიო წიგნების კრებულები, და წმინდა მამამთავართა მრავალი ჭეშმარიტების მომთხრობი სიბრძნე გამართეს სომხურ ენაზე“ (Մաթևոսյան 1994: 120).

სხვაგან კი აღნიშნულია, რომ ქვეყანაში ბერძნული დედნების არარსებობის გამო, საჰაკ კათალიკოსი წიგნებს სირიული ენიდან თარგმნიდა: სომხეთში დაბრუნებულმა მაშტოცმა „...ჰპოვა წმინდა მამამთავარი საჰაკი, რომელიც ქრისტეს წყალობით დაკავებული იყო სირიულიდან თარგმნით, ბერძნული დედანი არ არსებობდა, რადგან მთელი ქვეყნის ბერძნული წიგნები დაეწვა მერუჟანს. ხოლო როდესაც სომხეთის ქვეყანა გაიყო [ორ ნაწილად], სპარსი ზედამხედველები ნებას არ რთავდნენ, თავიანთ ნაწილში ბერძნული მწიგნობრობით ესწავლებინათ, არამედ მხოლოდ სირიულით. ამის გამო წმინდა მამამთავარი საჰაკი და ნეტარი მესროვბი დიდი საზრუნავით იყვნენ შეპყრობილნი, ამიტომაც წავიდნენ თავიანთ დასავლეთ ეპარქიის ბერძნულ ნაწილში“ (Մաթևոսյան 1994: 118).

სირიულიდან სომხურად თარგმნის შესახებ მსგავს ცნობას ვხვდებით მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიაშიც“:

«և գտանէ գմեծն Մահակ թարգմանութեան պարապեալ յասորոյն յոչ լինելոյ յունի: Քանզի նախ ի Մերուժանայ այրեալ լինէին ընդհանուր աշխարհիս յոյն գիրք. դարձեալ ի

բաժանել զաշխարհս Հայոց՝ չտային պարսիկ վերակացուքն յոյն ուսանել դպրութիւն ումք յիւրեանց մասինն, այլ միայն ասորի» (Աբելյան... 1991: 329): *„და ჰპოვა [მესროპმა] საჰაკ დიდი, ბერძნული [წიგნების] უქონლობის გამო, სირიულიდან თარგმანს რომ ასრულებდა. რადგან მეჰრუჟანს დაუწვავს ბერძნული წიგნები მთელს ჩვენს ქვეყანაში; ამასთანავე, სომხეთის ქვეყნის დანაწილებისას, სპარსი მოხელეები ბერძნული მწიგნობრობის დაუფლების ნებას არავის რთავდნენ თავიანთ ნაწილში, არამედ მხოლოდ ასურულის [შესწავლა შეიძლებოდა:]“*

მოსე ხორენელის ცნობის საფუძველზე ფილოლოგთა ერთი ნაწილი წმინდა წერილის პირველ სომხურ თარგმანს სირიულიდან შესრულებულად მიიჩნევდა. მკვლევრები საგანგებოდ იკვლევდნენ, თუ რომელი სირიული ტექსტი დაედო საფუძვლად ბიბლიის პირველ სომხურ თარგმანებს. არსებობდა მოსაზრება, რომ საჰაკმა და მაშტოცმა წმინდა წერილის თარგმანი შეასრულეს იმ სირიული დედნიდან, რომელიც „პეშიტას“¹⁶ სახელით არის ცნობილი. მეცნიერთა შორის ეს აზრი ერთხანს საყოველთაოდ იყო გაზიარებული, ვიდრე ა. მ. გარაგაშიანმა საექვოდ არ მიიჩნია სომხურ ენაზე ბიბლიის პირველი ნუსხის სირიულიდან თარგმნის შესაძლებლობა. ჯ. მარკვარტიც არ ეთანხმებოდა მერუჟანის მიერ ბერძნული წიგნების დაწვის ისტორიას. მისი აზრით, ფავსტოს ბუზანდი, რომელიც ვრცლად საუბრობს მერუჟანის საქმიანობაზე, წიგნების დაწვის შესახებ არაფერს ამბობს. ასეთივე დაკვირვებები ჰქონდათ გ. ფნტგლიანსა და გ. ხალათიანს, რომლებიც თვლიდნენ, რომ ბიბლია სომხურად ბერძნული ენიდან უნდა ეთარგმნათ და არა სირიულიდან (Աճառյան 1968: 241-243). წყაროთა მონაცემები ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ წინაღმდეგობრივია და ეს საკითხი დღემდე დიად რჩება.

A რედაქცია გადმოგვცემს ისეთ ამბებს, რომელის შესახებ C-ში არაფერია ნათქვამი:

თხზულების A რედაქციის მიხედვით, მაშტოცმა ჰროფანოსის დახმარებით გამართული სომხური დამწერლობა სირიელ ეპისკოპოსს წარუდგინა: „ამის შემდეგ

¹⁶ პეშიტა (pšittâ) – ნიშნავს „მარტივს, უბრალოს“. „პეშიტა“ ბიბლიის სირიული ვერსიაა, რომელიც ოფიციალურ ტექსტად იქცა სირიული ტრადიციების მქონე მოქმედი ეკლესიებისთვის.

[მაშტოცმა] წერილები მიიღო ქალაქ [სამოსატის] ეპისკოპოსისაგან, ყველა თავის [ახლობელთან] ერთად დაემშვიდობა ეპისკოპოსს და [ეს წერილები] წაიღო სირიელ ეპისკოპოსთან, რომელთანაც წინათაც იყო ნამყოფი. მან წარუდგინა მათ ღმრთისაგან ბომბეზული დამწერლობა“ (Աբեղյան 1981: 98).

და შემდეგ, მაშტოცი ღმრთივბომბეზული სომხური ანბანით სომხეთში დაბრუნდა ვრამშაპუჰის მეფობის მეექვსე წელს. ტექსტში მაშტოცის სომხეთში მოსვლა მოსეს სინას მთიდან ჩამოსვლის სცენასთან არის შედარებული და გამდიდრებულია ბიბლიური სიუჟეტებით.

C რედაქციაში ეს ეპიზოდები მოთხრობილი არ არის.

აღწერილი განსხვავებები რომ შევაჯამოთ, დავინახავთ, რომ ორივე რედაქციის მიზანია, გადმოგვცეს იმ კაცის ცხოვრების შესახებ, რომელსაც უდიდესი დამსახურება მიუძღვის როგორც ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების, ისე დამწერლობის შექმნის საქმეში (სწორედ ამ მიმდევრობით), მაგრამ თხზულების A რედაქციის თანახმად, სომხური ანბანის შექმნაში მთავარი ფიგურა მაშტოცია, რომელიც უფალმა დააჯილდოვა ზეციური ნიჭით და გახდა შემოქმედი სომხური დამწერლობისა. C რედაქციის ცნობით კი, სომხური ანბანის შექმნა უშუალოდ ღვთაებრივი ხილვით განხორციელდა.

A და C რედაქციებში განსხვავებულია მაშტოცის მიერ დამწერლობათა შექმნის გეოგრაფიული არეალიც. A რედაქციით, მაშტოცი სომხურ ასო-ნიშნებს სირიის ერთ-ერთ ქალაქში ქმნის და კალიგრაფ ჰროფანოსის დახმარებით ანბანურ სისტემაში აქცევს მათ; ქართულ ანბანს ქმნის სივნიეთში მქადაგებლობითი საქმიანობის დასრულებისთანავე, მიდის ქართლში და უკვე სრულყოფილი დამწერლობით წარსდგება ქართლის სამეფო კარის წინაშე; ალბანურ ანბანს კი დასავლეთ სომხეთში მოღვაწეობისას ალბანელი ხუცესის, ბენიამინის დახმარებით ქმნის, მიემართება ალბანეთში და ასევე გამართულ დამწერლობას სთავაზობს ალბანეთის მეფესა და ეპისკოპოსს. C რედაქციით, მაშტოცი ქართულ ანბანს ქმნის ქართლში, ალბანურს კი – ალბანთა ქვეყანაში.

მაშტოცის ქართლსა და ალბანეთში მოგზაურობისა და ქართული და ალბანური ანბანების შექმნის შესახებ თხრობა განასხვავებს ამ ორ რედაქციას

ერთმანეთისგან. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს C რედაქცია ქართული და ალბანური ანბანების შექმნას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს. როგორც უკვე აღინიშნა, C რედაქცია არ გულისხმობს ფაქტების შემოკლებას, განსხვავება უმეტესად მოვლენების სხვაგვარად გადმოცემით გამოიხატება. C რედაქციის შემდგენელი რომ იცნობდა A რედაქციის თხზულებას, ეს კარგად გამოჩნდა იმ საერთო ადგილების მაგალითზე, რომლებიც ზემოთ წარმოვადგინეთ, მაგრამ მთავარი განსხვავება სწორედ ისაა, რომ C რედაქციას მეტად აინტერესებს მაშტოცი, როგორც მქადაგებელი და ნაკლებად, როგორც სომხური ანბანის შემქმნელი, კიდევ უფრო ნაკლებად, როგორც საერთოკავკასიური მოღვაწე.

თხზულების A რედაქციამ რომ ცვლილებებით მოაღწია ჩვენამდე, ამას ადასტურებს სომხურ სადღესასწაულო კრებულებში დაცული „მაშტოცის ცხოვრების“ უფრო ადრინდელი, XIV საუკუნის ტექსტები. მათგან ერთი ხელნაწერი (Mat. 3787) გადაწერილია 1347-1350 წწ. ყირიმის ქალაქ სურლათის¹⁷ ახლოს მდებარე სოფელ ქემჭაკის წმ. ღვთისმშობლის სახელობის მონასტერში. ხელნაწერის გადამწერები არიან სოსთენი და ვარდანი, მომგებლები კი – ტუაწი და რაისი. მეორე სადღესასწაულო კრებულებში (Mat. 3797) დაახლ. 1347 წლით თარიღდება, გადაწერილია ნატერის მიერ ყირიმის ქალაქ სურლათში.

სადღესასწაულო კრებულებით შემონახული „ცხოვრებების“ (რომელიც B ლიტერით აღვნიშნეთ) დეტალურმა შედარებამ „მაშტოცის ცხოვრების“ A და C რედაქციებთან აჩვენა, რომ სადღესასწაულოს ტექსტები A რედაქციას კი განეკუთვნება, მაგრამ მოკლე ვერსიას წარმოადგენს და ბევრი ეპიზოდი მასში არ არის გადმოცემული. დაწვრილებით რომ განვიხილოთ ამ ტექსტების ურთიერთმიმართება, ასეთ სურათს მივიღებთ:

„მაშტოცის ცხოვრების“ B ჯგუფის ტექსტები პირდაპირ მაშტოცის ბიოგრაფიით იწყება და მიჰყვება A რედაქციის III-IX თავებში გადმოცემულ ამბებს: მაშტოცის ბიოგრაფია – მისი საერო ცხოვრებიდან მცირე მომენტები, ამქვეყნიურ სურვილებზე უარის თქმა, ბერად აღკვეცა, განდეგილობისას სიძნელების დათმენა; მაშტოცის

¹⁷ აქ თანამედროვე სურგუტი უნდა იგულისხმებოდეს.

ქადაგება გოლთონის გავარში და იმ მხარის მკვიდრთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა; მაშტოცის ზრუნვა და ფიქრი სომხური ანბანის შესაქმნელად, საჰაკ კათალიკოსისთვის თავისი სურვილის გამჟღავნება და კათალიკოსის მზადყოფნა ამ საზრუნავის აღსასრულებლად; სომხეთში კრების მოწვევა და ვრამშაპუკ მეფისათვის თავიანთი მიზნის გაცნობა; მეფის ბრძანებით დანიელ ასურისაგან სომხური გრაფემების მოტანა, გარკვეული დროით დანიელის გრაფემების გამოყენება და მათი უსარგებლოდ მიჩნევა; ღვთაებრივი ძალით მაშტოცის მიერ ახალი სომხური გრაფემების შექმნა, ჰროფანოსის დახმარებით ანბანურ სისტემაში მოქცევა და ბერძნული ანბანის მიხედვით გამართვა; მაშტოცის სომხეთში დაბრუნება.

თხზულების A და B ჯგუფის ტექსტები ამ ამბებს იდენტურად მოგვითხრობენ, ერთადერთი განსხვავება საკუთარი სახელების გამოყენებაში შეინიშნება: A რედაქციაში დანიელ ეპისკოპოსთან გაგზავნილ პირს ყველგან *აბელი* (სომხ. Հաբել) ეწოდება, B-ში კი ერთგან *აბელის*, სხვაგან კი *აბელის* (სომხ. Աբელი) სახელით მოიხსენიება. B ჯგუფის ტექსტებში ერთი და იმავე პირის სახელწოდება რომ სხვადასხვა ფორმით შეიძლება იყოს მოცემული, ეს უკვე ვნახეთ *მაშტოცის* სახელის მაგალითზე (B-ში ხან მაშტოცად, ხან კი მესროპად იწოდება).

B ჯგუფის ტექსტებში სომხური ანბანის შექმნის შემდეგ თხრობა პირდაპირ მაშტოცის მისიონერული საქმიანობის აღწერით გრძელდება და ისტორია მთავრდება საჰაკ კათალიკოსისა და მაშტოცის გარდაცვალების ამბით: მაშტოცი თავისი სათნოებით მოწაფეთათვის მაგალითის მიმცემი ხდებოდა, იგი მთელი ცხოვრების მანძილზე დასახლებულ და უდაბნო ადგილებში დადიოდა და ქრისტეს მიმდევართ სულიერ დახმარებას აღმოუჩინდა ხოლმე.

A და B ჯგუფის ტექსტებში გადმოცემულია საჰაკ კათალიკოსის გარდაცვალება ბაგრევანდის გავარის სოფ. ბლორცაცში, B-ში საჰაკის სამგლოვიარო პროცესიით გადაბრძანება მშობლიურ სოფელ აშტიშატში აღნიშნული არ არის. საჰაკის გარდაცვალებით გამოწვეული გლოვა ორივე (A და B) ჯგუფის ტექსტებში ერთნაირად არის აღწერილი, მხოლოდ A-ში მაშტოცის წუხილი შედარებულია ბიბლიურ სიუჟეტთან: „[ასევე მოხდა], როდესაც წმინდა მოციქულმა ერთ დროს [თავისთან]

ვერ ჰპოვა თავისი მეგობარი ტიმოთეოსი¹⁸, თქვა, რომ მისი სული მოუსვენრად არის.“ B-ში კი ეს შედარება არ გვხვდება.

B ვერსიაში მამტოცის გარდაცვალება ძირითადი ტექსტისგან გამოყოფილია სათაურით – „წმ. მესროპის გარდაცვალებისათვის“. მამტოცის ოშაკანში დაკრძალვის ისტორიას ორივე ვერსია (A და B) ერთნაირად აღწერს. B ჯგუფის ტექსტებში მამტოცის ცხოვრება ამ ამბით მთავრდება.

როგორც ვხედავთ, თხზულების ეს ნაწილი, რომელიც საერთოა A და B ჯგუფის ტექსტებისთვის, ერთმანეთზე დამოკიდებულებას ამჟღავნებს ან ორივე საერთო წყაროდან უნდა მომდინარეობდეს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის ისტორიები, რომლებიც გადმოცემულია A რედაქციაში და არ დასტურდება B-ში.

A რედაქციისგან განსხვავებით, B-ს არ აქვს ვრცელი, ბიბლიური სიუჟეტებით გავრცობილი შესავალი, რომელშიც ბიბლიურ პირთა, ღვთის რჩეულთა კეთილშობილების, მოშურნეობის, სათნოებისა და ღვთაებრივი საქმეების შესახებ მრავალი მაგალითია მოცემული. შესავალ ნაწილში თხრობა წმინდა წერილიდან ციტატების მოხმობით არის გამდიდრებული, ღვთის რჩეულთა სათნოების აღნიშვნის ფონზე კი იწყება მამტოცის ცხოვრების აღწერა. გარდა ამ ვრცელი წინასიტყვაობისა, B ჯგუფის ტექსტებში მოცემული არ არის ასევე მამტოცის მოღვაწეობის უმთავრესი მომენტები – მამტოცის ქადაგება მართა მხარეში, გოლთნის გავარში, სივნიეთის ქვეყანაში, მოგზაურობა ქართლსა და ალბანეთში და ქართული და ალბანური დამწერლობების შექმნა, მქადაგებლობითი საქმიანობა ბალასაკანის მხარეში, სომხეთის ბერძნულ ნაწილში ახალი მოძღვრების გავრცელება, ქართლში მეორედ ვიზიტი და ტაშირის გავარში ქადაგება, მოწაფეების საზღვარგარეთ გაგზავნა სირიული და ბერძნული ენების დასაუფლებლად და ახალი თარგმანების შესასრულებლად, საჰაკის მიერ წმინდა წერილის თარგმნა და გასწორება სარწმუნო ნუსხის მიხედვით, წმინდა მამათა სწავლანის თარგმნა სომხურად (B-ში მარშრუტი

¹⁸ აქ იგულისხმება ტიტე, იხ. შენ.: 210.

იმდენად მწირია, რომ შეუძლებელი აღმოჩნდა მისი ეტაპებად წარმოდგენა, როგორც ეს A და C რედაქციებისთვის გავაკეთეთ, იხ. გამოკვლ. გვ. 54-55).

B ჯგუფის ტექსტები არ შეიცავენ მაშტოცის გარდაცვალების შემდგომ მოწაფეთა ცხოვრების ამსახველ ისტორიებს, რომლის შესახებ A რედაქცია მოკლედ მოგვითხრობს, ამასთანავე, B-ს არ ერთვის ეპილოგი, რომელშიც მაშტოცის ცხოვრების მნიშვნელოვანი თარიღები მოცემულია სპარსეთის მეფეთა ქრონოლოგიის პარალელურად.

A და B ჯგუფის ტექსტების შედარებითი ანალიზიდან ჩანს, რომ თხზულებების სტრუქტურა, თხრობა, სიუჟეტის განვითარება და მთავარი გმირის მოღვაწეობაზე ძირითადი აქცენტები (მაშტოცის ბერად აღკვეცა, სომხური ანბანის შექმნისათვის ზრუნვა, დანიელის ანბანის გასინჯვა, ახალი სომხური ანბანის შექმნა, მაშტოცის ქადაგება სომხეთის სხვადასხვა მხარეში და მისი ხელშეწყობით ბერ-მონაზონთა დასის გაზრდა) საერთოა ორივე რედაქციისთვის.

რა დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ მოცემული ანალიზიდან?

B ჯგუფის ტექსტები წინა აბზაცში მოცემულ ეპიზოდებში ზუსტად, სიტყვასიტყვით მიჰყვება A-ს, მაგრამ B-ში მაშტოცის, როგორც მქადაგებლის ასპარეზი ისე ფართოდ არ არის გაშლილი, როგორც ეს A რედაქციაშია მოცემული. B ჯგუფის ტექსტები მაშტოცის ქართლსა და ალბანეთში ვიზიტს (და, შესაბამისად, ქართულ და ალბანურ დამწერლობათა შექმნას) სრულებით არ ახსენებენ, ტექსტში მხოლოდ ერთგან აღინიშნება, რომ მაშტოცი მთელი ცხოვრების მანძილზე დადიოდა სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის ყველა მხარეში და ქრისტიანულ მოძღვრებას განავრცობდა (Մաթևոսյան 1994: 112). რა გზა განვლო მაშტოცმა, როგორც მქადაგებელმა ან კონკრეტულად რომელ ადგილებში იქადაგა მან, ამის შესახებ B-ში არაფერია ნათქვამი. B ჯგუფის ტექსტებში მაშტოცი ამიერკავკასიის მასშტაბით მქადაგებელად და მისიონერად კი წარმოგვიდგება, მაგრამ არა ამიერკავკასიის ხალხთათვის დამწერლობათა შემოქმედად.

XIV საუკუნის სადღესასწაულოს ტექსტები თამამად შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებად, რომელშიც ავტორი მიზნად ისახავს,

წარმოგვიდგინოს მაშტოცის ცხოვრება, მისი მისიონერული მოღვაწეობა, რათა იგი არ მიეცეს დავიწყებას და წმინდანის ღვაწლი სხვებისთვის მაგალითის მიმცემი გახდეს. ჰაგიოგრაფიული მწერლობის მიზანიც ხომ სწორედ ის არის, გადმოგვცეს ისტორია იმ პირთა შესახებ, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით, სათნო ცხოვრებით იესო ქრისტეს ცხოვრების გზას იმეორებენ. ასეთ ტექსტებს, მათ კიმენურ რედაქციებს, ეკლესიაში წმინდანთა ხსენების დღეს კითხულობდნენ. „მაშტოცის ცხოვრების“ B ჯგუფის ტექსტები კიმენური ტექსტებისთვის დამახასიათებელი მარტივი, ადვილად გასაგები თხრობით არის გადმოცემული, ტექსტში არ იგრძნობა ზედმეტი ჩარევა-გადამუშავება. B ჯგუფის ტექსტების შემცველი ხელნაწერი, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, „სადღესასწაულო“ კრებულს წარმოადგენს, ზოგჯერ ამ კრებულს „მრავალთავს“ უწოდებენ. სომხური ტრადიციით „სადღესასწაულო“ (სომხ. Տոմարան) კრებული შეიცავდა ქრისტიანული დღესასწაულების რიგზე დალაგებულ საერთოქრისტიანულ, მათ შორის სომეხ წმინდანთა ცხოვრება-წამებებს. შემდგომში „სადღესასწაულო“ კრებულში ჩაურთეს ჰომილიები (სომხ. ճառ) და ასე მივიღეთ სომხური „მრავალთავები“ (სომხ. ճառքնասիր)¹⁹.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, კორიუნის ნამდვილი ნაწარმოები, დედანი, უნდა ყოფილიყო A რედაქციის ტექსტი, მხოლოდ არა იმ სახით, რა სახითაც მან 1672 წლის ხელნაწერით მოაღწია ჩვენამდე (ჩვენს კვლევაში A რედაქცია). ის უფრო B ჯგუფის მსგავსი უნდა ყოფილიყო. თხზულებათა ტექსტოლოგიურმა შესწავლამ აჩვენა, რომ A რედაქცია B-ს ან მისი მსგავსი ტექსტის, შეიძლება მისი დედნის, გავრცობილ, მეტაფრასულ ვერსიას უნდა

¹⁹ ამ ტიპის კრებულების ჩამოყალიბება ქართულ და სომხურ სინამდვილეში განსხვავებულად მოხდა. სომხურში ჯერ იყო „სადღესასწაულოს“ სახელით ცნობილი კრებულები, რომლებიც მხოლოდ წმინდანთა ცხოვრება-წამებების ციკლს შეიცავდნენ, შემდეგ კი დაემატა ჰომილიები და ასე შეიქმნა კრებულები, რომლებსაც ճառքնասիրებს ანუ „მრავალთავებს“ უწოდებენ (Ալქսაყიან 2002: 662-663). ქართულ საეკლესიო პრაქტიკაში კი „მრავალთავი“ ლიტურგიკული კრებული იყო, რომელშიც საუფლო და წლის დიდი საეკლესიო დღესასწაულებისათვის განკუთვნილი ჰომილიები იყო თავმოყრილი. „მრავალთავის“ ბერძნული მოდელია „ჰანეგირიკონი“, რომელიც თითქმის ყოველთვის ქრისტესა და ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ჰომილიებს შეიცავს. მოგვიანებით ქართული მრავალთავი ჰაგიოგრაფიული მასალითაც გამდიდრდა (აბაშიძე 1984: 162; Gippert 2016: 47-91).

წარმოადგენდეს. ორივე მათგანს კი კორიუნის თხზულების არქეტიპული ვერსიით უნდა ესარგებლა. C რედაქციის შემდგენელმაც, ჩანს, კორიუნის თხზულების არქეტიპი გამოიყენა და ნაწილი ისტორიებისა ჩაურთო მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიის“ მიხედვით. ორივე (A და C) რედაქციაში მამტოცის მიერ ქართული და ალბანური დამწერლობების შექმნა რომ გვიანდელი ინტერპოლაციაა და მამტოცის მოღვაწეობის არეალი რომ თანდათან გაუზრდიათ, როგორც მქადაგებლობითი, ისე ანბანთშემოქმედებითი თვალსაზრისით, ეს კარგად ჩანს XIV საუკუნის „სადღესასწაულო“ კრებულებში დაცული „მამტოცის ცხოვრების“ (B ჯგუფის ტექსტების) მაგალითზე.

IV თავი

მაშტოცი ძველ სომხურ მწერლობაში

დამწერლობის შექმნამ და ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრებამ საფუძველი დაუდო მდიდარ სომხურ ლიტერატურას, განსაკუთრებით კი ისტორიოგრაფიას. სომეხი ხალხი თავისი კულტურისა და ცივილიზაციის საწყისად სწორედ იმ ეპოქას მიიჩნევს, რომელშიც საჰაკ კათალიკოსი და მაშტოცი მოღვაწეობდნენ. ამიტომ, ბუნებრივია, ის განსაკუთრებული ინტერესი და პატივისცემა, რაც ამ ორი მოღვაწის მიმართ საუკუნეთა სიღრმიდან გასდევს მთელს სომხურ საისტორიო მწერლობას. ძველი სომეხი ავტორები სომეხი ხალხის თავგადასავალს აღწერდნენ და ამავდროულად, თავს ვალდებულად თვლიდნენ, მეტად ან ნაკლებად შეხებოდნენ მაშტოცის მოღვაწეობის ხანას, წერილობითი წყაროებისა თუ ზეპირი გადმოცემების მეშვეობით თაობიდან თაობას გადასცემდნენ მაშტოცის შესახებ შემონახულ ცნობებს. საუკუნეთა მანძილზე წყაროთა ცვლილებების გამო ეს ცნობები მრავალფეროვანი და ხშირად ურთიერთგამომრიცხავიც კი იყო.

მაშტოცის შესახებ ცნობათა მრავალფეროვნებიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე წინამდებარე თავში ცალ-ცალკე განვიხილავთ V-XIV საუკუნეების სომეხ ავტორთა თხზულებებს. ქრონოლოგიური შეზღუდვა თავად მასალის რაგვარობამ გამოიწვია. XIV საუკუნის შემდგომი პერიოდის სომეხი ავტორები მაშტოცთან და დამწერლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ახალს და მნიშვნელოვანს არაფერს გვაწვდიან და მხოლოდ ტრაფარეტული ცნობების გამეორებით შემოიფარგლებიან.

გამოკვლევა ორი ნაწილისგან შედგება: პირველ ქვეთავში წარმოვადგენთ საისტორიო ხასიათის იმ თხზულებებს, რომლებიც მნიშვნელოვან ცნობებს გადმოგვცემენ მაშტოცის ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ. მეორე ქვეთავში კი განვიხილავთ ორ პოლემიკურ ნაწარმოებს – „ეპისტოლეთა წიგნში“ დაცულ „აბრაამ სომეხთა კათალიკოსის კრონ ქართლის კათალიკოსისადმი გაგზავნილ მესამე

ეპისტოლესა“ და ვანაკან ვარდაპეტის „ჩვენი ერისადმი თქმულ სარწმუნო სიტყვას“. ორივე ტექსტი იმით არის გამორჩეული, რომ მაშტოცის მოღვაწეობის ამსახველ საყურადღებო მასალას შეიცავს.

ა) ძველი სომხური საისტორიო მწერლობა ლაზარე ფარპელი

კორიუნის შემდეგ პირველი ავტორი, რომელიც ვრცლად მოგვითხრობს მაშტოცის მოღვაწეობის, სომხური დამწერლობისა და მწერლობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ ამბებს, ლაზარე ფარპელია (გაფრინდაშვილი 2016: 351-369). სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისით, ლაზარე ფარპელმა „სომხეთის ისტორია“ V საუკუნის 90-იან წლებში ან VI საუკუნის დასაწყისში დაწერა. წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში ავტორი გვიამბობს სომხეთის თავგადასავალს 387 წლიდან 440 წლამდე. 387 წელს სომხეთი ორ ნაწილად გაიყო: აღმოსავლეთ სომხეთი სპარსეთის, დასავლეთ სომხეთი კი – ბიზანტიის დაქვემდებარებაში მოექცა; პირველ თავში გადმოცემულია სომხეთში მეფობის გაუქმების ისტორია და თხრობა მთავრდება საჰაკ კათალიკოსისა და მაშტოცის გარდაცვალების ამბით; მეორე ნაწილში ისტორიკოსი აღწერს სპარსელების წინააღმდეგ ვარდან მამიკონიანისა და მისი გუნდის აჯანყების ისტორიას 450-451 წლებში. სპარსელთა წინააღმდეგ აჯანყებას სათავეში ვარდან მამიკონიანი ედგა, ბრძოლა ავარიის ველზე გაიმართა, აჯანყებულები დამარცხდნენ, ვარდან მამიკონიანი ბრძოლის ველზე მოკლეს. ამ აჯანყებამ ირანს კავკასიაში მაზდეანობის იძულებით გავრცელებაზე დროებით ხელი ააღებინა; მესამე ნაწილში გადმოცემულია სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის საერთო აჯანყება ირანის წინააღმდეგ 482-484 წლებში. ისტორიკოსი ეხება ვახტანგ გორგასალსა და ქართველ-სომეხთა ურთიერთობას აჯანყების მსვლელობაში (ჯანაშია 1962: 32-33).

ლაზარე ფარპელის „სომხეთის ისტორია“ საქართველოსა და ქართველების შესახებ ბევრ საყურადღებო და მნიშვნელოვან ცნობას შეიცავს. ჩვენთვის

განსაკუთრებით საინტერესოა თხზულების პირველი ნაწილი, რომელშიც მაშტოცის საქმიანობისა და სომხური ანბანის შექმნის საკითხებია გადმოცემული. ავტორი აღწერს იმდროინდელი სომხეთის პოლიტიკურ მდგომარეობას და დეტალურად მოგვითხრობს მაშტოცის მოღვაწეობის ისტორიას. ეს ისტორია სქემატურად შემდეგნაირია: მაშტოცის მსახურება სამეფო კარზე, ბერად აღკვეცა, ზრუნვა და ფიქრი სომხური ანბანის შექმნაზე, საჰაკ კათალიკოსთან და მეფე ვრამშაპუჰთან შეხვედრა და თავისი სურვილის გამჟღავნება, მეფე ვრამშაპუჰის მეცადინეობით დანიელ ასურისგან გრაფემების მოტანა და მათი პრაქტიკაში გამოყენება, ახალი დამწერლობის შექმნა და ახლადშექმნილი დამწერლობით ბერძნულიდან სომხურად წიგნების თარგმნა. ისტორიკოსი თხრობას საჰაკ კათალიკოსისა და მაშტოცის გარდაცვალებით ამთავრებს.

ლაზარე ფარპელი ამ ამბების აღწერისას წყაროდ მხოლოდ კორიუნის თხზულებას ასახელებს: «Եւ զայս թէ կամիցի ոք զիտել հաւաստեալ՝ ի պատմութենէ գրոց առն ցանկալի Կորեան, աշակերտի նորին երանելոյն Մաշտոցի, կարդացեալ տեղակասցի զկարս կենաց նորս և զիւր հայերէն նշանագրացն, թէ երբ կամ ուր և կամ յոյր ուրոք ձեռն գտանէ, թագաւորին Հայոց Վռամշապիոյ զերմեռանդն խնդրելով. զոր կարգեաց գրելով ճշմարտապէս յառաջագրեալ այրն հոգևոր Կորիւն. ուստի և մեր բազում անգամ կարդալով տեղեկացեալ հաւաստեալ» (Տէր-Մկրտչյան... 1904: 13): [თუ ვინმეს სურს სწორად შეიტყოს ეს ყოველივე, ნეტარი მაშტოცის მოწაფის, სასურველი კაცის კორიუნის „ისტორიაში“ ამოიკითხოს და გაიგოს მისი ცხოვრებისა და სომხური გრაფემების შესახებ, თუ როდის, სად ან ვის მიერ იქნა აღმოჩენილი, სომხეთის მეფის ვრამშაპუჰის მხურვალე ვედრებით. რაც რიგზე გააწყო და სისწორით აღწერა ზემოხსენებულმა სულიერმა კაცმა კორიუნმა. ჩვენც იქიდან მრავალგზის წაკითხვით ქეშმარიტად შევიტყვეთ.]

ლაზარე ფარპელისა და კორიუნის თხზულებათა ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით არმენოლოგიურ ლიტერატურაში არაერთი მოსაზრება და ნაშრომი არსებობს. აღნიშნული ნაწარმოებები დეტალურად შევადარეთ ერთმანეთს, რათა გვეჩვენებინა ტექსტოლოგიური მიმართება ამ ორი ავტორის ცნობებისა,

მიჰყვებოდა თუ არა ლაზარეს ცნობები კორიუნის ტექსტს, რამდენად შეიძლება გამართლებულად ჩაგვეთვალო იმ მეცნიერთა შეხედულება, რომელთა აზრით, თითქოს ლაზარე ფარპელის მიზანი საჰაკ კათალიკოსის განდიდება და მაშტოცის ღვაწლის დამცრობა იყო.

ლაზარე ფარპელისა და კორიუნის თხზულებებს შორის სხვადასხვა სახის განსხვავებები გვხვდება, რომელთა ნაწილი შეიძლება თხზულებათა ჟანრობრივი თვისებით აიხსნას, ნაწილი კი ფაქტობრივ განსხვავებებს წარმოადგენს. განვიხილოთ ეს სხვაობანი:

ლაზარე ფარპელი „სომხეთის ისტორიაში“ დეტალურად აღწერს სომხეთის იმდროინდელ მდგომარეობას, ნათლად წარმოგვიდგენს ქვეყანაში ანბანის გამოგონებამდე შექმნილ ვითარებას: სახელმწიფო საქმეებს სომხეთში ბერძნულ და სირიულ ენებზე აწარმოებდნენ, სასწავლებლებში სირიულ ენას ასწავლიდნენ, ეკლესია-მონასტრებში ღვთისმსახურება და საღვთო წიგნების კითხვა სირიულ ენაზე მიმდინარეობდა, მოსახლეობას კი სირიული ენის არცოდნის გამო, არაფერი ესმოდა. ასეთი ნიშნებით ხასიათდებოდა ეპოქა, რომელშიც მაშტოცი მოღვაწეობდა. ეს გახდა კიდევ მაშტოცის ფიქრისა და მწუხარების მიზეზი, რამაც განაპირობა მისი საზრუნავი – სომეხი ხალხისთვის ეროვნული დამწერლობა შეექმნა. მაშტოცის აზრით, «...მანასანჟ ზე ღინ სჯანსაღიჲჲ ხაყსენ ქელიჲჲ, ირიჲ ხნარ ე` ჩინქსან ღაქსი, ს იჯ მიოყსაბიჲჲ რაქსაიჲჲ, ჯახელ ღიღიჲჲ არანგ ს კანსანგ ათ ხასარასკ ჯამნსაჲჲ სესიქსიჲჲ რაქსიჲჲსანს» (სტე-სტეპიან... 1904: 13-14): [„თუ იარსებებდა სომხური ენის ანბანი, შესაძლებელი გახდებოდა საკუთარი ხმით და არა სამოწყალოდ გამოთხოვილი ენით ემართათ მამაკაცთა და დედაკაცთა გონება ყველგან ეკლესიათა სიმრავლეში“ (ჩანტლაძე 2013: 241).]

კორიუნი თავს მაშტოცის უმცროს მოწაფედ, იმ პერიოდის მოვლენების თანამედროვედ და თვითმხილველად წარმოგვიდგენს. შესაბამისად, მას კარგად უნდა სცოდნოდა ქვეყნის იმდროინდელი ვითარება და შესაძლოა, ჩართული იყო კიდევ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ჰაგიოგრაფი ამის შესახებ ნაწარმოებში არაფერს ამბობს, ერთადერთი, როდესაც იგი მაშტოცს ახასიათებს, აღნიშნავს, რომ

«ჩ მანსლიოქხანს თიხან ქარძხალ ხელქნასკან იყრიოქხამქნ, ხსნალ ხასხალ ი იონს არქასლინსაგ ჟაყასლირსაგ ჯაიგ შხბაგ, სავსალ ქარქონასკან იქისანქნ...» (აქსელას 1981: 84). [„ბავშვობიდანვე განსწავლული იყო ელინური მწიგნობრობით, [იგი] მოვიდა დიდი სომხეთის არშაკუნთანთა მეფის კარზე, გახდა სამეფო კარის მდივანი.“]

ლაზარე ფარპელისა და კორიუნის თხზულებათა ეს განსხვავება, შესაძლოა, დიდ რედაქციულ სხვაობას არ გვიჩვენებდეს. ლაზარე ფარპელი ისტორიკოსია, მისი მიზანიც სწორედ ისტორიული და მიმდინარე პოლიტიკური პროცესების აღწერაა. კორიუნს კი სურს, აღწეროს თავისი მასწავლებლის ცხოვრება და მისი ღვაწლი სათანადოდ წარმოაჩინოს.

კორიუნის თხზულებიდან ვიცით, რომ მაშტოცი ზრუნავდა, ანზანი შეექმნა სომეხი ხალხისათვის. მან ამ საქმეში თავის თანამოაზრედ ჰპოვა სომხეთის კათალიკოსი და ორივემ ერთად დასახმარებლად სომხეთის მეფე ვრამშაპუჰს მიმართეს.

ლაზარე ფარპელი მაშტოცის შეხვედრას საჰაკ კათალიკოსთან და მეფე ვრამშაპუჰთან უფრო დეტალურად აღწერს. ლაზარეს „ისტორიაში“ მოცემულია სომხეთის მეფისადმი საჰაკ კათალიკოსისა და მაშტოცის მიმართვა: «Ճեպէա՛ յաղագս մնծ և օգտաբեր աշխարհիս Հայոց զիտիս այսորիկ՝ ի ժամանակս քո, որ շատ ասելի առ յապայսն բերէ քեզ շահ, յիշատակ անմոռաց և օգուտ երկնասուր լայելից, քան զիշխանութիւն թագաւորութեանդ քո, և կամ որպէս յառաջ քան զքեզ նախնիքն քո էին յագգէն Արշակունսաց»: Եւ թագաւորին լուսալ գայս և ինդայից եղեսալ՝ ետ փառս Աստուծոյ, որ ի ժամանակս թագաւորութեան նորա գայսայիսի հոգևոր կենաց փափաք ժառանգեաց յաշխարհիս Հայոց:» (Տէր-Մկրտչյան... 1904: 14): [„იქვარე, რამეთუ დიდია და სასარგებლო სომხეთის ქვეყნისთვის ეს აღმოჩენა, [და თუ] შენს დროში [მოხდება], საბოლოოდ არშაკუნთანთა გვარიდან შენს წინაპრებზე და შენს სამეფო ძალაუფლებაზე მეტ სარგებელს, მარადიულ ხსოვნას და უდიდეს ზეციურ ნეტარებას მოგიტანს. და ამის გამგონე მეფე აღივსო სიხარულით [და] ადიდებდა

დმერთს, რომ მის მეფობაში უბოძა სომხეთის ქვეყანას სულიერი ცხოვრების ასეთი საწადელი“ (ჩანტლაძე 2013: 242).]

ამ კონტექსტში კარგად ჩანს ლაზარეს, როგორც ისტორიკოსის, ხედვა. ლაზარეს კორიუნის ცნობები სომხეთის პოლიტიკურ ისტორიასთან კავშირში აინტერესებს. ისტორიკოსი ფაქტებს სახელმწიფოებრივად აფასებს და სწორედ სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე ცდილობს მათ წარმოჩენას, მაშინ როცა კორიუნისთვის, როგორც ჰაგიოგრაფისათვის, მთავარია შედეგი – მაშტოცის მიერ სომხური ანბანის შექმნა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თხზულებებს შორის გამოვლენილი ფაქტობრივი განსხვავებანი. მეცნიერთა შორის მწვავე კამათს იწვევს ლაზარე ფარპელის ისტორიაში დაცული ცნობა სომხური ანბანის შექმნასთან დაკავშირებით. ლაზარეს მიხედვით, მაშტოცი, კათალიკოსის დახმარებით, დანიელ ეპისკოპოსისაგან მოტანილ სომხურ ანბანს რეფორმას უკეთებს. მაშტოცის მიერ ქართული და ალბანური ანბანების შექმნის შესახებ კი ლაზარესთან არაფერია ნათქვამი:

«*Եւ երանելոյն Հաբելի ընկալեալ զիրովարտակն ի Վահրիճէ և լուսալ զիրսն՝ փութանակի հասանէր առ սքանչելի եպիսկոպոսն Դանիէլ: Եւ նախ անդէն ի նմին Դանիէլէ ինքն տեկեկանայր զկարգ նշանագրացն, և առեալ ի նմանէ առ թագաւորն և առ սուրբ հայրապետն Հայոց Սահակ և առ երանելին Մաշտոց հասուցանէր: Իսկ արքային Հայոց սուրբ կաթողիկոսան Սահակաւ և երանելեան Մաշտոցիւ ընկալեալ զնշանագիրսն ի Հաբելէ՝ ուրախ լինէին:*

Եւ այսպէս դիպեալ զհստի նշանագրացն՝ ձեռն ի գործ արկանէր երանելին Մաշտոց, յերիւրելով զնա սուրբ հայրապետին Հայոց Սահակայ, դիւրահնար ճանապարհ ցուցանելով կարգադրութեան գրենոյս և հեգենային ուղղաձայնութեան. տալով նմա օգնականս և այլ արս բանիբունս և մտացիս ի քահանայիցն Հայոց, որք էին սակաւ մի և նոքա, որպէս երանելին Մաշտոց, մերձաւորեալք ի յունարէն հեգենայինսն. որում առաջնոյն անուն էր Յոհան՝ ի գաւառէն Եկեղեաց, և երկրորդին Յովսէփ՝ ի Պաղանական տանէն, և երրորդին Տէր՝ ի Խորձենոյ, և չորրորդին Մուշէ՝ ի Տարօնոյ: ***Որոց օգնելով զօրէր երանելին Մաշտոց, հանդիպեցուցանէր զհայերէն արութայսն ըստ կարգման սիլովբայիցն***

*ზონაგ, ათეა ხარცმარე და ნოსანელი ი სთირე კაჟთიჟიჟონენ სახასკაყ კაჟთიჟაჟიჟინ კაჟთაჟიჟარ, რსთ ანსაჟთაჟთიჟონენ კონიჟინ: ჟასან კი იჟ კინქინ რასკან ი ქდარელ ანსიჟაჟი იოჟიჟსკი, ათანგ ათაგნიოჟიჟიჟი სიგა სიჟიჟი ხაჟრასკისინ სახასკაჟ... ჟარკელაჟ აჟნიჟისინ, ჟიკქინ ათაგნიოჟიჟიჟიჟიჟი, კქირ კინიჟინ ხაჟერქნი სი ხელქნსაგინ იოჟიჟელაჟ იოჟინიჟაჟი `განსკაჟინ კაჟიჟიჟი იჟიჟიჟი სი იოჟიჟისინ რაკინიჟიჟინ მანსკიჟი...» (სტე-სკიჟიჟიჟიჟი... 1904: 16). [„როგორკ კი ნეტარმა აბელმა ვაჟრიჟისგან მიილო [მეფის] ბრძანება და შეიკო საჟმის [ვითარება], სასწრაჟოდ მივიდა საოცარ ეპისკოპოს დანიელთან. ჟერ თავად გარკვია დანიელთან ასოთა წყობა, გამოართვა მას და წაულო მეფესა და სომეხთა წმინდა მღვდელმთავარს, საჟაკს, და ნეტარ მაშტოცს. ხოლო მეფე კი წმინდა საჟაკთან და მაშტოცთან ერთად აბელისაგან ასო-ნიშნების მიღებით ხარობდა. *აი, ასე მოხდა ასო-ნიშნების აღმოჩენა* – საჟმეს ხელი მოჟკიდა ნეტარმა მაშტოცმა, [და] უსწორებდა მას წმინდა საჟაკი, რომელმაც უჩვენა მას ასოთა გაწყობის და მათთვის სწორი ჟღერადობის მინიჟების საუკეთესო გზა და მისცა მას დამხმარენი და სხვა მცოდნე და გონიერი კაცი სომეხ მღვდელთაგან, რომელნიც იყვნენ ის მცირედთაგანნი, რომლებმაც ნეტარი მაშტოცის მსგავსად იცოდნენ ბერძნული ასოების წყობა. ამათგან უპირველესის სახელი იყო იოანე, ეკელეაციის გავარიდან, მეორის – იოსები, პალანაკანის სახლიდან, და მესამის – ტერი, ხორძენიდან, და მეოთხის – მუშე, ტარონიდან. მათი დახმარებით გაძლიერდა *ნეტარი მაშტოცი, შეუსაბამა სომხური ასოები ბერძნულ სილაბთა წყობას, დაჟინებით მისდევდა ანბანის იდეას უნაკლო ბერძნულის მიხედვით, [რაჟეც] მუდმივად ეკითხებოდა და სწავლობდა წმინდა საჟაკ კათოლიკოსისაგან. რადგანაც უშეცდომო და სწორი ხმარებისთვის არ აღმოჩნდა საჟმარისი [ის გრაჟემები],* ისინი ვერაჟერს გახდნენ წმინდა პატრიარქ საჟაკის გარეშე... ასე, მხსნელის წინამძღოლობით მოაწესრიგეს რა სომხურ ენაზე ასოების დაწერილობა ბერძნულის მიხედვით, მოისურვეს სკოლების მოწყობა და მრავალი ყრმის გაწვრთნა...“ (ჩანტლაძე 2013: 242-243).]*

ლაზარე ფარჟელის თხზულებაში გადმოცემული ანბანის შექმნის ისტორია ეწინააღმდეგება მის მიერ წყაროდ მითითებულ კორიუნის ნაწარმოებში დაცულ

ცნობას. ჩვენამდე მოღწეული კორიუნის სახელით ცნობილი ტექსტის მიხედვით, დანიელ ეპისკოპოსისგან მოტანილი ანბანი არ გამოდგა საკმარისი სომხური ენის სრულად გამოსახატავად, ამიტომაც მამტოცმა დაიწყო ზრუნვა ახალი ანბანის შესაქმნელად. ანბანის ძიების გზაზე მამტოცი მოწაფეებთან ერთად სხვადასხვა ქალაქში მოგზაურობს. როდესაც ყველა იმედი გადაწურულია, იგი ლოცვა-ვედრებით მიმართავს ღმერთს და დახმარებას სთხოვს: «Եւ այսպէս բազում աշխատութեանց համբերեալ վասն իւրոյ ազգին բարեսց ինչ օճան գտանելոյ: Որում պարգևէր իսկ վիճակ յամենաշնորհողէն Աստուծոյ. հայրական չափուն ծնեալ ծնունդս նորոգ և սքանչելի՝ սուրբ աջովն իւրով, նշանագիրս հայերէն լեզուին: Եւ անդ վաղվադասի նշանակեալ, անուանեալ և կարգեալ, յօրինէր սիդոբայիս կապօք» (Աբելյան 1981: 96-97): [„და ამგვარად მრავალი ტანჯვა დაითმინა [მამტოცმა] თავისი ერისათვის კეთილი შემწეობის მოსაპოვებლად. ხოლო დააჯილდოვა იგი ყოვლადმოწყალე უფალმა [ამგვარი] ხვედრით: მან თავისი წმინდა მარჯვენით ვითარცა მამამ შვა [შექმნა] ახალი და საოცარი ნაშობნი – სომხური ენის ასო-ნიშნები. მან იქ სწრაფად ჩაინიშნა [ეს ასო-ნიშნები], სახელები დაარქვა, რიგზე განალაგა და შექმნა თხზულ მარცვლებად.“]

ამის შემდეგ მამტოცი ქალაქ სამოსატში გაემგზავრა და იქ ელინური მწიგნობრობის მცოდნე ვინმე ჰროფანოსის დახმარებით მოაწესრიგა და შექმნა სომხური გრაფემების სახესხვაობანი: წვრილი და მსხვილი, მოკლე და გრძელი, ცალკეული და ორმაგი. სომხური ანბანის მოწესრიგების შემდეგ, მამტოცმა იზრუნა ქართველ და ალბანელ ხალხზეც და მათაც შეუქმნა დამწერლობა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რაც ამ ორ თხზულებას განასხვავებს ერთმანეთისგან, ეს არის მამტოცისა და საჰაკ კათალიკოსის ურთიერთობის ამსახველი დეტალები.

კორიუნის თხზულებისგან განხვავებით, ლაზარე ფარპელის „სომხეთის ისტორიაში“ გაცილებით დიდია საჰაკ კათალიკოსის როლი სომხური გრაფემების დახვეწასა და რიგზე გაწყობაში. ჩამოთვლილია იმ მღვდლების სახელები, რომლებმაც მამტოცს დიდი დახმარება გაუწიეს, რათა სომხური ასო-ნიშნები

ბერძნული ანბანის მსგავსად განელაგებინათ. აქვე აღნიშნავს ისტორიკოსი: «...ათანგ ათაგნორიქელი სიგა სრქოი ხაყრასესიჲსი სახასკაყ, ირ ქოქ ათცესალ ანგიოსანქრ ქარძიქ ცფათიომ გჲსინოქსნ შინსაგ, ლესალ კასთარესლასესი ხინოს ზეგოლასკან თათიგნ ს ხინთორასკან ქორქასაგ კაყსინაქანოქსანს, სს ათასელ თლესკაცესალ ქიქიჲსოქიასკან არიოსთიგნ გიოსანქიქ» (სქრ-სკრთესან... 1904: 14): [... ისინი ვერაფერს გახდნენ წმინდა პატრიარქ საჰაკის გარეშე, რომელიც მრავალგზის აღემატებოდა ცოდნით ბევრ ბერძენ სწავლულს, სრულყოფილად ფლობდა საგალობელთა ელემენტებს და რიტორიკულ განმარტებებს, მეტიც, გარკვეული იყო ფილოსოფიის ხელოვნებაში (ჩანტლაძე 2013: 242).]

ლაზარე ფარპელის თხზულების მეტერთმეტე თავი მთლიანად ეძღვნება საჰაკ კათალიკოსის საქმიანობას, მის ღვაწლს ბერძნულიდან სომხურად საღმრთო წიგნების გადმოთარგმნის საქმეში. ნეტარმა მაშტოცმა, სომხეთის მღვდელმთავრებთან, ნახარარებთან და სომხეთის მეფე ვრამშაპუჰთან ერთად, კათალიკოსს თხოვნით მიმართა, რომ ბერძნულიდან სომხურად ეთარგმნა საეკლესიო წიგნები, რადგან კათალიკოსი ცოდნით ყველას აღემატებოდა და მთელს ქვეყანაში სხვას არავის შეეძლო მსგავსი საქმის აღსრულება: «**Եւ լուսալ գայս ամենայն բարեպաշտ կաթողիկոսն Հայոց սուրբն Սահակ ի թագաւորէն Հայոց Վռամշապիոյ և յերանելոյն մաշտոցէ և յամենայն ուխտէ քահանայիցն, ևս ատասել յաւագ տանուտերացն և յամենայն նախարարացն Հայոց՝ զուարճացաւ յոգի իւր, փառաւորելով զՓրկիչն ամենեցուն գտէր Յիսուս Բրիստոսի: Եւ կամաւոր յօժարութեամբ Էտ գանձն ի գործ, պանծացեսալ յԱստուծոյ գործակցութիւնն, որ Էտ նմա գայնալիսի շնորհս ատասելապէս գիտութեան. և անվեհեր ջանալով զցայգ և զցերեկ՝ թարգմանեսց զկտակարանս ամենայն, զիսուցեսալս ճմարիտ մարգարէիք սուրբ Հոգւոյն, և հաստատեսալ կնքեսց Էրջանիկ ատաքելովքն գնորոց կտակարանացն զլուսաւոր և զկենսատուր քարոզութիւնս նովին Հոգւով:**

Եւ տարեսալ ի գլուխ սրբոյ հայրապետին Հայոց Սահակայ զգործ մեծ հոգևոր վաստակոյն՝ կարգեսցան վաղվադակի յայնմհետէ դպրոցք հօտին ուսմանց. բազմացան

დასაწყისიდან, ხელსა ათხუთსიდან დასაწყისიდან. დასაწყისიდან დასაწყისიდან დასაწყისიდან... (სტე-სტეტი... 1904: 16-18):

[„და ღვთისმოსავმა კათალიკოსმა სომეხთა, წმინდა საჰაკმა, ეს რომ მოისმინა სომეხთა მეფე ვრამშაპუჰისაგან და ნეტარი მამოცისგან და სამღვდელოების მთელი მმობისგან, და უფრო მეტიც, უხუცესი ტანუტერებისა და ყველა სომეხი ნახარისგან, განიხარა სულით და ადიდებდა ყოველთა მხსნელს, უფალ იესო ქრისტეს. და ნებაყოფლობითი სიბეჯითით მიუძღვნა თავი საქმეს, ამალდა ღვთაებრივი ხელშეწყობით, რომელმაც უბოძა მას უმაღლესი ცოდნის ეს მადლი; და დღე და ღამე უშიშრად შრომის შედეგად თარგმნა მთელი სახარება თქმული სული წმიდის ჭეშმარიტი წინასწარმეტყველების მიერ და დაასრულა იმავე სული [წმიდის] მიერ კურთხეულ მოციქულთა საშუალებით დამტკიცებული ახალი აღთქმის განმანათლებელი და მაცხოვრებელი ქადაგებანი.

და როდესაც სომეხთა წმინდა პატრიარქმა საჰაკმა დაასრულა სულიერი შრომის დიდი საქმე, ამის შემდეგ სასწრაფოდ დააარსეს სკოლები სამწყსოსათვის, და განმრავლდა ერთმანეთის მაღიძებელ მწერალთა დასი, განმშვენიერდა საეკლესიო წირვა-ლოცვა...“ (ჩანტლამე 2013: 243-244)]

კორიუნის „მამოცის ცხოვრებაში“ კი საჰაკის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ სულ რამდენიმე ფრაზით არის გადმოცემული:

«ჩასკ ერანსელინი სახასკაყ ექსენესასკან ყინგ გიძარპიქინს` სანსასა იქინასკან ჩარქათინს ი ხაქერენს იარბივისას, ს ჩაკიძს სუ ეხაქრასასსაყ სრქინგ ედგმარქით ექინასსითიქინს: ჩარბესას ქეს აქინიქს ათხასს ხანუქრბ ზესასკას ექათრახაკინს ექანსკარბახესით ექინოსანსკი ექარქამანისიქინსუ ხასსითსქერ ბდმარქით იქინასსიქერ ქერქიქერ: ზს ჯასთ სუ მსქისიქინს ყინგ ქარქამანსქინს» (სქესქინს 1981: 124):

[„ხოლო ნეტარმა საჰაკმა თავდაპირველად ბერძნული ენიდან სომხურად თარგმნა საეკლესიო წიგნების კრებულები და წმინდა მამამთავართა მრავალი ჭეშმარიტი სიბრძნე. ამის შემდეგ მან კვლავ ეზნაკთან ერთად დაიწყო და პირველი უცბად ნაპოვნი სახელდახელო თარგმანი დააზუსტა ახლადმოტანილი სარწმუნო ნუსხის მიხედვით. ასევე [წმინდა] წიგნის მრავალი განმარტება თარგმნეს“.]

სომეხი მკვლევრები ლაზარე ფარპელის თხზულებაში დაცულ ცნობებს კრიტიკულად განიხილავენ და მიიჩნევენ, რომ ლაზარემ დაამცრო მაშტოცის ღვაწლი იმისათვის, რომ განედიდებინა საჰაკი (Խաչաբեհան 1883: 68-73).

გერმანელი არმენოლოგი ჯ. მარკვარტი ლაზარე ფარპელს ტენდენციურ ავტორს უწოდებს: „მაშტოცის სირიაში მოგზაურობისა და ამ მოგზაურობასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ ლაზარე დუმს. ეს ერთ-ერთი ტენდენციური დამოკიდებულებაა, რომელიც, უეჭველად, ამჟღავნებს იმ უსაზღვრო სწრაფვას, რის გამოც საჰაკით მოხიბლულ ლაზარეს სურს საჰაკს მიაწეროს არა მხოლოდ ბიბლიის თარგმნა, არამედ მთავარი დამსახურება – სომხური ასო-ნიშნების შექმნა. ამისათვის კი საჭიროა მოვლენების ადგილის სომხეთში გადანაცვლება და მაშტოცისათვის ჭეშმარიტად დამსახურებული დიდების გვირგვინის წართმევა. ლაზარე საყვედურის ღირსია ამ მცდელობის გამო, მცდელობა, რომელსაც შეიძლება ისტორიული ფაქტების დამახინჯება ვუწოდოთ. საბედნიეროდ, ეს მცდელობა კორიუნის მიერ გადმოცემული დაუზიანებელი ცნობის წყალობით წარუმატებელი გამოდგა“ (Մարկվարտ 1962: 133).

მ. აბელიანის აზრით კი, „ფარპელი წერს ერთ შერეულ ისტორიას, რომელიც არც ხორენელის და არც კორიუნის ნაამბობს არა ჰგავს, თავადაც ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებს შეიცავს, გარდა ამისა, ფარპელი წერს სომხური ანბანის აღმოჩენის ისტორიას არა სრულად, არამედ იმდენად, რამდენადაც საჭიროა აჩვენოს საჰაკ კათალიკოსის როლი ამ საქმეში... მისი მიზანი საჰაკის განდიდებაა“ (Աբելյան 1968: 356).

მეცნიერთა ერთი ნაწილი ლაზარე ფარპელის თხზულებაში სომხური ანბანის შექმნასთან დაკავშირებულ ისტორიას უწოდებს დედნის „დამახინჯებას“, „გადაკეთებას“, ავტორის „ტენდენციურობას“, პირველწყაროს არასწორად გადმოღებას და ა.შ. მათი აზრით, ეს „დამახინჯება-გადაკეთება“ ფარპელიდან კი არ მოდის, არამედ მისი წყაროდან – კორიუნის „მაშტოცის ცხოვრების“ გადაკეთებული ვერსიიდან. სომეხ მეცნიერთა ვარაუდით, V საუკუნეში კორიუნის თხზულების დაწერის შემდეგ, ხელნაწერი შეცდომით იქნა აკინძული, მოხდა ცდომილება

ტექსტში და ტექსტმა ამგვარი სახეშეცვლილი ფორმით მოაღწია ჩვენამდე, იგი სწორედ ასეთი სახით უნდა მოხვედრილიყო ლაზარე ფარპელის ხელში. ამიტომ ისტორიკოსი სომხური ანბანის შესახებ თხრობას დანიელ ასურისაგან მოტანილი გრაფემების ისტორიით ამთავრებს და აგრძელებს სამოსატში მამტოცის მოღვაწეობის ამბების აღწერით. აქვე მიუთითებს, რომ ასო-ნიშნების შესახებ უფრო ვრცლად და სარწმუნოდ იხილეთ კორიუნის თხზულებაშიო (Մաթևոսյան 2002: 93-111).

ლაზარე ფარპელი, რომელიც წყაროდ კორიუნის ნაშრომს ასახელებს, ვრცლად საუბრობს მამტოცის ცხოვრების შესახებ, თუმცა არაფერს ამბობს ქართული და ალბანური ანბანების შექმნაზე. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ლაზარე ფარპელს უნდა ესარგებლა კორიუნის თხზულების ისეთი რედაქციით, რომელშიც მამტოცის მიერ ქართული და ალბანური დამწერლობის გამოგონების შესახებ საუბარი არ ყოფილა. როგორც ჩანს, ასეთი რამ არ ეწერა მის წყაროში (ჯავახიშვილი 1935: 181-182). ივ. ჯავახიშვილის აზრით, ლაზარე ფარპელს კორიუნის თხზულების ვრცელი ან ვრცელის მსგავსი რედაქციით უნდა ესარგებლა (ჯავახიშვილი 1935: 158). როგორც უკვე ვნახეთ, არსებობს კორიუნის თხზულების ორი რედაქცია, რომელიც ჩვენ პირობითად A და C ლიტერებით აღვნიშნეთ. A რედაქცია სომხური ანბანის გამომგონებელს მამტოცს/მაშდოცს/მამტოცს უწოდებს, C რედაქცია კი – მესროვს ან მესრუბს. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს A რედაქციის სათაური, რომელშიც სომხური ანბანის შემქმნელი მესროპად მოიხსენიება, რაც გვიანდელი ცვლილების შედეგი უნდა იყოს. ლაზარე ფარპელი ანბანის გამომგონებელს ყველგან მამტოცს უწოდებს და არსად მესროპად არ აღნიშნავს. კორიუნის თხზულების იმ რედაქციას, რომელიც ლაზარე ფარპელს ხელთ ჰქონდა, უძველესად თვლიან ივ. ჯავახიშვილი, მ. თარხნიშვილი და კ. სალია (ჯავახიშვილი 1935: 182; Tarchnišvili 1947: 44-45; Salia 1943: 13-14).

ნ. აკინიანი მიიჩნევს, რომ ლაზარე ფარპელის „ისტორიის“ პირველი ნაწილი, რომელშიც მამტოცის შესახებ არის საუბარი, VIII საუკუნეში ხოსრო მღვდლის მიერ არის შექმნილი, მასვე ეკუთვნის საჰაკის ხილვაც (Ակինյան 1935q: 459). ნ. აკინიანის

მსგავსად, ლაზარე ფარპელის „ისტორიის“ პირველ წიგნს გვიანი ხანის დანართად მიიჩნევს ივ. ჯავახიშვილი, ამ ვერსიას იზიარებს ზ. ალექსიძე (ალექსიძე 1975: 293). თუკი ამ მოსაზრებას გავითვალისწინებთ, გამოდის, რომ VIII საუკუნეში მაშტოცი მხოლოდ სომხური ანბანის შემქმნელად იყო მიჩნეული და ჯერ კიდევ არ არსებობდა ცოდნა მის მიერ ქართული და ალბანური ანბანების გამოგონების შესახებ.

ლაზარე ფარპელი თავისი ისტორიის პირველი ნაწილის თხრობას საჰაკ კათალიკოსისა და მაშტოცის გარდაცვალებით ამთავრებს. ლაზარესა და კორიუნის ტექსტებთან ისიც პრობლემაა, რომ ლაზარე საჰაკის სიკვდილის ამბავს განსხვავებულად გვიყვება. ნ. მარი ვარაუდობდა, რომ ლაზარე ფარპელს უნდა ესარგებლა საჰაკ პართელის აღსრულების ქართული თარგმანის დედნით (Mapp 1900: 18), რომელსაც მკვლევარმა ვერსად მიაკვლია. სომხურ ხელნაწერებში დასტურდება მხოლოდ საჰაკის ცხოვრების მთლიანი წიგნი, რომლის ერთ-ერთ თავს საჰაკის „აღსრულებაც“ წარმოადგენს. მეცნიერთა აზრით, საჰაკის გარდაცვალების ეს ნაწილი ლაზარე ფარპელის ისტორიიდან უნდა იყოს აღებული. სომხურ მრავალთავებში საჰაკის აღსრულება ცალკე წიგნადაც მოიპოვება, თუმცა რედაქციულად ორივე მათგანი განსხვავდება ქართული თარგმანისგან (აბულაძე 1944: 0143-0144).

ნ. მარის მოსაზრებას თუ სარწმუნოდ მივიჩნევთ, ლაზარე ფარპელის წყარო ამ ნაწილში საჰაკის „აღსრულების“ ქართული თარგმანის სომხური დედანი გამოდის და არა კორიუნის თხზულება. მით უფრო, ლაზარეს თხზულებაში გადმოცემული საჰაკის გარდაცვალების ამბავი უფრო ახლოს დგას საჰაკის „აღსრულების“ ქართულ თარგმანთან, ვიდრე კორიუნის ნაწარმოებთან. ლაზარე ფარპელი წყაროდ საჰაკის ცხოვრებას არ ასახელებს.

ხ. თოროსიანი ცდილობს განსაზღვროს „წინაპართა მატიანეში“ («Մատենագրութեան նախնեաց») გამოქვეყნებული „საჰაკის ცხოვრების“ ხელნაწერი ნუსხის შექმნის ზედა ზღვარი და ამასთან დაკავშირებით ერთმანეთს ადარებს კორიუნის, ლაზარე ფარპელის, მოსე ხორენელისა და იოანე დრასხანაკერტელის

ისტორიებს. ხ. თოროსიანის მოსაზრებით, ფარპელი ისეთ ცნობებს გვაწვდის, რომელიც არც ხორენელთან და არც კორიუნთან არ გვხვდება. აქედან გამომდინარე, ფარპელს სხვა წყაროთი უნდა ესარგებლა და ეს წყარო უნდა ყოფილიყო „საჰაკის ისტორია“ (Թորոսյան 1967: 206).

საჰაკ კათალიკოსის შესახებ დამოუკიდებელი თხზულების არსებობას მოწმობს IX საუკუნის ისტორიკოსი აჰრონ ვანანდელი, რომელიც თავის ნაშრომში V საუკუნის წყაროებს შორის საჰაკ პართელის „ცხოვრებას“ ასახელებს:

«Իսկ ես, հայր Ահարոն, գարսն Ղևոնդ երիցս յԻջասանից գեղջ, սպասաւոր սրբոյ Իսաչին, բազում աշխատութեամբ եւ խուզիւ քննեալք ի բազում մատենից Հայոց եւ Վրաց յաղագս սրբոյ Իսաչին Մծխիթայի, որ այժմ բնակեալ է յԵրկրիս մերում ի տեսչութենէ խաչելոյն Քրիստոսի, թէ ուստի՞ կամ ո՞րտեղ առ մեզ լեալ է, եւ ստուգեալ հասեալ գտի յԱգաթանգեղայ պատմագրէ եւ ի Վկայութենէ Շուշանկանն եւ ի Վարուց սրբոյն Սահակայ եւ ի ճգնաւորէն Անդրէասայ: Գտի եւ զսրբոյն Հմայեկի զՎկայաբանութիւն քառասուն արամբք ի տանն Տայոց, որ այժմ Քառասնի վանք կոչի: Գտի եւ այլ բազում յիշատակ սրբոց, որոց մոռացանք եղեալ ի տագնապ լինելոյ աշխարհիս» (Ակինեսան 1949: 113): [„ხოლო მე, მამა აჰრონმა, წმინდა ჯვრის მსახურმა, სოფელ იჯევანის ხუცესი ღვეონდისაგან მრავალი შრომითა და სომხური და ქართული ისტორიების გამოძიებით მცხეთის წმინდა ჯვრის შესახებ, რომელიც ამჟამად დამკვიდრებულია ჩვენს ქვეყანაში ქრისტეს ჯვარცმის დასამოწმებლად, თუ რატომ ან საიდან არის ჩვენთან, დამოწმებულად შევიტყვე აგათანგელოსის ისტორიიდან, შუმანიკის წამებიდან, წმინდა საჰაკის ცხოვრებიდან და ბერი ანდრეასისგან. ვპოვე ასევე წმინდა ჰმაიაკის წამება ორმოც კაცთან ერთად ტაოს ქვეყანაში, რომელსაც ამჟამად ორმოცთა მონასტერი ეწოდება. ვპოვე სხვა მრავალ წმინდანთა მოსახსენებელიც, რომლებიც მივიწყებულ იყვნენ ქვეყნის განსაცდელში ყოფნის გამო.“]

„საჰაკის ცხოვრება“, სავარაუდოდ, V საუკუნეში უნდა შეექმნათ. V საუკუნის სომხეთის კულტურულ და ლიტერატურულ ცხოვრებაში საჰაკ პართელის როლი ლაზარე ფარპელის მიერ რომ მეტად არის შეფასებული, ხ. თოროსიანის აზრით,

სწორედ „საჰაკისადმი მიძღვნილი სპეციალური ნაშრომიდან“ უნდა მომდინარეობდეს (Թորոսյան 1967: 206).

ფ. ანთაბიანი ხ. თოროსიანის დასკვნებს კრიტიკულად განიხილავს და აღნიშნავს, რომ თუკი თოროსიანი მართალია და ლაზარეს წყარო მართლაც იყო „საჰაკის ისტორია“, რატომ არ შეიძლებოდა ასეთივე წყარო ყოფილიყო მოსე ხორენელი და ელიშე. გარდა ამისა, საჰაკისადმი მიძღვნილი სპეციალური ნაშრომის არსებობა სულაც არ იყო საჭირო, ლაზარე ფარპელს საჰაკის „განდიდების“ სხვა მიზეზიც ჰქონდა: 1. ფარპელი ვაჰან მამიკონიანის პროტეჟე იყო, ეს უკანასკნელი კი – საჰაკის ნათესავი. 2. ფარპელს სპეციალური მითითება და განზრახვა ჰქონდა „განედიდებინა“ მამიკონიანები და მათი საქმე. 3. ფარპელი, ხორენელი, კორიუნი, ელიშე განსხვავებული ადამიანები არიან თავიანთი მიზნებით, შეხედულებებით, მოვლენებისა და პიროვნებების შეფასების თავიანთი საზომებით და ნაწილობრივ, დროით. 4. ლაზარე ფარპელმა ისარგებლა ზეპირი წყაროებით, როგორც თავადაც მოწმობს და როგორც მიიჩნევს ბევრი გამოჩენილი ფილოლოგი (Խալաթեան 1883: 60; Աբելյան 1966: 321). 5. ხორენელსა და ლაზარეს შორის არსებული პერიოდი სრულებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ ეს ზეპირი წყაროები შეცვლილიყო და თავიანთი სახესხვაობები ჰქონოდათ (Անթաქյան 1968: 129-146).

ლაზარე ფარპელი „სომხეთის ისტორიის“ შესავალში საუბრობს ვაჰან მამიკონიანის დავალების შესახებ, რომ დაეწერა თავისი ქვეყნის ისტორია:

«Ըստ այսմ օրինակի գգուչացեալ ստիպեցուցանէ զմեզ տէրն Մամիկոնէից Վահան, զօրավարն Հայոց և մարգպան. որոյ հասեալ հրաման առ իս Ղազար Փարպեցի. որ և սնեալ և ուսեալ առ ուսս առաքինակրօն երանելոյն Աղանայ, որ էր ազգաւ ի հոյակապ և յականաւոր տոհմէն Արծրունեաց...

Եւ արդ՝ այսպէս հարկաւորեալ բռնադատեաց զտկարութիւնսս մեր տէրն Մամիկոնէից Վահան, սպարապետն Հայոց և մարգպան, զձեռն արկանել ի գործ, որ ի վեր քան զկար գիտութեան մերոյ էր, քանզի էր քան զքան...

...պիտոյ են յարմարութիւնք բանից, որոշեալ կարգադրութիւնք ըստ հրամանի կանոնեալ գիտութեանն, բերել պատկառելով ստուգագրութիւն անպարսաւ յականջս

ქმასათაასქე ქათყაფ. ყასქლიქ დანქელასქს` ქნქონასქს ადმონსა ქანქე. ჯნოსადქნოცასქს ქელქასქს ს ქაქრადსქთოქე აყასომქს ქანქიქ ასქიქოქოქსასქს, აყ ქქნასქს ნოქასქიქი დქოქოქსასქს ქქქქს ქ ქასქონოქოქსქს» (სქქ-სქქოქყას... 1904: 13-17): [„... და ამ მაგალითით გვაფრთხილებს სომხეთის მხედართმთავარი და მარზპანი ვაჰან მამიკონიანი, რომლის ბრძანება მომივიდა მე – ლაზარე ფარპელს. იგი აღიზარდა და სწავლობდა სათნო და ნეტარ აღანთან ერთად, რომელიც დიდებული და გამოჩენილი არწრუნთა გვარიდან იყო...

და აი, ამგვარად ვაჰან მამიკონიანმა, სპარაპეტმა და მარზპანმა სომხეთის ქვეყნისამ, გვაიძულა ჩვენ წამოგვეწყო ერთი საქმე, რომელიც ჩვენს ცოდნასა და ძალებს აღემატებოდა.

ხოლო საჭიროა ამ საქმის სათანადოდ შესრულება, კანონიერი ცოდნის შესაბამისად ჭეშმარიტად თხრობა, მოწიწებით დაწერა სიმართლისა, რათა სიბრძნისმოყვარე მსმენელმა არ გაგვიციხოს, არც რაიმე უნდა დავამატოთ გამოტოვებული სიტყვის აღსადგენად და არც დავაკლოთ, არც მოკლედ გადმოვცეთ დაუდევარი სიტყვით, არამედ ყველაფერი წარმოვაჩინოთ მოთმინებითა და სიფრთხილით“.]

ისტორიკოსმა ვაჰან მამიკონიანის დაკვეთა სრულყოფილად შეასრულა. ა. მათევოსიანი ამ ნაწყვეტზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ლაზარე ფარპელი თავისი სურვილისამებრ ტექსტს არ შეცვლიდა, არამედ მას ხელთ კორიუნის უკვე გადაკეთებული ნუსხა უნდა ჰქონოდა (Մաթևոսյան 2002: 99-100).

არმენოლოგიურ ლიტერატურაში მკვლევარები ხშირად ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებებს გამოთქვამენ. განვიხილოთ იმის შესაძლებლობა, რომ ლაზარეს ჰქონოდა კორიუნის უკვე შერყვნილი ტექსტი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მის ზეპირ ცოდნას და ის არ გაესწორებინა. ესეთი დაშვება არ მიგვაჩნია სწორად, რადგან ასეთ შემთხვევაში ლაზარე, როგორც ისტორიკოსი და ინფორმაციის სარწმუნოობის თაობაზე გარკვეული პრინციპების მქონე ადამიანი, ჩვენი აზრით, არ შესთავაზებდა მკითხველს დამახინჯებული ტექსტის წაკითხვას: „...რაც ჭეშმარიტად

აღწერა ზემოთხსენებულმა სულიერმა კაცმა კორიუნმა, საიდანაც ჩვენ არაერთგზის წავიკითხეთ და სარწმუნოდ შევიტყვეთ“.

გამორიცხულია, ლაზარე ფარპელს სიმართლე არ სცოდნოდა. ლაზარემ ყრმობის წლები ქვემო ქართლში, არშუშა პიტიახშის კარზე გაატარა. ამ პერიოდში იგი ქართლსა და ქართველებს კარგად გაიცნობდა. ქართული დამწერლობის შექმნა რომ სომეხი მოღვაწის სახელთან ყოფილიყო დაკავშირებული, ისტორიკოსს ამ ფაქტის აღნიშვნა ნამდვილად არ გამორჩებოდა. გარდა ამისა, სომხეთის მარზპანი ვაჰან მამიკონიანი და ლაზარე ფარპელი მაშტოცის მოწაფე აღან (ალან) არწრუნის აღზრდილები იყვნენ. შესაბამისად, მათთვის მაშტოცის მოღვაწეობის უმთავრესი მომენტები, მის მიერ სომხური ანბანის შექმნის რეალური ისტორია კარგად ნაცნობი იქნებოდა. ისიც გამორიცხულია, რომ ანბანთან დაკავშირებული ზოგადი ცოდნა კორიუნიდან ლაზარემდე ამდენად შეცვლილიყო.

თუკი სომეხ მკვლევართა გარკვეულ ჯგუფს დავუჯერებთ, რომ ფარპელმა ზეპირი წყაროებით ისარგებლა, მისი მიზანი იყო საჰაკის „განდილება“ და კათალიკოსის ღვაწლის გადაჭარბებულად წარმოჩენა, რატომ არ შეიძლება იგივე ვიფიქროთ სხვა ისტორიკოსების, თუნდაც კორიუნის მხრიდან მაშტოცისადმი ამგვარ დამოკიდებულებაზე? კორიუნის მიზანი ხომ მისი მასწავლებლის, მაშტოცის ცხოვრების აღწერა და მისი ღვაწლის წარმოჩენაა?! შესაბამისად, მოვლენებსაც, ამ კუთხიდან აფასებს. იქნებ კორიუნი იმიტომ არ ახსენებს საჰაკ კათალიკოსის განსაკუთრებულ როლს ანბანის შექმნისა და წიგნების თარგმნის საქმეში, ცდილობს, ამით არ დაამცროს თავისი მასწავლებლის ღვაწლი. ლაზარე ფარპელის მიზანი კი ქვეყნის იმდროინდელი ვითარების აღწერაა, იგი გადმოგვცემს სომხეთის ისტორიას და ამ ისტორიაში მონაწილე პირებს რეალურად წარმოგვიდგენს.

ამდენად, ლაზარე ფარპელის „სომხეთის ისტორიაში“ სომხური ანბანის მოწესრიგებისა და ჩამოყალიბების, ახლადშექმნილი სომხური ანბანით თარგმანების შესრულების შესახებ მოთხრობილი ამბები განსხვავდება დღეს ჩვენთვის ცნობილი კორიუნის თხზულებისაგან. ლაზარე ფარპელის ისტორიის მიხედვით, სომხური ანბანის გამართვასა და მთარგმნელობით საქმიანობაში მთავარი ფიგურა საჰაკ

კათალიკოსია. „სომხეთის ისტორიაში“ დაცული ცნობების შესწავლა უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ლაზარეს ხელთ არსებულ კორიუნის თხზულებაში არა თუ არ ეწერა მაშტოცის მიერ ქართული და ალბანური ანბანების შექმნის შესახებ, უფრო მეტიც, „ისტორიაში“ მაშტოცი სირიელი ეპისკოპოსი დანიელისაგან მოტანილი სომხური გრაფემების რეფორმატორად წარმოგვიდგება.

მოსე ხორენელი

მაშტოცის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წყაროებიდან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“ (გაფრინდაშვილი 2017). მაშტოცის შესახებ პირველწყაროდ კორიუნის თხზულება ითვლება, ხოლო თუ რომელია მისი მომდევნო წყარო, რომელიც უშუალოდ არის დამოკიდებული მხოლოდ კორიუნზე და შემდეგ თვითონ ხდება პირველწყარო შემდგომი ავტორებისთვის, ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. მეცნიერთა ერთი ნაწილი თხზულებათა ამგვარ თანმიმდევრობას გვთავაზობს: კორიუნი, მოსე ხორენელი, ლაზარე ფარპელი (Zարուբյուნიანց 1892: 208; Անանեան 1964: 7), მეორე ნაწილი კი კორიუნის შემდეგ ირჩევს ლაზარე ფარპელის, შემდეგ კი მოსე ხორენელის თხზულებას (Բիւզանդացի 1900: 9; Մանանդյան 1962: 31; Աբելյան 1981: 18; Աճառյան 1984: 5). არსებობს მკვლევართა ერთი ჯგუფი, რომელიც მოსე ხორენელის ცნობების სანდოობას ეჭვქვეშ აყენებს (Մարկվարտ 1962: 135; Օրմանյան 1959: 274; Ֆնտզլեան 1930: 73). ნ. აკინიანი სომხური ანბანის შექმნის ერთადერთ თანამედროვე ნარატივად კორიუნს ასახელებს, მის ცნობებს ანიჭებს უპირატესობას ყველა სხვა ავტორთან შედარებით, მათ შორის ლაზარე ფარპელს (გულისხმობს იმ თავს, სადაც საუბარია მაშტოცის მოღვაწეობის შესახებ, მეცნიერი ლაზარე ფარპელის ისტორიის პირველ ნაწილს VIII საუკუნეში შექმნილად თვლის (Ակինեան 1935q: 459) და მოსე ხორენელს (Ակինեան 1949p: 245).

მოსე ხორენელის ცნობების ამგვარი კრიტიკული შეფასება გამოიწვია მეცნიერთა არაერთგვაროვანმა დამოკიდებულებამ ისტორიკოსისა და მისი

თხზულების მიმართ, რასაც თავად წყარო განაპირობებდა. ეს პროცესი სომხური სამეცნიერო წრისათვის დასრულდა XX საუკუნის შუა ხანებში, როდესაც გამოსცეს გამოკვლევა, მისი თხზულება სანდო საისტორიო წყაროდ გამოაცხადეს, მის ცნობათა სანდოობის მიმართ ეჭვები სპეკულაციად ჩათვალეს და გამოთქვეს მოსაზრება, რომ მოსე ხორენელი იყო მაშტოცის უმცროსი მოწაფე, ცხოვრობდა და თავისი „ისტორია“ დაწერა V საუკუნეში (Մալխասյան 1961: 69-70). ევროპელმა არმენოლოგებმა არ გაიზიარეს სომეხ მეცნიერთა ეს შეხედულება და ტრადიციულად V საუკუნის ისტორიკოსად მიჩნეული მოსე ხორენელის მოღვაწეობის ხანა IX საუკუნით დაათარიღეს (აბდალაძე 1984: 6-13).

სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში მოსე ხორენელს ძველი სომხური საისტორიო მწერლობის „მამას“, „სომეხ ჰეროდოტეს“, „სომეხ ტაციტუსს“ უწოდებენ. მოსე ხორენელის თხზულებაში მოთხრობილია სომხეთის ისტორია დასაბამიდან ახ. წ. V საუკუნემდე. „სომხეთის ისტორია“ სამი ნაწილისაგან შედგება: სომხეთის წარჩინებულთა გვარ-ტომობის შესახებ; სომეხი ხალხის წინაპართა ისტორია შუა ხანაში; სომეხი ხალხის ისტორიის ბოლო ნაწილი (აბდალაძე 1984).

მოსე ხორენელის „ისტორია“ არაერთხელ გამხდარა მკვლევართა ინტერესის საგანი, ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ თხზულების მესამე ნაწილზე, რომელშიც საუბარია მაშტოცის მოღვაწეობისა და მის მიერ სომხური, ქართული და ალბანური ანბანების შექმნის შესახებ. ჩვენი კვლევის მიზანია მოსე ხორენელისა და კორიუნის თხზულებათა შედარების შედეგად გამოვავლინოთ მათ შორის არსებული საერთო და განმასხვავებელი დეტალები.

ნაშრომში წარმოვადგენთ იმ ფაქტობრივ განსხვავებებს, რომლებიც თხზულებათა ტექსტოლოგიური შედარების შედეგად გამოიკვეთა:

პირველი და მთავარი განსხვავება ამ ორ თხზულებას შორის ისაა, რომ სომხურ სამეცნიერო მწერლობაში ტრადიციულად V საუკუნის ისტორიკოსად მიჩნეული მოსე ხორენელი ანბანის შემქმნელის სახელის იმ ფორმას (მესროპი) იყენებს, რომელიც გვიანი ხანის წყაროზე მიუთითებს და VII საუკუნეშიც კი არ იხმარებოდა. VIII საუკუნემდე ავტორები – კორიუნი (V ს.), ეზნიკ კოლბელი (V ს.),

კონსტანტინოპოლის პატრიარქი პროკლე (V ს.), ლაზარე ფარპელი (V ს.), აბრაამ კათალიკოსი (VII ს.), იოანე ოძუნელი (VIII საუკუნის დასაწყისი), მოსე კალანკატუელი (VII ს.) – მას მაშტოცს უწოდებენ. თავად მოსე ხორენელის ისტორიის II წიგნის X თავში ერთგან „მაშტოც/მაშდოც“ ფორმით გვხვდება:

«Եւ վկայ քեզ ի մօտոյ երաշխաւորեսցէ Եկլէսիաստէ գիրք Եւսեբի Կեսարացոյ, գոր էտ թարգմանել երանելի վարդապետն մեր Մաշտոց ի հայ լեզու» (Աբեղյան... 1991: 120):
[„მოწმობს და გარწმუნებს შენ ევსები კესარიელის ეკლესიასტეს²⁰ (sic!) წიგნი, რომელიც ჩვენმა ნეტარმა მოძღვარმა მაშტოცმა ათარგმნინა სომხურად“].

III ნაწილის ბოლოს კი, სადაც მაშტოცს რამდენიმე თავი ეძღვნება, მოსე ხორენელი მას მესროპად მოიხსენიებს. ამ მხრივ, მოსე ხორენელის თხზულება ახლოს დგას კორიუნის მეორე – C რედაქციასთან (C რედაქცია ანბანის შექმნელს ყველაგან მესროპს უწოდებს), თუმცა ისტორიკოსის თხრობა ხშირად A რედაქციას მიჰყვება, არის შემთხვევები, როდესაც თხრობა ორივე რედაქციისგან არსებითად განსხვავდება (ჯავახიშვილი 1935: 158).

მოსე ხორენელი სომხური გრაფემების აღმოჩენის ისტორიას ავსებს ისეთი ახალი დეტალებით, რომლებიც არ დასტურდება ძველ წყაროებში.

თხზულების 52-ე თავში მოთხრობილია არკადი კეისრის დროს კონსტანტინოპოლში იოანე ოქროპირთან დაკავშირებული სისასტიკის შესახებ. „ისტორიის“ თანახმად, როდესაც სპარსეთის მეფე ვრამმა სომხეთის მეფე ვრამშაპუკი შუამდინარეთში გაგზავნა მშვიდობის დასამყარებლად და კამათის მოგვარების მისიით, ვრამშაპუკმა იგრძნო სომხური ანბანის საჭიროება: სომხეთის მეფე შეწუხებული იყო იმით, რომ მთარგმნელი არ ახლდა. ამ დროს ერთ-ერთი თანმხლები ვინმე აბელი დაპირდა მას, რომ დანიელ ეპისკოპოსის მიერ გაწყობილ სომხურ ანბანს მოიტანდა (Աբեղյան... 1991: 325).

მოსე ხორენელი სომხური ანბანის შექმნას აბელს მიაწერს, მის დამხმარედ კი დანიელ ეპისკოპოსს ასახელებს: «Զոր [Հաբէլն] առեալ, և երթեալ նովաւ հանդերձ քաջ հմտացեալ ի Դանիէլէ, կարգեալ ըստ ձևոյ օրինակի յունասկանին զվաղնջուցն գրեալ

²⁰ აქ ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორია“ უნდა იგულისხმებოდეს.

ზარაყიჩი თათიგ` ხსნალ ხითინ გნზნ სახასკ სი სუროიყ» (Աբեղյան... 1991: 326): [„იგი [აბელი] წავიდა და საფუძვლიანი განმარტება მიიღო დანიელისგან, [მათ] ბერძნული რიგის მიხედვით დაალაგეს ადრევე შედგენილი ანბანი, მოიტანეს და გადასცეს იგი საჰაკ დიდსა და მესროპს“].

კორიუნის თხზულებაში დანიელ ასურისაგან გრაფემების მოტანა განსხვავებულად არის აღწერილი. თხზულების მიხედვით, კრების შემდეგ საჰაკ კათალიკოსმა და მაშტოცმა მეფეს გააცნეს სომხური ანბანის შექმნის იდეა, მეფე ვრამშაპუჰმა უამბო მათ ერთ სირიელ ეპისკოპოს დანიელზე, რომელთანაც მოულოდნელად აღმოჩნდა სომხური გრაფემები. თუ საიდან ჰქონდა სომხეთის მეფეს ინფორმაცია დანიელის გრაფემების შესახებ, ამაზე კორიუნი არაფერს ამბობს (Աբეղյան 1981: 90).

დანიელის ანბანით სწავლების ხანგრძლივობაც სხვაგვარად არის წარმოდგენილი. ორივე თხზულების თანახმად, დანიელის ანბანი სომხეთში ვრამშაპუჰის მეფობისას მოიტანეს, საჰაკ კათალიკოსმა და მაშტოცმა გადაწყვიტეს ამ ანბანით ესწავლებინათ ბავშვებისთვის და ამგვარად გამოეცადათ ახალი დამწერლობა. „მაშტოცის ცხოვრების“ მიხედვით, ანბანი ვრამშაპუჰის მეფობის მეხუთე წელს მოიტანეს, ორი წელი ასწავლიდნენ და მიხვდნენ, რომ ეს გრაფემები არ იყო საკმარისი სომხური ენის გამოსახატავად. მოსე ხორენელი ანბანის გასინჯვის პროცესის ხანგრძლივობას «գամս սակսս» [„რამდენიმე თვით“] აღიშნავს და ზუსტ დროს არ ასახელებს. ისტორიკოსი არც დანიელის ანბანის რეგარობის შესახებ აკეთებს რაიმე კომენტარს, თუ რა ანბანია, საიდან აღმოჩნდა სირიელ ეპისკოპოსთან. კორიუნი კი მას სხვა ენების დამწერლობას უწოდებს, რომ «յայլոց դպրութեանց թաղեալք և յարուցեալք դիպեցան, յետ այնորիկ դարձեալ կրկին անգամ ի նոյն հոգս դառնային, և նմին եւս խնդրէին ժամանակս ինչ»: (Աբեղյան 1981: 94): [„ეს ასონიშნები სხვათა მწიგნობრობაში დამარხული და აღმდგარი შეხვდათ, შემდგომად ამისა კვლავ იმავე საზრუნავს მიუბრუნდნენ და გარკვეული დროის მანძილზე მსგავს გამოსავალს ეძებდნენ.“]

ანბანის ძიების გზაზე მაშტოცის მოგზაურობის ისტორია ამ ორ წყაროში განსხვავებულად არის გადმოცემული. დანიელის ანბანი არ აღმოჩნდა საკმარისი სომხური ენის სრულად გამოსახატავად, მეფის ბრძანებით და საჰაკის თანხმობით, მაშტოცი მოწაფეებთან ერთად გაემართა შუამდინარეთისაკენ, თუმცა რატომ მაინცდამაინც შუამდინარეთში, კორიუნი ამის თაობაზე არაფერს ამბობს. მოსე ხორენელით კი, მაშტოცი შუამდინარეთში დანიელის სანახავად გაემგზავრა, რათა მისგან მიეღო დამატებითი ინფორმაცია სომხური ანბანის შესახებ. დანიელ ეპისკოპოსთან წარუმატებელი ვიზიტის შემდეგ კი, იგი ედესაში გადავიდა (Աբელიან... 1991: 327).

მოსე ხორენელის ისტორია ერთადერთი წყაროა, სადაც აღნიშნულია მაშტოცის დანიელ ეპისკოპოსთან გამგზავრებისა და მისგან ინფორმაციის მიღების ფაქტი. ხორენელის ისტორია ამ მხრივ ახლოს დგას კორიუნის C რედაქციასთან, სადაც მაშტოცი მოწაფეებთან ერთად პირადად მიდის დანიელ ეპისკოპოსთან ანბანის მოსაპოვებლად და სომხეთში მოსატანად (Մաթևոսյան 1994: 117).

დანიელის ანბანის წარუმატებლობის შემდეგ, იწყება მეორე ეტაპი სომხური ანბანის შექმნისა. კორიუნის მიხედვით, უფალმა უდიდესი წყალობა მოუვლინა მაშტოცს, დააჯილდოვა იგი ზეციური ნიჭით და მაშტოცი გახდა შემოქმედი სომხური გრაფემებისა. სამოსატში რუფინოსის (იგივე ჰროფანოსის) დახმარებით ახალი სახეები მიანიჭა მათ:

«Որում պարգևեր իսկ վիճակ յամենաշնորհողէն Աստուծոյ. հայրական չափուն ծնեալ ծնունդս նորոգ և սքանչելի՝ սուրբ աջութն իւրով, նշանագիրս հայերէն լեզուին: Եւ անդ վաղվաղակի նշանակեալ, անուանեալ և կարգեալ, յօրինէր սիղոբայիք կապօք» (Աբელიան 1981: 96): [„ხოლო დააჯილდოვა იგი ყოვლადმოწყალე უფალმა [ამგვარი] ხვედრით: მან თავისი წმინდა მარჯვენით ვითარცა მამამ შვა ახალი და საოცარი ნაშობნი – სომხური ენის ასო-ნიშნები. მან სწრაფად ჩაინიშნა [ეს ასო-ნიშნები], სახელები დაარქვა, რიგზე განალაგა და შექმნა თხზულ მარცვლებად“].

მოსე ხორენელთან სომხური ანბანის აღმოჩენა ღვთაებრივ ხილვას უკავშირდება და აქ ეს გამოცხადება უფრო გავრცობილია:

«*Եւ տեսանէ ոչ ի քուն երագ և ոչ յարթնութեան տեսիլ, այլ ի սրտին գործարանի երևութացեալ հոգւոյն աչաց թաթ ձեռին աջոյ՝ գրելով ի վերայ վիւխի. զի որպէս ի ձեան վերջ գծին՝ կուտեալ ունէր քարն: Եւ ոչ միայն երևութացաւ, այլ և հանգամանք ամենայնին որպէս յաման ինչ ի միտս նորա հաւաքեցաւ*» (Աբելյան... 1991: 327): [„და იბილა არა ძილში სიზმარი ან სიფხიზლეში ხილვა, არამედ გულის სიღრმეში, გონების თვალთ მარჯვენა ხელის მტევანი, რომელიც კლდეზე ისე წერდა, როგორც თოვლზე, ხაზის კვალს ტოვებდა ქვაზე. ეს არა მარტო გამოისახა [მესროპის] თვალწინ, არამედ ყველა [გრაფემის] დამახასიათებელმა თვისებებმა მოიყარეს თავი მის გონებაში, როგორც რაიმე ჭურჭელში“].

მკვლევრები მოსე ხორენელის მიერ აღწერილ მაშტოცის ხილვას სხვადასხვა შეფასებას აძლევენ: ჰრ. აჭარიანი ხორენელის ღვთიურ სასწაულს, რომელიც ისტორიკოსის გავლენით შემდგომში სხვა ავტორებმაც გაიმეორეს, კორიუნის მცდარად გაგების შედეგს უწოდებს (სადაიუან 1955: 30-31). ა. კრანიანის აზრით, მოსე ხორენელს კორიუნზე ნაკლები ტექნიკური დეტალები აქვს მაშტოცის მიერ შესრულებული საქმის შესახებ და თავის ისტორიას უფრო მისტიკურ ხასიათს აძლევს (Կოսინსან 1991: 147-179; Կოսინსან 1992: 61-62).

მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიის“ ვენეციის 1843 და 1865 წლების გამოცემაში, ასევე ექმიაძინის 1661 ხელნაწერში მაშტოცის ხილვა სხვაგვარად არის აღწერილი, ჩამოთვლილია ის შვიდი ხმოვანი, რომელიც ხილვის დროს კლდეზე გამოისახა. ამ შემთხვევაში მაშტოცი არა ანბანის შემქმნელი, არამედ ანბანისათვის შვიდი ხმოვნის დამმატებელია: «...*գրելով ի վերայ վիւխի. Ա, Ե, Է, Ը, Ի, Ո, Ի*» (Աբելյան... 1991: 327): ვენეციის გამოცემები ეყრდნობა 1303, 1660, 1671 და 1683 წლების ხელნაწერებს, ექმიაძინის 1661 ხელნაწერი კი 1676-1678 წლებშია გადაწერილი.

ფრ. მიულერის მოსაზრებით, დანიელთან აღმოჩენილი ანბანი სემიტური წარმომავლობისა იყო, ხმოვნები არ ჰქონდა. მაშტოცმა ეს შვიდი ხმოვანი ბერძნული ნიშნების მიხედვით შექმნა, დაამატა და დანიელ ასურის ნაკლებ გრაფემებში შესწორება შეიტანა. ვენეციაში გამოცემული ტექსტებისა და ექმიაძინის ხელნაწერების მონაცემებზე დაყრდნობით ფრ. მიულერი თვლის, რომ მოსე

ხორენელი მამტოცს სომხური ანბანის მხოლოდ შვიდი ხმოვნის აღმომჩენად მიიჩნევს (Միսկլեր 1889: 87).

განსაკუთრებით საინტერესოა მამტოცის საგანმანათლებლო მოღვაწეობა მეზობელ ქართლსა და ალბანეთში. კორიუნისგან განსხვავებით, მოსე ხორენელი ქართლსა და ალბანეთში მამტოცის მოგზაურობას შემოკლებულად გადმოგვცემს. მამტოცი მთარგმნელი ჯაღას დახმარებით, ბაკურ მეფისა და მოსე ეპისკოპოსის ხელშეწყობით ქართლში ქმნის ქართულ ანბანს. მოსე ხორენელის ისტორია ერთადერთი წყაროა, რომელიც მამტოცის მიერ ქართლში მოძღვრებად დატოვებული მოწაფეების სახელებს გვთავაზობს:

«Եւ ընտրեալ մանկունս, և յերկուս բաժանեալ դասս, և վարդապետս թողու նոցա յաշակերտաց իւրոց զՏէր խորձենացի, և զՄուշէ տարօնեցի» (Աբექიან... 1991: 372): [„მან შეარჩია ბავშვები, გაყო ისინი ორ ჯგუფად და მოძღვრებად დაუტოვა თავისი [ორი] მოწაფეთაგანი, ტერ ხორძენელი და მუშე ტარონელი“].

ქართლში მოღვაწეობის შემდეგ მამტოცი გადადის ალბანეთის ქვეყანაში მეფე არსვალენტთან და იერემია ეპისკოპოსთან, სადაც ბენიამინ მთარგმნელის დახმარებით ქმნის ანბანს ალბანური ენისათვის.

თხზულებების შედარებამ კიდევ ერთი საინტერესო განსხვავება გამოავლინა: როგორც „მამტოცის ცხოვრებიდან“ ვიცით, სომხური ანბანის გამართვის შემდეგ საჰაკმა და მამტოცმა მთარგმნელობით საქმიანობას მიჰყვეს ხელი. საჰაკ კათალიკოსმა ბერძნული ენიდან დაიწყო წიგნების თარგმნა: «Ձեռն ի գործ արկանէր ի թարգմանել և ի գրել մեծն Իսահակ՝ ըստ յառաջագոյն սովորութեանն:» «Իսկ երանելոյն Սահակայ զեկեղեցական գրոց գումարութիւնն՝ կանխաւ ի յունական բարբառոյն ի հայերէն դարձուցեալ, և բազում ևս զհայրապետաց սրբոց զճշարիտ զիմաստութիւնն» (Աբექიան 1981: 124): [„დიდი საჰაკი შეუდგა თარგმნას და წერას თავისი წინანდელი ჩვეულებით.“ „ხოლო ნეტარმა საჰაკმა თავდაპირველად ბერძნული ენიდან სომხურად თარგმნა საეკლესიო წიგნების კრებულები და წმინდა მამამთავართა მრავალი ჭემმარიტი სიბრძნე“].

იყო, სხვაგან (III ნაწილი, 61-ე თავი) კი წერს, რომ წმ. საჰაკმა და მესროპმა ბერძნულიდან შეასრულეს სახელდახელო თარგმანები. სტ. მალხასიანის ვარაუდით, მამტოცის მიერ ახალი აღთქმის თარგმნის შესახებ ცნობა მოგვიანებით არის ჩამატებული (Մալխասյան 1981: 385-386, ბან. 315).

კიდევ ერთი ფაქტობრივი განსხვავება, რომელიც მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიასა“ და კორიუნის „მამტოცის ცხოვრებას“ შორის შეინიშნება, ეხება მამტოცის სომხეთის ბერძნულ ნაწილში მოგზაურობას. ხორენელის „ისტორიაში“ აღწერილია საჰაკ კათალიკოსის მიერ მამტოცისა და თავისი შვილიშვილის ვარდანის ეპისტოლეებით გაგზავნა ბიზანტიაში თეოდოსი კეისართან და ეპისკოპოს ატიკოსთან. კორიუნის თხზულება ამ ფაქტს არ ასახელებს.

მოსე ხორენელის „ისტორიის“ ამ მონაკვეთში ორი ადგილი იქცევს ჩვენს ყურადღებას:

1. საჰაკ კათალიკოსი თეოდოსი კეისრისადმი გაგზავნილ ეპისტოლეში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სომხეთის ბერძნულ ნაწილში ²¹ არ შეიწყნარეს ის ანბანი, რომელიც მამტოცმა დიდი ძალისხმევით მოიპოვა ასურელთა ქვეყანაში.

«Այնչափ աստեցեալ զմեզ, մինչև զնշանագիրս անգամ ոչ ընկալան, զորս եբեր նոյն այր՝ զոր առաքելի առ ձեր բարեբարութիւնդ, բազում անգամ ճգնեալ դորս յԱսորոց աշխարհին» (Աբելյան... 1991: 333): [„მათ იმდენად ვეჯავრებით ჩვენ, რომ უარი თქვეს იმ ანბანის შეწყნარებაზეც, რომელიც მოიტანა იმავე კაცმა, რომელიც გამოგვგზავნე თქვენს უკეთილშობილებასთან. მან [ეს ანბანი] დიდი შრომით [მოიპოვა] ასურთა ქვეყანაში“].

2. კეისარი საჰაკისადმი გაგზავნილ საპასუხო ეპისტოლეში კი საუბრობს ზეციური მადლით მიღებული დამწერლობის შესახებ: «բայց զի յետոյ պատմեաց մեզ Մեսրոպ, եթէ կատարումն արուեստիդ ի շնորհաց վերնոյն եղև՝ գրեցաք՝ զի ամենայն փութով ուսցին, և զքեզ պատուեալ ընկալցին՝ որպէս զարդարս վարդապետ իւրեանց, հանգոյն արքեպիսկոպոսին Կեսարու...» (Աբելյան... 1991: 335): [„მას შემდეგ რაც მოგვითხრო მესროპმა, რომ სრულყოფილი ხელოვნება ზეგარდმო მადლით

²¹ ცნობილია, რომ 387 წელს სომხეთი ორ ნაწილად გაიყო: აღმოსავლეთ სომხეთი სპარსეთის, დასავლეთ სომხეთი კი – ბიზანტიის დაქვემდებარების ქვეშ მოექცა.

მოგენიჭათ, მივწერეთ, რათა დიდი გულმოდგინებით შეისწავლონ იგი და შენ პატივით შეგიწყნარონ, როგორც მათი ჭეშმარიტი მოძღვარი, კესარიის არქიეპისკოპოსის მსგავსად“.]

აღნიშნული მონაცემები ეწინააღმდეგება ერთმანეთს: ერთ შემთხვევაში გვაქვს სომხური ანბანის მოტანა სირიელთა ქვეყნიდან (აქ დანიელ ეპისკოპოსის ანბანი უნდა ვიგულისხმოთ), მეორე შემთხვევაში კი – ზეციური ხილვით ანბანის შექმნა. ჰრ. აჭარიანის აზრით, თეოდოსი კეისარს, ეპისკოპოს ატიკოსსა და საჰაკ კათალიკოსს შორის მიმოწერა სიმართლეს არ შეესაბამება (Աճառյան 1956: 42-44).

მოსე ხორენელი თავის თხზულებას კორიუნის მსგავსად საჰაკისა და მაშტოცის გარდაცვალების ამბის თხრობით ამთავრებს.

რომელი წყაროებით ისარგებლა მოსე ხორენელმა „ისტორიის“ წერისას? არსებობს მოსაზრება, რომ მოსე ხორენელს უნდა ესარგებლა კორიუნის „მაშტოცის ცხოვრებით“. ისტორიკოსი ზოგჯერ მის ციტირებას ახდენს, ზოგჯერ კი თავისი შეხედულებისამებრ ამატებს ცნობებს (Անსანსიანი 1962: 208). თუმცა ლაზარე ფარპელისგან განსხვავებით, კორიუნს წყაროდ არ ასახელებს, აღნიშნავს, „როგორც გავიგეთ სარწმუნო კაცთაგან“-ო. მხოლოდ ერთგან ახსენებს კორიუნს, როდესაც კორიუნისა და ლევონდის ბიზანტიაში წასვლის შესახებ გვიამბობს. მკვლევართა მოსაზრებით, მოსე ხორენელს ხელთ უნდა ჰქონოდა A და C რედაქციისაგან სრულიად განსხვავებული რედაქცია, ან შესაძლოა ისტორიკოსი ზეპირ გადმოცემებზე დამყარებულ ცნობებს გვაწვდიდეს. თხზულებაში „მესროპ“ ფორმის გამოყენება მის გვიანდელიობაზე მიუთითებს (ჯავახიშვილი 1935: 156).

შეიძლება ითქვას, რომ მოსე ხორენელისა და კორიუნის თხზულებათა მაშტოცის შესახებ თხრობის ძირითადი იდეა ერთია. ორივე ავტორის მიზანია მაშტოცის წარმოჩენა სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის ქვეყნების განმანათლებლად და მათთვის დამწერლობათა შემქმნელად. თუმცა, ამ იდეის განსახორციელებლად მოსე ხორენელისა და კორიუნის მიერ გადმოცემული ამბები იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ საქმე გვაქვს ორ სრულიად განსხვავებულ წყაროსთან.

მეცნიერები, რომლებიც მოსე ხორენელის თხზულებას სანდო წყაროდ მიიჩნევენ, თხზულების შეფასებისას, ითვალისწინებენ მის ხასიათს. არ. მათევოსიანი აღნიშნავს, რომ პირველწყაროსგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ ჰაგიოგრაფიაა და ეძღვნება მაშტოცს და მის მიერ ანბანის შექმნას, მოსე ხორენელის თხზულება სომხეთის ათასწლეულების ზოგადი ისტორიაა. მასში მაშტოცის ცხოვრება და მოღვაწეობა იმ დროის მოვლენებთან კავშირშია წარმოდგენილი. მოსე ხორენელის ისტორიას აქვს თავისი განლაგების პრინციპები. ითვლება, რომ იგი ცხოვრობდა იმ დროს, როდესაც გავრცელებული იყო სომხური დამწერლობის შექმნის საყოველთაო მოძრაობა, იყო მოწაფე მაშტოცისა და მისგანვე ჰქონდა ცოდნა სომხური ანბანის შექმნის შესახებ. მან ბევრი რამ იცოდა ასევე მაშტოცის უფროსი მოწაფეებისგან და ბოლოს, ისარგებლა კორიუნით. ერთ შემთხვევაში გვაქვს ჰაგიოგრაფია, მეორე შემთხვევაში კი – ისტორია, სადაც, ბუნებრივია, გამორჩევა ფაქტები, შემოკლდება, ხან დაემატება. მნიშვნელოვანია ასევე თხზულებების შემდგომი ბედი – გამოყენების რაოდენობა, გადაწერის სიხშირე. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ კორიუნისა და მოსე ხორენელის თხზულებები დაიწერა V საუკუნეში, მას შემდეგ მრავალჯერ გადაიწერა, განსაკუთრებით ხორენელის ნაშრომი, რადგან იგი იქცა სახელმძღვანელოდ, ხშირად გადაიწერებოდა ნაკლებად განათლებული გადამწერების მიერ და ამ შემთხვევაში მოსალოდნელია კიდევ ტექსტის დამახინჯება (Մաքևոսյան 1990: 101). მკვლევრები ამგვარად ცდილობენ, გაამართლონ კორიუნისა და მოსე ხორენელის თხზულებათა განსხვავებანი.

გრ. ხალათიანის აზრით, მოსე ხორენელმა დაწერა ისტორია საკუთარი დამატებებითა და ცვლილებების შეტანით: სპარსეთის მეფის ვრამის ბრძანებით ვრამშაპუკის შუამდინარეთში გამგზავრება, დანიელ ეპისკოპოსის დახმარებით აბელის მიერ ანბანის მოწესრიგება – ეს ცნობები არ დასტურდება კორიუნის C რედაქციაში, რომელიც მოსე ხორენელის გავლენას განიცდის. მაშტოცის მოგზაურობა შუამდინარეთში, შეხვედრა დანიელ ეპისკოპოსთან, ედესაში წარმართი პლატონის ნახვა, ეპიფანეს ძებნა, რუფინოსთან შეხვედრა, რაც მთავარია, საოცარი ხილვა, ქვაზე გამოსახული ხმოვნები, ძველი და ახალი აღთქმის თარგმნა, ამ

ცნობებს გრ. ხალათიანი მოსე ხორენელის გამოგონებად მიიჩნევს (Исаакиан 1904p: 361-367).

მოსე ხორენელის თხზულებაში მაშტოცის შესახებ თხრობა ყურადღებას იქცევს იმ თვალსაზრისითაც, რომ სომხური ანბანის შექმნა ერთადერთი თემაა, რომელიც წარმოდგენილია არა ერთნაირად, ერთ-ორ ან სამ თავში თანმიმდევრობით, არამედ გაბნეულია 11 თავში – ჩართულია სხვადასხვა თემაში. ამასთან დაკავშირებით არ. საჰაკიანი აღნიშნავს, რომ მსგავსი თხრობითი სტილი უჩვეულოა ხორენელისათვის და მისი ისტორიის სტრუქტურისათვის. მისი აზრით, მოსე ხორენელის ისტორიაში რაიმე ლოგიკური ან ინფორმაციული ხასიათის დაპირისპირების აღმოჩენა უნდა აიხსნას ტექსტის ცვლილებით. ამდენად, თუკი გვაქვს ხშირი აცდენები, ან არის ინფორმაციული და სტილისტური ტავტოლოგია, როგორც ეს უხვად არის მაშტოცის შესახებ თხრობით ნაწილში, უნდა ვიმსჯელოთ ტექსტის გადაკეთებასა და დამახინჯებაზე (Մահակյան 2012: 52-53).

არ. საჰაკიანის მოსაზრებით, თუკი მოსე ხორენელის „ისტორიიდან“ ამოვიღებთ მაშტოცის შესახებ თხრობას, მაშინ მაშტოცისა და ანბანის აღმოჩენის ისტორიიდან დარჩება სწორედ მოკლე და ნამდვილი ინფორმაცია. მიუხედავად ხორენელის თხზულების ამგვარი შეფასებისა თუ კრიტიკისა, მკვლევარი ქართული და ალბანური ანბანების გამოგონების ისტორიის თხრობას მოსე ხორენელის კალამს მიაკუთვნებს და აღნიშნავს, რომ ამ ნაწილში შეინიშნება სტილისტური შეუთავსებლობა და ინფორმაციული ტავტოლოგია სხვა ნაწილებთან, რომლებიც რედაქტორის მიერ მაშტოცის შესახებ არის ჩამატებული (Մահակյան 2012: 59), რაც, ჩვენი აზრით, სიმართლეს არ შეესაბამება. ამ შემთხვევაშიც ვერ ახერხებს არ. საჰაკიანი გამოვიდეს სომეხ მეცნიერთა იმ მისწრაფებიდან, რომლის მიზანია მაშტოცი წარმოგვიდგინოს ქართული და ალბანური ანბანების შემქმნელად.

მეცნიერთა ნაწილი მოსე ხორენელის განსხვავებულ ცნობებს კორიუნის მცდარად გაგებით ხსნის. ეს მოსაზრება უპირისპირდება მოსე ხორენელის იმ ბიოგრაფიულ ცნობას, სადაც იგი თავს მაშტოცისა და საჰაკის მოწაფეს უწოდებს: სასულიერო მწერლობის ძეგლთა სრულყოფილი სომხური თარგმანების

შესასრულებლად აუცილებელი იყო სომეხი სწავლულები დაუფლებოდნენ ბერძნულ ენას და გაცნობოდნენ ბერძნულ კულტურას. ამ მიზნით საჰაკსა და მაშტოცს 20-25 წლის ასაკში მოსე ხორენელი რამდენიმე სხვა ახალგაზრდასთან ერთად სწავლის გასაგრძელებლად გაუგზავნიათ ეგვიპტეში, ქალაქ ალექსანდრიაში. ალექსანდრიაში მოსე ხორენელს საფუძვლიანად შეუსწავლია ბერძნული ენა და ლიტერატურა, რიტორიკა, გრამატიკა და სხვა „ხელოვნებანი“, გაულრმავებია სომხეთში მიღებული განათლება (აბდალაძე 1984: 5). ჰრ. აჰარიანი, მოსე ხორენელის ალექსანდრიაში გამგზავრებას გამოგონილს უწოდებს (Աճառյան 1961: 35).

უნდა ითქვას, რომ არა მხოლოდ მაშტოცის შესახებ თხრობითი ნაწილის, არამედ, ზოგადად, მოსე ხორენელის თხზულების კვლევამ აჩვენა, რომ ისტორიკოსი ხშირად თავისი შეხედულებისამებრ ამატებს ან ცვლის ისტორიას. მის ხელთ არსებული მონაცემებიდან იგი მუდამ იმ ვერსიას მისდევს, რომელიც ხოტბას ასხამს სომხებს და ისტორიულ მოვლენებში ამალღებულად წარმოაჩენს მათ (Մարգարյան 1956: 42).

მოსე ხორენელი არ არის კომპილატორი, რომელიც თავის მიერ შეკრებილ მასალას თანმიმდევრობით გადმოსცემს, არამედ იგი მის ხელთ არსებულ მონაცემებს რედაქციას უკეთებს და ამუშავებს თავისი დროის მოვლენების შესაბამისად (მეცნიერთა ერთი ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, ხორენელს IX საუკუნით ათარიღებს (Thomson 1980: 1-8). ეს ხშირად ართულებს ხორენელის „ისტორიის“ კვლევა-ძიების საქმეს, ვინაიდან, ძნელია იმის დადგენა, თუ სად მთავრდება მასალის თხრობა და სად იწყება ავტორის ჩარევა. ერთი რამ ცხადია, თუკი სომხური ანბანის შექმნის ასეთ მნიშვნელოვან მოვლენას მცდარად გვაწვდის მოსე ხორენელი და მისი მიბაძვით შემდგომი ხანის სხვა ავტორები, ვერც ქართლსა და ალბანეთში მაშტოცის მოღვაწეობის ამსახველ ცნობებს მივიჩნევთ სანდო წყაროდ.

მოსე კალანკატუელი

მოსე კალანკატუელის „ალბანთა ქვეყნის ისტორია“ სომხური საისტორიო მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლია, რომელშიც აღწერილია ალბანეთის რელიგიური და სოციალურ-პოლიტიკური საკითხები უძველესი დროიდან X საუკუნის ბოლომდე. თხზულება სამი ნაწილისაგან შედგება: პირველ და მეორე ნაწილში მოთხრობილი ისტორია მოიცავს უძველესი ხანიდან VII საუკუნის ჩათვლით პერიოდს, მესამე ნაწილში კი VIII-X საუკუნეების ამბებია გადმოცემული. „ალბანთა ქვეყნის ისტორია“ არაერთხელ გამხდარა მკვლევართა ინტერესის საგანი, მრავალი სამეცნიერო ნაშრომი ეძღვნება თხზულების დაწერის დროისა და ავტორის თუ ავტორთა ვინაობის საკითხის გამორკვევას. „ალბანთა ქვეყნის ისტორია“ იმ სახით, როგორი ფორმითაც მან ჩვენამდე მოაღწია, ერთ მთლიან ნაწარმოებად X საუკუნეში ჩამოყალიბდა, თუმცა წერა გაცილებით ადრე, VII საუკუნეში უნდა დაწყებულიყო. წყაროთა განსხვავებული მონაცემების გამო, სამეცნიერო ლიტერატურაში ვარაუდებიც სხვადასხვაგვარად არის გამოთქმული (Dowsett 1961: XV-XVIII; დავლიანიძე-ტატიშვილი 1985: 10-11). ყველაზე გავრცელებული მოსაზრებით, თხზულების პირველი და მეორე ნაწილის ავტორად ითვლება მოსე კალანკატუელი, რომელმაც თავისი ნაწარმოები VII საუკუნეში დაწერა, ხოლო X საუკუნეში მესამე ნაწილი დაამატა და თხზულებას საერთო რედაქცია გაუკეთა მოსე დასხურანელმა (Առաքելյան 1983: Ե-ԼԳ).

ჩვენი ინტერესის საგანია თხზულების ის ნაწილი, რომელიც მამტოცის ისტორიას ეხება. მამტოცის მოღვაწეობის შესახებ საუბარია „ალბანთა ქვეყნის ისტორიის“ პირველ და მეორე წიგნში ანუ იმ ნაწილში, რომელსაც მოსე კალანკატუელის კალამს მიაკუთვნებენ. ჩვენც თხზულების პირველი და მეორე წიგნის ავტორს ტრადიციულად მოსე კალანკატუელს ვუწოდებთ.

მოსე კალანკატუელის თხზულებაში მამტოცის შესახებ სხვადასხვა ცნობებია დაცული, რომლებსაც, ფაქტობრივი მასალის მიხედვით, პირობითად ორ ნაწილად დავაჯგუფებთ: 1. ცნობები, რომლებსაც ზეპირსიტყვიერების გზით მოთხრობილი

ამბები შეიძლება ეწოდოს; 2. ცნობები, რომლებიც კონკრეტულ ისტორიულ წყაროს ეფუძნება.

მაშტოცის მოღვაწეობის შესახებ პირველი სახის ცნობები გაბნეულია „ალბანთა ქვეყნის ისტორიის“ ორივე წიგნში. პირველ წიგნში (27-ე, 28-ე, 29-ე თავები) მოთხრობილი ამბების მიხედვით, მაშტოცი მოსალოცად წმინდა ქალაქ იერუსალიმში გაემგზავრა. იქიდან მოწაფეებთან ერთად დაბრუნდა, თან ჩამოიტანა ვერცხლის ჯვარი, რომელშიც იყო უფლის ჯვრის წმინდა ნაწილი. მოვიდა უტისა და ალბანეთის მხარეებში ქრისტიანობის საქადაგებლად, დაემკვიდრა გიშად წოდებულ ადგილას, განაახლა ეკლესია და განამტკიცა სარწმუნოება, უტიელთა, ალბანთა, ლფინთა და კასპთა, ასევე სხვადასხვა ტომთა შორის სახარებას ქადაგებდა, გარგარები, კამჭები და ჰეფთალები ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოაქცია და ასწავლა ღვთისმსახურების წესი, რაც უწინაც იცოდნენ, მაგრამ დავიწყებული ჰქონდათ. მაშტოცი იყო მქადაგებელი და მოციქული მთის ბარბაროსი ტომებისა და აცნობდა მათ ყოველივეს მათი ენის დამწერლობით (Առաքելյան 1983: 95-96).

ამის შემდეგ თხზულებაში გადმოცემულია, თუ როგორ ამოთხარა მიწა მაშტოცმა და იქ წმინდა ჯვარი დამალა მოძალადეებისაგან დასაცავად. ამ ადგილას დატოვა თავისი მოწაფეები, რომლებმაც სწორედ აქ მიიღეს მოწამეობრივი გვირგვინი. გარკვეული პერიოდის შემდეგ ჯვრის სავანეზე საძირკველი ჩაყარეს და ეკლესია ააშენეს, რომელსაც გიშის „ძველ ეკლესიას“ უწოდებდნენ (Առաքելյան 1983: 96-97).

თავად მაშტოცს რა ბედი ეწია, ალბანეთიდან წავიდა თუ იქვე განაგრძო მოღვაწეობა, ამის შესახებ თხზულებაში არაფერია ნათქვამი. მაშტოცის მოწაფეთა შესახებ მომდევნო თხრობიდან ირკვევა, რომ იგი უკვე გარდაცვლილია: მოძღვრის აღსრულების შემდეგ მოწაფეები გაემართნენ იერუსალიმისაკენ, წმინდა პატრიარქს უამბეს მაშტოცის მოღვაწეობის, მისი სათნოებისა და სასწაულების შესახებ. იერუსალიმის პატრიარქმა მათ თან სამი ღვთისმოსავი კაცი გამოაყოლა. მათგან

ერთს სახელად ათანასე ერქვა, რომელიც დიდი თხოვნით წაიყვანეს ალბანეთში, ეკლესიის წინამძღვრად რომ აერჩიათ (Առաքելյան 1983: 97-99).

თხზულების მეორე წიგნში (29-ე, 30-ე, 31-ე და 33-ე თავები) გადმოცემულია ისრაელ მონაზონის ხილვა წმინდა მამტოცზე, მისი მოწაფეების მოწამეობრივ აღსასრულზე, აქვე აღნიშნულია გიშში მამტოცის წმინდა ჯვრის პოვნის შესახებ, რომელსაც ზედ თანაბარი ზომის სომხური, ბერძნული და სირიული წარწერა ჰქონია (Առաքելյან 1983: 201-220).

„ალბანთა ქვეყნის ისტორიაში“ დაცული ეს ამბები პირდაპირ თუ ირიბად მამტოცის სახელთან არის დაკავშირებული და, რაც მთავარია, სხვა წყაროებით არ დასტურდება. ჰრ. აჭარიანის აზრით, ავტორს ეს ცნობები სხვა წერილობითი ძეგლებიდან უნდა შეეკრიბა, რომლებიც, როგორც ჩანს, მცირე რაოდენობით ²², მაგრამ მაინც არსებობდა ალბანეთის სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებში. თუ რამდენად პატიოსანი და ობიექტური იყო მოსე კალანკატუელი მის ხელთ არსებული წყაროს გამოყენებისას, ძნელია ამის თქმა, მაგრამ რადგან ისტორიკოსი ხშირად მითიურ ისტორიებს გვიამბობს, ამიტომ მის მიერ გადმოცემულ ამბებს, როგორც სომეხი მეცნიერი აღნიშნავდა, დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთო (Աճառյան 1968: 42-43).

ივ. ჯავახიშვილი მოსე კალანკატუელის თხზულების სათაურებს, ჩანს, სხვათა შეთხზულად მიიჩნევდა. მისი შეფასებით, კალანკატუელის ცნობათა სხვა წყაროებთან შეუსაბამობას ძველი სომეხი მწიგნობარ-გადამწერნიც რომ კარგად ხედავდნენ, ეს ჩანს პირველი წიგნის 27-ე და 28-ე თავების სათაურებიდან: *«Յադազս սրբոյն Մեսրոպայ և ընկերաց նորա պատմութիւն վիպասանաբար»* – „წმინდა

²² ალბანურ ენაზე წიგნების არსებობის შესახებ ცნობები თვით მოსე კალანკატუელის ისტორიამ შემოგვინახა. ისტორიის თანახმად, ალბანეთის საკათალიკოსო ტახტის მკვრობელი ერთხანს იყო ქალკედონიტი ნერსე. სომხეთის კათალიკოსის ელიას დამხარებით იგი ტახტიდან ჩამოაგდეს და გადასახლებას უპირებდნენ, მაგრამ ნერსემ ვერ გაუძლო ტანჯვას და გარდაიცვალა. ახლადარჩეულმა კათალიკოსმა სიმეონმა ეკლესიიდან აღკვეთა ნერსეს მიერ დადგენილი წესები, ასევე ნერსეს შეგროვებული ქალკედონური „წიგნები, რომლითაც სავსე იყო ზანდუკი, წაიღეს და მთლიანად მდინარე ტრტუში ჩაყარეს, მის საზაფხულო სადგომთან, რომელსაც ბერდაკური ეწოდებოდა“ (Առաքելյան 1983: 297). „წიგნებით სავსე ზანდუკები“ დიდი რაოდენობით ალბანური წიგნების არსებობაზე მიუთითებს. ამასვე ადასტურებს სინას მთაზე ალბანური პალიმფსესტების აღმოჩენა (Gippert... 2007b).

მესროპისა და მის მეგობართა შესახებ ეპიკური ისტორია“; «Շարագրած յաղագս աշակերտացն սրբոյն Մաշտոցի ընդ ներգոյս գրուցատրաբար» – „ქვემოთ თქმულებად მოთხრობილი წმინდა მამტოცის მოწაფეების შესახებ“ (ჯავახიშვილი 1935: 178).

ეპიკური ისტორიების გარდა, როგორც აღვნიშნეთ, მოსე კალანკატუელის თხზულებაში მამტოცის შესახებ გადმოცემულია ისეთი ამბები, რომლებიც სხვა წერილობით ძეგლებშიც გვხვდება. თხზულების მეორე წიგნის მესამე თავი მთლიანად მამტოცის ალბანეთში მოღვაწეობას ეძღვნება. მასში აღწერილია სომეხი მოღვაწის მისვლა ალბანთა მეფის კარზე, ქრისტიანული მოძღვრების გავრცელება და ბენიამინ მთარგმნელის დახმარებით ალბანური დამწერლობის შექმნა: „იმ დროს, როდესაც ბერძენთა იმპერატორი იყო თეოდოსი მცირე, სომხეთის მეფე ვრამშაკუპი, სპარსეთის მეფე იეზდიგერდი და ალბანეთის მეფე არსვალენი, მოვიდა ალბანეთში ნეტარი მესროპი, დიდად ნაღვაწი რჩეული ჭურჭელი სული წმიდისა, ჩვენს პატრიარქ ერემიასთან და მეფე ესვალენთან. მათ ნებით იტვირთეს მისი მოძღვრება, რადგანაც მას მინიჭებული ჰქონდა ღვთიური მადლი, მისი ხელით სული წმინდამ სომხებსა და ქართველებს დამწერლობა მისცა. მათ მოიწონეს და გადასცეს [მას] სწავლაში გამორჩეული ყრმები. სივნიეთიდან იხმეს ბენიამინ მთარგმნელი, რომელიც ჭაბუკმა ვასაკმა ანანია ეპისკოპოსის საშუალებით გამოგზავნა. და მივიდნენ ისინი მესროპთან, მათ შექმნეს დამწერლობა გარგარების ხორხისმიერი, ხშული, მკაცრი და უხეში ენისათვის. [მესროპმა] აქ ზედამხედველად დატოვა თავისი მოწაფე იონათანი, სამეფო სახლში მღვდლები განაწესა და დაბრუნდა სომხეთში. შემდეგ გადავიდა ბიზანტიაში თეოდოსი კეისართან და იქიდან კვლავ მიმოდოდა მოწაფეებთან ერთად. შეიტყო, რომ გარდმანში დარჩენილიყო წარმართული მწვალებლობა, დაბრუნდა სივნიეთიდან და მოვიდა გარდმანის მთავარ ხურსთან. მისი საშუალებით მოაქცია ისინი, თვითონ კი გაემართა ქართველთა პიტიახშის არმუშას მოწოდების გამო მისივე საქმისათვის.

ამავე დროს გამოჩნდა წყეული ნესტორი, რომელიც ორასმა მამამ დაგმო ეფესოში. იეზდიგერდ II-ის მეფობის პირველ წელს, ნავასარდის თვის ბოლოს მიიცვალა წმინდა საჰაკი, ხოლო ექვსი თვის შემდეგ ქალაქ ვადარშაკატში აღესრულა

ნეტარი ვარდაპეტი მესროპი, რომელიც წმინდანთა შორის განისვენებს...“ (Առաքելյան 1983: 117-118).

მოსე კალანკატუელი „ალბანთა ქვეყნის ისტორიის“ ორივე წიგნში ერთსა და იმავე პიროვნებაზე საუბრობს, თუმცა გადმოცემული ამბები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან: თხზულების იმ ნაწილში, სადაც V საუკუნის სომეხი მოღვაწე ქრისტიანობის მქადაგებლად და ალბანელი ხალხის მომაქცევლად წარმოგვიდგება, ყველგან მაშტოცად მოიხსენიება. მართალია, ერთგან პირველი წიგნის 27-ე თავის სათაურში წერია „წმინდა მესროპის შესახებ“-ო [«Յաղագս սրբոյն Մեսրոպայ»], მაგრამ ეს მხოლოდ სათაურშია და ტექსტში ყველგან მაშტოცი ეწოდება. შესაძლოა, სათაურში მაშტოცის ნაცვლად მესროპის არსებობა გვიანდელი გადამწერის ან რედაქტორის ჩარევის შედეგი იყოს. მეორე წიგნის მესამე თავში აღწერილი ამბები კი – ალბანური დამწერლობის შექმნა და გავრცელება – მესროპის სახელს უკავშირდება. ერთი პიროვნების ორი სახელით მოხსენიების გამო ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ მოსე კალანკატუელს ან თხზულების კომპილატორს მაშტოცის ამბების გადმოცემისას ორი განსხვავებული წყარო უნდა ჰქონოდა ხელთ (ჯავახიშვილი 1935: 174).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მესროპი გვიანდელი სახელია და VII საუკუნეშიც კი არ გამოიყენებოდა. ამიტომ თხზულების მეორე წიგნის მესამე თავი, სადაც მესროპის მიერ ალბანური ანბანის შექმნაა აღწერილი, გვიანდელ წყაროს უნდა ემყარებოდეს.

რა წყაროთი შეიძლებოდა ესარგებლა მოსე კალანკატუელს ან თხზულების რედაქტორს ისტორიის ამ ნაწილის შექმნისას? მკვლევართა ერთ ნაწილს წყაროდ კორიუნთ მიაჩნია, მეორე ნაწილს კი – მოსე ხორენელი²³.

²³ ჰრ. აჭარიანის თვალსაზრისით, მოსე კალანკატუელის მეორე წიგნის ცნობა სიტყვასიტყვით მიჰყვება მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიას“. სომეხი მკვლევარი საუბრობს რა მაშტოცის მიერ ალბანეთსა და ბალასაკანის მხარეში ქადაგების შესახებ, სრულად მოჰყავს ციტატა ხორენელის თხზულებიდან. მკვლევრის აზრით, მსგავსება ამ ცნობებს შორის იმდენად დიდია, რომ საჭიროდ არ თვლის დამოუკიდებლად განიხილოს „ალბანთა ქვეყნის ისტორიის“ მონაცემები (Աճառյան 1968: 222-223).

კორიუნის „მამტოცის ცხოვრებიდან“ ვიცით, რომ მამტოცი ალბანეთში წავიდა მას შემდეგ, რაც სომხეთის ბერძნულ ნაწილში გაავრცელა თავისი სწავლება, შეხვდა ალბანეთის მეფესა და ეპისკოპოსს და მათაც გააცნო თავისი მოძღვრება. მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიაში“ კი მამტოცი ქართლში მოღვაწეობის დასრულებისთანავე მიემართება ალბანეთის მხარეში (Աբելյან... 1991: 328-329).

„ალბანთა ქვეყნის ისტორიის“ ცნობები ამ მხრივ განსხვავდება ორივე წყაროსგან. პირველი ნაწილის მიხედვით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მამტოცი იერუსალიმიდან მოდის ალბანეთში ქრისტიანობის გასავრცელებლად, მეორე ნაწილში კი სრულებით არ ჩანს, რა მარშრუტი განვლო მამტოცმა ალბანეთში მისვლამდე: *„იმ დროს, როდესაც ბერძენთა იმპერატორი თეოდოსი მცირე იყო, სომეხთა მეფე – ვრამშაპუკი, სპარსთა მეფე – იეზდიგერდი, ხოლო ალბანთა მეფე – ესვალენი, მოვიდა ალბანეთში ნეტარი მესროპი – სულიწმინდას მრავალნაღვაწი რჩეული ჭურჭელი, ჩვენს პატრიარქ ერემიასთან და მეფე ესვალენთან...“* (Առաքելյան 1983: 117).

მოსე კალანკატუელი მამტოცის მიერ ალბანური დამწერლობის შექმნის ისტორიას კორიუნისგან განსხვავებულად გადმოგვცემს. კორიუნის თხზულებაში მამტოცი ბენიამინის დახმარებით ქმნის ალბანურ ანბანს სომხეთის ბერძნულ ნაწილში ქადაგების დროს და ამის შემდეგ მიდის ალბანეთში მეფე არსვალენთან და იერემია ეპისკოპოსთან, წარუდგენს მათ ალბანურ დამწერლობას და სწორედ მათი ხელშეწყობით ავრცელებს თავის სწავლებას მთელს ქვეყანაში: *„თვალის დახამხამებაში ველური, ზარმაცი და პირუტყვთა მსგავსი ალბანეთის ქვეყანა წინასწარმეტყველთა, მოციქულთა მცოდნე და სახარების მემკვიდრე ხდებოდა, ღვთიური გადმოცემებიდან არაფერი [დარჩა] შეუმეცნებელი. და კვლავ, ალბანეთის ღვთისმოშიშმა მეფემ უფრო მეტი ერთგულებით მკაცრად უბრძანა სატანის მიმდევარ და ეშმაკის მსახურ ხალხს, განშორებოდნენ და გათავისუფლებულიყვნენ ძველი ფუჭი საქმეებისაგან და დამორჩილებოდნენ ქრისტეს ყველაზე სასურველ უღელს“* (Աբելյან 1981: 118-120).

მოსე კალანკატუელის თხზულებაში კი მაშტოცი ალბანურ ანბანს ალბანეთში ყოფნისას ქმნის. კალანკატუელის ეს ცნობა ახლოს დგას მოსე ხორენელის ნარატივთან. ალბანელი ხალხის ენაც კი ერთნაირად არის დახასიათებული ორივე წყაროში:

მოსე კალანკატუელი „ალბანთა ქვეყნის ისტორია“	მოსე ხორენელი „სომხეთის ისტორია“
<p>«Հաճեցան և ետուն մանկունս ընտիրս յուսումն. և զԲենիամին թարգման կոչեալ ի Սիւնեաց, զոր Վասակ Մանուկ ի ձեռն Անանիի եպիսկոպոսին արձակեաց: Եւ նորա եկեալ առ Մեսրոպ և <i>նորք ստեղծ գնշանագիրս կոկորդախօս, աղխագուր, խժական, խեցբեկագունի լեզուին Գարգարացոց</i>: Թողու աստ վերակացու գաշակերտն իւր Յովնաթան, և ի տան թագաւորի կարգեալ քահանայս՝ դառնայ ի Հայս» (Առաքելյան 1983: 117-118):</p> <p>„მათ [მეფემ და ეპისკოპოსმა] მოიწონეს და მისცეს სწავლაში გამორჩეული ყრმები. სივნიეთიდან იხმეს ბენიამინ მთარგმნელი, რომელიც ჭაბუკმა ვასაკმა ანანია ეპისკოპოსის საშუალებით გამოგზავნა. და მივიდნენ ისინი მესროპთან, <i>მათ შექმნეს დამწერლობა გარგარების ხორხისმიერი, არაკეთილზმოვანი, მკაცრი და უხეში ენისათვის.</i> [მესროპმა] აქ</p>	<p>«... որոց կამაւ յանձն առեալ զվարդապետութիւն նորա, ետուն մանկունս ընտիրս: Եւ կոչեալ զԲենիամին ուն շնորհաւոր թարգման, զոր անդանդաղ արձակեաց մանուկն Վասակ Սիւնեաց տէր՝ ի ձեռն Անանիայի եպիսկոպոսի իւրոյ. <i>որովք ստեղծ գնշանագիրս կոկորդախօս աղխագուր խժական խեցբեկագունին այնորիկ գարգարացոց լեզուին</i>: Եւ վերակացու թողեալ գաշակերտ իւր զՅովնաթան, միանգամայն և քահանայս կացուցեալ դրանն արքունի, ինքն դառնաց ի Հայս» (Աբելյան... 1991: 329).</p> <p>„მათ თავიანთი ნებით შეიწყნარეს მესროპის მოძღვრება და გადასცეს მას გამორჩეული ყრმები. [მესროპმა] მიიხმო ვინმე ბენიამინი, ნიჭიერი მთარგმნელი, რომელიც დაუყოვნებლივ გაუგზავნა მას სივნიეთის ხელისუფალმა, ჭაბუკმა ვასაკმა თავისი ეპისკოპოსის ანანიას თანხლებით. <i>მათი შეწევნით [მესროპმა]</i></p>

<p>ზედამხედველად დატოვა თავისი მოწაფე იონათანი, სამეფო სახლში მღვდლები განაწესა და დაბრუნდა სომხეთში.“</p>	<p><i>შექმნა ანბანი გარგარელთა ხორხისმიერი, არაკეთილხმოვანი, მკაცრი და უხეში ენისათვის.</i> მან იქ მეთვალყურედ დატოვა თავისი მოწაფე იონათანი, განაწესა აგრეთვე სამეფო კარის ხუცესნი, თავად კი სომხეთში დაბრუნდა.“</p>
--	---

„ალბანთა ქვეყნის ისტორიის“ ცნობით, ალბანეთიდან სომხეთში დაბრუნებული მამტოცი ბიზანტიაში მიემგზავრება, იქიდან კი გარდმანის გავლით მიდის არშუმა პიტიახშთან, რომელმაც თავად მოუწოდა მამტოცს: *„შემდეგ გადავიდა ბიზანტიაში თეოდოსი მეფესთან. იქიდან დაბრუნებული დადიოდა მოწაფეებთან ერთად. შეიტყო, რომ გარდმანში დარჩენილიყვნენ წარმართები. მიბრუნდა სივნიეთიდან და წავიდა გარდმანის იშხან ხურსთან. მისი საშუალებით მოაქცია ისინი, ხოლო თვითონ გაეშურა ქართველთა ბდეშხის, აშუმას მოწოდების თანახმად, მისივე საქმის გამო“* (Առաքելյան 1983: 118).

მოსე კალანკატუელის ისტორია ამ მხრივაც განსხვავდება კორიუნის თხზულებისაგან (კორიუნის ცნობით, მამტოცი ალბანეთიდან პირდაპირ ქართლში მიემართება) და ახლოს დგას მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიაში“ აღწერილ ამბებთან, რომლის თანახმად, ალბანეთიდან სომხეთში დაბრუნებულ მამტოცს საკვავ კათალიკოსი თავის შვილიშვილთან ერთად გზავნის კონსტანტინოპოლში იმპერატორ თეოდოსისთან და ატიკოს პატრიარქთან. კონსტანტინოპოლიდან დაბრუნების შემდეგ იწყება ახალი ეტაპი მამტოცის მქადაგებლობითი მოღვაწეობისა: გოლთნი, ბალასაკანის მხარე, გარდმანი, აქედან ტამირის მთავარ არშუმასთან გადადის და კვლავ სომხეთში ბრუნდება (Աբელიანი... 1991: 333-336; 339-341). მოსე კალანკატუელის თხზულებაში მამტოცის მოღვაწეობის მასშტაბები შემცირებულია, თუმცა მოგზაურობის ძირითადი ხაზი მოსე ხორენელის „ისტორიას“ მიჰყვება.

„ალბანთა ქვეყნის ისტორიაში“ მამტოცის შესახებ თხრობა საჰაკ კათალიკოსისა და მამტოცის გარდაცვალების ამბით სრულდება: „*იეზდიგერდ II-ის მეფობის პირველ წელს, ნავასარდის თვის ბოლოს მიიცვალა წმინდა საჰაკი, ხოლო ექვსი თვის შემდეგ ქალაქ ვაღარშაპატში აღესრულა ნეტარი ვარდაპეტი მესროპი, რომელიც განისვენებს წმინდანთა შორის...*“

კორიუნის „მამტოცის ცხოვრებაში“ ვაღარშაპატი ნორ ქალაქად არის მოხსენიებული. მოსე კალანკატუელი ხორენელის მსგავსად ქალაქს, სადაც მამტოცი გარდაიცვალა, ვაღარშაპატს უწოდებს და თხრობას აქ ამთავრებს. მოსე ხორენელისგან განსხვავებით, ისტორიკოსი ვაღარშაპატიდან სოფელ ოშაკანში მამტოცის ნეშტის გადასვენების ფაქტს არ აღნიშნავს.

წარმოდგენილი მასალის ანალიზიდან თვალნათლივ ჩანს, რომ მოსე კალანკატუელის თხზულებაში დახასიათებული მამტოცი (მესროპი) სრულიად განსხვავდება კორიუნის მამტოცისაგან. „ალბანთა ქვეყნის ისტორიის“ პირველ ნაწილში მამტოცის შესახებ მოთხრობილი ამბები აღწერილი უნდა იყოს ალბანური ტრადიციის საფუძველზე. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, თხზულების პირველ ნაწილში სომეხ კომპილატორ ისტორიკოსს დაცული აქვს ალბანური საიტორიო წყაროს ნაწყვეტი, რომელშიც ეროვნულ-ისტორიული კონცეფციაა აღბეჭდილი ქრისტიანობის დასაწყისისა და მომდევნო ხანის შესახებ. ამას უნდა უპირისპირდებოდეს კალანკატუელის მეორე ცნობა მესროპის (მამტოცის – ხ.გ.) მიერ ალბანური ანბანის გამოგონების თაობაზე. თხზულების პირველ ნაწილში მხოლოდ ერთი წინადადებით არის ნათქვამი, რომ ერთმა მოძღვარმა, „რომელსაც მინიჭებული ჰქონდა ღვთიური მადლი, მისი ხელით სულიწმინდამ სომხებსა და ქართველებს დამწერლობა მისცა“-ო. ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით, ეს ცნობა სომეხი კომპილატორის გვიანდელ ჩანართს უნდა წარმოადგენდეს. მისივე აზრით, ალბანური ცნობით, მამტოცი ალბანეთის მქადაგებელ-განმანათლებელი გამოდის და არა მწიგნობარ-მთარგმნელი, როგორც ის კორიუნს ჰყავს დახასიათებული (ჯავახიშვილი 1935: 180).

„ალბანთა ქვეყნის ისტორიის“ იმ ნაწილისთვის, რომელშიც მაშტოცის მიერ ალბანური ანბანის შექმნასა და ქრისტიანობის გავრცელებაზეა საუბარი, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ წყაროდ მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“ გამოყენებული. თუ გავიზიარებთ მკვლევართა მოსაზრებას მოსე ხორენელის IX საუკუნეში მოღვაწეობის შესახებ (Thomson 1980: 1-8), მაშინ VII საუკუნეში მოღვაწე მოსე კალანკატუელს არ შეეძლო ესარგებლა მისი ნაშრომით. აქ ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ცნობები მოგვიანებით, მოსე ხორენელის მიხედვით შეიტანა მოსე დასხურანელმა – პირველი ორი თავის რედაქტორმა და მესამე თავის ავტორმა. მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც რჩება კითხვა, „ალბანთა ქვეყნის ისტორიის“ სრული ტექსტის ჩამომყალიბებელმა რატომ არ გაითვალისწინა, რომ ტექსტში აშკარა წინააღმდეგობა გაჩნდა (იგულისხმება მეორე წიგნის მესამე თავის ცნობების შეუსაბამობა დანარჩენ ტექსტთან)?!

ფილონ ტირაკელი

მაშტოცის საქმიანობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ფილონ ტირაკელის „ქრონოგრაფიაში“. თხზულება 68 წელს დაიწერა. თავდაპირველად იგი ბ. სარგისიანმა „ანონიმური ქრონოგრაფიის“ სახელით გამოაქვეყნა. სამეცნიერო წრეებში ამ საისტორიო ნაწარმოების ავტორად, ზოგჯერ კი რედაქტორად, ანანია შირაკელი იყო მიჩნეული (Մարգարյան 1904; Աբրահամյան 1944; Անասյան 1959: 732-733). მატენადარანის ხელნაწერებს შორის აღმოჩნდა „ქრონოგრაფიის“ შედარებით მოკლე, თუმცა განსხვავებული წაკითხვების მქონე ნუსხა (Mat. 5254), რომლის ავტორად ხელნაწერში ფილონი იყო დასახელებული. „ქრონოგრაფიის“ ძირითადი ნაწილი ბერძნულიდან არის თარგმნილი, თხზულების მხოლოდ მცირე ნაწილი ითვლება სომეხი მთარგმნელის საკუთარ ორიგინალურ შემოქმედებად. დღესდღეობით თხზულების კომპილატორ-მთარგმნელად და ორიგინალური ნაწილის ავტორად ანანია შირაკელის უმცროსი თანამედროვე – ფილონ ტირაკელია მიჩვეული (Յակոբյան 2005: 899-902). თხზულება ფილონ ტირაკელის

„ქრონოგრაფიის“ სახელით გამოქვეყნდა არსებული ხელნაწერების გათვალისწინებით (Φιλῖν... 2005).

„ქრონოგრაფია“ ერთ მცირე, თუმცა ძალიან საინტერესო ცნობას შეიცავს სომხური ანბანის წარმოშობის შესახებ:

«Թեոդոս Փոքր՝ որդի Արկադեայ՝ ասն ԼԷ: Իսկ ի ծնէ թագաւորեաց ասն ԾԲ: Ի սորա աւուրս էր սուրբ Սահակ՝ Հայոց հայրապետ, յորոյ աւուրս դպրութիւն հայերէն լեզուի. Ի՞նչ գրով ի Դանիելէ փիղիսոփայէ Ասորոյ կարգեցաւ, զոր ետ բերել Վռամշապուհ թագաւոր Վահրճայ նախարարի ձեռամբ՝ Հաբելի երիցու, իսկ զԷ գրոյն պակասութիւն Մեսրոպք երանելի, Հացեկաց Տարաւնոյ, յագատ տանէ, ասասւրեայ պահաւք եւ աղաւթիւք հանդերձ աշակերտաւքն հայցեալ յԱստուծոյ, եւ ցուցաւ նմա ի տեսեան: Այս լինէր յԱսորոց աշխարհին, յորժամ վասն նորին անդր ճանսապարհորդեցին: Իսկ զցուցեալն շահեցան՝ հանդերձ մի[յ]սայարաւքն էր գրեալ Հռոփանոսի գրչի Սամուսացոյ» (Φιλῖν... 2005: 951): [თეოდოსი მცირე ძე არკადისა [მეფობდა] 37 წელი, ხოლო გამეფდა დაბადებიდან 52 წლის [ასაკში]. მის დროს იყო, წმინდა საჰაკვი, სომხეთის მამამთავარი, რომლის დროსაც სომხური ენის დამწერლობა ოცდაცხრა ასო-ნიშნით ასურელი ფილოსოფოსის დანიელის მიერ განეწესა, რომელიც მეფე ვრამშაპუჰთან მოტანილ იქნა ვაჰრიჰ ნახარარისა და ხუცესი აბელის მიერ. ნაკლული შვიდი ასო-ნიშანი კი ხილვაში ეჩვენა ნეტარ მესროვზს, [რომელიც იყო] ტარონის ჰაცეკაციდან, აზნაურთა სახლიდან, რომელიც მოწაფეებთან ერთად ყოველდღიური მარხვითა და ლოცვით ღმერთს ევედრებოდა. ეს მოხდა სირიელთა ქვეყანაში მაშინ, როცა ამის გამო იქ გაემგზავრნენ. მოემადლათ ეს ხილვა, რიგზე განალაგეს [ასო-ნიშნები] კალიგრაფ ჰროფანოს სამოსატელთან ერთად.]

686 წელს დაწერილი „ქრონოგრაფიის“ განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ თხზულებამ, მაშტოცის შესახებ არსებული წყაროებიდან, ყველაზე ადრეული 971 წლის ხელნაწერით მოაღწია ჩვენამდე. „ქრონოგრაფიის“ ცნობით, მაშტოცი სომხური ანბანის რეფორმატორია. მან დანიელ ეპისკოპოსისაგან მოტანილ სომხური ანბანის 29 გრაფემას 7 ასო-ნიშანი დაამატა, კალიგრაფ ჰროფანოსის დახმარებით მოაწესრიგა და სომხურ ენას შეუსაბამა.

„ქრონოგრაფია“ არ შეიცავს ცნობას მაშტოცის მიერ ქართულ და ალბანურ დამწერლობათა შექმნის თაობაზე. ჩანს, VII საუკუნეში ჯერ კიდევ არ არსებობდა ცოდნა მაშტოცის მიერ ამიერკავკასიის ხალხთათვის ანბანების შექმნის შესახებ, მისი როლი მხოლოდ სომხური ანბანის რეფორმით შემოიფარგლებოდა.

თომა არწრუნი

IX-X საუკუნეების სომეხი ისტორიკოსი თომა არწრუნი ცნობილ ნახარართა (მსხვილ ფეოდალთა) – არწრუნთა გვარის წარმომადგენელია. თავისი ძირითადი ნაშრომი „არწრუნთა სახლის ისტორია“ თომას ვასპურაკანის მთავრების – გრიგოლისა და მისი ვაჟის გაგიკის – დაკვეთით დაუწერია. ავტორი თხზულებაში გადმოგვცემს არწრუნთა გვარის გენეალოგიას და ვასპურაკანის ისტორიას უძველესი დროიდან X საუკუნემდე. შემდეგ ნაწარმოები გააგრძელა რამდენიმე ანონიმმა ავტორმა, რომლებიც ამბებს 1370-იან წლებამდე მოგვითხრობენ. თხზულებაში დიდი ადგილი ეთმობა პოლიტიკური მოვლენების აღწერას. როგორც აღნიშნავს ელ. ცაგარეიშვილი, თომა არწრუნის „არწრუნთა სახლის ისტორიის“ შექმნის აუცილებლობა გარკვეული ისტორიული ვითარებით იყო განპირობებული. მისი წარმოქმნა შეიძლება ჩაითვალოს იდეოლოგიურ გამოხატულებად იმ მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა IX-X საუკუნეებში (ცაგარეიშვილი 1975: 255). თომა არწრუნი მეხოტბე ისტორიკოსია და, შესაბამისად, ვასპურაკანთან და არწრუნების საგვარეულოსთან დაკავშირებულ ამბებს გაზვიადებულად წარმოგვიდგენს. ტენდენციურობის მიუხედავად, ავტორი ბევრ საინტერესო და მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის თანადროული სომხეთის და მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიის შესახებ.

თომა არწრუნი სომხეთის ისტორიული წარსულიდან აღწერს იმ მნიშვნელოვან ფაქტებს, რომლებმაც გარკვეული როლი შეასრულეს სომეხი ხალხის ცხოვრებაში. სულ რამდენიმე ფრაზით აღნიშნავს საჰაკისა და მაშტოცის მოღვაწეობის ეპოქას და V საუკუნის სომხეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი როლის შესახებ მოკლედ საუბრობს. ისტორიკოსი მოგვითხრობს საჰაკის ქტესიფონში (*სომხ. Տիգրան*), ხოლო

მაშტოცის სომხეთის ბერძნულ ნაწილში გამგზავრებასა და იქ სომხური დამწერლობის გავრცელებაზე: „და გამეფდა ვრამი ძე იეზდიგერდისა, მოიხმო სამეფო კარზე სომხეთის კათალიკოსი წმინდა საჰაკი, რომელმაც წაიყვანა თავისი შვილიშვილები ჰმაიაკი და ჰამაზასპი და წავიდნენ მეფესთან ქტესიფონში. რამეთუ ვარდანი წმინდა მოძღვარ მაშტოცთან ერთად წასული იყო თეოდოსი კეისართან და არქიეპისკოპოს ატტიკოს პატრიარქთან წმინდა საჰაკის წერილებით, თან წაიღეს სომხური მწიგნობრობის დამწერლობა და ბგერები, რომელიც მიიღეს წმინდა მამამთავარმა და კეთილმსახურმა თეოდოსი მეფემ ხუთი წერილითა და ხუთი პასუხით, წმინდა მოძღვარი [მაშტოცი] წმინდა იოანე ოქროპირისა და მამაც და მთავარ მოძღვართა ტახტისმპყრობელობის რიგში განაწესეს, ვარდანი კი სომეხთა სტრატელატად დანიშნეს“ (Մակար 1887: 72).

სომხეთის ბერძნულ ნაწილში მაშტოცის ქადაგების შესახებ საუბრობენ კორიუნი და მოსე ხორენელი. ორივე ავტორი ვრცლად გვიამობს ამ მხარეში ქადაგების გარემოებებზე. მართალია, ავტორები საერთო თხრობას ერთნაირად გადმოგვცემენ, თუმცა დეტალებში საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ერთ-ერთი ფაქტობრივი განსხვავება ამ ორ წყაროს შორის ისაა, რომ კორიუნის თანახმად, მაშტოცმა განიზრახა ეზრუნა ბიზანტიის დაქვემდებარებაში მყოფ სომხეთზეც და მოწაფეებთან ერთად გადავიდა დასავლეთ სომხეთში. მოსე ხორენელის ცნობით, საჰაკი თავად მიდის ბერძნულ მხარეში, თავდაპირველად იქ მას სათანადო პატივით არ ხვდებიან, ამის შემდეგ კათალიკოსი მაშტოცსა და თავის შვილიშვილს, ვარდანს გზავნის ბერძნულ ნაწილში მწიგნობრობის გასავრცელებლად.

ნ. აკინიანის მოსაზრებით, საჰაკი გაემგზავრა სპარსეთის მეფე იეზდიგერდთან იმის სათხოვნელად, რომ სომხეთის სამეფო ტახტზე **არტაშეს III** გამეფებინა, ასევე სთხოვდა იეზდიგერდს, ბოლო მოეღო ქრისტიანების დევნისთვის. იეზდიგერდი დათმობაზე წავიდა და დაასრულა ქრისტიანთა დევნა. რამდენიმე თვის შემდეგ იეზდიგერდი მოკლეს და მისი ადგილი ვრამ (ბაჰრამ) V დაიკავა. იმ დროს საჰაკი

ჯერ ისევ ქტესიფონში იმყოფებოდა, მან სთხოვა ვრამს და თანხმობა მიიღო კიდეც, რომ სომხეთში არტაშესს გაამეფებდა (Ասქինեսი 1935p: 475-476).

ისტორიულ გარემოებათა გათვალისწინებით, ჰრ. აჭარიანი ფიქრობდა, რომ საჰაკი სომხეთის ბერძნულ ნაწილში არ წასულა, და რომ მოსე ხორენელის ცნობები უადგილოა. მეცნიერს სანდო წყაროდ მიაჩნდა კორიუნის ისტორია, რომლის თანახმად, მხოლოდ მაშტოცმა იმოგზაურა სომხეთის ბერძნულ მხარეში და მისი ერთადერთი მიზანი იქ სომხური დამწერლობის გავრცელება იყო (Աճառյան 1968: 202).

თომა არწრუნი გვიანი პერიოდის სხვა სომეხი ისტორიკოსების (ვარდან აღმოსავლელი, კირაკოს განძაკელი) მსგავსად საუბრობს სომხეთის ბერძნულ მხარეში მაშტოცის მოღვაწეობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ თომა არწრუნის ძირითადი წყარო ამ ნაწილში მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“, ისტორიკოსი არ ახსენებს საჰაკის ბიზანტიონში მოგზაურობის ამბავს და ამ მხრივ განსხვავდება მოსე ხორენელის ცნობებისგან.

თომა არწრუნი ასევე აღნიშნავს მაშტოცის ეპისტოლეებით გამგზავრების ფაქტს, თუმცა განსხვავებით მოსე ხორენელისგან, „არწრუნთა სახლის ისტორიაში“ ხუთი წერილი და ხუთი პასუხია დასახელებული: „... თან წაიღეს სომხური მწიგნობრობის დამწერლობა და ბგერები, რომელიც მიიღეს წმინდა მამამთავარმა და კეთილმსახურმა მეფე თეოდოსიმ ხუთი წერილითა და ხუთი პასუხით“ (Մակար 1887: 72).

ამრიგად, თომა არწრუნის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მაშტოცის ცხოვრების ის ეტაპი, როდესაც მან იმოგზაურა სომხეთის ბერძნულ ნაწილში ქრისტიანობისა და ახლადმოპოვებული დამწერლობის გასავრცელებლად. „არწრუნთა სახლის ისტორიაში“ მაშტოცის მოღვაწეობის არეალი მხოლოდ ამ ერთი ეპიზოდის აღწერით შემოიფარგლება. მასალის კვლევამ აჩვენა, რომ მაშტოცის შესახებ თხრობისას თომა არწრუნის ძირითადი წყარო მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“, თუმცა ისეთი განსხვავებული დეტალები შეინიშნება თომა არწრუნისა და მოსე ხორენელის ისტორიებს შორის, რომ კითხვა ჩნდება, ხომ არ უნდა

ვიფიქროთ მოსე ხორენელის თხზულების კიდევ ერთი განსხვავებული ვერსიის არსებობაზე?!

იოანე კათალიკოსი (დრასხანაკერტელი)

IX-X საუკუნეების ისტორიკოსის იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“ მოიცავს სომხეთის თავგადასავალს უძველესი პერიოდიდან 924 წლამდე. „სომხეთის ისტორიაში“ IX საუკუნის შუა ხანებამდე გადმოცემული მოვლენების შესახებ ცნობები წინა ისტორიკოსებიდან არის აღებული, თუმცა საინტერესოა ის, რომ თხზულება შეიცავს ისეთ ცნობებსაც, რომლებიც სხვა წყაროებით არ მოგვეპოვება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თხზულებაში მოთხრობილი ის ისტორიული მოვლენები, რომელსაც ადგილი ჰქონდა IX საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგ და რომელიც ისტორიკოსმა აღწერა როგორც თვითმხილველმა და თანამონაწილემ ამ ამბებისა (Այվաყյան 2002: 618-619).

იოანე დრასხანაკერტელის ნაშრომში მოკლე, მაგრამ ძალიან საინტერესო ისტორიაა გადმოცემული მამტოცის შესახებ.

ძველი სომხური მწერლობის ზოგიერთ წყაროში გვხვდება ცნობა იმასთან დაკავშირებით, რომ ყრმობის წლები მამტოცმა სომხეთის კათალიკოს ნერსესთან გაატარა და იყო მისი მოწაფე. მსგავსი ტიპის ცნობას არ გვაწვდის სომეხ მემატრიანეთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც მამტოცის ცხოვრების ამსახველ დეტალებს ვრცლად გადმოგვცემენ, როგორებიცაა „მამტოცის ცხოვრების“ A და C რედაქციები, ლაზარე ფარპელი, კარაპეტ სასუნელი და ა.შ. ნერსე კათალიკოსის კარზე მამტოცის აღზრდისა და განათლების მიღების შესახებ ცნობა პირველად მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიაში“ გვხვდება: „მესროპი, რომელიც იყო ტარონის ჰაცეკაციდან, აღზრდილი და განსწავლული იყო დიდ ნერსესთან“ (Աբუქიან... 1991: 316).

ამ ცნობას იმეორებს იოანე დრასხანაკერტელი: „არშაკის გარდაცვალების შემდეგ, მესროპმა, რომელიც იყო ტარონის ჰაცეკაციდან, მოწაფე ნერსე დიდისა,

იყო სამეფო კარის მდივანი, მან უარი თქვა ადამიანურ პატივზე, წავიდა და განდეგილობის ზეციურ ცხოვრებას შეუდგა“ (Յովհաննու... 1912: 53).

„წმ. ნერსეს ისტორიის“ ანონიმი ავტორი თავის თხზულებაში სიტყვასიტყვით მიჰყვება იოანე დრასხანაკერტელს და აღნიშნავს მაშტოცის ნერსე კათალიკოსთან დამოწაფების შესახებ: «Բայց Մեսրոպը, որ էր ի Հացեկաց Տարնոյ և աշակերտեալ էր Մեծին Ներսիսի» (Մեսրոպ 1853: 28): [„მაგრამ მესროვბი, რომელიც იყო ტარონის ჰაცეკაციდან, დამოწაფებული იყო დიდ ნერსესთან“.]

სომხურ სვინაქსარებში მაშტოცი არა მხოლოდ მოწაფედ, არამედ ნერსე კათალიკოსის მდივნად წარმოგვიდგება: «Իսկ Սուրբ Վարդապետն Մեսրոպը աշակերտ էր մեծին Ներսիսի հայրապետին, և դպիր նորին և յետ կատարման նորին եղև ի դրանս արքային» (Mat. 1339: 40r): [„ხოლო წმინდა მოძღვარი მესროვბი იყო მოწაფე დიდი ნერსე მამამთავრისა, მწიგნობარი და მისი [ბრძანებების] აღმასრულებელი სამეფო კარზე“.]

მაშტოცის ნერსე კათალიკოსთან დამოწაფების შესახებ უფრო ვრცლად გადმოგვცემს X საუკუნის სომეხი მემკვიდრე მესროპ ხუცესი (ვაიოცძორელი), რომელიც მაშტოცს ნერსეს მოწაფედ, მის თანამოღვაწედ და მიმდევრად აცხადებს. მესროპ ხუცესის თანახმად, სომხეთში პაპის გამეფების შემდეგ, როდესაც ნერსე კათალიკოსმა მთელი სომხეთის ტერიტორიაზე მიმოსვლა და საეკლესიო წესების დაკანონება დაიწყო, მაშტოცი მას მუდამ თან ახლდა: «Իսկ Մեծն Ներսես շիջեր ընդ ամենայն երկիրն Հայոց, և հաւաքեր զնիւթ վարդապետութեան իւրոյ: Ընդ նմա և աշակերտն իւր Մեսրոպը, որ անուանեցան Մաշտոց. ամենայն կրթութեամբ հոգևոր իրաց զանձնն տուեալ բազում և անհեշտական իրաց և անհանգիստ գիշերային, զհարկ քնոյ յոտնաւոր տքնութեամբ ի թոթափել ասկան վճարեր, ոչ սակաւ ժամանակս, այլ յովսիս» (Մեսրոպ 1853: 82-83): [„ხოლო დიდი ნერსე დადიოდა მთელს სომხეთის ქვეყანაში და აერთიანებდა თავისი მოძღვრების ნივთთა. მასთან ერთად [იყო] მისი მოწაფე მესროვბი, რომელსაც ეწოდა მაშტოცი, [რომელმაც] ყოველგვარი სულიერი წვრთნით თავი მიუძღვნა მრავალ რთულ საქმესა და მშფოთვარე ღამეს, ძილის

საჭიროებას ფეხზე დგომითა და მღვიმარებით თვალის დახამხამებაში განდევნიდა, არა მცირე დროით, არამედ მრავალგზის.“]

მესროპ ხუცესის გადმოცემით, მაშტოცი იმდენად დაახლოებული პირი ყოფილა ნერსესთან, რომ კათალიკოსის აღსასრულის ჟამსაც კი მის გვერდით იმყოფებოდა: «*Եւ յարուցեալ յաթոռոյն եւ ի գաւիթս եկեղեցոյն, և տարածեալ գճեռս իւր, հայեցաւ յերկինս գուարթ սըրտիւ. և յիշէր յադոթս իւր գամենայն աշխարհ, զհեռասորս և զմերձասորս: Եւ ունէն դնէր նմա Մեսրոպէ աշակերտն իւր, որ անուանեցան Մաշդոց» (Մեսրոպ 1853: 109-110): [„და აღდგა ტახტიდან და გამოვიდა ეკლესიის ეზოდან, აღაპყრო ხელი, შეხედა ზეცას მხიარული გულით, თავის ლოცვებში მოიხსენია მთელი ქვეყანა, შორეულნი და მახლობელნი. ყურადღებით უსმენდა მას თავისი მოწაფე მესროვები, რომელსაც ეწოდა მაშდოცი“.]*

აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ფავსტოს ბუზანდი, რომელიც „სომხეთის ისტორიაში“ დაწვრილებით მოგვითხრობს ნერსე კათალიკოსის საქმიანობის შესახებ, მაშტოცს სრულებით არ ახსენებს.

სამეცნიერო წრეებში დღესდღეობით მიღებული თვალსაზრისით, მაშტოცი ნერსე კათალიკოსის მოწაფე არ ყოფილა, მაშტოცის მასწავლებლის სახელი ცნობილი არ არის (Աճառյան 1968: 73-75).

იოანე დრასხანაკერტელი „სომხეთის ისტორიაში“ მოგვითხრობს მაშტოცის მიერ სომხური ანბანის შექმნისა და გავრცელების შესახებ. ისტორიკოსი აქვე აღნიშნავს, რომ მაშტოცს ეს ასო-ნიშნები თითქოსდა ღვთიური მადლით ებოძაო: «*Ընդ այն ժամանակս ապա եկեալ Մեսրոպէայ և բերեալ զնշանագիր մերոյ լեզուի, զոր զոգցես նմա պարգևեալ ի տեսչութենէ շնորհացն Աստուծոյ, իսկ և իսկ ի հրամանէն մեծին Սահակայ ժողովէ մանկունս խոհեմամիստ, տրամախոհս, քաջուշեղս, փափկապանկս, և դպրոցս կարգէ ըստ գաւառաց գաւառաց ուսուցանել մեծաւ պնդութեամբ» (Յովհաննու... 1912: 54): [„იმ დროს მოვიდა მესრობი, მოიტანა ჩვენი ენის ანბანი, რომელიც თითქოს მას ებოძა ღვთის ზეციური მადლით. ხოლო საჰაკ დიდის ბრძანებით [მესროვებმა] შეკრიბა გულისხმიერი, ჭკვიანი, გონიერი, კეთილადმყოფერი*

ხმის მქონე ბავშვები, დააარსა სკოლები სხვადასხვა გავარში და წვრთნიდა მათ დიდი შრომისმოყვარეობით“ (შდრ. აბულაძე 1967: 8).]

იოანე კათალიკოსი ასევე საუბრობს მაშტოცის ქართლსა და ალბანეთში მოგზაურობასა და ქართული და ალბანური ანბანების შექმნაზე. ეს მოვლენები იმგვარად არის აღწერილი, ტრაფარეტივით რომ გასდევს სომხურ საისტორიო მწერლობას და ახალს არაფერს გვთავაზობს: „და ამის შემდეგ გაემგზავრა ქართლში და იქ მათი ენის შესაბამისად შექმნა ასო-ნიშნები, მოძღვრები და სკოლები განაწესა მათთვის. შემდეგ კი ჩავიდა ალბანეთის მხარეში, მათთვისაც შექმნა ასო-ნიშნები არაკეთილხმოვანი და უხეში ენისათვის, მათ ზედამხედველად დატოვა თავისი მოწაფეები. თავად კი კვლავ სომხეთში დაბრუნდა და ჰპოვა წმინდა საჰაკი, რომელიც თარგმანების შესრულებით იყო დაკავებული“ (Յովհաննու... 1912: 54).

იოანე დრასხანაკერტელის წყარო მაშტოცის საქმიანობის აღწერისას, ვფიქრობთ, მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“ უნდა ყოფილიყო, თუმცა შესამჩნევია მათ შორის არსებითი განსხვავებანიც:

იოანე დრასხანაკერტელი მოგვითხრობს საჰაკ კათალიკოსის სომხეთის ბერძნულ ნაწილში გამგზავრების შესახებ, სადაც მას ეჭვის თვალის უყურებდნენ და თავდაპირველად არც მიიღეს. ხოლო მას შემდეგ, რაც კეისარმა შეიტყო საჰაკის სათნოების ამბავი, „დიდი პატივითა და მფარველობით მიიღო როგორც ქრისტეს მოციქული, ასევე ბრძანება გასცა სასწრაფოდ ესწავლებინათ ის ანბანი, რომელიც ღმრთისაგან ებოძათ მათ, სკოლების ხარჯი კი სამეფო კარს გაეღო“ (Յովհաննու... 1912: 55).

იოანე დრასხანაკერტელის „ისტორიაში“ საჰაკის მიერ მაშტოცისა და თავისი შვილიშვილის, ვარდანის კეისართან გაგზავნის ფაქტი აღნიშნული არ არის. „ისტორიის“ მიხედვით, საჰაკ კათალიკოსი თავად მოგზაურობს სომხეთის ბერძნულ მხარეში და თავადვე ავრცელებს ახლადმოპოვებულ დამწერლობას, თავის შვილიშვილს, ვარდანს კი სპარსეთის მეფე ვრამთან გზავნის მშვიდობის სათხოვნელად.

სომხეთის ბერძნულ ნაწილში ახლადშექმნილი სომხური ანბანის გავრცელებისა და ქრისტიანობის ქადაგების შესახებ საუბრობს თითქმის ყველა სომხური წყარო. განსაკუთრებით ვრცლად კი ეს ამბები მოსე ხორენელის თხზულებაშია მოთხრობილი. საჰაკ კათალიკოსი რომ სომხეთის ბერძნულ ნაწილში გაემგზავრა და იქ შესაფერისი პატივით არ მიიღეს, ესეც მოსე ხორენელისგან მომდინარე ისტორიაა. ამ ორ წყაროს შორის განსხვავება ის არის, რომ ხორენელის მიხედვით, ბერძნულ ნაწილში საჰაკმა თავისი წარუმატებელი ვიზიტის შემდეგ მამტოცი გაგზავნა, თან თავისი შვილიშვილი ვარდანი გააყოლა. იმ მხარეში მამტოცმა ახალი სწავლება გაავრცელა. ამის შემდეგ იგი ეკლესიასტიკოსად აკურთხეს, ვარდანი კი სტრატელატად დანიშნეს (Աբელიან... 1991: 333-336).

იოანე დრასხანაკერტელი რომ იცნობს მამტოცის შესახებ არსებულ სხვა წყაროებს, ეს მისივე სიტყვებიდან ჩანს: „[მამტოცის] შეწირული ცხოვრება და საოცარი საქმენი, რომელსაც ღმერთი მისით განაცხადებდა, საკმარისად გადმოგეცა შენ მათგან, ვინც ჩვენზე უწინარეს მოგითხრო“-ო (Յովհաննու... 1912: 53). იოანე დრასხანაკერტელის თხზულებაში მამტოცის მოღვაწეობის ამსახველი ისტორიები მართალია ფრაგმენტულად არის მოთხრობილი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ არქიტექტონიკით ყველაზე ახლოს იგი მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიასთან“ დგას.

სტეფანოს ტარონელი (ასოლიკი)

მამტოცთან და ანბანის შექმნასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ცნობები შემოგვინახა X-XI სს. სომეხმა ისტორიკოსმა სტეფანოს ტარონელმა (ასოლიკმა). სტეფანოს ტარონელი „მსოფლიო ისტორიაში“ გადმოგვცემს სომეხი ხალხის თავგადასავალს მეზობელი ქვეყნებისა და ხალხების ისტორიასთან კავშირში. თხზულება სამი ნაწილისაგან შედგება: პირველ და მეორე ნაწილში მოთხრობილია სომხეთის ისტორია უძველესი დროიდან IX საუკუნის შუა ხანებამდე, მესამე ნაწილში კი 885-1004 წლების ისტორიული მოვლენებია აღწერილი.

ასოლიკი თხზულებაში სხვა მნიშვნელოვან ამბებთან ერთად საუბრობს სომხური მწიგნობრობის ჩამოყალიბებისა და თარგმანების შესრულების შესახებ. ამ ფაქტის აღნიშვნისას წყაროდ კორიუნს და ლაზარე ფარპელს ასახელებს:

«Եւ գտաք հանդիպեալ յերկրորդ ամին Արտաշրի արքային Պարսից՝ զհինգերորդ ամն Վռամ-Շապիոյ արքայի Հայոց. յորում Մաշտոցն երանել, որ էր ի գաւառէն Տարսնոյ ի գեղէն Հացեկաց՝ ի ձեռն Վռամ-Շապիոյ և մեծի հայրապետին Սահակայ դանիւլէան նշանագրօք գդպրութիւն ըստ հայուսն յօրինէր ընկերօք ուսմաբք, տուելովք նմա ի Սահակայ: Յետ որոյ դարձեալ ևս ի վեցերորդումն նորին Վռամ-Շապիոյ, որ է ամ առաջին Վռամ-Կրման արքայի՝ վերստին աստուածատուր նշանագրօք գնոյս յեղանակեալ յօրինէր. որովք և դպրութիւնք և Գիրք աստուածաշունչք ուղղեալ թարգմանին, որպէս պատմեն Կորիւն և Ղազար» (Մալխասեանց 1885: 74): [„და ვნახეთ, რომ მოხდა სპარსეთის მეფის არტაშირის მეორე წელს, სომხეთის მეფის ვრამშაპუკის მეხუთე წელს, როდესაც ნეტარმა მამტოცმა, რომელიც იყო ტარონის გავარიდან, სოფელ ჰაცეკაციდან, ვრამშაპუკისა და დიდი მამამთავრის საჰაკის მეშვეობით დანიელის ასო-ნიშნებით მწიგნობრობა სომხურის შესატყვისად გამართა რამდენიმე მეგობართან ერთად, რომლებიც მას საჰაკმა გადასცა. ამის შემდეგ ისევ ვრამშაპუკის მეექვსე წელს, რომელიც არის მეფე ვრამ-კრმანის მეფობის პირველი წელი, კვლავ ღმრთივბოდებული ასო-ნიშნებით ისევ ეს ²⁴ გარდაქმნა, გამართა, რითაც მწიგნობრობა და ბიბლიის წიგნების თარგმანი გამართა, როგორც გადმოგვცემენ კორიუნი და ლაზარე.“²⁵

²⁴ „ისევ ეს“/ գնոյս – ჩვენი აზრით, ნიშნავს დანიელისეულ ასო-ნიშნებს, რომლებიც მამტოცმა უკვე სომხური ენის შესაფერისად გამართა.

²⁵ აქ ქრონოლოგიურ აღრევასთან გვაქვს საქმე: სტეფანოს ტარონელი (ასოლიკი) სომხური გრაფემების აღმოჩენისა და დამწერლობის საბოლოოდ გამართვის თარიღს ვრამშაპუკის მეფობის ქრონოლოგიით აზუსტებს და ამ ცნობას, ჩანს, სხვა სომხურ წყაროებზე დაყრდნობით გვაწვდის. თუმცა სომხეთის მეფის ზეობის პარალელურად მოცემული სასანიდი მეფეების ქრონოლოგია არც ვრამშაპუკის მეფობის და არც სომხური ანბანის შექმნის ცნობილ დათარიღებას არ შეესაბამება. ვრამშაპუკს სომხეთის სამეფო ტახტი 389 ან 400 წლიდან 414 წლამდე ეპყრა. სპარსეთის შაჰი არტაშირ II 379-383 წლებში მეფობდა, ვრამ-კრმანი იგივე ბაჰრამ IV კი – 388-399 წლებში. არც არტაშირ II-ისა და არც ბაჰრამ IV-ის (იგივე ვრამ-კრმანის) ზეობის წლები არ ემთხვევა ვრამშაპუკის მეფობის მეხუთე და მეექვსე წელს. და საერთოდაც, მოცემული მონაკვეთის კითხვისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისტორიკოსმა სომხური დამწერლობისა და მწიგნობრობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით არსებული ცოდნა, მთელი ეს ეტაპები გააერთიანა და ერთ მოკლე ისტორიად გადმოგვცა.

სტეფანოს ტარონელი ეროვნული ტრადიციიდან უხვევს და სომხური დამწერლობის წარმოშობის შესახებ განსხვავებულ ისტორიას მოგვითხრობს: «ի սուրս ասուրս էր սուրբ հայրապետն Հայոց Սահակ, յորոյ ասուրս դպրութիւն Հայոց լեզուիս իք գիր ի Դանիելէ փիլիսոփայէ Ասորոց կարգեցաւ, իսկ զեօթն գրոցն պակասութիւն Մեսրոպէ երանելի տարօնեցի իսնդրուածովք յԱստուծոյ առնու» (Մալխասեանց 1885: 139-140): [„ამ დროს სომეხთა წმინდა მამამთავარი იყო საჰაკი, რომლის დროსაც სომხური ენის დამწერლობა ასურელი ფილოსოფოსის დანიელისაგან [მოტანილი] 29 ასო-ნიშნით განაწესეს, ხოლო 7 გრაფემის დანაკლისი ნეტარი მესროპ ტარონელის თხოვნით ღმრთისაგან ებოძათ“.]

მოტანილი ციტატებიდან ჩანს, რომ ასოდიკი ანბანის ძირითადი ნაწილის შექმნის ავტორობას დანიელ ეპისკოპოსს მიაკუთვნებს. სირიელ ეპისკოპოს დანიელთან რომ მართლაც არსებობდა სომხური ენის გრაფემები, ამის შესახებ საუბარია „მაშტოცის ცხოვრების“ ორივე (A და C) რედაქციაში. თხზულების მიხედვით, მაშტოცი გარკვეული დროის მანძილზე დანიელ ასურთან აღმოჩენილ ანბანს ცდიდა, ამ ანბანით ასწავლიდა, შემდეგ კი მიხვდა, რომ ეს გრაფემები სომხურ ენას არ შეესაბამებოდა და სომეხი ხალხისათვის სრულებით ახალი ანბანი შექმნა. მაშტოცის ბიოგრაფიიდან არ ვიცით დანიელ ეპისკოპოსისგან მოტანილი გრაფემების რაოდენობა, არც მაშტოცის მიერ დანიელის ანბანის შევსების ფაქტია აღნიშნული, თავად მაშტოცის მიერ შექმნილი გრაფემების შესახებაც არა გვაქვს ზუსტი ინფორმაცია.

სტეფანოს ტარონელის „ისტორიის“ მიხედვით კი, მაშტოცმა ისარგებლა თავისი წინამორბედის (დანიელ ეპისკოპოსის) გამოცდილებით, დანიელ ასურისაგან მოტანილ სომხურ ანბანს, რომელიც 29 გრაფემისაგან შედგებოდა, მაშტოცმა რეფორმა ჩაუტარა – ნაკლები 7 გრაფემა დაამატა.

ასოდიკის ცნობაზე დაყრდნობით, ფრ. მიულერი ფიქრობდა, რომ სომხური ანბანი მაშტოცამდე არსებობდა. გერმანელი მეცნიერი ამ ანბანს წინარემესროპულს უწოდებდა და სემიტურს უკავშირებდა: „წინარემესროპულ სომხურ გრაფემებს სემიტური ნიშნები ჰქონდათ, სიტყვებში ხმოვნები არ იწერებოდა. სომხური

ხმოვნების რაოდენობა კი შვიდია – ა, ხ, ლ, მ, ნ, რ, (რლ). მესროპმა სწორედ ეს შვიდი ხმოვანი შექმნა ბერძნულ ნიშნებზე დაყრდნობით, დაამატა და მანამდე გამოყენებულ დანიელ ასურის ნაკლებულ გრაფემებში კორექტივი შეიტანა“ (შიქლიძე 1889: 87).²⁶

ასოლიკი „მსოფლიო ისტორიაში“ მაშტოცს სომხური ანბანის რეფორმატორად წარმოგვიდგენს. იქვე აღნიშნავს, რომ მაშტოცმა დამწერლობა შექმნა ქართველი და ალბანელი ხალხისათვის: «Եւ սկիզբն դպրութիւնս Հայոց եղև սկիզբն մեծ գիտութեան և ասպայման խնդութեան բազում աշխարհաց. զի ոչ միայն Հայոց, այլ և Վրաց և Աղուանից տուաւ գիր ի ինսამոցն Աստուծոյ ի ձեռն երանելոյն Մեսրոպայ վարդապետին» (Մալխասեանց 1885: 74): [და სომხური მწიგნობრობის დასაწყისი იყო საწყისი დიდი ცოდნისა და უეჭველად მრავალი ქვეყნის სიხარულისა, და არა მხოლოდ სომხებს, არამედ ქართველებსაც და ალბანელებსაც მიეცათ დამწერლობა ღვთის შეწევნით ნეტარი ვარდაპეტის მესროპის მეშვეობით.]

„მსოფლიო ისტორიის“ დასაწყისში ასოლიკი ჩამოთვლის იმ სომხურ წყაროებს, რომლითაც ისარგებლა თხზულების წერისას. წყაროებს შორის ისტორიკოსი ასახელებს კორიუნის, ლაზარე ფარპელისა და მოსე ხორენელის თხზულებებს. ასოლიკი რომ კარგად იცნობს კორიუნის „მაშტოცის ცხოვრებას“, ეს ჩანს შემდეგი პასაჟებიდან: «Մեսրոպ, որ և Մաշտոց՝ այր սքանչելի, քահանայ, նախագտող և վարդապետ ըստ հայուսն նշանագրութեան և դպրութեան՝ գայտու ժամանակօք յաւէտ ևս երևեալ պայծարանայր: Իսկ մեծ քահանայապետն Սահակ, որ ի գաւակէ սրբոյն Գրիգորի՝ գԳիրս սուրբս դարձեալ ի յոյն լեզուէն ի հայ լեզու թարգմանէր հանդերձ Եզնկաւ ի ստոյգ օրինակացն բերելոց սրբոյն Ղևնդի և այլոցն ի Կոստանդիական քաղաքէն» (Մալխասեանց 1885: 75): [„მესროპი, იგივე მაშტოცი, კაცი საოცარი, მღვდელი, შემქმნელი და მოძღვარი სომხურის შესაფერისი დამწერლობისა და მწიგნობრობის, ამ დროს ყველაზე მეტად გაბრწყინდა. ხოლო დიდი მღვდელთმთავარი საჰაკი, რომელიც იყო წმინდა გრიგორის გვარიდან, ეზნიკთან

²⁶ ფრ. მიულერმა შემდგომში თავისი მოსაზრება შეცვალა და ვარდან აღმოსავლელის ცნობის საფუძველზე, სომხური წინარემესროპული ანბანის წყაროდ სირიული მიიჩნია (Էմին 1861: 70).

ერთად წმინდა წიგნს კვლავ ბერძნული ენიდან სომხურ ენაზე თარგმნიდა წმინდა ლევონდისა და სხვათა მიერ ქალაქ კონსტანტინოპოლიდან მოტანილი სარწმუნო ნუსხის მიხედვით.“]

ეს ცნობა მხოლოდ კორიუნის თხზულებიდან შეიძლება სცოდნოდა „მსოფლიო ისტორიის“ ავტორს.

კორიუნის მსგავსად, სტეფანოს ტარონელის თხზულებაში სომხური ანბანი დანიელ ასურისაგან ვრამშაპუჰის მეფობის მეხუთე წელს მოიტანეს, ვრამშაპუჰის მეფობის მეექვსე წელს კი სომხური მწიგნობრობა გამართეს (Շահնազարեանց 1859: 74-75).

სტეფანოს ტარონელი წყაროდ კორიუნის, ლაზარე ფარპელისა და მოსე ხორენელის თხზულებებს კი ასახელებს, მაგრამ სომხური ანბანის შექმნის შესახებ თხრობისას მხარს უჭერს სომხური ანბანის შექმნის იმ ვერსიას, რომლის მიხედვითაც, მაშტოცი დანიელ ასურთან აღმოჩენილ გრაფემებს რეფორმას უკეთებს და ანბანი სომხურ ენასთან შესაბამისობაში მოჰყავს, და რომელიც სხვაობს დღეს ჩვენამდე მოღწეული კორიუნისა და მოსე ხორენელის ვერსიებისგან. რაც შეეხება ლაზარე ფარპელის „ისტორიას“, მაშტოცი იქაც სომხური ანბანის რეფორმატორია, თუმცა დანიელ ეპისკოპოსის გრაფემების რაოდენობისა და მაშტოცის მიერ კონკრეტული ბგერების დამატების ისტორიას პირველად ფილონ ტირაკელის „ქრონოგრაფიაში“ ვკითხულობთ. ასოლიკის „მსოფლიო ისტორიასა“ და კორიუნის „მაშტოცის ცხოვრების“ ტექსტებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებანი გვაფიქრებინებს, რომ სტეფანოს ტარონელს ხელთ უნდა ჰქონოდა კორიუნის თხზულების განსხვავებული ვერსია. შესაძლოა, კორიუნის განსხვავებულ ვერსიაში ანბანის შექმნის საკითხი ლაზარე ფარპელის მსგავსად იყო მოთხრობილი და ამ თხრობაში არ ჩანდა დანიელის ანბანის შესახებ კონკრეტული ცნობები. ამიტომ სტეფანოს ტარონელმა ისარგებლა ისეთი ცნობებით, რომლებშიც ეს ისტორია უფრო მკაფიოდ და ცხადად იყო გადმოცემული. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასოლიკი „ქრონოგრაფიას“ თავის წყაროებს შორის არ ასახელებს.

სტეფანოს ტარონელის „ისტორიაში“ მაშტოცის მიერ ქართული და ალბანური ანბანების შექმნის შესახებაც არის აღნიშნული. ამ მეტად მნიშვნელოვან მოვლენას ავტორი მხოლოდ ერთი ფრაზით გადმოგვცემს. ეს ფრაზაც ძალიან ზოგადია, არ ზის კონტექსტში ორგანულად, ხელოვნური დანამატისა და გვიანდელი ინტერპოლაციის შთაბეჭდილებას ტოვებს.

სამუელ ანელი

XII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი, ქრონოგრაფი სამუელ ანელის საკათედრო ტაძარში მღვდლად მსახურობდა. იგი იყო ცნობილი მოძღვრის, იოანე სარკავაგის მოწაფე, განსწავლული ისტორიასა და კალენდრის საკითხებში. ჩვენამდე მოაღწია სამუელ ანელის საისტორიო ხასიათის თხზულებამ „ისტორიულ წიგნთა კრებულმა“ («Հատարմունք ի գրոց պատմագրաց»), რომელიც ასევე „ქრონოგრაფიის“ («Ժամանակագրություն») სახელით არის ცნობილი. თხზულებაში მოვლენები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის გადმოცემული და მოიცავს სამყაროს შექმნიდან XII საუკუნის 60-იან წლებამდე პერიოდის მოკლე ისტორიას. სამუელ ანელი, ჩანს, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა თანამედროვეთა შორის, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ სომხეთის კათალიკოსმა გრიგორ III პაპლაგუნიმ „ქრონოგრაფიის“ დაწერა სწორედ მას დაავალა (Մաթևոսյան 2014: 8).

სამუელ ანელის „ქრონოგრაფია“ მნიშვნელოვანი ნაშრომია. ავტორი მოვლენების გადმოცემისას სხვადასხვა წელთაღრიცხვას იყენებს. სამუელ ანელი თხზულების დასაწყისში ჩამოთვლის გამოყენებულ წყაროებს, ცდილობს დააზუსტოს ისტორიულ მოვლენათა, საგვარეულოთა, კათოლიკოსთა და დამპყრობელთა ზუსტი ქრონოლოგია. თხზულება მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს მეზობელი ქვეყნებისა და ხალხების შესახებ.

სამუელ ანელი თავის თხზულებაში საუბრობს სომხური მწიგნობრობის დასაწყისზე და ამ მნიშვნელოვან მოვლენას 423 წლით ათარიღებს: «ԼԻԳ 423 Սկիզբն դպրութեանս Հայոց: Մաշոց, որ և Մեսրոբ Երանեկի և մեծն Սահակ գԴանիեկի նշանագիրսն յարիսեին ընկերաքն հանդերձ: Եւ յետ միոյ ամի դարձեալ

ასათუადათორი სჯანაგრაჲ, კნოჲს ქელანასკელს, იროჲ ს იყროიქისჲ ს კიჲჲ ასათუადაჲსინ ილიქელს ზარქმანსქინ» (საქსიუჲს 2014: 135): [„423 წ. სომხური მწიგნობრობის დასაწყისი. მაშდოცმა, რომელიც არის ნეტარი მესრობი და საჰაკ დიდმა დანიელის ასო-ნიშნები გამართეს ამხანაგებთან ერთად. ერთი წლის შემდეგ კი კვლავ ღმრთივობებულო ასო-ნიშნებით, ისევ ისე გარდაქმეს, რითაც მწიგნობრობა და ღვთაებრივი წიგნი გაასწორეს [და] თარგმნეს.“]

„ქრონოგრაფიის“ გამომცემელი კ. მათევოსიანი დანიელის ანბანთან დაკავშირებულ ცნობას „გაუგებრობას უწოდებს, რომელიც საუკუნეთა მანძილზე გასდევს მთელს სომხურ ისტორიოგრაფიას“ (საქსიუჲს 2014: 365). მკვლევარს ამ გაუგებრობის გამომწვევ მიზეზად მიაჩნია ის, რომ „მაშტოცის ცხოვრების“ უძველეს ხელნაწერში ფურცლები ყოფილა გადაადგილებული და შემდეგ ხელნაწერი შეცდომით აუკინძავთ, რასაც შეუცვლია თხზულების მნიშვნელობა და სომხური მწიგნობრობის ჩამოყალიბების პროცესში „დანიელის“ ე.წ. ასო-ნიშნების როლი უნებლიეთ გაუზრდია (საქსიუჲს 1994: 148-172).

სომხური ანბანისა და მწიგნობრობის შექმნის შესახებ სამუელ ანელის ცნობის წყაროს სტეფანოს ტარონელის (ასოლიკის) ისტორია წარმოადგენს. ასოლიკის მსგავსად, სამუელ ანელი სომხური მწიგნობრობის საწყისად დანიელ ეპისკოპოსისგან მოტანილ სომხურ ანბანს მიიჩნევს:

სამუელ ანელი

სტეფანოს ტარონელი (ასოლიკი)

«სტფ 423 სკიქენ იყროიქესანს ჯაჲგ: *«**საჯთიგნს ღრანსქ**, ირ ღრ ჰი კასათენს **საჯთიგ**, ირ ს სტაროჲ ღრანსქი ს მნბნს საროსოჲ ჰი კელღენს ჯაგსქსაგ` ჰი ბენს* სახასკ ***კწანსქსქი სჯანაგჲრანს*** ჳნამ-ჯაჲჲოჲ ს მნბჲი ჲაჲრასაქსოჲსინ ***ჯორჲსქსქინ რნსქერაჲრანს ჲანსქერა***: ***სო ქსთ*** სახასკაჲ ***ჲანსქსქსანს სჯანაგჲროჲ*** ***აჲოჲ ააჲი ჲარბქსაჲ*** ასათუადათორი ***კჲყროიქის*** ***რასთ ჲაჲოჲსა*** ***ჯორჲსქ*** ***სჯანაგჲრაჲ, კნოჲს ქელანასკელს, იროჲ ს რნსქეროჲ იანამჲჲ***, თოქსოქჲ სმას ჰი ***ჲყროიქისჲ*** ***ს კიჲჲ*** ასათუადაჲსინ სახასკაჲ: ***ჰსთ იროჲ ჲარბქსაჲ*** ***სო*** ჰი

ილიქსაჲ ჟარყანსქინ» (საქსიუას 2014: 135):

[„423 წ. სომხური მწიგნობრობის დასაწყისი. *მაშდოცმა*, რომელიც არის ნეტარი მესრობი და საჰაკ დიდმა *დანიელის ასო-ნიშნები გამართეს ამხანაგებთან ერთად. ერთი წლის შემდეგ კი კვლავ ღმრთივბოდებული ასო-ნიშნებით, ისევ ისე გარდაქმეს, რითაც მწიგნობრობა და ღვთაებრივი წიგნი გაასწორეს [და] თარგმნეს.“]*

ქსეგეროიქიანს სოქინ Ⴀიან-ზაყიქი, იქ Ⴀ ამ ათაქინ Ⴀიან-ყრმანს აიქყაქი` ქსეაიქინ *ასათიადათიოქ იზანსაგოქ ციქინსა ქსეანსაქსაქ* იოქინქ. *იქიქსა და იყიქიქინსა და იქიქსა ასათიადაქიანსაქ ილიქსაჲ ჟარყანსქინ...»* (საქსაასქანს 1885: 74)

[„და ვნახეთ, რომ მოხდა სპარსეთის მეფის არტაშირის მეორე წელს, სომხეთის მეფის ვრამშაპუჰის მეხუთე წელს, როდესაც *ნეტარმა მაშდოცმა*, რომელიც იყო ტარონის გავარიდან, სოფელ ჰაცეკაციდან, ვრამშაპუჰისა და დიდი მამამთავრის საჰაკის მეშვეობით *დანიელის ასო-ნიშნებით მწიგნობრობა სომხურის შესატყვისად გამართა რამდენიმე მეგობართან ერთად*, რომლებიც მას საჰაკმა გადასცა. ამის შემდეგ ისევ ვრამშაპუჰის მეექვსე წელს, რომელიც არის მეფე ვრამკრმანის მეფობის პირველი წელი, *კვლავ ღმრთივბოდებული ასო-ნიშნებით ისევ ეს გარდაქმნა, გამართა, რითაც მწიგნობრობა და ბიბლიის წიგნების თარგმანი გამართა...]*

სამუელ ანელისა და ასოლიკის ცნობების პარალელურმა შედარებამ ცხადი გახადა, რომ სომხური ანბანის შესახებ საუბრისას „ქრონოგრაფიის“ წყარო სტეფანოს

ტარონელის (ასოლიკის) „მსოფლიო ისტორია“ (არა მხოლოდ საერთო შინაარსით, არამედ ლექსიკური ერთეულებისა და ტერმინების დონეზეც). ასოლიკის მსგავსად, სამუელ ანელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დანიელის ანბანს ერთი წელი ცდიდნენ, ერთი წლის შემდეგ კი, ვრამშაპუჰის მეფობის მეექვსე წელს, სომხური ანბანი საბოლოოდ გაფორმდა. სამუელ ანელი რომ კარგად იცნობს სომხურ საისტორიო მწერლობას, ეს ჩანს მისივე წინასიტყვაობიდან. სამუელ ანელი შუა საუკუნეების ერთ-ერთი იმ ავტორთაგანია, რომელიც თხზულების დასაწყისში ჩამოთვლის გამოყენებულ წყაროებს, ესენია: ევსები კესარიელის, აგათანგელოსის, მოსე ხორენელის, ელიშეს, ლაზარე ფარპელის, ფავსტოს ბუზანდის, სებეოსის, შაპუჰ ბაგრატუნის, იოანე დრასხანაკერტელის, სტეფანოს ტარონელის, იოანე სარკავაგისა და სხვათა ნაშრომები (Մաթևոսյան 2014: 79).

საინტერესოა ის, რომ XII საუკუნის ქრონოგრაფი, რომელიც თავის თხზულებას სრულიად სომეხთა კათალიკოსის გრიგორ III პაპლავუნის დაკვეთით წერს, სომხური მწიგნობრობის ჩამოყალიბების საკითხში მხარს უჭერს წყაროს, რომელშიც მთავარი როლი დანიელ ასურის სომხურ ანბანს ენიჭება. მაშტოცი და საჰაკ კათალიკოსი კი მოწაფეებთან ერთად დანიელის ანბანით სომხური მწიგნობრობის შემქმნელებად გველინებიან.

ვარდან აღმოსავლელი (არეველცი)

შუა საუკუნეების სომხურ საიტორიო მწერლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის, ვარდან აღმოსავლელის „მსოფლიო ისტორიას“. ვარდან აღმოსავლელის თხზულებაში გადმოცემული ამბები ქვეყნის დასაბამიდან 1267 წლამდე პერიოდს მოიცავს. „მსოფლიო ისტორია“ ფასდაუდებელი წყაროა, რომელშიც სომეხი ხალხის ისტორია მოთხრობილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, ისტორიასთან კავშირში.

ვარდან აღმოსავლელის ნაწარმოებში სომხური ანბანის შექმნის ისტორია მოვლენების საერთო თხრობაში ქრონოლოგიურადაა ჩართული, როგორც ეს ვარდანისთვის არის დამახასიათებელი. „მსოფლიო ისტორიაში“ ვკითხულობთ:

«Յեօթն²⁷ ամին սորա՝ և յառաջին ամին Արտաշրի որդւոյ Շապիոյ սուրբն Մեսրոպ յօրինէ հայերէն դպրութիւն՝ քսան և երկու գիր առ Դանիէլի Ասորւոյ գտեալ ի հին ժամանակաց, որ վասն ոչ պարզելոյն զընդարձակութիւն լեզուիս, անհոգացեալ եղև յառաջնոցն՝ յոյն և ասորի և պարսիկ գրով շատացեալք: Եւ Մեսրոպ ոչ կարէր նոքօք փոխել զաստուածաշունչ մատենաս ի հայ բարբառ. վասն որոյ ադօթից տուեալ զանձն՝ զորձակցութեամբ սրբոյն Սահակայ, տայ նմա Աստուած չորեքտասան գիրս, աջով իւրով դրոշմեալ առաջի նորա՝ որպէս մեծին Մովսիսի ի լեառն Սինայ, և սմա ի լեառն Բալուայ²⁸, որպէս տակաւին ցուցանի դրոշմն աստուածագիծ ի վիմին և նկարք գրերոյն» (Էմին 1861: 70): [„մის [ვრამშაპუჰის მეფობის] მეშვიდე წელს და შაპუჰის ვაჟის, არტაშირის [მეფობის] პირველ წელს წმინდა მესროპმა შექმნა სომხური დამწერლობა. 22 გრაფემა, რომელიც დანიელ ასურთან არსებობდა უძველესი დროიდანვე, არ იყო საკმარისი ენის სისრულის გამოსახატავად, წინაპრები არ ზრუნავდნენ [ამაზე, რადგან] ბერძნული, სირიული და სპარსული დამწერლობით იყვნენ კმაყოფილნი. მესროპს კი ამით არ შეეძლო სომხურ ენაზე ბიბლიური წიგნების თარგმნა, რის გამოც თავი მიუძღვნა ლოცვას წმინდა საჰაკის თანადგომით. ღმერთმა მას მისცა 14 ასო-ნიშანი, რომლებიც თავისი მარჯვენით გამოსახა მის წინაშე. როგორც დიდ მოსეს სინას მთაზე, ისე [გამოესახა] მას ბალუს მთაზე, სადაც ჯერ კიდევ ჩანს კვალი და ანაბეჭდი ღმრთის მიერ კლდეზე გამოსახული ასო-ნიშნებისა.“]

როგორც მოცემული ნაწყვეტიდან ჩანს, ვარდან აღმოსავლელი მამტოცს სომხური ანბანის რეფორმატორად აცხადებს. ისტორიკოსი საუბრობს დანიელ ასურისგან მოტანილი 22 სომხური ასო-ნიშნისათვის 14 გრაფემის დამატებაზე, რომელიც მამტოცის ლოცვა-ვედრებით ღმერთს თავისი ხელით გამოუსახავს ბალუს მთაზე:

²⁷ ვარდანის „მსოფლიო ისტორია“ ერთადერთი თხზულებაა, რომელშიც სომხური ანბანის შექმნა ვრამშაპუჰის მეფობის მეშვიდე წლით თარიღდება. ყველა სხვა სომხური წყარო ამ მნიშვნელოვან მოვლენას ვრამშაპუჰის მეფობის მეექვსე წელს უკავშირებს.

²⁸ ბალუს მთა დასავლეთ სომხეთში, ქალაქ ბალუსში მდებარეობს. გადმოცემის თანახმად, ბალუს მთას წმ. მესროპის მთას უწოდებენ. აქ მამტოცს გარკვეული დროით უცხოვრია და საბოლოოდ ამ მთაზე გაუმართავს სომხური ანბანი (Հակոբյան... 1985: 561).

«...გიჟი იქ არაჲრ ამნსაჲს ადგაგ სქინ ქიორიჲგ, უანჲი იქ ღარითაროჲ ს იქ
ძიჲნორიჲჲქ ჯმასთისაგაჲ, ს ათაგნიორიჲგაჲ ათ სა, აჲქ ჲ ქერქსაჲჲაროჲ ს
ჲაჲჲარჲსაჲსთიჲღ აგნიჲ გიჲგაჲ ძიჲგ იჲჲიორიჲს იჲსმანს» (ქმქინ 1861: 71): [„ეს ყველა
ერისათვის არ გაუკეთებია უფალს. რადგან არა მაცდუნებლებმა და არა შუაკაცებმა
ჩაგვაგონეს სიბრძნე და წარგვიძღვნენ მასთან, არამედ ზეციდან გამოწვდილმა
ქვეყნისშემქმნელმა მარჯვენამ დაგვიწერა ჩვენ დამწერლობა სწავლისა“ (შოშიაშვილი...
2002: 76).]

ვარდანის ამ ცნობაზე დაყრდნობით იყო, რომ ფრ. მიულერმა შეცვალა თავისი
პირველი მოსაზრება (რომლის მიხედვით, მესროპამდელ სომხურ ანბანს სემიტურს
(არამეულს) უკავშირებდა) და წინარემესროპული ანბანის წყაროდ სირიული
მიიჩნია. სომხური გრაფემების რაოდენობა – დანიელ ასურთან აღმოჩენილი 22
გრაფემა და მაშტოცის მიერ 14 გრაფემის დამატება, ფრ. მიულერის აზრით,
„გასაოცრად ემთხვევა სირიული ანბანის რაოდენობას“-ო (Müller 1890: 284-288).

ვარდანის მიერ დასახელებული გრაფემების რაოდენობა, 22 და 14 გრაფემა,
არცერთ სხვა სომხურ წერილობით წყაროში არ მეორდება. რა წყაროთი უნდა
ესარგებლა ვარდანს? იგი კორიუნს სულ ორჯერ ახსენებს, ისიც მხოლოდ როგორც
ერთ-ერთ მოწაფეს, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ბერძნული ენიდან
სომხურად წიგნების გადმოთარგმნაში. კორიუნის, როგორც მაშტოცის ბიოგრაფის,
და შესაბამისად, თავისი წყაროს შესახებ ვარდანი არაფერს ამბობს.

ფ. ანთაბიანმა დეტალური ანალიზი ჩაატარა, რის საფუძველზე გამოავლინა
ყველა ის პირველწყარო, რომლითაც უნდა ესარგებლა ვარდან აღმოსავლელს
„მსოფლიო ისტორიის“ წერისას. მკვლევარმა დაასკვნა, რომ ვარდანმა მანამდე
არსებული თითქმის ყველა წყარო გამოიყენა (Անթաქյան 1984: 78-105), თუმცა
წყაროთა შორის კორიუნი დასახელებული არ არის. რ. ტომსონი ამას იმით ხსნის,
რომ კორიუნის ნაწარმოები ვარდანის უშუალო წყარო არ ყოფილა. კორიუნის
ტექსტი გამოიყენეს შემდგომი პერიოდის ისტორიკოსებმა – მოსე ხორენელმა, იოანე
კათალიკოსმა (დრასხანაკერტელმა), ასოლიკმა. ვარდანმა კი სომხური დამწერლობის
წარმოშობაზე საუბრისას მათი თხზულებებით ისარგებლა. ამიტომ სულაც არ არის

გასაკვირი, რომ ვარდანი სხვადასხვა წყაროდან იღებს განსხვავებულ დეტალებს და ერთად კრებს მათ, რათა გადმოგვცეს ახალი თხრობა (Thomson 1989: 133).

ვარდანი აღმოსავლელი რომ ფართოდ სარგებლობს ადრინდელი ხანისა და მისი თანადროული წერილობითი წყაროებით, ეს არაერთხელ შენიშნეს „მსოფლიო ისტორიით“ დაინტერესებულმა მკვლევრებმა. ისტორიკოსი დიდი სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით ეკიდება სხვა წყაროთაგან მოპოვებულ ინფორმაციას, პირდაპირ და სიტყვასიტყვით კი არ იწერს ამა თუ იმ ცნობას, არამედ შეგროვებულ მასალას ერთმანეთთან აჯერებს და ამგვარად წარუდგენს თავის მკითხველს. ეს ზოგჯერ ართულებს ვარდანის მიერ გამოყენებულ წყაროთა დადგენას (შოშიაშვილი... 2002: 20-21).

ვარდანის თანახმად, სომხური ანბანის გამართვის შემდეგ საჰაკისა და მაშტოცის მოწაფეებმა მთარგმნელობით საქმიანობას მიჰყვეს ხელი და მრავალი მატთანე გადმოთარგმნეს ლევონის ნუსხის მიხედვით: „წმ. პატრიარქმა საჰაკმა, გახარებულმა ამ ზეციური საჩუქრით, გამოარჩია გონიერი ყრმები და გაგზავნა სხვადასხვა ხალხში, რათა ყველა ხალხისგან გადმოეღოთ წიგნის ხელოვნება. ჰოვსეფი, ლევონდი, ჰოვჰანესი, აბრაჰამი, არძანი, მუშე, ეზნაკი, კორიუნი და სხვები. ცოტა ხნის შემდეგ გაგზავნა: მოვსესი, დავითი, ელიშე და მამბრე – მოვსესის ძმა. მათ შემდეგ – არძან არწრუნი, ხოსრო და ისტორიკოსი ლაზარე. მათ გადმოთარგმნეს ყველა მატთანე წმ. ლევონდის ზუსტი ნუსხების მიხედვით“ (Էմին 1861: 71).

ამ ნაწყვეტში ვარდანი აღმოსავლელის წყარო სტეფანოს ტარონელის (ასოლიკის) „მსოფლიო ისტორიაა“. ასოლიკის მსგავსად, ვარდანი საუბრობს საჰაკ კათალიკოსის მიერ წმ. რიფსიმეს ტაძრის განახლებაზე:

ვარდანი აღმოსავლელი

სტეფანოს ტარონელი (ასოლიკი)

«Տորոզեաց սուրբն Սահակ և «Սա նորոզեաց գտաճար սրբոց գտաճար սրբոց Հռիփսիմեանց՝ կուսանացն, գկործանեսալն ի Շապիոյ

დასერესაჲს ი ზაყიჲს. - ს ანჲსაჲს ლესაჲს ჲადასორქს. ს ანგქთ თნოჲს ოსქერასგნ
ნჲსარასგნ` ხსნოქსაჲს Ლსათოიჲს, სრქოქს ჴიქიქიქსაჲს` ხსნოქოადიქ
ჲსთინესაჲს სნა: Ლსა ლთესაჲს Ლსათოიჲს Ლსათას ლეს: Ლსა ლ, Ლრ სნაჲს Ლსან
ჲადასორქოქსან ს Ლქსანსაჲსოქსან Ლქსანსაჲსაქსოქსოქსანს ლთესაჲს ი Ლქქერს ი
ჲსაქქს Ლსახლასოქსანსაჲს ს Ლქსოქსანს თსაქსანს Ლქსანსაჲს Ჲადასორქოქსანს
ანოქქს სოქოქქს ი Ლქსანს Ლსოქქს» (ლქს სრქასქოქსანსაჲს ს Ლქსანსაჲს
1861: 72):

„განახლასა Ლმ. სსაქქსა Ლმინდა
რიქსიმიანთას Ლქსანს, Ლომელიქ
აოქსრებული Ლქს Ლსაქქსის მიქრ. მათი
ნქსმტი დაქსარული Ლქს დას [Ლმ. სსაქქსის]
თოქსონით ლმქრთმა Ლანუქსხადა მას. მან
[სსაქქსა] Ლბილას მქსოქსისას დას
ქსაქქლავუნთას Ლქსმის მლქვდელმთავრობის
გაუქქმება დას დროთას Ლანმავლობას
ხელახალი Ლანახლება“.

ქსანსაჲსაქსოქსანს Ლსაქქს სრქოქს
Ლქქქოქქს, ს Ლსქოქს Ლმანს Ლქსარქს
ქქქასქქს. Ლსაქს ი Ლქსანს Ლქსანსაქქს
ანოქქს, Ლსასაგ, Ლქსარქსაქს Ლქსანს
ჲადასორქოქსანს ს Ლქსოქქს
ქსანსაჲსაქსოქსანს ი სოქსონს
საქქსაგ Ლსახანსქს Ლქსანსაქსაჲს»
(Ლსაქქსასქსანს 1885: 76):

„მან [სსაქქსა] Ლანახლასა Ლმინდა
ქსალწულთას Ლქსანს, Ლომელიქ
დამოქსილი Ლქს მქსოქს Ლსაქქსის მიქრ.
Ლმ. რიქსიქს სსაქქსის Ლქსნობი
ადგილი, ლოქვა-ვედრებით ლმრთისაგან
ქსნობილი Ლახდა. Ლს Ლქს, ვიქრე
მლქვდელმთავარმა ლამით ხილვა ნახას
არშაქსუნთანთას მქსოქსის გაუქქმებისას დას
Ლმინდა Ლრიგორის Ლვარის
მლქვდელმთავრობის Ლქსქსექსის დას
სხვათას Ლანწესების Ლქსახებ.“

ხოლო Ლლსასრულის Ლქსმს, თქვა,
რომ Ლვლავ Ლლსდებას მქსოქსას დას

განახლდება მღვდელმთავრობა მათი
გვარიდან განსაზღვრული დროით.“

ვარდან აღმოსავლელი მამტოცის მიერ ქართლსა და ალბანეთში მოგზაურობისა და ქართული და ალბანური დამწერლობათა შექმნის შესახებ ცნობას ტრაფარეტულად გადმოგვცემს:

«სჟ სჟსანჟელი აჟრს სსსთოიჟ შსსთოჟ, ასსესჟ ჰ ჟჰრჟ ` ათსს სოგჟ გჰრჟ ჰ ღსთს ღჟჟელი ოსსსს, ორ აჯასსესესესჟ სსსჟ: სს გსსესესჟ ოსსთოჟსსს ` სსთესთო სოგჟ გჰრჟ ოსსთ სოგჟ ოსსთჟსს ღსთესჟ ოსსთესჟჟ, მესროპი წავიდა ქართლში, შეუქმნა მათ დამწერლობა ვინმე ჯალელის ხელით, რომელიც დაემოწაფა მას. წავიდა ალბანეთში და შეუქმნა მათ დამწერლობა მათი ენის შესაბამისად ბენიამინის ხელით, რომელიც იქ მისი მოწაფე გახდა.“]

ამ ცნობაში ყურადღებას იქცევს ქართველი მთარგმნელის ჯალას სახელის სრულიად განსხვავებული ფორმით გამოყენება – „ჯალელი“ [«ღჟჟელიჟ»]. გ. ფნტგლიანი ამ სახელს აკავშირებდა ხარბერდის დიალექტთან – „ჩაღა“ (ბავშვი). ჰრ. აჟარიანი აღნიშნავდა, რომ „ჩაღ“- დაგ თურქული სიტყვაა, რაც „ეპოქას, დროს“ ნიშნავს და სომხურთან და ქართულთან არანაირი კავშირი არა აქვსო (სადათჟსს 1968: 180).

ვარდანის ცნობა ქართული და ალბანური ანბანების შექმნის შესახებ ყველაზე მეტ სიახლოვეს ავლენს მოსე ხორენელის თხზულებასთან:

„ხოლო მესროპი წავიდა ქართველთა ქვეყანაში, მათაც შეუქმნა ანბანი მადლის ზეგარდმო მინიჭებით ბერძნულ და სომხურ ენებზე მთარგმნელ ვინმე ჯალასთან ერთად... და თვით [მესროპი] ჩავიდა ალბანეთში მეფე არსვალენტთან და იერემია მთავარეპისკოპოსთან. მათ თავიანთი ნებით შეიწყნარეს მესროპის მოძღვრება და გადასცეს მას გამორჩეული ბავშვები. [მესროპმა] მოუწოდა ვინმე ბენიამინს, ნიჭიერ მთარგმნელს, რომელიც დაუყოვნებლივ გაუგზავნა მას სივნიეთის ხელისუფალმა ჭაბუკმა ვასაკმა...“ (სჟსთჟსს... 1991: 328-329; შდრ. აბდალაძე 1984: 223-224).

ვარდან აღმოსავლელი საჰაკისა და მაშტოცის მოღვაწეობის აღწერისას წყაროდ მოსე ხორენელისა და სტეფანოს ტარონელის თხზულებებს იყენებს. ვარდანი, ჩანს, ითვალისწინებს ყველა მის ხელთ არსებულ ცნობას სომხური ანბანის შექმნის შესახებ და მხოლოდ ამის შემდეგ კომპილაციურად გადმოგვცემს თავის ისტორიაში. რაც შეეხება სომხური ანბანის შექმნის ადგილად ბალუს მთის დასახელებას, ისტორიკოსს ამ შემთხვევაში ზეპირი წყაროებით უნდა ესარგებლა. როგორც აღნიშნავს რ. ტომსონი, ბალუს მთაზე სომხური გრაფემების გამოსახვის შესახებ თხრობისას, ვარდანი უნდა იმოწმებდეს ადგილობრივ ტრადიციას, რომელიც სხვა წყაროებით არ დასტურდება (Thomson 1989: 133).

კირაკოს განმაკელი

კირაკოს განმაკელი (კირაკოს გეტიკელი, აღმოსავლელი) XIII საუკუნის სომეხ ისტორიკოსთა პლეადის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი დაიბადა განმაკში, ამიტომ ეწოდა მას განმაკელი. კირაკოსი იყო ხორანაშატის მონასტრის წინამძღვრის, ვანაკან ვარდაპეტის მოწაფე. კირაკოსმა ვანაკან ვარდაპეტის მონასტერში მიიღო განათლება და მოძღვრობის საფეხურსაც აქ მიაღწია.

კირაკოს განმაკელის „სომხეთის ისტორია“ თითქმის ათასწლოვანი მატთანა – იწყება გრიგორ განმანათლებლიდან და 1265/1266 წლის მოვლენების აღწერით მთავრდება. ისტორია შედგება „შესავლისა“ (რომელსაც ეწოდება „იმ დროის მოკლე ისტორია, წმინდა გრიგორიდან...“, სადაც ჩამოთვლილია მემატთანეები აგათანგელოსიდან ვანაკან ვარდაპეტამდე) და 65 თავისაგან. თხზულება ორ ნაწილად იყოფა: ავტორი პირველ ნაწილში მოკლედ მოგვითხრობს გრიგოლ განმანათლებლის დროიდან მონღოლთა შემოსევამდე პერიოდის ისტორიას, მეორე ნაწილში კი დეტალურად აღწერს სომხეთში მონღოლთა ბატონობის ხანას.

კირაკოსი მოვლენებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გვთავაზობს. ჩვენთვის საინტერესო საკითხი – მაშტოცისა და საჰაკის მოღვაწეობის ეპოქა – პირველ ნაწილშია გადმოცემული:

«Եւ թագաւորեալ Խոսրով ամսս հինգ, հանէ զնա արքայն պարսից ի թագաւորութենէ և թագաւորեցուցանէ զՎռամշապուհ: Իսկ սուրբն Սահակ պայծառացոյց զեկեղեցին Քրիստոսի առաւել քան զամենեսեան զանազան կարգօք առաքինութեան և կանոնական օրինադրութեամբ:

Եւ ի ժամանակս սորա ծագեաց լոյս մեծ գիտութեան յաշխարհիս Հայոց, քանզի երանելին Մեսրոպ եկեալ առ սուրբն Սահակ, եթէ հնար ինչ իցէ ստեղծանել նշանագիր հայերէն լեզուի: Եւ եգիտ զնա առաւել ևս այնմ փափագող, քանզի ցայն վայր ոչ ունէին գիր հայերէն, այլ յոյն և ասորի գրով վարէին և նշանագրաս» (Մելիք-Օհանջանյան 1961: 25): [„ხოსროვი მეფობდა ხუთ წელიწადს, სპარსეთის მეფემ გაამევა იგი მეფობიდან და გაამევა ვრამშაპუპი. ხოლო წმინდა საჰაკმა უფრო მეტად განაბრწყინა ქრისტეს ეკლესია ყოველგვარი სათნოების სხვადასხვა წესითა და კანონიკური წესდებით.

და მის დროს აღმოცენდა სინათლე დიდი ცოდნისა სომხეთის ქვეყანაში, ვინაიდან ნეტარი მესროპი მოვიდა წმინდა საჰაკთან [იმის გასარკვევად], იყო თუ არა შესაძლებელი სომხური ენის ანბანის შექმნა. და შეიტყო იმაზე მეტი, ვიდრე სურდა, რადგან იქ არ ჰქონდათ სომხური დამწერლობა, არამედ ბერძნული და სირიული დამწერლობის ასო-ნიშნებით ხელმძღვანელობდნენ.“]

თხზულებაში მოკლედ არის მოთხრობილი ცნობილი ისტორია სირიის ეპისკოპოს დანიელთან სომხური გრაფემების აღმოჩენის, მათი გასინჯვისა და მამტოცის ღვთიური ხილვის შესახებ:

«Եւ ծանուցանեն զխորհուրդն Վռամշապիոյ թագաւորին: Եւ նա ասաց, թէ՛ «Մինչ էի ես ի կողմանս Ասորոց, ասաց ինձ ոմն եպիսկոպոս ասորի՝ Դանիէլ անուն, թէ՛ ունիմ ես նշանագիր հայերէն լեզուի, ես անփոյթ արարի առ ժամն»: Եւ առաքէն զնախարար զոմն, Վրախճայ անուն, առ Դանիէլն խնդրել ի նմանէ զնշանագիրն: Եւ նա առաքէ ի ձեռն Հաբելի երիցու: Եւ իբրև տեսին՝ ուրախ եղեն, և սկսան ի հայ լեզու փոխել զամենայն գիրս աստուածաշունչ. բայց հաեցեալ տեսին, զի ո՛չ էր բաւական զամենայն սիղոբայսն ողջ ածել, և զշաղկապս և զբառս, սկսան դարձեալ ի հոգս մտանել վասն այնորիկ: Իբրև թափեցան յամենայն մարդկային հնարից, ապաւինեցան յայն, որ ամենայն ինչ հնարաւոր է նմա, աղօթիւք խնդրեալ ի տեսանէ՛ յանձն առեալ զպահոց պնդութիւն և զաղօթս: Իսկ

აქ, որ ცქამა ზრქიღადაგ ჰრრრ ათნს ს ათრრრრ რრრ რს, რჯ ანსრსა არარ ცარრ
 რრრრრრ: ზრსრსა სზარრრრ რარ ღრრრ რრრრ` რრრრ რ რრრ რრრ. ს ღანრრსა
 ცამრსარს რანცამანს, ს რარრრსა` არრრ რრრ» (სზრრ-რრანჯანსან 1961: 25-26):
 [„და შერტკობრრს ვრამშაკუპ მრრს რანარრრრ [შრსახრ]. ზოლო მან ურზრა, რომ
 „როდესაც ვრმყოფებოდი ასურრრრს მზარრში, მრზრა ვრრრ რპრსკოპოსმა ასურმა,
 სახელად დანრლმა, რომ „მე მარკსო სომზური რნრს ანზანი, და მე დაუდრვრად
 გავაკრრრე ოდესღაც“. გავზავრს რრრრ ნახარარი, სახელად ვრახრრ (ვარრრრ რ.გ.)
 დანრლთან ასო-ნრშნრბრს სარზოვრლად. ზოლო მან გარუგზავრა [რს ასო-ნრშნრბრ]
 ზურსრ აბრლრს მრშვრობრთ. და როდესაც ნახრს, გარზარრს და დარრრს სომზურ
 რნაზე ბრბლრრს რრგნრბრს გადმორარგმრა. მარრამ გამოცადრს და ნახრს, რომ არ ოლო
 საკმარრსი ყველა ზერრსა და რზრული სრტყვრბრს სრულად გადმოსატანად და
 კვლავ დარრრს ამრსარრრს ზრრრვა. როდესაც ყოველგვარი ადამრანური
 შრსადლრბლობა ამოწურრს, მრენდვრნ რმას, ვრსრვრსაც ყოველრვრ შრსადლრბლრ
 რქნებოდა, და ლოცვრთ შრსრზოვდნრნ უფალს, რავრ მრუძვრს მკაცრ მარზვასა და
 ლოცვას. ზოლო მას [უფალს], რომლრც რავრს მრშრშრთა სურვრლრბს რლრბს და მარ
 ლოცვას რსმრნს, გულირადრ რზოვრა შრუშრნრვრლრ არ დარჩრნრა. გამოცხადა
 მრსროპს ძლრრრ ხელრს მტევანი, რომლრც კლდრზე წრდა, ყოველრ დრტალი
 უჩვრნა მას, [მრსროპრ] ადგა და შრქმრა ანზანი.“]

კორრუნრს „მამტოცრს ცზოვრრბრს“ მრხედვრთ, დანრლ რპრსკოპოსთან
 გრარვრმრბრს მრსატანად მრრრ ვრამშაკუპრ ვრრრ ვარრრრს გზავრნრს ზურსრ აბრლთან
 რრრად. კრრაკოს განძაკვლრ ვარრრრრს სახელს სზვარვარად აღნრშნავს, რსტორრკოს
 მას „ვრახკას“ უწოდრბს: «ზს არარრს რსარარარ რრრ` რრარრრ არრრ» (სზრრ-
 რრანჯანსან 1961: 25): კრრაკოსრს რზრულრბრს ხელნაწრრბში სახელრ „ვარრრრ“
 ზოგჯერ „ვარრრრ“-რს [«ვარარრრ»] ფორმრთ გვზდრბა, რაც სომზურ ზერრართა
 სრსტრმაში „კ“ და „ხ“ რანზმრვრნრბრს ასრმრლაცრრთ შრრძლრბა არზნას.
 „ვარრრრრ/ვარრრრრს“ [«ვარარრრ/ვარარრრ»] სახელრს ასრრრვრ ფორმაცვალრბას
 ვზდრბრთ ფრლონ ტრრაკვლრს „ქრონოგრარფრს“ რრრ ხელნაწრრში (ფრრრ... 2005:

951). „ვრახჭა“ [«Վրախձայ»] კი „ვახრიჭ“–ის [«Վախրիձ»] დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს.

თუ როგორ შეიტყო მეფე ვრამშაპუჰმა დანიელ ასურთან აღმოჩენილი სომხური ანბანის თაობაზე, ამასთან დაკავშირებით სამი მთავარი წყარო (კორიუნი, ლაზარე ფარპელი და მოსე ხორენელი) განსხვავებულ ცნობებს გვაწვდის:

კორიუნის „მამტოცის ცხოვრებაში“ არ ჩანს, საიდან აქვს სომხეთის მეფეს დანიელ ეპისკოპოსის ანბანის შესახებ ცნობა: „[მეფემ] უამბო მათ ერთი კაცის, სირიელი პატოსანი ეპისკოპოსის დანიელად წოდებულის შესახებ, რომელთანაც მოულოდნელად აღმოჩნდა სომხური ენის ანბანის ასო-ნიშნები“ (Աբելյან 1981: 90).

ლაზარე ფარპელი კი გვიამბობს, რომ კრებამდე რამდენიმე დღით ადრე ერთ ეკლესიაში საუბარი იყო სომხური ანბანის არარსებობაზე. სწორედ ამ დროს ვიღაცამ მეფეს უთხრა, რომ „ერთ სოფელში, ერთ ეპისკოპოსთან ვნახე სომხური ანბანი“-ო. მეფემ კი ამის შესახებ საჰაკ კათალიკოსს უამბო. კრების მსვლელობისას საჰაკს ეს ისტორია მოაგონდა და დასახმარებლად კვლავ მეფეს მიმართა: «Վասն որոյ և քան զաւուրս ինչ յառաջ ոչ բազումս՝ առեալ բանք յեկեղեցւոյ յաղագս կարօտութեան այդպիսի պիտոյից, ասացեալ է ուրեմն ցարքայ, թէ տեսի նշանագիրս հայերէն առ ումեմն եպիսկոպոսի ի գեղ միում, և թագաւորն յիշէր զասացեալսն, քանզի և ինձ (Մահակայ) նա պատմեաց» (Տէր-Մկրտչյան... 1904: 37): [„რის გამოც არც თუ მრავალი დღის წინათ ეკლესიიდან ესოდენ საჭირო რამის არქონის შესახებ ამბის მიღებისას, მეფისთვის ვიღაცას უთქვამს, რომ უნახავს სომხური ასო-ნიშნები ვიღაც ეპისკოპოსთან რომელიღაც სოფელში და მეფეს დაამახსოვრდა ის სიტყვები, რამეთუ მეც მომითხრო.“]

ეს ვიღაც სასულიერო პირი ჩანს. როდესაც ვაჰრიჭის გაგზავნის დრო დგება, ლაზარე ფარპელი უფრო ცხადს ხდის ისტორიას:

«Վաղվատակի ստիպով առաքեալ դեսպան զՎահրիձ ոմն անուն կոչեցեալ ի ծնողաց իւրոց հանդերձ հրովարտակաւ առ այր մի երէց Հաբէլ անուն, որոյ ասացեալ էր յառաջագոյն ցարքայ, որ և մերձաւոր էր առն բարեպաշտի Դանիէլի եպիսկոպոսի, առ որում նշանագիրքն հայերէն կային» (Տէր-Մկրտչյան... 1904: 38): [„მცისვე გაგზავნეს

დესპანი, რომელსაც მშობლებმა ვაჰრიჭი უწოდეს, [სამეფო] ბრძანებით ერთ ხუცესთან, სახელად აბელთან, რომლის შესახებ მანამდე ეუწყა მეფეს, რომ ის იყო ახლობელი [იმ] კეთილშესახური ეპისკოპოსი დანიელისა, რომელთანაც იყო სომხური ასოები.“]

საკითხს კიდევ უფრო ვრცლად ეხება მოსე ხორენელი. მისი „სომხეთის ისტორიის“ მიხედვით, არკადი კეისრის ავადმყოფობის გამო ბერძენთა სამეფოში არეულობა დაიწყო, სომხეთის მეფე ვრამშაპუკი მშვიდობისა და წესრიგის დასამყარებლად იქ გაემგზავრა. ვრამშაპუკის შუამდინარეთში ყოფნისას მასთან მივიდა ერთი ხუცესი, სახელად აბელი და მეფეს „აღუთქვა, რომ სომხური ენისათვის გაამზადებდა ასოებს, რომელიც მისმა ახლობელმა, დანიელ ეპისკოპოსმა შექმნა. მეფემ ყურადღება არ მიაქცია მას, მაგრამ სომხეთში რომ მოვიდა, ნახა, საკვადიდან და მესროპთან შეკრებილიყო ყველა ეპისკოპოსი სომხური ანბანის შექმნის თაობაზე. ვრამშაპუკმა ეს რომ შეიტყო, გადასცა მათ მონაზვნის ნათქვამი“ (აბდალაძე 1984: 222).

კირაკოს განმკველის მონათხრობი ოდნავ განსხვავდება მოსე ხორენელის ისტორიისგან, თუმცა მისი წყარო მოსე ხორენელია. განმკველის თხზულებაში ვრამშაპუკი ასეთ ისტორიას გვიამბობს:

«Մինչ էի ես ի կողմանս Ասորուց, ասաց ինձ ոմն եպիսկոպոս ասորի՝ Դանիէլ անուն, թէ ունին ես նշանագիր հայերէն լեզուի, և ես անփոյթ արարի առ ժամայն» (Մելիք-Օհանջանյան 1961: 25): [„როდესაც ვიმყოფებოდი ასურეთის მხარეში, მითხრა ვინმე ეპისკოპოსმა ასურმა, სახელად დანიელმა, რომ „მე მაქვსო სომხური ენის ასონიშნები, დაუდევრად გავაკეთე ოდესღაც“.]

ამ მონაკვეთიდან ჩანს, რომ მეფე ვრამშაპუკი პირადად შეხვდა ეპისკოპოს დანიელს და სწორედ მისგან შეიტყო სომხური ანბანის არსებობის შესახებ. კირაკოს განმკველთან ხუცესი აბელის როლი შეკვეცილია, თუმცა თხრობა კვლავ ნაცნობი ისტორიის მიხედვით გრძელდება. ამიტომაც მკვლევრები ამ წინადადებას დამახინჯებულად თვლიან (Աճառյան 1968: 109).

კირაკოს განმკველის „ისტორიაში“ კიდევ ერთ საინტერესო ცნობას ვხვდებით: «Եւ ժողովէն այնուհետս մանկունս բագունս և ուսուցանեն զբովանդակ աշխարհս, և

ქაძანსნა დანსკონსა მათაჟა ს ქაფილსონსა, ქაქსკადაქსა ს ზქსაოქჟა ქქქონსა, **ს ქარკენ ჟაქოგუ სათქქენ ს ქონსარქნ:** სი ნოსაქ მანსკანგნ აქნგქს ქამნსაქს ქამასთასქქოქქისა` სქქქისა ს ართაქქისა, სქსნ ქაქქამსქქ დქმართოქქსამქ» (სქქქ-ოქანგასქსა 1961: 26): [„ამს შქმდგ შქკრბეს მრავალი ბავშვი და ასწავლიდნენ მთელს ქვეყანას, გონიერი, ხმატკბილი და დიდსულოვანი ახალგაზრდები ორად გაყვეს და სირიული და ბერძნული სკოლები დააარსეს. ასწავლიდნენ იქ ბავშვებს ყოველგვარ სიბრძნეს – შიდას და გარეშეთას²⁹, გახდნენ ქქმმარიტი მთარგმნელნი.“]

მოტანილი ციტატიდან ჩანს, რომ სომხური ანბანის შექმნისთანავე სომხეთში სირიული და ბერძნული სკოლები გაუხსნიათ, სადაც მოწაფეებს სხვადასხვა საგნებს ასწავლიდნენ. ჰრ. აქარიანი ამას გაუგებრობას და ტექსტების დამახინჯებას უწოდებს (სდაქსა 1968: 171). ჩვენი აზრით, ეს სკოლები სხვა არაფერია, თუ არა ბიბლიის მომავალი სომეხი მთარგმნელებისთვის ასურული და ბერძნული ენების შესწავლის აუცილებლობა. მსგავსი ცნობა სხვა წერილობითი წყაროებით არ დასტურდება. შეიძლება გავიხსენოთ ისევ კორიუნის ტექსტი, მხოლოდ იქ ამ ენების შესასწავლად მოწაფეებს ედესასა და სამოსატში გზავნიან:

„ხოლო მოწაფეების მოყვარულმა მოძღვარმა თან წაყვანილნი ორ ჯგუფად გაჰყო, ნაწილი სირიული მწიგნობრობის [შესასწავლად] გაამწესა {ქალაქ ედესაში}, ნაწილი კი – ბერძნული მწიგნობრობის, და იქ, სამოსატელთა ქალაქში შეკრიბა“ (სქქქსა 1981: 94).

ისტორიკოსი ახასიათებს საჰაკისა და მამტოცის მოწაფეებს, აღნიშნავს, რომ ისინი „არა მხოლოდ მთარგმნელები, არამედ მოძღვრები, მასწავლებლები და მომავლის მთხრობელები, წინასწარმეტყველები იყვნენ... ისინი იყვნენ სვეტნი ეკლესიისა და ურყევი ზღუდენი მისი შვილებისა, მანათობელი შანდლები, ანთებული ლამპრები, რომლებიც საყოველთაოდ გახდნენ ცნობილნი მთელს მსოფლიოში“ (სქქქ-ოქანგასქსა 1961: 27).

²⁹ «სქქქისა ს ართაქქისა» – ტერმინებია, პირველი გულისხმობს საკუთრივ საღვთისმეტყველო მეცნიერებებს, მეორე კი დამატებით – მათემატიკა, რიტორიკა და ა.შ. ტექსტში ვთარგმნეთ ამ სიტყვების ძირითადი მნიშვნელობით – „მინაგანი და გარეგანი“.

კირაკოსი საჰაკისა და მაშტოცის მოწაფეთა სახელებს ჩამოთვლის და აღნიშნავს თითოეული მათგანის ღვაწლს. ისტორიკოსი მოწაფეთა შორის ასახელებს ლაზარე ფარპელს, რომელმაც „დაწერა თავისი წიგნი“ და სტეფანოს სივნიელს, რომელმაც „დაგვიტოვა მრავალი განმარტება წმინდა წიგნისა - მოკლე სახარების, იობის, დანიელის, ეზეკიელისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქის გერმანოსის საპასუხო ეპისტოლეებისა“ (Մելիք-Օհանջանյան 1961: 29).

აქ საქმე გვაქვს ანაქრონიზმთან: ლაზარე ფარპელი V საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა და თავს საჰაკისა და მაშტოცის უშუალო მოწაფედ არ მიიჩნევს. სივნიეთის ეპისკოპოსი სტეფანოსი (დაახლ. 660-735 წწ.) კი VII-VIII საუკუნეების ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, პოეტი, მთარგმნელია და სულ ცოტა ორი საუკუნე აშორებს საჰაკისა და მაშტოცის ეპოქას.

კირაკოს განძაკელის თხზულებაში მოთხრობილია მაშტოცის მიერ ალბანეთსა და ქართლში მოგზაურობის ისტორიაც. მას შემდეგ, რაც მაშტოცმა გაანათლა სომხეთის ქვეყანა სწავლებით, მოძღვრებითა და თარგმანებით, საქმე საჰაკ კათალიკოსს მიანდო, თავად კი ქართლსა და ალბანეთში გაემგზავრა და შეუქმნა მათ დამწერლობა. ამ მოგზაურობის აღწერაში უცნაური თითქოს არაფერია, ისტორიკოსი მოსე ხორენელის „ისტორიის“ მსგავსად გადმოგვცემს მაშტოცის მიერ ქართული და ალბანური ანბანების შექმნის ამბავს. თუმცა კირაკოსის ნაწარმოებში მაშტოცის მოგზაურობის თანმიმდევრობა არეულია – მაშტოცი ჯერ ალბანეთში მიემგზავრება, შემდეგ კი გადადის ქართლში თავისი მიზნის განსახორციელებლად. რომ არა ეს განსხვავება, კირაკოს განძაკელის თხრობა თავისი ლაკონურობით ყველაზე ახლოს იდგებოდა სომხურ სვინაქსარებში ქართლისა და ალბანეთის შესახებ დაცულ ცნობასთან:

კირაკოს განძაკელი „სომხეთის
ისტორია“

კირაკოს არეველცის სვინაქსარი

«իքն գնացեալ յԱդուսնս՝ առնէ և
նոցա նշանագիրս. և վարդապետս տուեցելոյ նմա շնորհին ի վերուստ,

«Իսկ Մեսրոպը գնաց ի Վիրս, և ըստ

ქოთელს სიგა` დასაქარხის ორას. არაჲ და სიგა დაჲ ქიქრისაჲს ლედი და სქოთ
ანს და სიგა სიგისაჲსაჲს დასა თოთქო ქლასკაჲს და დოსიქჲ სიგა
სიგა სიგისაჲს და ქლასკაჲს: და ასაქსა დასაქლასაჲს დაჲს: დასა და სიგისაჲს,
დასაქლასაჲს დასაქარხის დასაქსაჲს არაჲ და სიგა დაჲს და სარქსაჲს დაჲს»
დასაქსაჲს დასაქლასაჲს, ქოთელს და (Mat. 1339):

სიგა დასაქლასაჲს დაჲს
დასაქლასაჲს, დასაქსაჲს და სიგისაჲს
დასაქსაჲს დასაქლასაჲს დასაქსაჲს
დასაქლასაჲს» (სქიქ-ოხანსაჲსაჲს 1961:
30):

„ხოლო მესროვნი წავიდა
ქართლში, ზემოდან მინიჭებული
მადლის წყალობით შეუქმნა მათ
დამწერლობა თავიანთი ენისათვის,
თავის მოწაფეთაგან დაუტოვა მათ
ზედამხედველები და მასწავლებლები.
და წავიდა და წავიდა ალბანეთში, შეუქმნა მათ
დამწერლობა და დაარსა სკოლები“.

„ყველაფერი გადააბარა საჲსაჲს
კათალიკოსს, თავად კი წავიდა და
ალბანეთში, შეუქმნა მათ დამწერლობა,
დაუტოვა მოძღვრები და მოვიდა
ქართველთა ქვეყანაში, შეუქმნა მათაც
დამწერლობა ზემოდან მინიჭებული
მადლის წყალობით. ამგვარად
გაამხიარულა ქვეყანა ყოველგვარი
უპირობო სიხარულით, თავისი
მოწაფეებიდან მოძღვრები დაუტოვა
მათ, დაბრუნდა სომხეთში და ჰპოვა
საჲსაჲს დიდი, რომელიც თარგმანების
შესრულებით იყო დაკავებული“.

სომხურ ისტორიოგრაფიაში ყველაზე პოპულარულია მამტოცის მოღვაწეობა
დასავლეთ სომხეთში. ამის შესახებ ვრცლად მოგვითხრობენ კორიუნი და მოსე
ხორენელი. სომხეთის ბერძნულ ნაწილში მამტოცის მოგზაურობის ამსახველი

ზოგადი ამბები ორივე წყაროში ერთნაირად არის გადმოცემული, თუმცა უკვე ვაჩვენეთ ის საგრძნობი განსხვავებებიც, რომლებიც ამ წყაროებს შორის შეინიშნება.

რაც შეეხება კირაკოს განმკველის თხზულებას, არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ, ზოგადად, მაშტოცის მოღვაწეობის შესახებ თხრობისას კირაკოსის ისტორია ყველაზე მეტ სიახლოვეს ავლენს მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიასთან“. მაშტოცის ბერძნულ ნაწილში მოგზაურობისა და ქადაგების შესახებ კირაკოს განმკველი გვაწვდის ისეთ დეტალებს, რომელიც არ გვხვდება არც მოსე ხორენელთან და მით უფრო, არც კორიუნის თხზულებაში.

კირაკოს განმკველის „ისტორიაში“ ვკითხულობთ:

«Ընդ այն ժամանակս թագաւորեաց յունաց բարեպաշտն Թէոդոս փոքր, որդի Արկադէայ: Եւ առաքէ սուրբն Սահակ զվարդապետն Մեսրոպ և զթոռն իւր Վարդան թղթով առ Թէոդոս կայսր, զի հրաման տացէ այնոցիկ, որ ընդ իշխանութեամբ նորա իցեն, ուսանել զգիրս հայերէնս, զի վերակացուք նոցա ոչ տային թոյլ ուսանել զգիրսն վասն նախանձու: Իսկ հեզն Թէոդոս մեղադրեաց զառաջինն, եթէ՝ Ընդէ՞ր յատուրոց և ոչ ի յունաց իմաստասիրաց, որ ի մերում քաղաքիս, ինդրէիք զգիրս: Եւ պատմեաց Մեսրոպ, եթէ կատարումն արուեստին ի շնորհաց հագույն եղև: Յայնժամ գոհացեալ զԱստուծոյ բարեպաշտ թագաւորն, հրամայեաց պատուել զՄեսրոպ, իբրև զճշմարիտ և զիմաստուն վարդապետ: Նա և պատրիարքն Ատտիկոս և ամենայն ուխտ եկեղեցւոյն հանդերձ թագաւորսն գրեցին զՄեսրոպ ընդ առաջին վարդապետս եկեղեցւոյ՝ ընդ Աթանասի և ընդ Գրիգորեանս, ընդ Բարսեղի և ընդ Յովհաննու Ոսկեբերանի» (Մելիք-Օհանջանյան 1961: 30-31): [„იმ დროს გამეფდა ბერძენთა კეთილმსახური [კეისარი] თეოდოსი მცირე, არკადის ძე. წმინდა საჰაკმა გაგზავნა მესროპ ვარდაპეტი და თავისი შვილიშვილი ვარდანი წერილით თეოდოსი კეისართან, რათა ბრძანება გაეცა იმ მხარეში, რომელიც მისი ხელისუფლების ქვეშ იყო, რომ სომხური ანბანი ესწავლებინათ, რადგან მათმა ზემდგომებმა მომურნეობის გამო არ დართეს ნება ამ ანბანით სწავლებისა. ხოლო თეოდოსიმ თავდაპირველად მსუბუქად უსაყვედურა მათ: „*რატომ სთხოვეთ ანბანი სირიელებს და არა ბერძენ ფილოსოფოსებს, რომლებიც*

*ჩვენს ქალაქში არიან?*³⁰ “ მესროპმა მათ უამბო, რომ ხელოვნების სრულყოფა სულიწმიდის მადლით მოხდა. მაშინ კეთილმსახურმა მეფემ ადიდა ღმერთი, უბრძანა პატივი მიეგოთ მესროპისათვის, როგორც ჭეშმარიტი და ბრძენი მოძღვრისათვის. მან და პატრიარქმა ატიკოსმა და ეკლესიის მესვეურებმა მეფესთან ერთად მესროპი განაწესეს (წერილობით აღბეჭდეს) ეკლესიის პირველ მოძღვართა – ათანასესა და გრიგოლს³¹, ბასილსა და იოანე ოქროპირს შორის“.]

მოსე ხორენელის მსგავსად, კირაკოსიც საუბრობს ქალაქ კარინის დაარსების შესახებ:

«Եւ հրսման և յաշխարհին Հայոց շինել քաղաք ի Կարին գաւառի, և անուանեսց զքաղաքն Թեոդուսիւիս, որ այժմ կոչի Կարնոյ քաղաք: Եւ եկեսալ Մեսրոպայ՝ ուսոյց ևս զկէս ազգին, որ ընդ իշխանութեամբ Թեոդուսի» (Մելիք-Օհանջանյան 1961: 32): [„ბრძანება გასცა, რომ სომხეთის ქვეყანაში, კარინის გავარში ქალაქი აეშენებინათ და ქალაქს უწოდეს თეოდოპოლისი, რომელიც ამჟამად კარნუ ქალაქად იწოდება. მოვიდა მესროპი და ასწავლა ნახევარ ერს, რომელიც იყო თეოდოსის ხელისუფლების ქვეშ“.]

კირაკოს განმარტებული „სომხეთის ისტორიაში“ საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს მაშტოცის საქმიანობაზე. მისი ძირითადი წყარო მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიაა“. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ კირაკოსი ბევრ ახალ და განსხვავებულ დეტალს ჰმატებს მაშტოცის მოღვაწეობის აქამდე ცნობილ ისტორიას. იგი სარგებლობს როგორც წერილობითი წყაროებით, ისე ზეპირი გადმოცემებით. ისტორიკოსი წყაროებისა და თხრობის მიმართ კრიტიკულ მიდგომას ამჟღავნებს. კირაკოს განმარტებმა, იგივე კირაკოს არეველციმ, თავისი სვინაქსარული კრებულის შედგენისას სწორედ ამ განსხვავებული ცნობებით შეავსო მაშტოცის ხსენების დღის საკითხავი. კირაკოს განმარტებისა და კირაკოს არეველცის იგივეობის საკითხს დეტალურად განვიხილავთ მაშტოცის სვინაქსარულ ცხოვრებებზე საუბრისას (იხ. გამოკვლევა „მაშტოცი სომხურ ლიტურგიკულ კრებულებში“).

³⁰ ამ ცნობით, სომხურ ანბანს საფუძვლად დაედო სირიული ანბანი. დანიელ ასურის ანბანს რომ მართლაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ეს კიდევ ერთხელ არის ხაზგასმული კირაკოსის თხზულებაში.

³¹ სომხურ ტექსტში გრიგოლის სახელი შეცდომით «Գրիգորիւս» ფორმით არის მითითებული.

მხითარ აირივანელი

მხითარ აირივანელი XIII საუკუნის სომეხ ისტორიკოსთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მას თავისი ცხოვრების შემოქმედებითი ეტაპი აირივანქის ანუ გელარდის მონასტერში გაუტარებია.

მხითარ აირივანელის მდიდარ შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საისტორიო ხასიათის ნაწარმოებს, რომელიც „ქრონოგრაფიული ისტორიის“ სახელით არის ცნობილი. სათაური პირობითია, რადგან ამ ნაწარმოების სათაურს არც ერთი ხელნაწერი არ შეიცავს. ზოგჯერ თხზულებას „ახალ ისტორიასაც“ უწოდებენ. თხზულების ქართველმა გამომცემელმა ლ. დავლიანიძემ იგი „ქრონოგრაფიული ისტორიის“ სახელით გამოაქვეყნა, რადგან ნაწარმოებში მოვლენები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის გადმოცემული (დავლიანიძე-ტატიშვილი 1990: 13). თხზულებაში ისტორიული ფაქტები მოცემულია უძველესი დროიდან 1289 წლამდე. აქვე წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნის საერო და სასულიერო ხელისუფალთა სიები – ქრონოლოგიური პრინციპით დალაგებული.

შუა საუკუნეების სომეხ ავტორებს შორის მხითარ აირივანელი ერთადერთი ისტორიკოსია, რომელიც ქართული ანბანის შემქმნელად ქართლის პირველ მეფე ფარნავაზს ასახელებს და ამით განსხვავდება სხვა ძველი სომეხი მემკვიდრეებისაგან:

«4580 Կրաց առաջին թագաւոր Փառնասազ, որ ի վեց լեզուէ արար զկրացերէնն, նաև զգիր նորա» (Մատթևանյան 1867: 54): [„პირველი ქართველი მეფე ფარნავაზი, რომელმაც ექვსი ენიდან შექმნა ქართული. მანვე [შექმნა] მათი დამწერლობა“ (დავლიანიძე-ტატიშვილი 1990: 57).]

მხითარ აირივანელის ამ ცნობის წყარო უნდა იყოს „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, რომელშიც ვკითხულობთ:

„მაშინ ქართლში ექვს ენაზე მეტყველებდნენ: სომხურად და ხაზარულად, ასურულად და ებრაულად, ბერძნულად და რომელიც მათი შერევით შეიკრიბა – ქართულად“ (აბულაძე 1953: 23). „ქართლოსის ნათესავთაგან პირველი მეფე იყო ფარნავაზი. მან უბრძანა მთელ ქვეყანას, რომ ელაპარაკათ ქართველთა ენაზე, და შექმნა დამწერლობა ქართული ენისათვის...“ (აბულაძე 1953: 37).

მხითარ აირივანელი ქართული დამწერლობის შექმნის ქართულ ვერსიას უჭერს მხარს და ამით უპირისპირდება სხვა დანარჩენ სომეხ ავტორებს, რომლებიც ქართული დამწერლობის ფუძემდებლად V საუკუნის სომეხ საეკლესიო მოღვაწე მაშტოცს მიიჩნევენ.

სამუელ ანელის მსგავსად, საკუთრივ სომხური მწიგნობრობის დასაწყისს მხითარ აირივანელი 423 წლით ათარიღებს:

«423 Սկիզբն դպրութեանց հայ գրոցս ի ձեռն սրբոյն Սահակայ և Մեսրոպայ, որք վաթսուն աշակերտօք աշխատեալք թարգմանեցին զամենայն Հին և Նոր կտակարանս: Կատարեցան աշակերտքն Մաշտոցի յԱստղաբլուրն» (Պատկանյան 1867: 62): [„სომხური მწიგნობრობის დასაწყისი, წმინდა საჰაკისა და მესროპის მიერ, რომლებმაც სამოცი მოწაფით თარგმნეს მთელი ძველი და ახალი აღთქმა. მაშტოცის მოწაფეები აღესრულნენ ასტაბლურში“³² (დავლიანიძე-ტატიშვილი 1990: 65).]

მხითარ აირივანელი თავის ნაშრომში წყაროებს არ ასახელებს. თუმცა დაინტერესებულმა მკვლევრებმა შეისწავლეს მხითარის მიერ წყაროთა გამოყენების საკითხი და დაადგინეს, რომ სომეხ ავტორთა ისტორიების გარდა, აირივანელი კარგად იცნობდა ბიბლიის კანონიკურსა და აპოკრიფულ წიგნებს, ევსები კესარიელის, კლიმენტი რომაელის, მიქაელ ასურის შრომებს, „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანს (დავლიანიძე-ტატიშვილი 1990: 14-15). მხითარ აირივანელი ქართული მწიგნობრობის შესახებ თხრობისას „ქართლის ცხოვრების“ გავლენას განიცდის. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მხითარმა არ იცოდა, თუ რას ამბობს სომხური ტრადიცია მაშტოცის მიერ ქართული ანბანის გამოგონებაზე. მხითარ აირივანელი რომ კარგად იცნობდა სომხურ საისტორიო მწერლობას, ეს ჩანს იმ ცნობებიდან, რომელთაც მხითარი სომხური წყაროების თანახმად გადმოგვცემს. მხითარ აირივანელის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ იგი მჭიდროდ ყოფილა

³² Աստղաբլուր (Աստեղաբլուր, Աստեղբլուր) – გორაკი დიდ სომხეთში, არცახის ოქლში. მდებარეობს მდინარე თართარის (ტრტუს) ზემო დინების მარცხენა მხარეს. ასტაბლური მოიხსენიება მოსე კალანკატუელის „ალბანთა ქვეყნის ისტორიაში“. გადმოცემის თანახმად, მაშტოცი მოწაფეებთან ერთად ამ ადგილას იყო დაბინავებული, ჰონებმა მაშტოცის მოწაფეები სწორედ ამ ადგილას დახოცეს, მათი ძვლები ვარსკვლავების მსგავსად ანათებდნენ და გორაკსაც ამიტომ ეწოდა ასტაბლური, რაც ქართულად „ვარსკვლავის გორაკს“ ნიშნავს.

დაკავშირებული იოანე ვანაკანისა და ვარდან აღმოსავლელის სკოლებთან, სარგებლობდა მათი ნაშრომებით და მთელი ცხოვრების მანძილზე ამ სკოლათა ტრადიციებს ავითარებდა.

საინტერესოა ის, რომ ვანაკან ვარდაპეტის ტრადიციებისა და იდეოლოგიის გამგრძელებელი მხითარ აირივანელი ჩვენთვის საგულისხმო საკითხის შესახებ საუბრისას სომხურ მწერლობასთან შედარებით უპირატესობას „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს ანიჭებს.

სტეფანოს ორბელიანი

XIII-XIV საუკუნეების ისტორიკოსი, ღვთისმეტყველი, პოეტი, რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწე სტეფანოს ორბელიანი წარმომავლობით ქართველ ორბელთა გასომხებული შტოს წარმომადგენელია. სტეფანოს ორბელიანის მდიდარი შემოქმედებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „სისაკანის სახლის ისტორია“, რომელშიც მოთხრობილია სივნიეთის სანახარარო სახლის წარმოშობის, სომხეთის ცხოვრებაში მისი როლის, სივნიეთში ქრისტიანობის გავრცელების, სივნიეთის საეპისკოპოსოს, ეკლესია-მონასტრების სასულიერო-კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების, სამწიგნობრო კერებისა და სასწავლებლების შესახებ. თხზულება გამოირჩევა მასალის სიუხვითა და მრავალფეროვნებით, ისტორიული ფაქტების განმარტებებითა და შეფასებებით (Այվაყიანი 2002: 932).

ჩვენი კვლევის საკითხთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება თხზულების იმ ნაწილს, რომელშიც მამტოცის მოღვაწეობის ამსახველი რამდენიმე პასაჟია გადმოცემული. სტეფანოს ორბელიანი გვიამბობს მამტოცის მიერ სივნიეთისა და გოლთნის გავარის გაქრისტიანების ისტორიას:

„გაუწყებთ ამ ქვეყნის ხელახლა მოქცევას, რომელიც [აღსრულდა] წმინდა და მზრუნველი კაცის მამტოცის მიერ, რომელიც მესრობად იწოდება“ (Մատուցիւն... 1910: 53).

კორიუნის „მაშტოცის ცხოვრებიდან“ ცნობილია, რომ მაშტოცი არშაკუნიანთა სამეფო კარის სამდივნოში მსახურობდა, შემდეგ მან უარი თქვა საერო ცხოვრებაზე, ბერად აღიკვეცა და გარკვეული დროის მანძილზე ასკეტურად ცხოვრობდა. სამეცნიერო წრეებში წამოიჭრა საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ სად და რომელ ადგილებში იმყოფებოდა მაშტოცი განდეგილობის დროს. მოსე ხორენელი ასეთ ადგილად გოლთნის გავარს ასახელებს:

«Եւ երթեալ ի գաւառն Գողթան բնակէ, գմխայնակեցուքեան վարս ստացեալ» (Աբեղյան... 1991: 316): [„წავიდა და დამკვიდრდა გოლთნის გავარში, იტვირთა ასკეტური ცხოვრება“.]

მოსე ხორენელის გავლენით, სტეფანოს ორბელიანიც მაშტოცის განმარტოების ადგილად მიიჩნევს გოლთნის გავარს, სივნიეთის მხარეში:

«...կամեցաւ թաքուցանել զինքն ի խռովարար կենցաղոյս. և առեալ զգն մխայնակեցուքեան՝ փութայր ի նասահանգիստն: Եւ եկեալ ի Սիսական կողմս՝ հաճեցաւ բնակել ի գեղեցիկ գաւառն Գողթան, և խստամբեր ճգնութեամբ զբազում ատուրս առաքինացեալ» (Պատմութիւն... 1910: 53-54): [„...სურდა თავი დაეღწია მშფოთვარე ცხოვრებისაგან, [მეშტოცმა] მიიღო ფორმა მარტოდმყოფობისა, მსწრაფლ გაემურა ნავთსაყუდელისაკენ. და მოვიდა სივნიეთის მხარეში, მოისურვა დასახლება გოლთნის ლამაზ გავარში, და მრავალი დღის მანძილზე მკაცრი ასკეტობით, სათნოებით აღივსებოდა“.]

არც მაშტოცის ბიოგრაფი კორიუნი, არც ლაზარე ფარპელი და არც კარაპეტ სასუნელი მაშტოცის განდეგილობის ადგილად გოლთნის გავარს არ ასახელებენ. მათ თხოულებებში უცნობია, თუ სად გაატარა მაშტოცმა თავისი მარტოდმყოფობის პირველი ეტაპი. კორიუნის ცნობით, განდეგილობიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, მაშტოცმა შეკრიბა მოწაფეები და ჩავიდა გოლთნის გავარში. აქედან გამომდინარე, მეცნიერები ფიქრობენ, რომ მისი განმარტოების ადგილი გოლთნის გავარი არ ყოფილა, თუმცა ტერიტორიულად არც ისე შორს უნდა ყოფილიყო მისგან (Աճառյան 1968: 88).

სხვა ქვეყნების მსგავსად, სომხეთშიც ქრისტიანული რელიგიის გავრცელება ერთიანად, ერთ ეტაპად არ მომხდარა. ძველი რელიგიის კვალი, წარმართული წეს-ჩვეულებანი განაპირა რაიონებში ფარულად, მაგრამ კვლავ შენარჩუნებული იყო. ბერძნული გავლენის შესუსტებისა და სპარსეთის სამეფოს პოზიციების გაძლიერების შედეგად სომხეთის სპარსულ ნაწილში ძველი რელიგია თანდათან სააშკარაოზე გამოდიოდა, სომეხი მოსახლეობის ნაწილი, რომელიც უკვე გაქრისტიანებული იყო, ისევ ძველი წარმართული კულტის თაყვანისცემას უბრუნდებოდა. სომეხ ისტორიკოსთა მოწმობით, ასეთი ვითარება შეიქმნა გოლთნისა და სივნიეთის გავარებში. მოსე ხორენელი ამ პერიოდის მოვლენებს ამგვარად აღწერს:

«Եւ որ ի նա ղօղեսլ աղանդն հեթանոսական, թագուցեսլ յաւուրսն Տրդատայ մինչև զայն ժամանակս, և ապա յայտնեսլ ի վատթարել թագաւորութեանն Արշակունեսց» (Աբելյան... 1991: 316). – «Քանզի մնացեսլ արմատ դառնութեան հեթանոսական աղանդոյն ի ժամանակի անիշխանութեանն ի վեր երեսեսլ ի հուզումս տարածեսլ» (Աբելյան... 1991: 340): [„მასში გავრცელებული წარმართული წვალემა, რომელიც დაფარული იყო თრდატის დროიდან იმ ხანებამდე, გამჟღავნდა არშაკუნიანთა მეფობის დასუსტებისას...“ „რამეთუ დარჩენილი მწარე ძირი წარმართული წვალეებისა უმეფობის ჟამს გამოჩენილიყო და მრავალთა შორის გავრცელებულიყო“.]

სტეფანოს ორბელიანის ცნობით კი, «Ի նուսզել թագաւորութեանն Հայոց համարձակեսլ ամենայն ոք ըստ իւր բարուց ընթանալ, որպէս և աստ. զի աղանդն հեթանոսական դեռ ևս ղօղեսլ կայր ուրեք ուրեք ի գաւառն Սիսական և ի Գողթն, այժմ համարձակեսլ երեսցուցին» (Պատմութիւն... 1910: 54): [„სომხეთის სამეფოს დაცემისას ყველამ გაბედა, თავისი სურვილისამებრ მოქცეულიყო ისე, როგორც აქ [სივნიეთში], რამეთუ წარმართული წვალემა ჯერ კიდევ დაფარულად იყო სივნიეთისა და გოლთნის სხვადასხვა ადგილებში, ხოლო ახლა გაბედეს და გამოჩნდნენ“-ო.]

მაშტოცი აქტიურ მქადაგებლობით საქმიანობას ეწეოდა, იგი დადიოდა სხვადასხვა ადგილებში და ქრისტიანობას უქადაგებდა მოსახლეობას. სწორედ ამ მიზნით იგი თავის მოწაფეებთან ერთად გაემართა სივნიეთისაკენ, დაუყოვნებლივ

დაიწყო ქადაგება, რათა მთლიანად აღმოეფხვრა წარმართობის ნაშთი და ქრისტიანული მოძღვრება კვლავ გაეგრძელებინა მთელს ქვეყანაში. მაშტოცმა სივნიეთის მთავრის, ვალინაკის დახმარებით გააქრისტიანა სივნიეთის მხარე, ასევე მოაქცია გოლთნის გავარის მკვიდრნი იმ მხარის მთავრის ხელშეწყობით, რომელსაც სტეფანოს ორბელიანი შაბითას უწოდებს:

«*Եւ եկեալ ի Սիսական կողմն՝ հաճեցաւ բնակիլ ի գեղեցիկ գաւառն Գողթան, և խստամբեր ճգնութեամբ բազում աւուրս առաքինացեալ, ծանեալ զկրկին երեսալ աղանդն կոսապաշտութեան. և սկսեալ ի քարոզութիւն՝ մեծամեծ և ահագին նշանօք ոչ ինչ ընդհատ քան զսբբոյն Գրիգորի, ի հաւատս ածել զաշխարհս Սիսական հրամանաւ և օգնութեամբ բարեպաշտ իշխանին Սիւնեաց Վաղինասկայ, սբբել զկոսապաշտութիւնն և խորտակել զկուռնն թաքուցեալ: Նմանապէս և զԳողթն սբբեալ ի ձեռն իշխանին իւրեանց Շաբիթայի» (Պատմութիւն... 1910: 54): [„და მოვიდა სივნიეთის მხარეში, მოისურვა დასახლება გოლთნის ლამაზ გავარში, და მრავალი დღის მანძილზე მკაცრი ასკეტობით გამხნეებულმა შეიტყო კერპთაყვანისმცემლობის წვალების კვლავ გამოჩენა და დაიწყო ქადაგება დიდი და საშიში სასწაულებით, რომელიც წმინდა გრიგორს არაფრით ჩამორჩებოდა, [ქრისტეს] რწმენაზე მოაქცია სივნიეთის ქვეყანა სივნიეთის კეთილმსახური მთავრის ვალინაკის ბრძანებითა და დახმარებით, გაწმინდა კერპთაყვანისმცემლობა და შემუსრა დაფარული კერპები. ამის მსგავსად განიწმინდა გოლთნი მათი მთავრის შაბითას მიერ.“]*

კორიუნი გოლთნის მთავარს შაბათს, მოსე ხორენელი კი შაბითს უწოდებს, ჯგუფის ტექსტებშიც „შაბით“-ის ფორმით გვხვდება, თხზულების C რედაქციაში კი იგი შამბითად მოიხსენიება: «*Շրթայր ի Գողթն, որում ընդ առաջ լինէր իշխանն Շաբիթ*» (Մաթևոսյան 1994: 116-117): [„წავიდა გოლთნში, სადაც მას მიეგება [გოლთნის] მთავარი შამბითი.“] ამ ოთხი ფორმიდან (Շաբաթ, Շաբիթ, Շաբիթա, Շամբիթ) Հր. აჭარიანს საუკეთესოდ მიაჩნია კორიუნის «Շաբաթ» – „შაბათ“ ფორმა, რომელსაც მეცნიერი სირიული Sabatā სიტყვიდან მომდინარედ თვლის (Աճառյան 1968: 89-90).

სტეფანოს ორბელიანის თხზულების მიხედვით, მაშტოცი ორჯერ ქადაგებს სივნიეთის მხარეში და ამ მხრივ განსხვავდება სხვა ავტორთა ცნობებისაგან.

მაგალითად, კორიუნის თხზულებაში მაშტოცი ორჯერ გაემგზავრა გოლთნის გავარში, გოლთნში მეორედ ქადაგების შემდეგ კი გადავიდა მოსაზღვრე სივნიეთში, ქრისტიანულ შჯულზე მოაქცია სივნიეთის გავარი. მოსე ხორენელის თხზულებაში კი მაშტოცმა სივნიეთში ქრისტიანული მოძღვრება თავისი მქადაგებლობითი მოღვაწეობის პირველსავე ეტაპზე იქადაგა.

სტეფანოს ორბელიანის „ისტორიის“ თანახმად, მაშტოცმა გააქრისტიანა სივნიეთის ქვეყანა, „დატოვა მთარგმნელი და მასწავლებელი, რომელიც შეარჩია თავის მოწაფეთაგან – ბენიამინი და ანანია, რომელიც შემდეგ ხელდასხმულ იქნა იმ ქვეყნის ეპისკოპოსად, რომ კვლავ არ ჩაცვენილიყვნენ შეცოდებაში, თავად კი წავიდა წმინდა საჰაკთან“ (Պատմութիւն... 1910: 54).

კორიუნის დახასიათებით, ანანია იყო „კაცი წმინდა და გამოჩენილი, ეკლესიის მემკვიდრეთათვის მამობრივად [მზრუნველი]“ (Աբելյան 1981: 108).

სტეფანოსის ცნობიდან ჩანს, რომ მაშტოცმა ანანია სივნიეთის ეპისკოპოსად, ბენიამინი კი სკოლების ზემდგომად დანიშნა. სივნიეთში მეორე ქადაგების შემდეგ, მაშტოცის თხოვნით ანანია ბენიამინთან ერთად ალბანეთში გაემგზავრა. მათ შექმნეს ალბანური ანბანი, გახსნეს სკოლები, ქრისტიანულ შჯულზე მოაქციეს წარმართთა დარჩენილი ნაწილი. ანანიამ სკოლებისა და მთარგმნელობითი საქმიანობის ხელმძღვანელად ბენიამინი დატოვა, თავად კი სივნიეთში დაბრუნდა: «Եւ յետ զայարդարելոյ առեալ ընդ ինքեան զԲենիամին՝ գնաց յաշխարհն Աղուսնից առ թագաւորն Եսպաղէն ի ինդրոյ Մեսրոպայ. և արարին ի միասին զիր ազգին այն ընդ ինքեքսպոյն լեզուի նոցա: Եւ զմասցեալ կոսապաշտութիւնն սրբեցին, և աստուածային վարդապետութեամբն լուսաւորեաց զաշխարհն կրկին անգամ. և եթող զԲենիամին անդ ի վերայ թարգմանութեան դպրոցաց մանկստոյն. և ինքն Անանիա կամեցաւ անդրէն դառնալ» (Պատմութիւն... 1910: 56): [„ამის მოწესრიგების შემდეგ, მესრობის თხოვნით, წაიყვანა ბენიამინი და წავიდა ალბანეთის ქვეყანაში მეფე ესვალენტან. მათ ერთობლივად შექმნეს დამწერლობა იმ ერისათვის მათი უხეში ენის შესაბამისად. და გაწმინდა დარჩენილი კერპთაყვანისმცემლობა და კვლავ ღვთაებრივი

მოდღვრებით გაანათლა ქვეყანა, დატოვა იქ ბენიამინი ბავშვთა მთარგმნელობითი სკოლების ზემდგომად, თავად ანანია კი მოისურვა იქიდან დაბრუნება“.]

სომხურ საისტორიო მწერლობაში ალბანეთის ქვეყნის მოქცევის, ალბანური ენისათვის დამწერლობის შექმნის, სკოლების გახსნისა და თარგმანების წამოწყების მთელი ინიციატივა და დამსახურება რეალურად თუ გადაჭარბებით მაშტოცს უკავშირდება. სტეფანოს ორბელიანის „სისაკანის სახლის ისტორია“ თავიდან ბოლომდე პატრიოტული სულისკვეთებით არის გამსჭვალული. შესაძლოა, ისტორიკოსმა, სივნიეთის როლის ასამაღლებლად და წარმოსაჩენად, მთელი ქვეყნის მოქცევისა და განსწავლის პატივი სივნიეთის ეპისკოპოსს მიანიჭა. ამასთან დაკავშირებით ჰრ. აჭარიანი აღნიშნავდა, რომ ისტორიკოსის მიზანია, თავისი მშობლიური კუთხის შესახებ გადმოცემულ ამბებს მეტი მიმზიდველობა და ელფერი შესძინოსო (Աճառյան 1968: 93).

ჰრ. აჭარიანისგან განსხვავებით, ჰ. ბ. სარგისიანი სტეფანოს ორბელიანის ნაამბობს სრულ ჭეშმარიტებად მიიჩნევდა. მისი აზრით, ორბელიანმა მეტისმეტად დააკნინა მაშტოცის როლი და, პირიქით, გადაჭარბებით წარმოგვიდგინა ანანიას დამსახურება ალბანეთის გაქრისტიანების ისტორიაში (Աճაռյան 1968: 226).

სამეცნიერო წრეებში გამორკვეულია, თუ რა წყაროებით ისარგებლა სტეფანოს ორბელიანმა თხზულების წერისას. ეს წყაროებია: აგათანგელოსის, მოსე ხორენელის, ფავსტოს ბუზანდის, ლაზარე ფარპელის, ედიშეს, ღევონდის, უხტანესის, სამუელ ანელის, სამველ კამრჯამორელისა და სხვათა ნაშრომები. ამასთანავე, ისტორიკოსი იყენებს სომეხ მეფეთა და სივნიეთის მთავართა ბრძანებულებებსა და წერილებს, საკათალიკოსო კონდაკებს, სივნიეთის ეპისკოპოსთა მიმოწერას, ტათევის მონასტერში შემონახულ ისტორიულ და მიწათმფლობელობის დოკუმენტებს, ეპიგრაფიკულ მასალას, „ქართლის ცხოვრებას“, ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებს და სხვ. (Գրիգորյან 1976: 158).

მაშტოცის საქმიანობის შესახებ თხრობით ნაწილში სტეფანოს ორბელიანის ძირითადი წყარო მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“ უნდა ყოფილიყო.

განსხვავებული ცნობები ისტორიკოსმა, შესაძლოა, აიღო სივნიეთის ეპისკოპოსის, პეტრეს „ისტორიიდან“, რომელსაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია.

ბ) სომხური პოლემიკური ლიტერატურა

აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მესამე ეპისტოლე კირონ ქართლის კათალიკოსს

საისტორიო თხზულებების გვერდით განვიხილავთ აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მიერ კირონ ქართლის კათალიკოსისადმი გაგზავნილ მესამე ეპისტოლეს, რომელიც მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს VII საუკუნის საერთო კავკასიური პრობლემატიკის შესახებ. მაშტოცთან დაკავშირებული საკითხიც სწორედ აბრაამის მესამე ეპისტოლეში მოგვეპოვება. აბრაამის ეპისტოლე სხვა დოკუმენტურ მასალასთან ერთად დაცულია „ეპისტოლეთა წიგნში“, X საუკუნეში შექმნილ უხტანესის თხზულებაში „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ და „სარწმუნოების ბეჭედში“, რომელიც VII საუკუნეში შედგენილ დოგმატურ კრებულს წარმოადგენს.

„ეპისტოლეთა წიგნში“ შესულია სომხეთის ეკლესიისა და სახელმწიფოს მესვეურთა მიმოწერა სხვა ეკლესიების მესვეურებთან V-XIII საუკუნეების მანძილზე. ქართველმა სპეციალისტებმა საგანგებოდ შეისწავლეს კრებულის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ქართლისა და სომხეთის ურთიერთობას ეხება. „ეპისტოლეთა წიგნის“ ამ ნაწილში ასახული მასალა მოიცავს ქართველ-სომეხთა საეკლესიო კამათის პირველ ეტაპს, რომელსაც შედეგად ქართული და სომხური ეკლესიების განხეთქილება მოჰყვა.

კავკასიაში საეკლესიო პოლემიკა დაიწყო VI საუკუნის მეორე ნახევრიდან და VII საუკუნის დამდეგს განხეთქილებით დასრულდა. საქართველომ ბიზანტიური კურსი აირჩია, სომხეთმა კი – სპარსული. მთელი ამ პროცესის განმავლობაში სომხური ეკლესიის მესვეურები გამაფრთხილებელ, ზოგჯერ კი საყვედურით აღსავსე წერილებს უგზავნიან ქართლის კათალიკოსს, ცდილობენ დაუმტკიცონ მას

სომხური აღმსარებლობის ჭეშმარიტება და მოაქციონ ქართველი ერი ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე.

აბრაამის ეპისტოლეში აღნიშნულია ქართველთა წინაშე მამტოცის დამსახურების შესახებ:

Թուղթ երրորդ Տեանն Աբրահամու Հայոց უფալ օբրաամ սոմեხთա կათალიკոսის կաթուղիկուսի սա Գիւրիոն Վրաց მესამე ეპისტოლე კիրონ ქართლის կաթուղիկուս კათალიკოსს

«... Բայց արդ՝ մի՛ հեղգասցուք, գւերն „... მაგრამ ეხლა նუ დავიზარებთ, რომ հոգևոր՝ որ կայր ի մէջ երկուց ազգացս განვაახლოთ სულიერი სიყვարული, նորոգել, գայն՝ որ ի միոջէ աղբերէ առեալ რომელიց որիցը ხալხս շորის იցո, իս եր գվարդապետութիւն, որ նախ ինքեանք მოძღვրեա, რომელიց ერთի წყարოდան գլենդանութեանն լոյս առին, որպէս մոգვიდա. չեր თვითոն մոլղես ուսուցին մարգարէքն և առաքեալքն և ցեօვրեան նատელი, როგորց ապա մեզ և ձեզ հասարակ սերմանեցին გვասწავլես წինասწարմեպցեղեքն և գվաստուածպաշտութիւն նախ երանելին մոցիքլեքն, և շեմձեց սաերտու սուրբն Գրիգոր, և ապա Մաշտոց, և գգրոց ճմրտիսմսახურեա և ճգնեցէս Զեն և ճանապարհութիւն ի պնդութիւն հաւատոց...»

(Գիւրք... 1901: 180)

და შემდეგ მამტოცმა; და წიგნის ცოდნა სარწმუნოების განსამტკიცებლად...“

(ალექსიძე 1968: 92-93)

აბრაამ კათალიკოსის მტკიცებით, სომხეთსა და საქართველოს ღვთისმსახურებისა და ქრისტიანობის გამავრცელებელი საერთო მოძღვრები ჰყავდათ: ჯერ ნეტარი წმინდა გრიგოლ განმანათლებელი, შემდეგ კი მამტოცი, რომელმაც სარწმუნოების სიმტკიცისათვის წერის ხელოვნებას შეასწავლა ქართველებს. „ეპისტოლეთა წიგნის“ ამ ცნობის გამო ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „რაკი ეს წერილი 607 წელს არის დაწერილი და არ ჩანს, რომ მამტოცის შესახებ ცნობა პირველად სწორედ აქ იყოს გამომჟღავნებული, ამიტომ უნდა

დავასკვნათ, რომ უკვე VI ს. დამლევს მაშთოცი საქართველოსა და, საფიქრებელია, ალბანეთის მოღვაწედაც და ქართულისა და ალბანური ანბანის გამომგონებლადაც ყოფილა დასახული“ (ჯავახიშვილი 1935: 182).

აბრაამ კათალიკოსის ეს ცნობა დაცულია „ეპისტოლეთა წიგნის“ იმ ხელნაწერში, რომელიც ანტონიანთა ძმობის ნუსხის სახელწოდებითაა ცნობილი, გადაწერილია 1298 წელს. როგორც აღვნიშნეთ, აბრაამის მესამე ეპისტოლე შესულია „სარწმუნოების ბეჭედში“. ტექსტის კრიტიკულმა შესწავლამ აჩვენა, რომ აბრაამის ეპისტოლე აღებულია „ეპისტოლეთა წიგნიდან“ და ნასწორები და გარედაქტირებული სახით გაცილებით გვიან არის შეტანილი „სარწმუნოების ბეჭედში“ (ალექსიძე 1975: 319).

X საუკუნის სომეხი ისტორიკოსის უხტანესის თხზულება „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ „ეპისტოლეთა წიგნის“ საფუძველზე შეიქმნა და მისი ძირითადი წყარო „ეპისტოლეთა წიგნია“. ნაშრომში შესულია ქართველ და სომეხ საეკლესიო მოღვაწეთა მიმოწერა.

პირველი მეცნიერი, რომელმაც კრიტიკულად შეისწავლა „ეპისტოლეთა წიგნი“ და უხტანესის ნაშრომი „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“, შეუდარა ერთმანეთს და გამოავლინა თხზულებათა რედაქციული ცვლილებები, ზ. ალექსიძე (ალექსიძე 1968; ალექსიძე 1975). მკვლევარმა ნაშრომებს ვრცელი გამოკვლევა დაურთო და ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ქართველ-სომეხ ეკლესიის მესვეურთა მიმოწერის სრული სომხური ტექსტები სათანადო ქართული თარგმანით. ზ. ალექსიძემ თავის გამოკვლევაში ცალკე თავი მიუძღვნა აბრაამ კათალიკოსის მესამე ეპისტოლეში მაშტოცის შესახებ დაცულ ცნობას. მკვლევარმა „ეპისტოლეთა წიგნის“, „სარწმუნოების ბეჭედისა“ და უხტანესის თხზულების საფუძველზე კრიტიკულად განიხილა ეპისტოლეს ტექსტი და მნიშვნელოვან შედეგებამდეც მივიდა:

მეცნიერის აზრით, აბრაამის ეპისტოლეს ფრაზა – „და წიგნის ცოდნა სარწმუნოების განსამტკიცებლად...“ – გაუმართავია და არაორგანული ჩანს მთელი ეპისტოლისათვის.

1. „ეპისტოლეთა წიგნმა“ შემოგვინახა კირონ ქართლის კათალიკოსის პასუხი აბრაამის მესამე ეპისტოლეზე. მასში არც ართი სიტყვა არ არის ნათქვამი ქართველი ხალხის წინაშე მამტოცის ამ დიდი დამსახურების შესახებ. კირონი, რომელიც აჯგუფებს ყოველი ეპისტოლეს არგუმენტს და ამის შემდეგ თითოეულ საკითხზე თანმიმდევრულად პასუხობს, აბრაამ კათალიკოსის მამტოცის შესახებ არგუმენტს არც უარყოფს და არც ცნობს.

2. უხტანესის თხზულებაში შესული აბრაამის მესამე ეპისტოლე სიტყვასიტყვით იმეორებს ანტონიანთა ძმობის ხელნაწერის ტექსტს. საინტერესოა ის, რომ უხტანესისეულ ეპისტოლეს სწორედ ის ადგილი აკლია, სადაც საუბარია მამტოცის მიერ სომხური და ქართული დამწერლობების შექმნის შესახებ („და წიგნის ცოდნა სარწმუნოების განსამტკიცებლად...“) და რასაც არაორგანულად თვლის მკვლევარი „ეპისტოლეთა წიგნისათვის“ (ალექსიძე 1975: 292).

ზ. ალექსიძე თავის ნაშრომში ვრცლად საუბრობს უხტანესის, როგორც რედაქტორის შესახებ და მნიშვნელოვანი დაკვირვებები აქვს მის ტექსტოლოგიურ ძიებაზე: უხტანესის რედაქციული მუშაობა ძირითადად ტექსტის შემოკლებაში მდგომარეობს. იგი ტოვებს იმ ადგილებს, სადაც ვრცლად არის საუბარი მსოფლიო ეკლესიის ისტორიის შესახებ, ან კიდევ წმინდა დოგმატურ საკითხებზე, თუმცა ცდილობს შეინარჩუნოს მოპაექრეთა (უფრო ზუსტად სომეხთა) არგუმენტები. ზოგჯერ უხტანესი ჩანართებსაც აკეთებს და მაშინვე ცხადი ხდება მისი განზრახვა: დამატებები სომხეთის ეკლესიის მეთაურთა პრეტენზიების გამართლებას ემსახურება. უხტანესმა წინასწარი ტექსტოლოგიური კვლევა ჩაატარა და ხელთ ჰქონდა „ეპისტოლეთა წიგნის“ სხვადასხვა რედაქციები და ნუსხები. როგორც ჩანს, არც ერთ მათგანში არაფერი ეწერა მამტოცის მიერ სომხური და ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ, უფრო მეტიც, მამტოცის ამგვარი საქმიანობის შესახებ ისტორიკოს-პოლემისტს არც სხვა წყაროდან სცოდნია რაიმე, თორემ ეპისტოლეებისათვის დართულ თავის კომენტარებში ამის შესახებ უეჭველად აღნიშნავდა (ალექსიძე 1968: 039-041).

X საუკუნეში დაიწყო ქართველ-სომეხთა საეკლესიო ცილობის მეორე, როგორც ამ პერიოდის თხზულებებიდანაც ჩანს, საკმაოდ მწვავე ეტაპი. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ქართველთა და სომეხთა შორის მომხდარი საეკლესიო განხეთქილების ისტორიის აღწერას სომხური ეკლესია საშურ საქმედ თვლიდა. ეს საქმე ნარეკის მონასტრის წინამძღვრის დაკვეთით შეასრულა კიდეც სომეხმა ისტორიკოსმა უხტანესმა, რომელიც არანაკლებ შემფოთებას გამოხატავდა ორ ქრისტიანულ მრწამსს შორის არსებული დაპირისპირების გამო. იგი ყოველნაირად ცდილობდა, თავისი ისტორია (რომელსაც საფუძვლად ისევ და ისევ ეპისტოლეთა წიგნში შესული მიმოწერა უდევს) მონოფიზიტური ეკლესიის დამცველად და მისი პოზიციების განსამტკიცებლად წარმოეჩინა. შეუძლებელია, ასეთი იდეოლოგიის მქონე ისტორიკოსს მაშტოცის მიერ ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ ცნობა ქართველების წინააღმდეგ კამათში არ გამოეყენებინა, თუკი მსგავსი რამ მართლაც იქნებოდა მის ხელთ არსებულ რომელიმე ნუსხაში. უხტანესი ასეთ მყარ არგუმენტს ან ბრალდებას არავითარ შემთხვევაში არ გაუშვებდა ხელიდან, მას რომ რაიმე სცოდნოდა მაშტოცის ამგვარი საქმიანობის შესახებ. მით უფრო, რომ „ეპისტოლეთა წიგნში“ მაშტოცი ნახსენებია და უხტანესს ეს არ გამორჩებოდა. „ეპისტოლეთა წიგნში“ მაშტოცი მოიხსენიება, როგორც ქრისტიანობის მქადაგებელი და საჰაკ კათალიკოსის თანამებრძოლი, არაფერია ნათქვამი მის მიერ სომხური და ქართული ანბანების გამოგონების შესახებ.

აქედან გამომდინარე, სამართლიანად ასკვნის ზ. ალექსიძე, რომ „ეპისტოლეთა წიგნის“ ძველ რედაქციაში (X საუკუნემდე) ჯერ კიდევ არ ყოფილა ცნობა მაშტოცის მიერ ქართული და სომხური დამწერლობების შექმნის შესახებ და იგი გვიანდელი ინტერპოლაციაა. უხტანესის „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ აჩვენებს, რომ ქართული ანბანის შექმნის სომხური ვერსია X საუკუნეშიც არ ყოფილა პოპულარული.

ვანაკან ვარდაპეტი

XII-XIII საუკუნეების სომეხი საეკლესიო მოღვაწე ვანაკან ვარდაპეტ ტავუშელი (1181-1251) თავისი დროის გამოჩენილი ღვთისმეტყველი, პედაგოგი და მემატიაწი. ვანაკანმა განათლება ნორ გეტის სკოლაში მიიღო, 1201 წელს მღვდლად ეკურთხა, იყო მხითარ გომის მოწაფე და მისი საქმის გამგრძელებელი. ვანაკანი მონაწილეობას იღებდა ლორესა და ანისის საეკლესიო კრებებში და როგორც ამბობენ, აღწერდა კიდევ კრებების მსვლელობასა და ისტორიას. კრების ჩანაწერებს, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია. მხითარ გომის გარდაცვალების შემდეგ ვანაკან ვარდაპეტი ითვლება სომხეთის ყველაზე ავტორიტეტულ და განათლებულ პიროვნებად, მასწავლებლად. მან დააარსა ხორანაშატის მონასტერი და მონასტერთან არსებული სასწავლებელი, რომელმაც მალე გაითქვა სახელი. ვანაკან ვარდაპეტი აქტიურად იყო ჩართული იმ დროის პოლემიკურ-დოგმატური საკითხების გადაწყვეტაში.

ვანაკანის ანდერძებში, მოწაფეთა ნაშრომებში, ხორანაშატის მონასტრის ეპიგრაფიკასა და იქ გადაწერილ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში, სვინაქსარებში ვანაკან ვარდაპეტი ყველგან მოიხსენიება ვანაკანის სახელით. თუმცა შემდეგომი პერიოდის სომხურ ისტორიოგრაფიაში ვანაკან ვარდაპეტს იოანეს (*სომხ. Հովհաննես*) უწოდებენ, ნამდვილი სახელი კი გადაიქცა ზედწოდებად (*Շահնազարյան* 2001: 51). მ. აბელიანი ამის მიზეზად ვანაკან ვარდაპეტისა და იოანე ვარდაპეტ ტავუშელის აღრევას თვლის (*Աբელიან 1970: 293*). მ. მუთაფიანი ვანაკან ვარდაპეტის „ჩვენი ერისადმი თქმულ სარწმუნო სიტყვისადმი“ მიძღვნილ ნაშრომში განიხილავს თხზულების ავტორობის საკითხს და ტრადიციის გავლენით, ვანაკანის ნამდვილ სახელად იოანე მიაჩნია (*Մուտაֆեան 1995: 156-161*), მ. მუთაფიანის აზრით, ვარდან ვარდაპეტის „კრებულის“ ერთ ნაწყვეტში მოხსენიებული იოანე იგივე იოანე ვანაკანია, რომელმაც იმოგზაურა იერუსალიმში უფლის საფლავის მოსანახულებლად (*Հասարակ... 1862: 153-155*). არ. შაჰნაზარიანის მტკიცებით კი, ვარდან ვარდაპეტის „კრებულში“ საუბარი იოანე ტუელზეა (რომელიც იყო ვაჰრამიანთა საგვარეულოს ეპისკოპოსი და გამოჩენილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე) და არა ვანაკან ვარდაპეტზე (*Շահնազարյան 2001: 55*).

ვანაკან ვარდაპეტი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მისი მოწაფეები თხზულებებს ქმნიდნენ მასწავლებლის დავალებით და ფართოდ სარგებლობდნენ მისი ნაშრომებით. ამიტომ გასაოცარი სრულებით არ არის, რომ XIII საუკუნის სომხური მწერლობის გამორჩეულ მოღვაწეთა ნაშრომებზე დიდია ვანაკან ვარდაპეტის გავლენა. ვანაკან ვარდაპეტის მოწაფეები – კირაკოს განძაკელი, ვარდან აღმოსავლელი, გრიგორ აკანელი და სხვები ნაწარმოებების შექმნისას, პირველ რიგში, სწორედ თავიანთი მასწავლებლისა და მოძღვრის ნაშრომებს ეყრდნობოდნენ. ხორანაშატის სასწავლებელში მიუღია განათლება სვინაქსარების პირველი რედაქციის შემდეგენელს, ხაჩენის ეპისკოპოსს, ტერ-ისრაელს (Խաչիկյան 1995: 369) და ვანაკან ვარდაპეტის დავალებით შეუდგენია სვინაქსარული კრებული (Mat. 2189: 211a:). ვარდან აღმოსავლელის „კრებულისთვის“ [«ძიუსიქი»] პირველწყაროდ ვანაკან ვარდაპეტის „კითხვა-მიგებანი“ («Հարցմունք և պատասխանիք») ითვლება. ამას გარდა, ვარდან აღმოსავლელმა და კირაკოს განძაკელმა „ისტორიების“ წერისას, როგორც თვითონ აღნიშნავენ, არა მხოლოდ წყაროდ გამოიყენეს თავიანთი ვარდაპეტის „ისტორია“ [«Պատմութիւն»] ³³, არამედ ისტორიული მოვლენების აღწერისას იხელმძღვანელეს ვანაკანის ისტორიოგრაფიული მეთოდით (Շահնազարյան 2001: 57).

ვანაკან ვარდაპეტის ბიოგრაფიიდან კიდევ ერთი საინტერესო ფაქტია ცნობილი. ვანაკანს 1238 წელს უმოგზაურია თბილისში და უკან წაუღია მონღოლების მიერ სომხებისათვის წართმეული ერთი მოვერცხლილი სახარება, რომელიც თბილისელ სომხებს დიდი ძალისხმევითა და საფასურით გამოუსყიდიათ დამპყრობლებისგან (Mat.4823: 155r:).

ვანაკან ვარდაპეტმა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა კი დატოვა, მაგრამ ჩვენამდე ყველა მისმა თხზულებამ ვერ მოაღწია (მაგ., „ისტორიამ“). განსაკუთრებით საინტერესოა ვანაკან ვარდაპეტის „ჩვენი ერისადმი თქმული სარწმუნო სიტყვა“ [«Վանասկան վարդապետի ասացեալ Քան հայաստախ...»], რომელიც ერთხანს ვარდან აღმოსავლელს მიეწერებოდა მათი საერთო სტილის გამო. „ჩვენი

³³ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული აზრით, ვანაკან ვარდაპეტს დაუწერია „ისტორია“, რომელსაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია.

ერისადმი თქმული სარწმუნო სიტყვა“ მცირე ზომის საღვთისმეტყველო და გარკვეულწილად პოლემიკური ხასიათის ნაწარმოებია, რომელშიც ავტორი საუბრობს ქართველების წინაშე მამტოცის დამსახურებაზე.

ნაშრომში ვკითხულობთ:

«*Եւ թէ ասեն, թէ սուրբն Գրիգոր ի Կեսարիա ձեռնադրեցաւ, եւ ա՛յն մեր քաղաք է, եւ շատ Հայք էին անդ բնակեալ, եւ մեր Առաքելոյն աթոռ: Բայց թէ զի՞ զիւր չունէին Հայք, թէ զա՛յս կարեն ասել, այլ տե՛ս զի յԱստուծոյ տուաւ զիւր ազգիս՝ որպէս Մովսէսիս Իսրայէլի, զի եւ այլ ո՞ր ազգ պարծի այսու: Եւ ընդ նոսա զի՞ զարմանամք մեք ոչինչքս Հայոց յետին ծառայքս, Վիրքս ա՛յլ նախատեն զմեզ եւ ուրանան թէ Մեսրոպ, ետ նոցա զիւր, եւ զՎարձիոյ խաչն Մեսրոպ է աւրինեալ, եւ յաջ թելին կայ հայ զիւր եւ զայն ոսկով ծածկեալ են՝ թէ թող չերևի» (Մուխաֆեան 1995: 163; შდრ.: Գիրք... 1901: 534):*

[„და როგორც ამბობენ, წმინდა გრიგორი კესარიაში იქნა ხელდასხმული, ის ჩვენი ქალაქია, იქ ბევრი სომეხი სახლობს და ჩვენი სამოციქულო საყდარია. მაგრამ თუ რატომ არ ჰქონდათ სომეხებს დამწერლობა, თუკი ეს შეუძლიათ თქვან, ნახონ, რომ დამწერლობა ერს ისევე ებოძა ღმრთისაგან, როგორც მოსეთი ისრაელს, და სხვა რომელი ერი იამაყებს ასე? ხოლო მათგან რატომ გვიკვირს ჩვენ რაიმე – სომეხთა უკანასკნელი მონები, ქართველები გვლანძღავენ ჩვენ და უარყოფენ, რომ მესროპმა მისცა მათ დამწერლობა და ვარძიის ჯვარიც მესროპმა აკურთხა, მარჯვენა ფრთაზე არის სომხური წარწერა და ის ოქროთი დაფარეს, რომ არაფერი გამოჩდეს.“]

ვანაკან ვარდაპეტი ქართველებს სომეხების „უკანასკნელ მონებს“ უწოდებს, ბრალს დებს მათ სომეხების გმობასა და შეურაცხყოფაში, ასევე მამტოცის ღვაწლის დაუფასებლობაში. ვანაკანი თავის ეპისტოლეში ყოველნაირად ცდილობს, აჩვენოს სომეხთა უპირატესობა ქართველებთან შედარებით. მაგრამ ერთი ძალიან უხეში შეცდომის გამო, მთელი მისი ცნობები და მსჯელობა ყოველგვარ ნდობას კარგავს – ვარძიის ჯვარს მამტოცი ვერავითარ შემთხვევაში ვერ აკურთხებდა და ზედ სომხურ წარწერას ვერ გააკეთებდა, ეს სრული ანაქრონიზმია.

დასკვნა:

მოკლედ რომ შევაჯამოთ კორიუნის მომდევნო დროის სომეხ ავტორთა მონაცემები, საინტერესო დასკვნას მივიღებთ. სომხურ ისტორიოგრაფიაში მაშტოცის მოღვაწეობის ასპარეზი, ჩანს, რამდენიმე ძირითადი ხაზით ვითარდებოდა:

1. მაშტოცი – სომხური (ქართული და ალბანური) ანბანის შემქმნელი: პირველ ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ ის ავტორები, რომელთა ნაწარმოებებში მაშტოცი სომხური (ქართული და ალბანური) ანბანის შემოქმედად გვევლინება. ესენია: მოსე ხორენელი, მოსე კალანკატუელი (თხზულების II ნაწილი), აბრაამ სომეხთა კათალიკოსი (კირონ ქართლის კათალიკოსისადმი გაგზავნილი III ეპისტოლე), იოანე დრასხანაკერტელი, ვანაკან ვარდაპეტი, კირაკოს განძაკელი.
2. მაშტოცი – სომხური ანბანის რეფორმატორი: ამ ნაწილში ერთიანდებიან ის სომეხი ისტორიკოსები, რომელთა თხზულებებში მაშტოცი სომხური ანბანის რეფორმატორად, დანიელის ანბანისათვის რამდენიმე გრაფემის დამმატებელად წარმოგვიდგება. მათივე ცნობით, მაშტოცს საჰაკ კათალიკოსთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის სომხური მწიგნობრობის ჩამოყალიბებასა და მთარგმნელობით საქმიანობაში. ეს ავტორებია: ლაზარე ფარპელი, ფილონ ტირაკელი, სტეფანოს ტარონელი (ასოლიკი), სამუელ ანელი, ვარდან აღმოსავლელი.
3. მაშტოცი – მისიონერი, ქრისტიანობის მქადაგებელი: მესამე ჯგუფში გავაერთიანეთ ის ავტორები, რომელთა ნაშრომებში მაშტოცის დამსახურება სომეხი ერის წინაშე მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებითა და გავრცელებით შემოიფარგლება. ამ მხრივ გამორჩეულია თომა არწრუნისა და სტეფანოს ორბელიანის თხზულებები. მათი მთავარი ინტერესი და ყურადღება მიმართულია მაშტოცის, როგორც მქადაგებლისადმი და ნაკლებად აინტერესებთ მაშტოცი, როგორც ანბანის შემოქმედი, რეფორმატორი ან მთარგმნელი.

4. შუა საუკუნეების სომეხ ავტორებს შორის მხითარ აირივანელი ერთადერთი ისტორიკოსია, რომელიც ქართული ანბანის შემქმნელად ქართლის პირველ მეფე ფარნავაზს ასახელებს და ამით მხარს უჭერს ქართული ანბანის წარმოშობის ქართულ ვერსიას. მაშტოცი კი საჰაკ კათალიკოსთან ერთად მხოლოდ სომხური მწიგნობრობის სულისჩამდგემლად გვევლინება.

სომეხ ავტორთა ცნობების კრიტიკულმა შესწავლამ ცხადყო, რომ თუ კორიუნის ნაწარმოები გახდა ერთადერთი პირველწყარო ყველა სხვა სომეხი ავტორისათვის, ეს უნდა ყოფილიყო კორიუნის თხზულების განსხვავებული ვერსია, რომელშიც მაშტოცის როლიც არ იქნებოდა ისეთი, როგორც დღეს გვაქვს. სწორედ ეს სხვა ვერსია უნდა ჰქონოდა ხელთ ლაზარე ფარპელს, რომელიც მაშტოცს არა ანბანის შემოქმედად, არამედ საჰაკ კათალიკოსთან ერთად სომხური მწიგნობრობის ფუძემდებლად აცხადებს. ლაზარე ამ საქმეში მთელს ინიციატივას საჰაკ კათალიკოსს უკავშირებს. კორიუნის სხვა ვერსიის არსებობას ადასტურებს მოსე კალანკატუელი, რომელიც თხზულების პირველ ნაწილში მაშტოცს მისიონერად, მქადაგებლად წარმოგვიდგენს. შესაძლოა, მოსე ხორენელის *ჟმ* რედაქციას, რომელშიც მაშტოცი მხოლოდ სომხური ანბანის რეფორმატორია, საფუძვლად კორიუნის განსხვავებული ტექსტი უდევს.

კორიუნის თხზულების პარალელურად, მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“ ბევრი ავტორისთვის დამოუკიდებელ წყაროდ იქცა. სომხურ ისტორიოგრაფიაში თანდათან მოხდა მაშტოცის როლის გავრცობა, თუმცა, როგორც ვნახეთ, ქრონოლოგიურად ეს პროცესი არათანაბრად განვითარდა. გვიანი პერიოდის ზოგიერთ ავტორთან მაშტოცის როლი ისევ ვიწროა და დანიელის ანბანის რეფორმით ხასიათდება.

მაშტოცის მოღვაწეობის შესახებ ისტორია საუკეთესო ნიმუშია იმისა, თუ როგორ ეკიდებიან ავტორები წყაროებს. რას იღებენ, რას ტოვებენ ან როგორ ცვლიან მათ ხელთ არსებულ წყაროთა მონაცემებს. მაშტოცის ისტორია აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ავტორმა ნარატივი მოარგოს იმ კონკრეტულ მიზანს, რასაც


ემსახურება მისი ნაშრომი. ცნობების ცვლილება ეპოქის საჭიროებიდან გამომდინარეობს თუ კონკრეტულ ფაქტზე, მოვლენაზეა მორგებული.

ამ მხრივ გამორჩეულია სტეფანოს ორბელიანი. მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სივნიეთის პოლიტიკური, რელიგიური და კულტურული ცხოვრების აღწერაა და, შესაბამისად, წყაროებსაც ამ კუთხით აფასებს. სტეფანოს ორბელიანი ცნობებს იყენებს თავის სასარგებლოდ, არგებს თავის ისტორიას და ამისთვის ისტორიული მოვლენების ერთი ადგილიდან მეორეში გადატანასაც არ ერიდება.

ამრიგად, მაშტოცის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ სამი ძირითადი წყარო არსებობდა – კორიუნი, ლაზარე ფარპელი, მოსე ხორენელი. სომეხ ავტორთა დიდმა ნაწილმა წყაროებით სარგებლობისას არჩევანი ისეთ თხზულებაზე შეაჩერა, რომელშიც ყველაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი მაშტოცის როლი, მისი დამსახურება ამიერკავკასიის ხალხთათვის დამწერლობათა შექმნის საქმეში. თუმცა ფაქტია, რომ X საუკუნეში უხტანესმა ჯერ კიდევ არ იცის ამგვარი ტრადიციის არსებობა, XIII საუკუნის სომეხი ავტორი, მხითარ აირივანელი კი მხარს უჭერს ქართული ანბანის შექმნის ქართულ ვერსიას.

სომხურ წყაროთა ურთიერთმიმართებას მაშტოცის შესახებ დაცული ცნობების თვალსაზრისით სქემატურად წარმოვადგინოთ:

კორიუნი (არქეტიპი)



V თავი

მაშტოცი³⁴ სომხურ ლიტურგიკულ კრებულებში

„მაშტოცის ცხოვრებამ“ რომ გვიანდელი ხელნაწერებითა და სახეშეცვლილი ფორმით მოაღწია ჩვენამდე, ეს ცხადად გამოჩნდა თხზულების შემცველ ხელნაწერთა შორის არსებული რედაქციული განსხვავებების ჩვენებიდან. მაშტოცის პიროვნება და მისი მოღვაწეობის ასპარეზი განსხვავებულად აისახა ასევე ძველ სომხურ მწერლობაში: წყაროთა ერთი ნაწილისთვის მაშტოცი ამიერკავკასიის ხალხთათვის დამწერლობათა შემოქმედია, მეორე ნაწილისთვის კი მქადაგებელი – მის მთავარ დამსახურებად ქრისტიანული მოძღვრების გავრცელება მიიჩნევა.

თხზულების სხვადასხვა რედაქციებისა და ძველ სომხურ მწერლობაში ასახული მაშტოცის ღვაწლის პარალელურად, საინტერესოა, როგორია მაშტოცის, როგორც საეკლესიო მოღვაწის, საქმიანობა საკუთრივ ლიტურგიკული ხასიათის თხზულებებში. ჩვენი მიზანია ხელნაწერთა მონაცემების გათვალისწინებით ვაჩვენოთ, რა როლი და ფუნქცია დაეკისრა მას სომეხი ხალხის ცხოვრებაში.

ლიტურგიკულ კრებულებს თემატურად განვიხილავთ, მათში ერთიანდება ლექციონარები, სვინაქსარები, ჰიმნოგრაფიული კრებულები, ჟამნები. მათგან სვინაქსარი კრებულები გამოირჩევა მასალის მოცულობითა და მრავალფეროვნებით, ამიტომ მათ შესახებ ბოლოს გვექნება საუბარი.

სომხურ საეკლესიო პრაქტიკაში უძველეს კრებულს იერუსალიმური ლექციონარი წარმოადგენდა. ლექციონარი იერუსალიმური ლიტურგიკული პრაქტიკის ამსახველი კრებულია, რომელიც ბიბლიურ საკითხავ ტექსტებსა და ცალკეულ ჰიმნოგრაფიულ კანონებს მოიცავს. თავდაპირველად მასში ეროვნულ წმინდანთა ხსენების დღეები განწესებული არ იყო. იერუსალიმური პრაქტიკის

³⁴ მაშტოცი საეკლესიო ხასიათის ხელნაწერებში მესროპად მოიხსენიება, განსხვავებით საისტორიო თხზულებებისაგან, სადაც ზოგჯერ „მაშტოცი“ (ვარიაციებით – „მაშტოც/„მაშდოც“/„მაჟდოც“), ზოგჯერ კი „მესროპი“ („მესროვბ“) ეწოდება. სამეცნიერო ლიტერატურაში იგი მესროპ-მაშტოცის სახელით არის ცნობილი. პირველად სახელად მაშტოცი ითვლება, რადგან სწორედ ასე უწოდებს მას მისი ბიოგრაფი კორიუნი, სახელის ამ ფორმას იყენებს ლაზარე ფარპელიც (V ს.). ამიტომ ჩვენც პირვანდელ ფორმას ვიცავთ და სომეხ მოღვაწეს ყველგან მაშტოცს ვუწოდებთ, ლიტურგიკული კრებულების შემთხვევაშიც მას მაშტოცად მოვიხსენიებთ.

განვითარებასთან ერთად ეროვნული წმინდანების ხსენებების შეტანა ლექციონარში ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა. მატენადარანის ხელნაწერთა საცავში დაცულია 1154 წელს გადაწერილი Mat.832 ლექციონარი, რომელიც ჩვენამდე მოღწეული სხვა ადრინდელი სომხური ლექციონარებისგან გამოირჩევა იმით, რომ მასში სომეხ წმინდანთა დღესასწაულებია შესული. ამ ლექციონარში 25 ნოემბერს აღინიშნება მაშტოცის ხსენება საჰაკ კათალიკოსთან და სხვა მთარგმნელებთან ერთად, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კრებულის შემდგენლისთვის, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, მასში სომეხი წმინდანების ხსენებების ჩამმატებლისთვის, მაშტოცის მთავარ დამსახურებად სწორედ მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა ითვლება, ამიტომაც იხსენიება ის მთარგმნელებთან ერთად და არა დამოუკიდებლად.

Mat.832 ლექციონარის მსგავსად, მატენადარანში დაცული გვიანი პერიოდის სომხური ლექციონარები (Mat.936 (XII-XIII სს.); Mat.979 (1286 წ.); Mat.982 (1460 წ.)) შეიცავენ სომეხ მოღვაწეთა ხსენებებს, მათ შორის 25 ნოემბრის მთარგმნელთა დღესასწაულის ხსენების დღესაც. სომეხ წმინდანთა ხსენებებით ეს ლექციონარები ახლოს დგანან სომხურ სვინაქსარულ კრებულებთან. დღეს, სომხური სამოციქულო ეკლესია საჰაკისა და მაშტოცის ხსენებას წელიწადში ორჯერ აღნიშნავს – სულთმოფენობის მეოთხე კვირის მომდევნო ხუთშაბათს და წმინდა ჯვრის მეოთხე კვირის მომდევნო შაბათს. ეს დღე „საჰაკისა და მესროპის და სხვა მთარგმნელთა“ დღესასწაულის სახელით არის ცნობილი.

მთარგმნელთა დღესასწაულზე, 25 ნოემბერს, მაშტოცის ხსენება საჰაკ კათალიკოსთან ერთად აღინიშნება ასევე სომხურ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში: «Գանձ սրբոց թարգմանչացն Սահակայ և Մեսրոպայ» [„წმინდა მთარგმნელთა საჰაკისა და მესროპის საგალობელი“]. ამ კრებულებმა ჩვენამდე XV-XVIII საუკუნეების ხელნაწერებით მოაღწია (Mat.474 (1474 წ.); Mat.428 (1489 წ.); Mat.423 (1742 წ.); Arm. MS 18. Menologium, 17th c.; Arm. MS 62. Collection of Canticles, 17th c. (Medieval... 1984).

ცალკე უნდა აღინიშნოს ის ხელნაწერი კრებულები, რომლებშიც მაშტოცის როლი მთარგმნელობით მოღვაწეობას სცილდება და იგი უკვე არსებული სომხური ანბანისათვის რამდენიმე გრაფემის დამმატებლად არის წარმოჩენილი.

მატენადარანის №594 ხელნაწერში (Մամագիրք, Խորհրդաստեղ /ჟამნი³⁵, XVII ს.) მაშტოცისადმი მიძღვნილ საგალობელში ჩამოთვლილია ის გრაფემები, რომლებიც მაშტოცმა სომხურ ანბანს დაამატა: «Այս է գիրն ձայնասուրն, գր եգիտ Մեսրոպ թարգմանիչն ... ա, ե, է, ը, ի, ո, ւ» (Mat. 594: 6r) [„ეს არის ხმოვანი ასო-ნიშანი, რომელიც აღმოაჩინა მესროპ მთარგმნელმა... ა, ე, ე, გ, ი, ო, ჯ“]. 1413 წ. ხლათის მონასტერში გადაწერილ №599 ხელნაწერ კრებულში ასევე საუბარია მესროპის მიერ ხმოვნების დამატებაზე: «Ա, Ե, Է, Ը, Ի, Ո, Ի: Այս գրերս յասելս ի Մեսրոպայ՝ ի գեղեցիկ վարդապետէ» (Mat. 599: 37r-41v) [„ა, ე, ე, გ, ი, ო, ჯ – ეს ასო-ნიშნები დაემატა კეთილი მოძღვრის, მესროპისაგან“]. მატენადარანის №2618 ხელნაწერშიც (XVII ს.), ანალოგიურად მაშტოცი ანბანის რეფორმატორია: «Ձայնասուրք – Այս գրերս ասելս ի Մեսրոբա»: «Ո՞վ էհան գիր Հայոց – Յորժամ սուրբն Սահակ հայրապետ Հայոց և հայերէն եղաւ դարուքին...» (Mat. 2618: 255v) [„ხმოვნები – ეს ასო-ნიშნები მესროპისაგან დაემატა; ვინ განუტევა სომხური ანბანი – მაშინ, როდესაც სომხეთის მამამთავარმა წმიდა საჰაკმა დააფუძნა სომხური მწიგნობრობა?“]

მაშტოცის მოღვაწეობის ასპარეზი უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი სომხურ სვინაქსარულ კრებულებში.

სომხურ ეკლესიაში საეკლესიო ღვთისმსახურებისათვის სვინაქსარული კრებულების გამოყენება X საუკუნის ბოლოდან დაიწყო (გაფრინდაშვილი 2015: 291-312).

სომხური სვინაქსარი პირველად იოსებ კონსტანტინოპოლელმა თარგმნა ბერძნულიდან 991-992 წწ. ნ. აკინიანის აზრით, „იოსების მიზანი იყო სომეხი ხალხისთვის სულის მაცხოვრებელი ნაშრომი მიეცა და ცდილობდა ყველასთვის ადვილად გასაგები ენით გადმოეცა იგი“ (Ակինյան 1957: 1-12). იოსების სვინაქსარმა სომხურ სინამდვილეში დიდი აღიარება ვერ მოიპოვა, რადგან მოწამეების უმრავლესობა უცნობი იყო სომეხი ხალხისთვის, ნაცნობი წმინდანებიდან მხოლოდ გრიგოლ განმანათლებელი მოიხსენიებოდა რიფსიმესა და გაიანესთან ერთად. ამან

³⁵ ჟამნი («Մամագիրք») – ქრისტიანული ეკლესიის უძველესი ლიტურგიკული ძეგლია. სომხური „ჟამნი“ შედგენილობით განსხვავდება ქართული „ჟამნისაგან“. სომხური „ჟამნი“ საეკლესიო ღვთისმსახურებისთვის განკუთვნილი ლოცვებისა და საგალობლების გარდა ქადაგებებსაც შეიცავს.

სტიმული მისცა გრიგოლ კათალიკოსს³⁶, შეექმნა ახალი კრებული. მან საფუძვლად არსებული ლექციონარი აიღო, დაამატა სომეხ წმინდანთა ახალი ხსენებები, მათი დღესასწაულები გახადა უძრავი, შექმნა ამ წმინდანთა საკითხავები და საგალობლები. თუმცა ეს ჯერ არ იყო სვინაქსარი კლასიკური გაგებით. ეს იყო ლექციონარში ცვლილებების შეტანით მიღებული გარკვეული ტიპის კრებული, თანაც როგორც მისი მოწაფე, კირაკოსი ანდერძში აღნიშნავს, გრიგოლს თავისი ჩანაფიქრი ვერ დაუსრულებია: „ეს რთული საქმე დაუმთავრებელი დარჩაო“ (Ավդալբեგյան 1982: 43). ყოველივე ამის გამო სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში სვინაქსარების ისტორიას გრიგოლ კათალიკოსის მიერ შედგენილი კრებულით არ იწყებენ.

სომხურ ლექციონართაგან რომელი შეიძლება ვიგულისხმოთ გრიგოლის ნამუშევრად? ერევნის სომხურ ხელნაწერთა საცავში – მატენადარანში დაცულია Mat.832 ლექციონარი, გადაწერილი 1154 წ. ეს ლექციონარი საინტერესოა რამდენიმე თვალსაზრისით: 1. თვეების რიგით. თუკი ლექციონარები, ზოგადად, ხარებისა და შობის დღესასწაულებით, დეკემბრის ბოლოს და იანვრის დასაწყისით იწყება, ეს ლექციონარი იწყება სომხური კალენდრის მიხედვით – ნავასარდის 1-ით (აგვისტოს თვით); 2. საუფლო დღესასწაულების მოძრავი რიგი დარღვეულია; 3. სხვა დღესასწაულები უძრავი კალენდრის მიხედვით აღინიშნება, თუმცა არა ყოველდღიურად; 4. ლექციონარში შესულია ეროვნულ ნიადაგზე შექმნილი დღესასწაულები, რომლებიც სომეხ მოღვაწეთა ხსენებებს შეიცავს. საყურადღებოა ის, რომ ხელნაწერში საკითხავი მასალა შერჩეულია ისე, როგორც ტრადიციულად ირჩეოდა ლექციონარისთვის. ამ ხელნაწერის თავისებურებები ესადაგება იმ პრინციპებს, რომლებიც გრიგოლმა სვინაქსარის ტიპის კრებულის შექმნისას გაატარა. ამიტომაც მ. ავდალბეგიანის მოსაზრებით, Mat.832 ლექციონარი გრიგოლ

³⁶ გრიგოლ II ვკაიასერი (დაბ. თარიღი უცნობია – გარდ. 1105 წ.) სრულიად სომხეთის კათალიკოსი 1066 წლიდან. გრიგოლ მაგისტროს პაპლაგუნის ძე. ვკაიასერმა საფუძველი დაუდო საკათალიკოსო ტახტზე პაპლაგუნთა დინასტიის აღსაყდრებას, რომლის წარმომადგენლებს სომხეთის საკათალიკოსო ტახტი XIII საუკუნის დასაწყისამდე ეპყრათ.

ვკაიასერის მიერ შედგენილი თუ არა, მისი სისტემის მიხედვით უნდა ყოფილიყო შექმნილი (საქაყანის 1982: 46-49).

XIII საუკუნის შუა ხანებიდან სომხურ სინამდვილეში დაიწყო ეროვნული სვინაქსარის გამოყენება. ეს ეროვნული სვინაქსარი შეიქმნა იოსებ კონსტანტინოპოლელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი სვინაქსარისა და გრიგოლ ვკაიასერის კრებულის სომხური მასალის სინთეზით. მ. ავდალბეგიანმა მატენადარანის ყველა ხელნაწერის გათვალისწინებით შეისწავლა სვინაქსარების ისტორია და დაადგინა მათი რედაქციულობა. მან სვინაქსარების ოთხი რედაქცია გამოყო:

1. ტერ-ისრაელის სვინაქსარი;
2. კირაკოს აღმოსავლელის სვინაქსარი;
3. გრიგოლ ანავარზელის სვინაქსარი;
4. გრიგოლ წერენც ხლათელის სვინაქსარი.

აღნიშნული რედაქციები უკვე ჩამოყალიბებულ სვინაქსარულ კრებულებს წარმოადგენენ. სვინაქსარს სომხურად «Հայսմախուրք» [„ჰაისმახურქ“] ეწოდება. «Յայսմ ախուրք» [„ამ დღეს“], ამგვარად იწყება წმინდანთა ისტორიის თხრობა. სახელწოდებაც და სვინაქსარის სტრუქტურაც სვინაქსარის პირველი რედაქციის ავტორის, ტერ-ისრაელის ³⁷ კრებულიდან მომდინარეობს. ამიტომაც სომხურ სამეცნიერო წრეებში სვინაქსარული რედაქციების ისტორიის ათვლას ტერ-ისრაელიდან იწყებენ.

ტერ-ისრაელმა აიღო იოსებ კონსტანტინოპოლელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი სვინაქსარი, შეცვალა კალენდარული სისტემა, ლიტურგიკული წელი დაიწყო 1 იანვრით, განსხვავებით იოსებ კონსტანტინოპოლელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი სვინაქსარისგან, სადაც წელი სექტემბრით იწყება; ტერ-ისრაელმა მრავალთავების მიხედვით დააზუსტა გრიგოლ კათალიკოსის მიერ დადგენილი სომეხი მოწამეებისა და მოღვაწეების გარდაცვალების დღეები, მოათავსა ისინი იოსებ კონსტანტინოპოლელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილ სვინაქსარში; ტერ-ისრაელმა შეცვალა დღის მანძილზე წმინდანთა ხსენებების

³⁷ ტერ-ისრაელი (გარდ. 1249) – ხაჩენის ეპისკოპოსი. ტერ-ისრაელს სვინაქსარული კრებული თავისი მოძღვრის, ვანაკან ვარდაპეტის დაკვეთით შეუდგენია (Mat. 2189: 211r).

თანმიმდევრობა და უპირატესობა სომეხ წმინდანებს მიანიჭა; ეკლესიაში საკითხავად კრებულში შეიტანა სომეხ წმინდანთა სვინაქსარული ცხოვრებები, რომელთა ნაწილი გრიგოლ კათალიკოსის კრებულიდან აიღო.

სვინაქსარის მეორე რედაქციის – კირაკოს აღმოსავლელის³⁸ სვინაქსარი ტერ-ისრაელის სვინაქსარისგან რედაქციულად განსხვავდება იმით, რომ იგი იყენებს სომხური თვეების სისტემას და ლიტურგიკულ წელს იწყებს ნავასარდის 1-ით, რომელიც 11 აგვისტოა (იოანე ნათლისმცემლის ხსენებით). კირაკოს აღმოსავლელი ანდერძებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მან თავისი კრებული ახალი სვინაქსარული ცხოვრებებით შეავსო. კირაკოსი ამატებს ახალ მასალას და ამასთანავე, განლაგებასაც უცვლის მას. როდესაც კირაკოსისთვის მისაღებია ტერ-ისრაელთან დაცული საკითხავი, იგი ტოვებს ტექსტს ან უკიდურეს შემთხვევაში ამოკლებს მას. არის შემთხვევები, როდესაც კირაკოსი ძველ სვინაქსარულ ცხოვრებას ახლით ცვლის. საუბარი ეხება სომხურ დღესასწაულებს.

სვინაქსარული კრებულების მესამე რედაქციის ავტორად გრიგოლ ანავარზელი³⁹ ითვლება. გარკვეული პერიოდის მანძილზე გრიგოლ ანავარზელის სვინაქსარებს ტერ-ისრაელის სახელით იცნობდნენ და ამავე სახელით შევიდა მატენადარანის ხელნაწერთა თავდაპირველ აღწერილობებში. ამის მიზეზი ის იყო, რომ გრიგოლმა ტერ-ისრაელის კრებულს რედაქცია გაუკეთა ისე, რომ სვინაქსარული საკითხავები არ შეუცვლია. თუმცა დღესდღეობით მას მაინც დამოუკიდებელ რედაქციად განიხილავენ. რედაქციული განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ გრიგოლმა სვინაქსარულ კრებულში სომეხი კათოლიკე წმინდანები დაამატა.

და ბოლოს, გრიგოლ წერენც ხლათელის⁴⁰ სვინაქსარი ცნობილია თავისი მოცულობით, შეიცავს დაახლოებით 700 ხსენება-ცხოვრებას. მოცულობის გაზრდა დღესასწაულების დამატებამ და ახალი საკითხავების ჩართვამ გამოიწვია. გრიგოლ

³⁸ კირაკოს აღმოსავლელი (დაახლ. 1201/1203 –1271 წწ.) – სომეხი ისტორიკოსი და საეკლესიო მოღვაწე. კირაკოს აღმოსავლელის იდენტიფიკაციის საკითხს გამოკვლევაში განვიხილავთ.

³⁹ გრიგოლ ანავარზელი (დაახლ. 1240-1307) – სრულიად სომხეთის კათალიკოსი 1293 წლიდან.

⁴⁰ გრიგოლ წერენც ხლათელი (1349-1425) – ისტორიკოსი, პედაგოგი, პოეტი, მუსიკოსი, საზოგადო მოღვაწე.

ხლათელის სვინაქსარის მკვლევარი ს. მარაბიანი აღნიშნავს, რომ ხლათელმა თავის რედაქციაში არა მხოლოდ დამატებები შეიტანა ცხოვრებებსა და წამებებში, არამედ თანამედროვეებისთვის სვინაქსარის ენა უფრო გასაგები გახადა (Մարաբյան 1977: 128-136). ასევე მან სვინაქსარულ კრებულს ეროვნული ეპოსი დაუმატა. თუკი გრიგოლ ხლათელამდე სვინაქსარებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შეეძლოთ მხოლოდ ცნობილ მოძღვრებს სპეციალური დავალებით, ხლათელის შემდეგ ამას აკეთებდა თითოეული გადამწერი, თუკი რაიმე ახალი მარტვილობა ჰქონდათ აღსაწერი. გრიგოლ ხლათელის სვინაქსარი სხვა რედაქციებისგან განსხვავდება იმითაც, რომ თუ წინა კრებულების საკითხავების გმირები წმინდანად შერაცხილი ცნობილი ადამიანები იყვნენ, ხლათელის გმირები, ავტორიტეტული პიროვნებების გარდა, ხალხის წიაღიდან გამოსული უცნობი ადამიანები არიან.

ასეთია სომხური სვინაქსარული კრებულების შექმნის მოკლე ისტორია და მათი განვითარების ეტაპები. ჩვენი კვლევის მიზანია გავარკვიოთ, როდის და როგორი ფორმით შევიდა მაშტოცის (მესროპის) ცხოვრება სომხურ სვინაქსარებში და განიცადა თუ არა მან შემდგომი რედაქციული ცვლილება.

სვინაქსარული კრებულების მიხედვით, მაშტოცის ხსენების დღე წელიწადში სამჯერ აღინიშნებოდა: 17 სექტემბერს, 25 ნოემბერს და 19 თებერვალს.

ტერ-ისრაელის სვინაქსარში მაშტოცის პირველი ხსენება მისი გარდაცვალების დღეს 19 თებერვალს აღინიშნება: «*Մեհեկի ժԳ, և Փետրուար ժԹ. Վարք և կատարումս սուրբ հարն մեր և վարդապետին Մետրբա...*» (Mat. 2695) [„19 თებერვალი – ცხოვრება და აღსრულება წმიდისა მამისა ჩვენისა მესრობ ვარდაპეტისა...“]:

სვინაქსარული ცხოვრების თანახმად, მაშტოცმა შექმნა სომხური, ქართული და ალბანური ანბანები, საჰაკ კათალიკოსის დავალებით იგი გაემგზავრა კონსტანტინოპოლში, სადაც მაშტოცი თეოდოსი მეფეს და ატტიკოს პატრიარქს შეხვდა, მათგან ნებართვა მიიღო, რომ ახლადშექმნილი სომხური ანბანით სომხეთის ბერძნულ ნაწილში თავისუფლად ესწავლებინათ, თეოდოსი მეფემ და პატრიარქმა მაშტოცი ეკლესიასტიკოსად აკურთხეს და დიდი პატივით გაისტუმრეს სომხეთში, თან გაატანეს ბიბლიის ბერძნული თარგმანი, რომლის მიხედვით გაასწორეს

სირიულიდან თარგმნილი წმინდა წიგნი. ამის შემდეგ აღნიშნულია მოწაფეების ათენში გაგზავნა, საჰაკ კათალიკოსის გარდაცვალება და ექვსი თვის შემდეგ მამტოცის აღსრულება. სვინაქსარული ცხოვრება ასევე მოგვითხრობს მამტოცის დაკრძალვასთან დაკავშირებით მთავრებს შორის წარმოშობილი უთანხმოების, ცაზე წმინდა ჯვრის გამოსახვისა და მამტოცის ოშაკანში დაკრძალვის შესახებ.

მეორე ხსენება მამტოცისა 17 სექტემბერს, საჰაკ კათალიკოსთან ერთად აღინიშნება (17 სექტემბერი საჰაკ კათალიკოსის გარდაცვალების თარიღია).

«Հողի Ը. և Մեսպտեմբերի ԺԷ. Յիշատակ սրբոյն Սահակա հայրապետի և Մեսրոպայ վարդապետի» [„17 სექტემბერი – ხსენება წმიდისა საჰაკ მამამთავრისა და მესროპ ვარდაპეტისა.“]

17 სექტემბრის საკითხავი მოგვითხრობს საჰაკ კათალიკოსისა და მამტოცის მიერ სომხური ენის გრაფემების შექმნის, სკოლების დაარსების, ძველი და ახალი აღთქმის თარგმნისა და სომხეთში ახალი მწიგნობრობის გავრცელების ისტორიებს; გადმოცემულია საჰაკისა და მოწაფეთა მიერ თარგმანების შესრულების, მრავალხმიანი საგალობლების შექმნის შესახებ; აღნიშნულია მამტოცის ქართლსა და ალბანეთში გამგზავრებისა და მათთვის დამწერლობათა შექმნის ფაქტი; საუბარია ასევე საჰაკის მიერ თეოდოსი მეფესთან და ატიკოს პატრიარქთან მამტოცის ეპისტოლეებით გაგზავნის, მამტოცის პირველ მოძღვრად, ხოლო ვარდანის (საჰაკის შვილიშვილის) სტრატილატად დანიშვნის შესახებ.

სვინაქსარში ცალკე დღესასწაულად აღინიშნება მთარგმნელებისა და ანბანის აღმოჩენის დღე.

«Տրէ ԺԷ. և նոյեմբեր ԻԵ. Թարգմանութիւն սրբոյն Սահակայ և Մեսրոպայ և այլոց թարգմանչացն և գիւտ գրոցն...» [„25 ნოემბერი – ცხოვრება წმინდისა საჰაკისა, მესროპისა და სხვა მთარგმნელთა და ანბანის აღმოჩენა...“]

25 ნოემბრის საკითხავის მიხედვით, სომხური ანბანი სირიელი ეპისკოპოსი დანიელისგან მოიტანეს, აღნიშნული ანბანი სომხური ენისთვის შესაფერისი არ აღმოჩნდა, რადგან ბერძნულის მიხედვით იყო გაწყობილი. ამის გამო მამტოცი შუამდინარეთში მიემგზავრება, მიდის სამოსატში, მას ღვთიური ხილვა ეცხადება

და რუფინოსის (კორიუნით – ჰროფანოსი) დახმარებით ახალ ანბანს ქმნის; აღნიშნულია ასევე მაშტოცის მიერ ქართველებისა და ალბანელებისთვის ანბანების შექმნის, განათლების მისაღებად მოწაფეების საბერძნეთში გაგზავნისა და თარგმანების შესრულების შესახებ.

როგორც ვხედავთ, სამივე დღისთვის საკითხავი სხვადასხვაა. განსხვავებული ტექსტების შედარება აჩვენებს, რომ, ერთი შეხედვით, სამივე დღის (19 თებერვლის, 17 სექტემბრის და 25 ნოემბრის) სვინაქსარული საკითხავები ჰარმონიულად არის შერწყმული ერთმანეთთან. ფაქტობრივი მასალა სამივე სვინაქსარულ ცხოვრებაში ერთნაირია, მხოლოდ აქცენტი გაკეთებულია იმაზე, თუ კონკრეტულად რომელ დღეს რომელი დღესასწაული აღინიშნება (საჰაკისა და მაშტოცის ხსენების დღეს მათ თანამშრომლობასა და მოღვაწეობას აქვს ხაზი გასმული, ანბანისა და მთარგმნელების დღესასწაულზე უფრო ვრცლად არის საუბარი მაშტოცის მიერ ანბანის შექმნასა და მოწაფეთა მიერ თარგმანების შესრულებაზე, მაშტოცის (მესროპის) ხსენების დღეს კი საკუთრივ მაშტოცის ცხოვრებაა გადმოცემული).

სვინაქსარების შესწავლის ისტორიიდან ვიცით, რომ მეორე რედაქციის ავტორს, გრიგოლ ანავარზელს თავისი კრებულის შედგენისას საკითხავები არ შეუცვლია, ისარგებლა ტერ-ისრაელის სვინაქსარით. მატენადარანში ინახება გრიგოლ ანავარზელის რედაქციის Mat.7529 სვინაქსარი კრებული, რომელიც 1326 წლით თარიღდება, თითქმის ავტორის თანადროულია. ხელნაწერი ნაკლულია, მაშტოცის ხსენების დღეებიდან მხოლოდ 25 ნოემბრის საკითხავს შეიცავს:

«Տիէ ԺԷ. Էւ նոյնքեր ԻՆ. Վարք Սահակս Էւ Մեսրոպս Էւ այլոց թարգմանչացն Էւ գիւտ գրոյն շնորհիւն Սստուծոյ» [„25 ნოემბერი – ცხოვრება საჰაკისა და მესროპისა და სხვა მთარგმნელთა და ღმრთის წყალობით, ანბანის აღმოჩენა“.]

საკითხავის ტექსტი, როგორც მოსალოდნელი იყო, სიტყვასიტყვით მიჰყვება ტერ-ისრაელის სვინაქსარს. სამწუხაროდ, აკლია სწორედ ის ადგილი, სადაც ქართული და ალბანური ანბანების შესახებ უნდა იყოს საუბარი. უნდა ვივარუდოთ,

რომ ეს მონაკვეთიც ტერ-ისრაელის კრებულის მსგავსად იქნებოდა გადმოცემული გრიგოლ ანავარზელის სვინაქსარულ რედაქციაში:

«ჩასუ შხურასუა გნაგ ჰი ჟჳრუ: სი რასი თთიხელთი სორა ჳნორჳიხის ჰი ჳლეროსი თარარ სი სოგა გჳრ ჳიორხანგ ჳლგონ სი ჳჳოთ ჳლერასკაგო სი თოსოიგჳ ჳაჯასკეროსაგ ჳიორგ: სი გნაგ ჳაჳოთასი თარარ სი სოგა გჳრუ სი სარგესაგ თჳჳოგუ საჳა თორჳესაგ მასსოთისი ჳსჳენსი გჳრასიჳ, გჳთოჳსუ, სი გჳგნჳსი სი გჳჳი თრჳ გნაგესაჳ თოსან გჳჳიჳჳოთჳჳასკან სჳოთოჳჳისი სი სესესაჳ ჳლეროთჳსკან ჳარსთაროთჳსაჳ ჳლეროსიჳ თორჳესჳი გჳჳარგმანესაჳ გჳრას: სი საჳსაჳესი ჳოსასოთრესჳი გჳოთორ აჯჳარჳი ჳაჳოგ ჰი მჳრ ჳლგოსი ჳრგოჳჳ სი ჳჳანსაჳოჳჳ სი სასოთოსაჳოთის ჳრთგ ჳარგმანოთჳსაჳჳ: სი გჳმნესიჳ სარგა სესესეს[ლ]თი ᳳაჳჳოთოსოგჳიჳ მსჳაჳესი: სი ჳჳი გჳოს გჳოთიჳ ჰი თრჳ სასოთიჳ ᳳჳ, გორ თოსანესაგ ჰი ჳათოს ჳრჳიჳთთჳი სასოთოთი, თრ ჳჳ სარჳინესაჳ» (Mat. 2695): [„ხოლო მესროპი წავიდა ქართველთა ქვეყანაში, ზეგარდმო მინიჭებული მადლით შექმნა მათი ენისათვის ანბანი, ზედამხედველებად და მასწავლებლებად დატოვა თავისი მოწაფეები. წავიდა ალბანეთში და მათაც შეუქმნა დამწერლობა, დააარსა სკოლები. ამის შემდეგ ბავშვები – დავითი, მოვსესი, ეზნიკი და სხვები, გაგზავნა ათენში, რომლებიც წავიდნენ, მიიღეს ფილოსოფიური განათლება, დაბრუნდნენ რიტორიკული ხელოვნებით განსწავლულნი და კვლავ წიგნების თარგმნას მიჰყვეს ხელი. ამგვარად გაანათლეს მთელი სომხეთის ქვეყანა ჩვენს ენაზე საგალობლებითა და კეთილხმოვნებით და ბიბლიის წიგნის თარგმანით. ეკლესიის ყველა წესი დიდად განაბრწყინეს. და იყო ანბანის აღმოჩენა ნოემბრის 25-ს, რომელსაც დღესასწაულობენ ქრისტე ღმერთის სადიდებლად, რომელიც კურთხეულია.“]

გრიგოლ წერენც ხლათელმა სვინაქსარის შედგენა 1401 წ. დაასრულა. ხლათელის მიერ შეტანილი დამატებები ოთხი სახისაა:

ა) ცნობილ სომეხ პიროვნებათა ცხოვრებები (იოანე ოძუნელი, იოანე გარნელი, ნერსეს მუშელი, მხითარ სასუნელი, იოანე ვოროტნელი, მალაქია ყირიმელი და სხვ.);

ბ) სომხური სინამდვილიდან აღებული თანამედროვე ან ახალ მოწამეთა მარტვილობები (ზაქარია კათოლიკოსი, თამარ მოკელი, სტეფანოს სებასტიელი და სხვ.);

გ) ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის აღწერა;

დ) სომეხ და უცხოელ ისტორიკოსთა ჰომილიები სხვადასხვა დღესასწაულთან და მოვლენასთან დაკავშირებით (იოანე ოქროპირი, ეფრემ ასური, ელიშე ვარდაპეტი, მოსე ხორენელი („გოდება“), ზაქარია კათოლიკოსი, გრიგოლ ნარეკელი და სხვ.) (Մարաբյան 1977: 132).

გრიგოლ ხლათელის სვინაქსარებიდან ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრინდელი ხელნაწერი დაცულია მატენადარანში №1511 ნომრით. ხელნაწერი გადაწერილია 1471 წელს. Mat.1511 ხელნაწერში მამტოცის ხსენების დღე სხვა სვინაქსარების მსგავსად 17 სექტემბერს, 25 ნოემბერს და 19 თებერვალს აღინიშნება:

«Հոռի Ը. և Մեսպտեմբերի ԺԷ. Վերստին տասն սուրբ խաչին և յիշատակ սրբոյց թարգմանչացն Սահակա[յ] և Մեսրոպայ»: [„17 სექტემბერი - კვლავ წმ. Ջջրის დღესასწაული და ხსენება საՀაკისა და մեսրոպისა წմինճա մտարգմնելեբისა.“]

«Տրէ ԺԷ. և նոյեմբեր ԻԷ. Գիստ գրոյն հայոց ի Բալու – Սուրբ վարդապետն և սքանչելի այրն Աստուծոյ ճգնասորն Մեսրոպ»: [„25 ნოემბერი - სომხური ანბანის აღმოჩენა ბალუმში – წმინდა მოძღვარი და საოცარი კაცი ღმრთისა մեսրոპ մոնաზონի.“]

«Մեհեկի ԺԳ, և Փետրվար ի ԺԹ. Վարք և յիշատակ սուրբ հարսն մերոյ Մեսրոպա վարդապետին»: [„19 თებერვალი – ცხოვრება და ხსენება მამისა ჩვენისა մեսրոპ վարդաპետისა.“]

ხლათელის სვინაქსარი, სხვა სვინაქსარებისაგან განსხვავებით, საՀაკ კათალიკოსსა და მამტოცს მთარგმნელებად მოიხსენიებს – յիշատակ սրբոյց թարգմանչացն Սահակա[յ] և Մեսրոպայ, ანბანის აღმოჩენის ადგილად კი ბალუს ასახელებს – Գիստ գրոյն հայոց ի Բալու. საინტერესოა ის, რომ საკითხავის ტექსტში „ბალუ“ ნახსენები არ არის, მხოლოდ ხსენებაშია მითითებული. გრიგოლ ხლათელს მამტოცის სვინაქსარული ცხოვრებების ტექსტი არ შეუცვლია, მასში მხოლოდ მცირე

დამატებები შეიტანა. ანბანის შექმნის ადგილად ბალუს დასახელებაც რედაქტორის ინიციატივად უნდა ჩაითვალოს.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გრიგოლ ხლათელის სვინაქსარული რედაქციის ორი ნუსხა – Arm 1 და Arm 3 – ინახება. ორივე მათგანი XVI საუკუნით თარიღდება. ეს მანუსკრიპტები გამოირჩევიან იმით, რომ საკითხავის ტექსტებს შიგადაშიგ ერთვის გადამწერის კომენტარები:

«...Այլ և քաղաք ասաց շինել ամրութեան ի գաւառն Կարին ըստ խնդրոյն Մեսրոպայ, որ էր վերակացու գործաւորացն Մովսէս Խորենացին, քուեր որդին Մեսրոպա վարդապետին: Եւ շինեցին գԿարնոյ քաղաք որ է Թէոդոսայօլիս, և այժմ ասի Արգոուս, որ է արևելք» (Arm 1: 320r): [„ასევე ციხე-სიმაგრის აგება უბრძანა კარინის გავარში მესროპის თხოვნით, რომელიც იყო საქმეთა განმკარგველი. [ეს თქვა] მოსე ხორენელმა, რომელიც იყო დისწული მესროპ ვარდაპეტისა⁴¹. და ააგეს კარინის ქალაქი, რომელიც არის თეოდუპოლისი, ამჟამად არზრუმს ამბობენ, რომელიც აღმოსავლეთია.“]

«Եւ հայրապետն Ատիկոս Էտ նմա գամենայն գիրս ի թարգմանություն: Եւ ձեռնադրեաց գՄեսրապ Եկէսիատիկոն, այս է վարդապետ ժողովող բանից և քարոզ արինացն Աստուծոյ: Եւ այնպիսի ճոխ կարգաւք և մեծարանաւք Էլ Մեսրոպ յըստմայօլայ և դարձաւ ի հայս առ սուրբ հայապետն Իսահակ...» (Arm 1: 320r) [„ხოლო მამამთავარმა ატიკოსმა მისცა მას ყველა წიგნი თარგმანისათვის, მესროპი კი ეკლესიასტიკოსად დანიშნა. ეს არის მოძღვარი სიტყვათა შემკრებელი და ღმრთის მცნებების მესადაგებელი. ასეთი სასიხარულო წესითა და პატივით მესროპი დაბრუნდა სომხეთში საჰაკ კათალიკოსთან...“]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც Arm 3 ხელნაწერში გვხვდება. სომხური ანბანის შესახებ საუბრისას, აღნიშნულია, რომ «Եւ թագաւորն Վռամշապուհ Էտես գսուրբ հայրապետն Իսահակ և զվարդապետն Մեսրոպ ի նոյն հոգւոց վարանումն և ասաց նոցա վասն քահանայի միոյ ասորոյ Դանիէլ անուն: Թէ խոստացաւ առնել նշանագիր հայոց լեզուիս: Եւ առաքեալ բերին զնա և ուսուցեալ մանկունս գամս Բ´ և ոչ

⁴¹ ცნობა, რომ მოსე ხორენელი მამტოცის დისწულია, სხვა არცერთი წერილობითი წყაროთი არ დასტურდება. როგორც ჩანს, გადამწერი ზეპირ ტრადიციას ეყრდნობა.

կարացին հանել ի հեզ, *գորս ԻԹ գիր Դանիէլ էր արարէլ հայոց* և ոչ հեզեց քանզի ի Հոռոս լեզուս միայն էր յարմարեալ հայոց բարբառս» (Arm 3: 168v): *[„მეფე ვრამშაპუჰმა ნახა საჰაკ კათალიკოსი და მესრობ მოძღვარი იმავე საზრუნავით შეპყრობილნი და აცნობა მათ დანიელ ასურის სახელით ერთი მღვდლის შესახებ. დაჰპირდა, რომ სომხურ ანბანს მოიტანდა. გაგზავნეს [კაცები], მოიტანეს იგი [ანბანი ხ.გ.] და ამით ბავშვებს ორი წელი ასწავლიდნენ და ვერ შეძლეს მარცვლის გამოხატვა, დანიელმა სომხური ენის 29 გრაფემა შექმნა და არ გამოდგა, რადგან მხოლოდ ბერძნული ენა იყო შესაფერისი სომხური ლექსიკისათვის.“]*

დანიელ ასურის მიერ 29 სომხური გრაფემის შექმნის შესახებ ცნობა Mat.1511 ხელნაწერში აღნიშნული არ არის. თუმცა ჩანს, ეს ფაქტი ხელნაწერთა უმრავლესობაში იყო დადასტურებული, ამიტომაც გრიგოლ ხლათელის სვინაქსარული რედაქციის გამომცემელმა თავის გამოცემაში ეს ცნობა დაამატა. გრიგოლ ხლათელის სვინაქსარული რედაქციის ნუსხებს შორის არსებული ვარიანტული განხვავებები იმაზე მიუთითებს, რომ ხლათელის რედაქციამ, თავის მხრივ, საგრძნობი ცვლილება განიცადა. მართალია, გრიგოლ ხლათელმა სვინაქსარის შედგენისას ტერ-ისრაელის სვინაქსარული რედაქციით ისარგებლა, თუმცა კრებულში გარკვეული დამატებები შეიტანა. როგორც ჩანს, სვინაქსარულ ცხოვრებებში ცვლილებები იმ ცოდნის მიხედვით შეჰქონდათ, რა ცონდაც იმდროინდელ სომხეთში არსებობდა.

სვინაქსარების განვითარების ისტორიიდან ვნახეთ, რომ ტერ-ისრაელის სვინაქსარი – ე.წ. პირველი რედაქცია, საფუძვლად დაედო ყველა შემდგომ ჩამოყალიბებულ სვინაქსარულ რედაქციას. გრიგოლ ანავარზელმა და გრიგოლ ხლათელმა ტერ-ისრაელის სვინაქსარული კრებულთა ისარგებლეს ისე, რომ მათ სვინაქსარული ცხოვრებები არ შეუცვლიათ. მაშტოცის სვინაქსარული საკითხავების შესწავლამ და ტექსტების ერთმანეთთან შედარებამ ცხადი გახადა, რომ ტერ-ისრაელის, გრიგოლ ანავარზელისა და გრიგოლ ხლათელის კრებულებში შესული მაშტოცის სვინაქსარული ცხოვრებები ერთი საერთო წყაროდან უნდა მომდინარეობდნენ, განსხვავებით კირაკოს აღმოსავლელისგან, რომელიც ხაზგასმით

აღნიშნავს, რომ მან ახალი საკითხავები შეიტანა მის მიერ შედგენილ სვინაქსარში. ამიტომ კირაკოს აღმოსავლელის კრებულში შესული განსხვავებული სვინაქსარული ცხოვრებების წყარო სხვაგან უნდა ვეძიოთ.

ჩვენი კვლევის შემდგომი ეტაპი იყო იმ წყაროთა დადგენა, რომლებიც საფუძვლად დაედო მაშტოცის სვინაქსარულ ცხოვრებას. რა ტექსტით ხელმძღვანელობდა სვინაქსარი კრებულის პირველი შემდგენელი? რა იყო კირაკოს აღმოსავლელის განსხვავებული საკითხავების წყარო? სვინაქსარების შესწავლის ისტორიიდან ცნობილია, რომ სვინაქსარების რედაქტორები კრებულის შედგენისას სომეხ წმინდანთა ცხოვრება-წამებების შესახებ მასალას მრავალთავებიდან კრებდნენ. მაშტოცის სვინაქსარული ცხოვრების კვლევისას თავიდანვე ცხადი გახდა, რომ მისი წყარო არ იყო მრავალთავი, კერძოდ, ასეთი ტიპის კრებულში დაცული კორიუნის „მაშტოცის ცხოვრება“.

მაშტოცის სვინაქსარული საკითხავების შედარებამ სომხურ ისტორიოგრაფიაში მაშტოცის შესახებ დაცულ ცნობებთან აჩვენა, რომ მაშტოცის სვინაქსარული ცხოვრებები ფაქტობრივი მასალით ყველაზე ახლოს დგას მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიასთან“:

1. უპირველესად ეს ჩანს თვით ანბანის შემქმნელის სახელიდან, სადაც მაშტოცი, მოსე ხორენელის „ისტორიის“ მსგავსად, სვინაქსარის ყველა რედაქციასა და ყველა ნუსხაში მესროპად მოიხსენიება და არსად მაშტოცის ფორმით, როგორც ეს გვხვდება კორიუნის „მაშტოცის ცხოვრებაში“.

2. სვინაქსარულ ცხოვრებებში დასახელებული პირები და გადმოცემული ამბები ემთხვევა მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიის“ ცნობებს:

სვინაქსარის მიხედვით, *„მეფემ უბრძანა იმ მხარის სარდალს, შეეკრიბათ ბავშვები, გადაეცათ მესროპისათვის [სასწავლებლად] და მათთვის სამეფო სტიპენდია დაეწესებინათ. ასევე მესროპის თხოვნით ციხე-სიმაგრის აგება ბრძანა კარინის გავარში“* (Mat. 2695).

მოსე ხორენელის „ისტორიაში“, როდესაც იმპერატორი თეოდოსი წერილს უგზავნის საჰაკ კათალიკოსს, აღნიშნავს: „ვბრძანეთ, აგრეთვე, რომ *სომეხთა მავ*

ქვეყანაში ააგონ ქალაქი თქვენს დასავანებლად და ჩვენი ჯარისათვის. შენი [ხათრით] სტრატელატად დავნიშნეთ ვარდანი, ძე შენგან შვილად მოყვანილი კაცისა, ხოლო მესროპი ცნობილ მოძღვართა შორის ჩავწერეთ“ (აბდალაძე 1984: 228).

საუბარია თეოდოსიოპოლად წოდებული ქალაქ კარინის აგების შესახებ: „სამეფო კარისაგან მიღებული ბრძანებისამებრ, მხედართმთავარი ანატოლიოსი მოვიდა ჩვენს ქვეყანაში, მოიარა ჩვენი მრავალი მხარე და *შეარჩია კარინის გავარი, რათა იქ, მოსავლიან, ნაყოფიერ, წყალუხვ ადგილზე გაეშენებინა ქალაქი*“ (აბდალაძე 1984: 230).

სვინაქსარული საკითხავების თანახმად, „*როდესაც გარდაიცვალა წმინდანი ქალაქ ვალარშაპატში, მთავრებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ზოგს სურდა წმინდანის სხეული წაებრძანებინათ ტარონის გავარში, თავის მშობლიურ სოფელში, სადაც იყო დაბადებული და აღზრდილი, ზოგის აზრით კი, გოლთნში, ნაწილი თვლიდა, რომ იქვე იმავე ქალაქში დაეკრძალათ, მაგრამ მთავარმა ვაჰანმა აიღო და წააბრძანა სოფელ ოშაკანში, წმინდანის სხეულს გზაზე ჯვრის სხივი მიაცილებდა...*“ (Arm 1).

მოსე ხორენელის ისტორიაში ეს ამბები შედარებით ვრცლად არის აღწერილი: „ხალხი სამ ჯგუფად გაიყო, ზოგნი ფიქრობდნენ, რომ მესროპი უნდა წაესვენებინათ თავის მშობლიურ კუთხეში, ტარონში, მეორეთა აზრით – გოლთნში, რადგან პირველად იგი დამოძღვრა მან, სხვებს კი [უნდოდათ], რომ იქვე, ქალაქ ვალარშაპატში, წმინდანთა საძვალეში [დაეკრძალათ მესროპი]. საბოლოოდ, იმარჯვა მამაცმა ვაჰან ამატუნიმ, რამეთუ გამოირჩეოდა ძლიერი რწმენით და ამქვეყნიური ხელისუფლებითაც იყო [აღჭურვილი]; იმ ხანებში სპარსელებს მისთვის მიენდოთ სომეხთა ქვეყნის ეზოსმოძღვრობა. მან შესაფერი პატივით წაასვენა და დაკრძალა [მესროპის] ცხედარი მისსავე სოფელ ოშაკანში. მთელი ხალხის დასანახად, ნათლისაგან გამოსახული ჯვარი თან მიჰყვებოდა“ (აბდალაძე 1984: 240).

3. სვინაქსარული საკითხავების ცნობით, საჰაკ კათალიკოსი მამტოცს ეპისტოლეებით გზავნის კონსტანტინოპოლში თეოდოსი კეისართან და ატტიკოს

პატრიარქთან. ეს ამბავიც მოსე ხორენელის „ისტორიის“ მიხედვით არის გადმოცემული.

წარმოდგენილი მასალის საფუძველზე, ვფიქრობთ, ტერ-ისრაელის, გრიგოლ ანავარზელისა და გრიგოლ ხლათელის სვინაქსარებში მამტოცის სვინაქსარული ცხოვრების წყაროს მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“ წარმოადგენს.

ქრონოლოგიურად მეორე რედაქციად ითვლება კირაკოს აღმოსავლელის სვინაქსარი, რომელსაც განსხვავებული სვინაქსარული საკითხავების გამო ცალკე განვიხილავთ. კირაკოს აღმოსავლელის (არეველცი) იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ვარაუდია გამოთქმული. XII-XIII სს. სომხურ ისტორიოგრაფიასა და ეპიგრაფიკაში კირაკოსის სახელით რამდენიმე მოძღვარი მოიხსენიება. აღმოსავლელი ეწოდება კირაკოს ერზნკაცის (XIII ს.), რომელმაც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა კილიკიაში და იქვე გარდაიცვალა (1272 წ.). XVII საუკუნის მოღვაწე იაკობ კარინელი თავის თხზულებაში მოიხსენიებს მას და აღნიშნავს, რომ მისი საფლავი ერზნკას (თანამედროვე თურქეთის ტერიტორია) ერთ ეკლესიაში მდებარეობს: *«Եւ ունի քաղաք մեծ Հայոց զԵզնկայ, որ լի է ամենայն բարութեամբ, բամպակօք, այգեստանօք եւ մրբաբեր ծառօք: Եւ կայ ի մէջ քաղաքին այժմ Ե (5) եկեղեցի /4բ/ քահանայիւք և ժողովրդեամբ լի: Եւ է դամբարան սրբոց վարդապետացն Յօհաննէս Պրլուզին, որ «Լուսաւորչի անձինքն» է ասացեալ և Կիրակոս վարդապետին, որ «Արեւելքն» է ասացեալ...»* (Հակոբյան 1956: 551) [„და დიდ სომხეთს აქვს ქალაქი ერზნკა, რომელიც სავსეა სიკეთით, ბამბის ბაღებითა და ხილის ხეებით. ამჟამად ქალაქში არის 5 ეკლესია მღვდლებითა და ხალხით სავსე. აქ არის საფლავები წმინდა მოძღვრებისა – იოანე პლუზისა, რომელსაც „განმანათლებელს“ უწოდებენ და კირაკოს ვარდაპეტისა, რომელსაც „აღმოსავლელს“ უწოდებენ...“]

სწორედ ამ კირაკოს ერზნკაცის – აღმოსავლელს მიეწერებოდა 1269 წელს შექმნილი სვინაქსარის ავტორობა. მეცნიერთა ერთი ნაწილი იმავე სვინაქსარის შემდგენლად XIII საუკუნის ისტორიკოს კირაკოს აღმოსავლელ-განმაკელს მიიჩნევს.

ამ მოსაზრებას მხარს უჭერენ ღ. ალიშანი და ის მკვლევრები, რომლებიც კირაკოს აღმოსავლელის „სვინაქსარის“ ანდერძს ეყრდნობიან:

„ღმრთის იმედითა და მისი წმინდანების სიყვარულით, მდაბალმან მოძღვარმან კირაკოს აღმოსავლელმან, ერთად შევკრიბე წმინდანთა დღესასწაულები, თითოეული [მათი] ხსენების დღის მიხედვით. დავწერე ასევე მათი ისტორიები, რომლებიც არ იყო სვინაქსარის წიგნში და დავუმატე ისინი დადგენილი წესის მიხედვით. გვედრებით თქვენ დღესასწაულის აღმსრულებლებს და მწერლებს, დაწერეთ ეს მოსახსენებლები... ეს იყო 718 წელს [718+551=1269], კილიკიის ქვეყანაში, დედაქალაქ სისში, ჰეთმოს მეფობისას, მისი ძის ლეონის გამეფებამდე ერთი წლით ადრე, ჩვენი მწირობის 66 წელს, როდესაც დასრულდა ღმრთის დიდება, უკუნისამდე, ამინ. და საკითხავები, რომლებიც დავამატეთ და ძველს დავურთეთ, ას სამოცდაათია...“ (Ալիշան 1901: 472).

კირაკოს აღმოსავლელის სვინაქსარის ერთ-ერთ ხელნაწერს ახლავს ანდერძი, რომელშიც ნათქვამია, რომ „ამ ანდერძის მომწესრიგებელი და განმანათლებელი [არის] ვარდაპეტი კირაკოს აღმოსავლელი გეტის მონასტრიდან“ (Ավգუსტუს 1814: 29).⁴²

თუკი თავდაპირველად ითვლებოდა, რომ „სვინაქსარის“ ავტორი იყო კირაკოს ერზნკაცი, პირველი ანდერძის მიხედვით, ის „არეველციდ“ [აღმოსავლელად] იწოდება, მეორე ანდერძში კი უკვე დაკონკრეტებულია მისი აღმოსავლელობა, უფრო მეტიც ხაზგასმულია „აღმოსავლელი გეტის მონასტრიდან“. კირაკოს განმაცემის სომხეთის ისტორია ხელნაწერებში ასეთივე სათაურით არის შემონახული: „მოკლე ისტორია წმ. გრიგოლის დროიდან შემდგომი დროის ჩათვლით, ქმნილი კირაკოს ვარდაპეტის მიერ *გეტის განთქმულ სამლოცველოში*“.

დღესდღეობით სომხურ სამეცნიერო წრეებში მიღებული თვალსაზრისით, XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი კირაკოს განმაცემი, კირაკოს გეტისკელი და სვინაქსარის შემდგენელი კირაკოს აღმოსავლელი ერთი და იგივე პიროვნებაა. სხვადასხვა სახელწოდება შედეგია კირაკოს განმაცემის ცხოვრების სხვადასხვა

⁴² ეს სვინაქსარი ვენის №219 ხელნაწერს წარმოადგენს (Swuჯან 1891: 559-567).

ეტაპისა. განმაკელი ეწოდებოდა, რადგან „განმაკის ქვეყნიდან“ იყო; გეტიკელი, ვინაიდან სწავლობდა და აღიზარდა ახალ გეტიკში; აღმოსავლელი, რადგან პოლიტიკურ, საეკლესიო და სამწერლო საქმიანობას უმთავრესად „აღმოსავლეთის მხარეში“ ეწეოდა.

კირაკოს აღმოსავლელი სვინაქსარის შედგენისას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგ შემთხვევაში ამატებს ან ამოკლებს სომეხ წმინდანთა საკითხავს, ზოგჯერ კი ცვლის და ახალი შეაქვს ძველის ადგილას.

რაც შეეხება მამტოცის სვინაქსარულ ცხოვრებას, კირაკოსმა 17 სექტემბრის საჰაკისა და მამტოცის საკითხავი ტერ-ისრაელის სვინაქსარიდან აიღო, მამტოცის შესახებ ცნობები უცვლელი დატოვა, მხოლოდ საჰაკის ცხოვრება დაამატა. 25 ნოემბრის მთარგმნელებისა და ანბანის აღმოჩენის დღესასწაულზე კი ტერ-ისრაელისგან განსხვავებული ტექსტი შეიტანა.

რომელი წყაროთი შეიძლებოდა ესარგებლა კირაკოს აღმოსავლელს? თუ სარწმუნოდ მივიჩნევთ იმ მოსაზრებას, რომ კირაკოს აღმოსავლელი იგივე კირაკოს განმაკელია, მაშინ მოსალოდნელია, რომ მან სვინაქსარის შედგენისას თავისივე „სომხეთის ისტორიით“ ისარგებლა.

კირაკოს აღმოსავლელის სვინაქსარი Mat. 1339, Arm 107	კირაკოს განმაკელის „სომხეთის ისტორია“
„დიდი და სათნო კათალიკოსი საჰაკი, მრავალი კეთილი საქმის მიზეზი იყო სომხეთის ქვეყანაში, განსაკუთრებით სომხური მწიგნობრობისა, რადგან მოვიდა მასთან მოძღვარი მესრობი, ევედრებოდა მას შემოეღოთ ანბანი სომხური ენისათვის და ორივენი მივიდნენ ვრამშაპუჰ მეფესთან, აცნობეს მას საკითხის	„და მის დროს აღმოცენდა სინათლე დიდი ცოდნისა სომხეთის ქვეყანაში, ვინაიდან ნეტარი მესროპი მოვიდა წმინდა საჰაკთან [იმის გასარკვევად], იყო თუ არა შესაძლებელი სომხური ენის ანბანის შექმნა. და შეიტყო იმაზე მეტი, ვიდრე სურდა, რადგან იქ არ ჰქონდათ სომხური დამწერლობა, არამედ

<p>შესახებ. მან უთხრა, რომ ვიდრე მე ვიყავი შუამდინარეთში, მოვიდა ჩემთან ერთი ხუცესი ასური ჰაბელი და თქვა, რომ არის ერთი ეპისკოპოსი დანიელი, რომელმაც შექმნა სომხური ენის გრაფემები. გაგზავნოთ კაცები მასთან და მოვიტანოთ ანბანი, გაგზავნეს ერთი ნახარარი, სახელად ვაჰრიჭი, მოიტანეს ანბანი და ნახეს, რომ საკმარისი არ იყო სომხურ სიტყვათა კავშირების გადმოსაცემად, გაგზავნეს მოძღვარი მესრობი მოწაფეებთან ერთად შუამდინარეთში, წავიდა და იმაზე მეტი ვერ გაიგო, ვიდრე პირველად იცოდა.“</p>	<p>ბერძნული და სირიული დამწერლობის ასო-ნიშნებით ხელმძღვანელობდნენ. და შეატყობინეს ვრამშაპუკ მეფეს ჩანაფიქრის [შესახებ]. ხოლო მან უთხრა, „როდესაც ვიმყოფებოდი ასურეთის მხარეში, მითხრა ვინმე ეპისკოპოსმა ასურმა, სახელად დანიელმა, რომ „მე მაქვსო სომხური ენის ანბანი, და მე დაუდევრად გავაკეთე ოდესღაც“. გაგზავნეს ერთი ნახარარი, სახელად ვრახიჭი (ვაჰრიჭი ხ.გ.) დანიელთან ასო-ნიშნების სათხოვნელად. ხოლო მან გაუგზავნა [ეს ასო-ნიშნები] ხუცესი აბელის მეშვეობით. და როდესაც ნახეს, გაიხარეს და დაიწყეს სომხურ ენაზე ბიბლიის წიგნის გადმოთარგმნა. მაგრამ გამოცადეს და ნახეს, რომ არ იყო საკმარისი ყველა ბგერისა და თხზული სიტყვების სრულად გადმოსატანად...“</p>
<p>„მესრობმა დაიწყო ძლიერად ლოცვა, სთხოვდა ღმერთს, რომ კაცთათვის შეუძლებელი მისთვის შესაძლებელი ყოფილიყო და გამოეცხადა მას ხილვა, კაცის მარჯვენა ხელი, რომელიც კლდეზე წერდა და ყოველივე დეტალურად უჩვენა მესრობს, [იგი] ადგა ლოცვიდან, შექმნა გრაფემები</p>	<p>„და კვლავ დაიწყეს ამისათვის ზრუნვა. როდესაც ყოველგვარი ადამიანური შესაძლებლობა ამოწურეს, მიენდვნენ იმას, ვისთვისაც ყოველივე შესაძლებელი იქნებოდა, და ლოცვით შესთხოვდნენ უფალს, თავი მიუძღვნეს მკაცრ მარხვასა და ლოცვას. ხოლო მას [უფალს], რომელიც თავის მოშიშთა</p>

<p>განდეგილ ჰროფანოს სამოსატელთან ერთად, რომელიც კალიგრაფი იყო.“</p> <p>„მოიტანა ანბანი, დიდი სიხარულით მოვიდა წმინდა საჰაკთან, მან შეკრიბა სიმრავლე ბავშვებისა, ნიჭიერი და ხმატკბილი, დიდსულოვანი ბავშვები და გახსნეს სკოლები მთელს სომხეთის ქვეყანაში, ასწავლიდნენ ჩვეულებებისამებრ, შემდეგ საჰაკ დიდი პირადად შეუდგა თარგმნას და განასრულა საქმე, რადგან ფრიად განსწავლული იყო ბერძნული ენის ცოდნაში.“</p>	<p>სურვილებს იღებს და მათ ლოცვას ისმენს, გულითადი თხოვნა შეუმჩნეველი არ დარჩენია. გამოეცხადა მესროპს ძლიერი ხელის მტევანი, რომელიც კლდეზე წერდა, ყოველი დეტალი უჩვენა მას, [მესროპი] ადგა და შექმნა ანბანი.“</p> <p>„ამის შემდეგ შეკრიბეს მრავალი ბავშვი და ასწავლიდნენ მთელს ქვეყანას, გონიერი, ხმატკბილი და დიდსულოვანი ახალგაზრდები ორად გაყვეს და სირიული და ბერძნული სკოლები დააარსეს. ასწავლიდნენ იქ ბავშვებს ყოველგვარ სიბრძნეს – შიდას და გარეშეთას, გახდნენ ქვეყნის მთარგმნელები.“</p>
<p>„დაიწყო სოლომონის იგავებით და მთელი ძველი და ახალი აღთქმა გადმოთარგმნა სომხურ ენაზე.“</p>	<p>„თარგმნეს ძველი და ახალი აღთქმა, დაიწყო სოლომონის იგავებით და სრულად მოიცვეს.“ (Մելիք-Օհանջանյան 1961: 25-26).</p>

მოცემული მონაკვეთებიდან ჩანს, რომ სვინაქსარში საჰაკისა და მამტოცის შესახებ გადმოცემული ამბები ოდნავ შემოკლებულია, თუმცა საერთო თხრობა ორივეგან ერთია, სვინაქსარების ტექსტი შინაარსობრივად და სტრუქტურულად მიჰყვება „სომხეთის ისტორიაში“ აღწერილ მოვლენებს.

„სომხეთის ისტორიასთან“ შედარებით კირაკოს არეველცის სვინაქსარში ცნობა ქართული და ალბანური ანბანების შექმნის შესახებ ძალიან მოკლედ, სულ ერთი ფრაზით არის წარმოდგენილი:

კირაკოს აღმოსავლელის სვინაქსარი Մսւո. 1339, Arm 107	კირაკოს განძაკელის „სომხეთის ისტორია“
<p>გაგზავნა მესრობი ქართლსა და ალბანეთში მათი ენებისათვის დამწერლობის შესაქმნელად, [მესრობი] წავიდა და ასწავლა მათ, კვლავ წმიდა საჰაკთან დაბრუნდა.</p>	<p>„თავად [მესრობი] კი წავიდა ალბანეთში, შეუქმნა მათ დამწერლობა, დაუტოვა მოძღვრები და მოვიდა ქართველთა ქვეყანაში, შეუქმნა მათაც დამწერლობა ზემოდან მინიჭებული მადლის წყალობით. ამგვარად გაამხიარულა ქვეყანა ყოველგვარი უპირობო სიხარულით, თავისი მოწაფეებიდან მოძღვრები დაუტოვა მათ, დაბრუნდა სომხეთში და ჰპოვა საჰაკ დიდი, რომელიც თარგმანების შესრულებით იყო დაკავებული“ (Մսխիբ-Օհանջանյան 1961: 30).</p>

ტექსტების შედარებიდან ჩანს, რომ მაშტოცის სვინაქსარული ცხოვრება მიჰყვება კირაკოს განძაკელის „სომხეთის ისტორიაში“ მაშტოცის შესახებ დაცულ ცნობებს. მაშტოცის სვინაქსარული ცხოვრებების მაგალითზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კირაკოს აღმოსავლელი სვინაქსარული ცხოვრებების შედგენისას, ერთი მხრივ, სარგებლობს ტერ-ისრაელის სვინაქსარით, მეორე მხრივ კი, განსხვავებულ საკითხავებს ქმნის და ამისთვის მასალას თავის „სომხეთის ისტორიიდან“ იღებს. ეს კიდევ უფრო ამყარებს კირაკოს აღმოსავლელისა და კირაკოს განძაკელის იგივეობის საკითხს.

სვინაქსარული ტექსტების კრიტიკულმა შესწავლამ ცხადი გახადა, რომ სვინაქსარების შემდგენლებმა, რომლებმაც კრებულები შეადგინეს მრავალთავეში დაცული სომეხ წმინდანთა ცხოვრება-წამებების მიხედვით, მაშტოცის (მესრობის) სვინაქსარული საკითხავების შექმნისას ისარგებლეს მოსე ხორენელის „სომხეთის

ისტორიაში“ მაშტოცის შესახებ არსებული ცნობებით და მათ არ გამოიყენეს წმინდანის ჰაგიოგრაფიული თხზულება – კორიუნის „მაშტოცის ცხოვრება“.

წარმოდგენილი მასალა გვიჩვენებს, რომ მაშტოცის როლის გაზრდა თანდათანობით ხდებოდა. ლიტურგიკული ხასიათის კრებულებში – ლექციონარები, ჰიმნოგრაფიული კრებულები – მაშტოცი საჰაკ კათალიკოსთან ერთად მოიხსენიება და მთავარი აქცენტი მის მთარგმნელობით საქმიანობაზეა გაკეთებული. ამ კრებულების შემდგენლებისთვის მაშტოცი წმინდა წერილის მთარგმნელია; მოგვიანო პერიოდის კრებულებში, როგორცაა, მაგ.: ჟამნი, მაშტოცი სომხური ანბანის რეფორმატორად, არსებული სომხური ანბანისათვის ხმოვანთა დამმატებლად წარმოგვიდგება. სვინაქსარული კრებულების შემდგენლებს მაშტოცის მოღვაწეობის არეალი კიდევ უფრო გაუფართოვებიათ და იგი, მქადაგებლობით და მთარგმნელობით საქმიანობასთან ერთად, სამი ხალხისათვის დამწერლობათა შემოქმედად წარმოუდგენიათ. მაშტოცის სვინაქსარული ცხოვრებების შექმნისას კი წყაროდ მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიით“ უსარგებლიათ.

მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიის“ მთავარ წყაროდ გამოყენება, შესაძლოა, ბევრ რამეზე მეტყველებდეს. ეს სულ მცირე მიანიშნებს, რომ ამ პერიოდში კორიუნი არ არის იმდენად სანდო თუ პოპულარული, რომ მოხდეს მისი თხზულებით სარგებლობა. შეიძლება ეს იმაზეც მეტყველებდეს, რომ კორიუნის ტექსტში ამ დროს ჯერ კიდევ არ არის ასახული მაშტოცის მიერ ქართული და ალბანური ანბანების შექმნა ან არსებობს ორი სხვადასხვა ტრადიცია მაშტოცის აღქმისა. ერთი რამ კი ცხადია: ის წრე, სადაც იქმნება სვინაქსარი, დაინტერესებულია მაშტოცის მოღვაწეობის ფართოდ წარმოჩინებაში და სწორედ ამიტომ ანიჭებს უპირატესობას მოსე ხორენელის ვერსიას.

VI თავი

კორიუნის თხზულების ისტორიული და გეოგრაფიული რეალიები

კორიუნის „მაშტოცის ცხოვრებას“ სხვადასხვა ჟანრს მიაკუთვნებენ. მეცნიერთა ნაწილი მას ისტორიას უწოდებს, ნაწილი კი – ჰაგიოგრაფიულ ცხოვრებას ან მოსახსენებელს. ნ. ბიუზანდაცის აზრით, ეს ნაწარმოები ისტორიულ ღირებულებას მოკლებულია (Fihlman 1900: 7), ნ. აკინიანს კი ამ პერიოდის ისტორიის შესასწავლად სარწმუნო წყაროდ მიაჩნია (Ակինյან 1949: 10). კ. მელიქ-ოჰანჯანიანი თვლის, რომ ეს არის საქერდოლო (სახოტბო) თხზულება, პანეგირიკი, რომლის მიზანია ქება, განდიდება მოძღვრისა (Մելիք-Օհանջանյան 1964: 49-59) და სხვ.

კორიუნის თხზულება თავისი ბუნებით ნამდვილი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებია, რომელშიც ასახულია სომეხი მოძღვრის ასკეტური და მისიონერული საქმიანობა. ავტორი თხზულების შესავალში მკაფიოდ აღნიშნავს, რომ მას მიზნად ჰქონდა, აღეწერა თავისი მასწავლებლის, მაშტოცის ცხოვრება და მოღვაწეობა.

მიუხედავად იმისა, რომ „მაშტოცის ცხოვრება“ ჰაგიოგრაფიული თხზულებაა, შუა საუკუნეების ავტორებიც და თანამედროვე მკვლევრებიც მას საისტორიო წყაროდ განიხილავენ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კორიუნის თხზულების შემცველი ხელნაწერები უმეტესად ისტორიული ჟანრის კრებულებია, რაც, შესაძლოა, იმას მიანიშნებდეს, რომ ხელნაწერი კრებულის შემდგენლებიც მას საისტორიო წყაროდ აღიქვამდნენ. კორიუნის ნაწარმოებს ქართველი მეცნიერებიც ისტორიულ თხზულებად თვლიან: ივ. ჯავახიშვილი წერს ნაშრომს „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“ და მასში განიხილავს აგათანგელოსისა და კორიუნის თხზულებებს (ჯავახიშვილი 1935). ქართველი მკვლევრები საქართველოს ისტორიისა და მასთან დაკავშირებული მოვლენების თხრობისას კორიუნის ნაწარმოებს იყენებენ როგორც საისტორიო წყაროს და აღნიშნავენ, რომ „...დროთა განმავლობაში კორიუნის თხზულებას ერთგვარი ცვლილება განუცდია, ზოგი ახალი ცნობაც გზადაგზა ჩაუმატებიათ, იგი მაინც განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს

და ერთადერთი უძველესი და საინტერესო წყაროა IV ს. მიწურულისა და V ს. დამდეგის ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიისათვის“-ო (მესხია 1973: 36).

ამჯერად, ჩვენი კვლევა უკავშირდება იმ ისტორიულ ფაქტების შესწავლას, რომლებიც „მაშტოცის ცხოვრებაშია“ გადმოცემული. შევეცდებით, ვაჩვენოთ რა ძირითადი პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური პროცესები ვითარდებოდა IV-V საუკუნეების სომხეთსა და მის ფარგლებს გარეთ და როგორ აისახა ეს მოვლენები კორიუნის ნაწარმოებში. მნიშვნელოვანია ასევე იმ გეოგრაფიული არეალის განსაზღვრა, რომელიც ნაწარმოების მთავარმა მოქმედმა გმირმა მოიცვა მისიონერული საქმიანობისას, როგორია მაშტოცის მოგზაურობის მარშრუტი; საყურადღებოა ასევე, რამდენად შეესაბამება თხზულებაში დასახელებულ პირთა იდენტიფიკაცია და მათი ქრონოლოგია მაშტოცის მოღვაწეობის ეპოქას.

კორიუნის თხზულების ტექსტოლოგიურმა შესწავლამ აჩვენა, რომ A, B და C ჯგუფის ტექსტებში მაშტოცის საქმიანობა განსხვავებულად არის წარმოდგენილი, განსხვავდება როგორც მისი მოღვაწეობის ასპარეზი, ისე მიზნები და მათი განხორციელების გზები. კორიუნის ნამდვილ ნაწარმოებად ითვლება თხზულების ე.წ. „ვრცელი რედაქცია“ (რომელშიც ერთიანდება A და B ჯგუფის ტექსტები და რომლებმაც ჩვენამდე სახეშეცვლილი ფორმით მოაღწია). ჩვენთვის საინტერესო მომენტები ყველაზე ფართოდ A რედაქციაშია წარმოდგენილი და შესაბამისად, მსჯელობისას ძირითადად სწორედ მას დავეყრდნობით, თუმცა სათანადო შემთხვევებში გავითვალისწინებთ სხვა ჯგუფის ტექსტებში დადასტურებულ პარალელებსაც.

თავდაპირველად განვიხილოთ, თუ რა ცნობებს გვაწვდის „მაშტოცის ცხოვრება“ IV-V საუკუნეების სომხეთის პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური პროცესების შესახებ და როგორია ისტორიული სინამდვილე.

თხზულებაში იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება, სამწუხაროდ, აღწერილი არ არის. თუმცა ეპოქამ, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მაშტოცი, რეალურად განსაზღვრა მისი საქმიანობის მიმართულება და არეალი. IV-V საუკუნეები სომეხი ხალხის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე რთულ და გარდამტეხ

პერიოდად სახელდება. ამ პერიოდის ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანი ცნობები მოგვეპოვება V საუკუნის სომეხ ისტორიკოსთა თხზულებებში (ფავსტოს ბუზანდი, ელიშე, ლაზარე ფარპელი).

387 წელს ბიზანტიამ და სპარსეთმა, რამდენიმე წლის მოლაპარაკებების შემდეგ, ხელშეკრულება დადეს. ზავის პირობების თანახმად, სომხეთი ორ ნაწილად გაიყო: აღმოსავლეთ სომხეთი – სპარსეთის, დასავლეთ სომხეთი კი ბიზანტიის გავლენის ქვეშ მოექცა. ბერძნებმა მათ დაქვემდებარებულ ნაწილში მალევე გააუქმეს სომხური ხელისუფლება და ქვეყანის მმართველებად სატრაპები დანიშნეს, აღმოსავლეთ ნაწილში ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო სომხური სამეფო (არშაკუნიანთა დინასტიით სათავეში) სპარსეთის მეფეთ-მეფის ბატონობის ქვეშ. 387 წელს სომხეთის ორად გაყოფამ, ცხადია, ქვეყნის შიდა მდგომარეობაში ცვლილებები გამოიწვია. სომხეთის მეფე არშაკი ბიზანტიელების მხარეს გადავიდა, რათა იმპერატორის მფარველობა მოეპოვებინა, ამის საპასუხოდ, სპარსულ ნაწილში სპარსეთის მეფემ, შაპურ III-მ, სომეხი ნახარების თხოვნით, სომხეთის ტახტზე მეფედ ახალგაზრდა ხოსრო (385-388; 414-415) დასვა. ხოსრო ორჯერ ავიდა სომეფო ტახტზე: პირველად მას სომხეთის ტახტი 385-388 წლებში ეპყრა. 388 წ. სპარსეთის მეფის, შაპურ III-ის გარდაცვალების შემდეგ, ხოსრო IV ქტესიფონში დაიბარეს და დააპატიმრეს სომხეთის ერთიანი სახელმწიფოს აღდგენის ბრალდებით. ხოსროს ნაცვლად ტახტი კი მისმა ძმამ, ვრამშაპუჰმა (389-414) დაიკავა. ვრამშაპუჰის გარდაცვალების შემდეგ, სომხეთის კათალიკოსის, საჰაკ პართელის შუამდგომლობით, ხოსრო ციხიდან გაათავისუფლეს და მეორედ დასვეს სამეფო ტახტზე (414-415).

კორიუნის ცნობით, მამტოცი სამოღვაწეო ასპარეზზე სწორედ მაშინ გამოჩნდა, როდესაც ქვეყანა ასეთი გამოწვევების წინაშე იდგა. იგი სპარსელთა დაქვემდებარებაში მყოფ აღმოსავლეთ სომხეთში, არშაკუნიანთა სამეფო კარის სამდივნოში, სამხედრო საქმეების მმართველად გვევლინება: „*მოვიდა, მოაწია დიდი სომხეთის არშაკუნიანთა მეფის კარზე, დაემკვიდრა სამეფო კარის სამდივნოში, იყო*

მსახური მეფის მიერ გაცემული ბრძანებებისა, სომხეთის ქვეყნის ათასისთავად ვინმე არავანის [ყოფნის] დროს“ (Աբელიან 1981: 84).

კორიუნის ამ ცნობიდან არ ჩანს, თუ ვინ იყო სომხეთის მეფე მაშტოცის სამეფო კარზე მოსვლისას (ხოსრო თუ ვრამშაპუკი), არც ის ვიცით, რამდენ ხანს დარჩა იგი ამ თანამდებობაზე. დღეს მიღებული თვალსაზრისით, მაშტოცმა სამეფო კარზე მსახურება ხოსროს მეფობისას დაიწყო. ნ. აკინიანი არავანის ათასისთავად ყოფნას ხოსროს გარდაცვალების შემდეგ ვარაუდობს (Ակինიანი 1949: 27), ჰ. მანანდიანისა და პ. ანანიანის მოსაზრებით კი, არავანი ათასისთავი უნდა ყოფილიყო ხოსროს სამეფო ტახტზე ყოფნისას (Մանանդյան 1962: 36; Անանյան 1962: 216-217).

თხზულების თანახმად, მაშტოცმა გარკვეული დროის შემდეგ უარი თქვა საერო ცხოვრებაზე, დატოვა თანამდებობა, სამეფო ქალაქი, განმარტოვდა, გახდა ასკეტი და მქადაგებლობით საქმიანობას მიჰყო ხელი, რაც, ჩანს, გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მაშტოცისთვის ყველაზე დიდ დაბრკოლებად საჭირო წიგნების სომხურ ენაზე არარსებობა იქცა. მისი მთავარი საზრუნავი გახდა, როგორმე მოეპოვებინა სომხური დამწერლობა. მან რჩევისთვის სომხეთის კათალიკოსს, საჰაკს მიმართა. შეიკრიბა სათათბირო კრება, რომელსაც სომხური ანბანის საკითხი უნდა გადაეწყვიტა (Աբელიან 1981: 90).

ამდენად, კრება საჰაკისა და მაშტოცის ინიციატივით შედგა, რომელსაც სომეხი ეპისკოპოსები ესწრებოდნენ. კრების მონაწილეებს შორის სომხეთის მეფე ვრამშაპუკი ან სხვა საერო პირები არ ჩანან. კორიუნის მსგავს ცნობას გვაწვდის მოსე ხორენელიც: „საჰაკ დიდთან და მესროპთან შეკრებილიყო ყველა ეპისკოპოსი სომხური ანბანის შექმნის თაობაზე“ (Աբელიან... 1991: 325; აბდალაძე 1984: 222).

კორიუნის ცნობამ სათათბირო კრების მოწვევის შესახებ მრავალი კითხვა წარმოშვა, რომელთა ნაწილი პასუხგაუცემელი დარჩა: სად ჩატარდა კრება, ვინ ესწრებოდა, ეს კრება საეკლესიო იყო თუ საერო, რამდენ ხანს გაგრძელდა, რა საკითხები იქნა კრებაზე განხილული და რა შედეგით დასრულდა.

ავტორი კრების მსვლელობასთან დაკავშირებით მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ კრების მონაწილეებმა მრავალი საკითხი გამოიძიეს და განიხილეს, შემდეგ კი საჭიროდ ჩათვალეს, ამ მნიშვნელოვანი შეკრების შესახებ მეფისთვის ეცნობებინათ. რა იყო კონკრეტულად ხანგრძლივი კამათის მიზეზი, ამის შესახებ თხზულებაში არაფერია ნათქვამი: „ისინი მრავალი გამოკითხვითა და ძიებით იყვნენ დაკავებულნი და ასევე მრავალი გაჭირვება გადაიტანეს, შემდეგ კი თავიანთი იმოდინდელი საძიებლის [შესახებ] მოახსენეს სომხეთის მეფეს, რომელსაც სახელად ვრამშაპუჰი ერქვა“ (Աբელიან 1981: 90).

კორიუნის ამ ბუნდოვანმა ცნობამ მეცნიერთა სხვადასხვა ინტერპრეტაცია გამოიწვია. მკვლევრები კრების ჩატარების ადგილად ვაღარშაპატს ასახელებენ (Աճառյան 1968: 100). თავად კრების ხასიათს რაც შეეხება, მ. ჩამჩიანისა და ა. მ. გარაგაშიანის აზრით, ეს იყო საეკლესიო კრება, რომელსაც მხოლოდ ეპისკოპოსები და მოძღვრები ესწრებოდნენ. ჰ. ანანიანის შეხედულებით, ასეთ შემთხვევაშიც კი მეფეს უნდა სცოდნოდა კრების მოწვევის ფაქტი და მხოლოდ კრების დასრულების შემდეგ არ უნდა გაეგო მიღებული გადაწყვეტილების შესახებ (Անանյან 1962: 224). ჰ. ბ. სარგსიანი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ კრებაზე მთავარი განსახილველი თემა იყო, 15 ნაჰანგიდან რომლის დიალექტი აერჩიათ ლიტერატურულ ენად, საკითხი არარატის დიალექტის სასარგებლოდ გადაწყდა (Մարգարյան 1889: 39). ჰრ. აჭარიანი აკრიტიკებს ჰ. ბ. სარგსიანის ამ შეხედულებას და შენიშნავს, რომ დიალექტების ენათმეცნიერული განხილვა ანბანის საკითხს ვერ გადაჭრიდაო (Աճառյան 1968: 101). მ. აბელიანიც განიხილავს კორიუნის ცნობას და «Երանსէլի միաբանսէլոց»-ს განმარტავს იმგვარად, რომ კრებას ესწრებოდნენ მორწმუნე ძმობის წევრები, ბერ-მონაზვნები. ეს იყო სათათბირო საბჭო, რომლის მიზანი იყო, გადაეწყვიტა სომხური ანბანის შექმნის საკითხი. კრების დასრულების შემდეგ კი სომხეთის მეფე ვრამშაპუჰს აცნობეს მათი საზრუნავის შესახებო (Աբელიან 1981: 11).

კრებასთან დაკავშირებით გამოთქმული არაერთი მოსაზრების მიუხედავად, დაბეჯითებით რაიმეს მტკიცება შეუძლებელია. ვფიქრობთ, ეს მაინც სასულიერო

პირებისგან შემდგარი სათათბირო კრება იყო, რომელიც საჰაკ კათალიკოსის მოწვევით ჩატარდა.

კორიუნის ტექსტი ხშირად იმდენად ბუნდოვანი ან ორაზროვანია, რომ ძნელია კონკრეტული დასკვნის გაკეთება. ასეთი ცნობების შემთხვევაში მკვლევრებს ფართო ასპარეზი ეძლევათ კორიუნის მონათხრობის საკუთარი ინტერპრეტაციით გადმოცემისა. თხზულებაში ერთ-ერთ ასეთ ორაზროვან საკითხად თეოდორე მოფსუესტელის სახელთან დაკავშირებული თხრობა შეიძლება ჩაითვალოს. ამ თხრობის საფუძველზე მეცნიერები სხვადასხვა ისტორიებს აგებენ და საჰაკ კათალიკოსისა და მაშტოცის სახელს კიდევ ერთი ადგილობრივი კრების მოწვევას უკავშირებენ.

სომხეთის ისტორიაში ეს კრება აშტიშატის მესამე კრების სახელით აღინიშნა, კრების ჩატარების თარიღად კი 435/436 წელი განისაზღვრა. აშტიშატის კრება მოწვეულ იქნა თითქოს ეფესოს III მსოფლიო საეკლესიო კრების (431 წ.) დადგენილებების ოფიციალურად მისაღებად და სომხეთში გავრცელებული ნესტორიანობასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების გადასაწყვეტად.

431 წლის ეფესოს III მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაგმო ნესტორის მოძღვრება და ერესიარქი ეკლესიიდან განკვეთა. ეფესოს III მსოფლიო კრებამ საფუძველი დაუდო მსოფლიო კრებათა აქტების შედგენის ტრადიციას. კორიუნის თხზულების თანახმად, საბერძნეთიდან სამშობლოში დაბრუნებულმა საჰაკისა და მაშტოცის მოწაფეებმა ჩამოიტანეს კრებაზე მიღებული დადგენილებები: *„ისინი (მაშტოცის მოწაფეები ხ.გ.) საღმრთო წიგნების სარწმუნო ნუსხებით და ღვთიური მადლით დაწერილი მამათა მრავალი გადმოცემით, ნიკეისა⁴³ და ეფესოს [კრებათა] კანონებით*

⁴³ კორიუნის ეს ცნობა თითქოს წინააღმდეგობაში მოდის სომხურ ტრადიციასთან, რომელიც ძველმა სომხურმა საეკლესიო მწერლობამ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებასთან დაკავშირებით შემოგვინახა. ტრადიციის თანახმად, ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებას (325 წ.) ესწრებოდა გრიგოლ განმანათლებლის შვილი არისტაკესი, რომელიც იმავე წელს დაბრუნდა სომხეთში და თან ჩაიტანა მსოფლიო კრების განსაზღვრებანი. სომეხი ავტორები გრიგოლ განმანათლებლის ღვაწლს სომეხთა გაქრიატიანებაში არ ივიწყებენ, თუმცა მათ მიაჩნიათ, რომ სომეხთა ნამდვილი მოქცევა მოხდა მაშინ, როდესაც მათ გაიცნეს ნიკეის კრების კანონები და სარწმუნოების სიმბოლო (ალექსიძე 2011: 283-285.). ნიკეის I მსოფლიო კრებაზე სომეხების, კერძოდ კი, არისტაკესის წარმომადგენლობის შესახებ საუბრობს იოანე ოძუნიელიც მის ნაშრომში «Մասկս ժողովոց, որ եղևն ի Հայք» [„სომხეთში ყოფილ კრებათათვის“] (Գիրք... 1901: 473). ეფესოს III მსოფლიო საეკლესიო კრებაზე კი სომეხებს

წამოვიდნენ და გამოჩნდნენ სომხეთის ქვეყანაში, მოიტანეს და მამებს წინ დაუდეს წმინდა ეკლესიის აღთქმანი“ (Աբელიან 1981: 124).

ეფესოს კრების კანონების სომხეთში მოტანის ფაქტზე საუბრობს მოსე ხორენელიც: „ვინაიდან იმ კრებას არ დასწრებიან საჰაკ დიდი და მესროპი, ეპისკოპოსებმა, კირილე ალექსანდრიელმა, პროკლე კონსტანტინოპოლელმა და აკაკი მელიტინელმა მისწერეს მათ და აფრთხილებდნენ, რამეთუ გაეგოთ, რომ [ნესტორის] მწვალებელ მოწაფეებიდან ზოგს აუღია თეოდორეს მოწაფისა და ნესტორის მოძღვრის, თეოდორე მოფსუესტელის წიგნები და სომეხთა ქვეყანაში გადასულან. ამის შემდეგ მოვიდნენ ჩვენი მთარგმნელებიც, რომელთა სახელები ზემოთ მოვიხსენიეთ. ისინი შეხვდნენ საჰაკ დიდსა და მესროპს ტარონის აშტიშატში, გადასცეს მათ ეპისტოლეები და ექვსი თავისაგან შემდგარი ეფესოს კრების კანონები, აგრეთვე წმიდა წერილის ნამდვილი ნუსხები“ (Աբელიან... 1991: 342-343; აბდალაძე 1984: 232).

ეფესოს III მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ დიდ მამებს გამაფრთხილებელი წერილი გაუგზავნიათ სომხეთში, მათ მოძღვრებას ნესტორის მწვალებლობა რომ არ შერეოდა. პირველი წერილი გაგზავნა (435 წ.) კონსტანტინოპოლის პატრიარქმა პროკლემ, რომელიც იოანე ოქროპირის მოწაფე იყო. წერილმა ოთხ ენაზე მოაღწია ჩვენამდე – ბერძნულად, სომხურად, სირიულად და ლათინურად. სომხურ ენაზე შემონახული წერილის ადრესატები არიან საჰაკ კათალიკოსი და მაშტოცი, ბერძნულ დედანში კი ეს ასე არ არის, პატრიარქი მიმართავს სრულიად სომხეთის ეკლესიას. მეორე წერილის ავტორია მელიტინეს ეპისკოპოსი აკაკი, რომელიც, კორიუნის გადმოცემით, პირადად იცნობდა მაშტოცს, თუმცა აკაკის წერილი მხოლოდ საჰაკის მისამართით არის დაწერილი იმავე წელს (435 წ.). მესამე წერილი ისევ მელიტინეს ეპისკოპოს აკაკის ეკუთვნის, რომელიც წერილს იმავე მოტივით უგზავნის სომეხ ნახარარებს. შემონახულია კონსტანტინოპოლის პატრიარქ პროკლეს ეპისტოლეზე საჰაკისა და მაშტოცის

წარმომადგენელი არ ჰყოლიათ. პ. ანანიანის თანახმად, ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ იმ დროს საჰაკი ან ექსორიაში იმყოფებოდა, ან ახალი დაბრუნებული იყო სომხეთში, ქვეყანას სპარსი მარზპანი განაგებდა და საჰაკს არ შეეძლო სურვილისამებრ ემოქმედა (Աნანიან 1966: 86-94:).

პასუხი. აკაკისადმი გაგზავნილ საპასუხო ეპისტოლეებიდან მხოლოდ საჰაკის წერილი შემორჩა, ნახარებისადმი გაგზავნილი წერილის პასუხი კი არ მოიპოვება (Աճառյան 1968: 278-283). მთელი ეს მიმოწერა „ეპისტოლეთა წიგნმა“ შემოინახა (Գիրք... 1901: 1-21). საჰაკ კათალიკოსისა და მესროპის (მაშტოცი ბ.გ.) მიერ აშტიშატის მესამე კრების მოწვევაზე საუბრობს იოანე ოძუნელიც თავის ეპისტოლეში „სომეხი კათალიკოსების მიერ [მოწვეული] კრებების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა სომხეთში“ (Գիրք... 1901: 220).

თეოდორე მოფსუესტელის წიგნები რომ მართლაც გამოჩნდა სომხეთში, ამის შესახებ კორიუნიც წერს და აღნიშნავს, რომ ნეტარი მამების გამაფრთხილებელ ეპისტოლეთა შემდეგ საჰაკმა და მაშტოცმა ეს მწვალებლური წიგნები სომხეთის ქვეყანას განაშორეს:

„იმ დროს სომხეთის ქვეყანაში გამოჩნდა [ახლად] მოტანილი სიცრუის მთხრობელი წიგნები, ფუჭი გადმოცემები თეოდოროსის სახელით ცნობილი ერთი რომელი კაცისა. წმინდა ეკლესიის სინოდის მამამთავრებმა ამის შესახებ აღნიშნეს და აცნობეს ჭეშმარიტი სარწმუნოების მადიდებლებს საჰაკს და მაშტოცს. მათ კი ჭეშმარიტი სიყვარულის ძალით აიღეს და განაშორეს [ეს წიგნები] თავიანთი ქვეყნის საზღვრებს გარეთ, რომ არანაირი სატანური კვამლი არ შერეოდა ნათელ სწავლებას“ (Աբեղյան 1981: 134).

უნდა ითქვას, რომ არც კორიუნის და არც მოსე ხორენელის ცნობებიდან არ ჩანს, რომ საჰაკსა და მაშტოცს თეოდორე მოფსუესტელის წიგნების დასაგმობად და ეფესოს კანონების ოფიციალურად მისაღებად საეკლესიო კრება მოეწვიათ სომხეთში. თუმცა მკვლევართა ნაწილი ამგვარ ისტორიას აგებს: მ. ჩამჩიანის მოსაზრებით, საჰაკმა თეოდორეს მწვალებლური წიგნების განსახილველად კრება მოიწვია აშტიშატში 436 წელს. შეიკრიბნენ სომხეთის ეპისკოპოსები, ხუცესები და ბერ-მონაზვნები, განიხილეს თეოდორე მოფსუესტელის წიგნები, ნახეს, რომ ეს ეწინააღმდეგებოდა წმინდა მამების მოძღვრებას, ამიტომ ერთხმად დაწყევლეს და განდევნეს. საჰაკმა კრების მონაწილეებთან ერთად თეოდორეს წიგნის წინააღმდეგ მიმართული წერილი მისწერა კონსტანტინოპოლის პატრიარქ პროკლეს, სთხოვდა

მას თახმობას. ატყობინებდა ასევე, რომ მათ უარყვეს ეს მწვალელები, მათი მოძღვრება და წიგნები. პროკლე გაეცნო სომეხთა წერილს, თეოდორეს წიგნებს, მოიწონა სომეხების სარწმუნოება, შეკრიბა ეპისკოპოსები და ამის შემდეგ სომხეთში გაგზავნა ის ვრცელი ეპისტოლე, რომელიც ეპისტოლეთა წიგნმა შემოგვინახა (Չսմյսն 1784: 527).

პრ. აჭარიანი მ. ჩამჩიანის ლოგიკას მცდარს უწოდებს და აღნიშნავს, რომ აშტიშატში კრება არ ჩატარებულა არც პირველად და არც მეორედ, რეალობა ისაა, რომ პროკლემ ერთი, აკაკიმ კი ორი წერილი მისწერა სომეხებს, რომელთაც ასევე საპასუხო წერილები გაუგზავნეს მელიტინეს ეპისკოპოსს. მ. ჩამჩიანის შეხედულებას აკრიტიკებს ასევე ეპისკოპოსი აბელ მხითარიანიც თავის „კრებათა ისტორიაში“. პ. ა. ვარდანიანიც განიხილავს ამ მიმოწერას და უარყოფს პროკლეს მეორე წერილს. ნ. აკინიანის აზრით კი, თეოდორეს სახელთან წარმოშობილ ხმაურს, კამათს, მიმოწერას, წიგნების გაგზავნას ადგილი უნდა ჰქონოდა სომხეთის ბერძნულ ნაწილში. აკაკის მეორე წერილიც სომხეთის ბერძნულ ნაწილში მყოფი მთავრებისადმი უნდა ყოფილიყო გაგზავნილი, ამიტომაც არ შემოგვრჩა მათი საპასუხო ეპისტოლეო (Աճառյսն 1968: 283-285).

„დიდი სჯულისკანონის“ მიხედვით, ეფესოს კრების კანონები წარმოადგენს იმ ეპისტოლის შემადგენელ ნაწილს, რომელიც კრებამ გაუგზავნა „*თითოეულის სამთავროდსა და ქალაქისა ეპისკოპოსთა, ხუცესთა და დიაკონთა და ყოველსა ერსა*“ (გაბიძაშვილი... 1975: 264). სავარაუდოდ, ასეთივე ეპისტოლეს გაუგზავნიდნენ სომეხ ერს. კორიუნის ტექსტიდანაც ნათლად ჩანს, რომ მამტოცის მოწაფეებმა მოიტანეს და წმინდა მამებს წარუდგინეს კრების კანონები, ამიტომ საპაქსა და მამტოცს კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დამატებითი ეპისტოლეების გაგზავნა და წმინდა მამებისგან ახსნა-განმარტების მიღება რატომ უნდა დასჭირვებოდათ?!

IV-V საუკუნეები, ქრისტიანული ეკლესიის დოგმატური საკითხების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ყველაზე ნაყოფიერი პერიოდია. მარტო ამ დროს ოთხი მსოფლიო კრება გაიმართა დოგმატური საკითხების გადასაწყვეტად. სრულიად არ იქნებოდა მოულოდნელი, თუ ასეთი მნიშვნელოვანი საკითხების

განსახილველად ადგილობრივ კრებას სომხეთშიც მოიწვევდნენ. ჩვენი აზრით, ერთადერთი შეუსაბამობა ისაა, რომ კორიუნის ცნობა არ გვაძლევს იმის საშუალებას, ამ შეკრებას ადგილობრივი კრების სტატუსი მიენიჭოს და აშტიშატის III საეკლესიო კრებად გაფორმდეს. ეპისტოლეთა წიგნში შემონახული რამდენიმე ეპისტოლის გარდა, სხვა წყარო არ ვიცით, რომელიც აშტიშატის კრების მოწვევას დაადასტურებდა, კორიუნისა და მოსე ხორენელის ცნობებზე დაყრდნობით კი ასეთი დასკვნის გაკეთება მიზანშეუწონლად მიგვაჩნია.

ეს არის IV-V საუკუნეების სომხეთში განვითარებული ძირითადი პოლიტიკური და რელიგიური ხასიათის მოვლენები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად აისახა კორიუნის ნაწარმოებში.

ახლა კი განვიხილავთ მაშტოცის მოგზაურობასა და მისი მოღვაწეობის მასშტაბებს, ასევე შევხებით იმ პირთა იდენტიფიკაციის საკითხს, რომლებიც გზად ხვდებოდნენ მაშტოცს მისიონერული საქმიანობისას.

თხზულების მიხედვით, მაშტოცი თავისი მშობლიური მხარიდან, ტარონიდან, კერძოდ, სოფელ ჰაცეკაციდან ხვდება სამეფო კარზე და უკვე აქედან ის გაემართება ქრისტიანობის გასამტკიცებლად. პირველი გეოგრაფიული პუნქტი, სადაც მაშტოცი ქრისტიანულ მოძღვრებას უქადაგებდა წარმართ მოსახლეობას, გოლთნის გავარი იყო. ეროვნული დამწერლობის არქონა, როგორც უკვე აღინიშნა, დიდ სირთულეს და დაბრკოლებას უქმნიდა მაშტოცს, როგორც მქადაგებელს. ამის შესახებ კორიუნი გაკვრით აღნიშნავს, სამაგიეროდ შექმნილ ვითარებას ვრცლად აღწერს V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი, ლაზარე ფარპელი „სომხეთის ისტორიაში“: აღმოსავლეთ სომხეთში სახელმწიფო საქმეებს სირიულ და ბერძნულ ენებზე აწარმოებდნენ, სასწავლებლებში სირიულ ენას ასწავლიდნენ, ეკლესია-მონასტრებში ღვთისმსახურება და საღმრთო წიგნების კითხვა სირიულ ენაზე მიმდინარეობდა, მოსახლეობას კი ენის არცოდნის გამო არაფერი ესმოდა (Տէր-Մկրտչյան... 1904: 13-14; ჩანტლაძე 2013: 241). ამ სირთულეების დასაძლევად და ქრისტიანობის უფრო სწრაფად და ეფექტურად გასავრცელებლად მაშტოცმა გადაწყვიტა, სომეხი ხალხისათვის საკუთარი დამწერლობა შეექმნა. ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე

მაშტოცი ბრუნდება სამეფო ქალაქში. საკაკ კათოლიკოსთან მისი ვიზიტის შესახებ უკვე ვისაუბრეთ. აქვე იწყება უშუალოდ ზრუნვა დამწერლობის შესაქმნელად.

თხზულებაში სომხური ანბანის შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესი ორ ეტაპად არის წარმოდგენილი: პირველი ეტაპი სირიის ეპისკოპოსი დანიელისგან მოტანილ ანბანს უკავშირდება და მასში მაშტოცი არ მონაწილეობს. ავტორის ცნობით, დანიელის ანბანი არ აღმოჩნდა საკმარისი სომხური ენის სრულად გამოსახატავად; ანბანის შექმნის მეორე ეტაპზე კი იწყება მაშტოცის მოგზაურობა შუამდინარეთში. იგი სტუმრობს სხვადასხვა ქალაქებს და ცნობილ პირთაგან ცდილობს, მიიღოს ანბანთან დაკავშირებული სასარგებლო და საჭირო ინფორმაცია: „წავიდა სომხეთის მეფის ვრამშაპუჰის მეფობის მეხუთე წელს, მივიდა და მიაწია არამის მხარეს, სირიის ორ ქალაქში, რომელთაგან ერთს ედესა ეწოდება, მეორეს კი – ამიდი. წარუდგა წმინდა ეპისკოპოსებს, მათგან ერთს ერქვა ბაბილასი, მეორეს კი – აკაკიოსი“ (Աբելյან 1981: 94).

ტექსტის ამ ნაწილში ქრონოლოგიურ აღრევასთან გვაქვს საქმე. კორიუნის გადმოცემით, დანიელის ანბანი სომხეთში მოიტანეს ვრამშაპუჰის მეფობის *მეხუთე წელს, ორი წელი* ცდიდნენ და მიხვდნენ, რომ სომხურ ენას არ შეესაბამებოდა. ამის შემდეგ მაშტოცი ახალი ანბანის საძიებლად მიემგზავრება კვლავ ვრამშაპუჰის მეფობის *მეხუთე წელს*. სომეხი მეცნიერები შეეცადნენ, გაესწორებინათ კორიუნის თხრობაში დაშვებული უზუსტობა. მეცნიერთა ის ჯგუფი, რომელიც ისწრაფვოდა, დაეცვა დანიელის ანბანის ორი წლით სწავლების ხანგრძლივობა, გადაწერის შეცდომად თვლიდა ორჯერ დასახელებულ „ვრამშაპუჰის მეხუთე წელს“ და ამის გასამართლებლად სხვადასხვა გზებს ეძებდა (მ. ჩამჩიანი, ჰრ. აჭარიანი, გ. ფნტგლიანი). გ. ტერ-მკრტჩიანის აზრით, დანიელის ანბანი სომხეთში მოიტანეს ვრამშაპუჰის მეფობის მეხუთე წელს, ამ ანბანს ორი წელი ცდიდნენ, ამის შემდეგ მაშტოცი გაემგზავრა შუამდინარეთში სომხურ ანბანში ცვლილებების შესატანად. მაშტოცი ედესაში 412 წლის ბოლოს იმყოფებოდა და იქ შეხვდა ეპისკოპოს რაბილას ან რაბულას, შუამდინარეთიდან კი დაბრუნდა ვრამშაპუჰის მეფობის არა მეექვსე, არამედ მეთექვსმეტე წელს (ეს არის 416 წელი) (Տեր-Մկրտչյան 1962: 181-198). ჰრ.

აჭარიანმა დანიელის გრაფემებით სწავლების პერიოდი ვრამშაპუკის მეფობის მესამე და მეხუთე წლებს შორის მოათავსა. მეცნიერის თანახმად, კორიუნის ტექსტში მცირე ცვლილება იქნა შეტანილი: დანიელის ანბანი სომხეთში ვრამშაპუკის მეფობის მესამე წელს მოიტანეს და ორი წელი ასწავლიდნენ. ვრამშაპუკის მეხუთე წელი მცდარი წაკითხვით იქნა მიღებული – «Երդ» (Երդդդ սսխ) – მესამე წელს უნდა ნიშნავდეს და არა მეხუთეს (Հինգերդդ սսխ) (Աճառյան 1944a: 27-28).

მკვლევართა მეორე ჯგუფი გადაწერის შეცდომად „ორ წელს“ თვლიდა და მის ნაცვლად „ორი თვეს“ ასახელებდა (იხ. ჰარუთიუნიანი) (Հարութիւնյանց 1892: 170). ს. ქოლანჯიანმა მატენადარანის ხელნაწერებში იპოვა მოსე ხორენელის „ისტორიის“ ფრაგმენტი, რომელშიც სომხურ ანბანთან დაკავშირებით «գամս սսկսս»-ის ნაცვლად «գմսսս սսկսս» წერია. ს. ქოლანჯიანის აზრით, კორიუნის პირვანდელ ტექსტში უნდა ყოფილიყო ანბანის გამოცდა „*ორი თვის*“ მანძილზე, ხოლო «գմսսս սսկսս»-ს მამტოცის მიერ რამდენიმე მოწაფისათვის ამ ასო-ნიშნებით სწავლებას გულისხმობს (Քոլանջյան 1958: 163-182). პ. ანანიანი ხორენელის ტექსტის კრიტიკული გამოცემის წაკითხვას – «գամս սսկսս»-ს – უფრო სწორად თვლის, ვიდრე მოსე ხორენელის ფრაგმენტისას, მისი შეხედულებით, ს. ქოლანჯიანის დასკვნა დანიელის ანბანის „*ორი თვე*“ გამოცდის შესახებ, მცდარ არგუმენტებზეა აგებული. პ. ანანიანს თხზულებაში აღწერილი მოვლენების „*ორ თვეში*“ განვითარება წარმოუდგენლად მიაჩნდა (Անանյան 1962: 208-236).

ზოგი საერთოდაც ამ ფრაზას გვიანდელ ჩანართად თვლიდა და მთლიანად იღებდა კორიუნის ტექსტიდან (ი. მარკვარტი, ნ. აკინიანი), ზოგი კი ორივე მოსაზრებას ითვალისწინებდა (მ. აბელიანი, ნაწილობრივ პ. მანანდიანიც) (Քոլանջյան 1958: 181).

ედესისა და ამიდის ეპისკოპოსების – ბაბილასა და აკაკის – იდენტიფიკაციის საკითხიც არაერთხელ გამხდარა მკვლევართა ინტერესის საგანი. სამეცნიერო წრეებში ამასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები იქნა გამოთქმული: სენ მარტენმა „ბაბილას/ბაბილას“ («Բաբիլաս/Բաբիդաս») ნაცვლად „რაბულას“ («Րաբուլաս») წაკითხვა შემოგვთავაზა. მკვლევარი ამას იმით ხსნიდა, რომ V საუკუნის I ნახევარში ედესის ეპისკოპოსი იყო რაბულა, ბაბილას სახელის მქონე ეპისკოპოსი ამ პერიოდის ედესაში არ

დასტურდებოდა (სტე-სკოტის 1962: 192). რაბულა ედესის ეპისკოპოსად 412-435 წლებში ჩანს. ამიტომაც გ. ტერ-მკრტიანი მაშტოცისა და რაბულა ეპისკოპოსის შეხვედრას ედესაში 412 წლის შემდეგ ვარაუდობდა და სომხური ანბანის შექმნას 412-416 წლებით ათარიღებდა (სტე-სკოტის 1962: 197-198). „ბაბილას“ ნაცვლად „რაბულას“ წაკითხვას მხარს უჭერენ მ. ჩამჩიანი, ნ. ბიუზანდაცი, ნ. ადონცი, პ. ანანიანი (სისინიანი 1963: 239). პ. თოროსიანს კორიუნთან დასახელებული ედესის ეპისკოპოსად ბაქიდასი ან პაკიდასი (398-408) მიაჩნია, „ბაბილას“-ის წაკითხვას კი გადამწერთა შეცდომით ხსნის (მირიანის 1932: 255-264).

რაც შეეხება ამიდის ეპისკოპოსად აკაკის (აკაკიოსის) («Ակակիոս») მოხსენიებას, აქაც აზრთა სხვადასხვაობაა. ნ. ადონცი და პ. მანანდიანი აკაკის ეპისკოპოსად დანიშვნის თარიღად 419/420 წელს ასახელებენ. ეპისკოპოსი აკაკი იმპერატორ თეოდოსისა და ვრამ (ბაჰრამ ბ.გ.) მეფის სამხედრო დაპირისპირებისას პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა, 422 წელს იმპერატორმა იგი ელჩად გაგზავნა ვრამ (ბაჰრამ ბ.გ.) მეფესთან სამშვიდობო მოლაპარაკების მისიით (სტეინგ 1962: 222-223). ნ. ადონცის მიხედვით, რაბულასა და აკაკის ქრონოლოგიის გათვალისწინებით, მაშტოცს ედესასა და ამიდში 420-დან 435 წლამდე უნდა ემოგზაურა (სტეინგ 1962: 223). ე. ტერ-მინასიანი არ ეთანხმება 419/420 წელს აკაკის ამიდის ეპისკოპოსად დანიშვნას – 419/420 წელს ამიდის ეპისკოპოსი აკაკი სპარსეთში ელჩად მართლაც იმყოფებოდა, მაგრამ თუ როდის გახდა ეპისკოპოსი, წყაროთა მონაცემებით ამის დამტკიცება შეუძლებელიაო (სტე-სინიანის 1964: 28-29).

მოცემული ანალიზის საფუძველზე, მაშტოცს ედესასა და ამიდში, სავარაუდოდ, 412-435 წლებში უნდა ემოგზაურა, რაც ეწინააღმდეგება სომხური ანბანის შექმნის თარიღთან დაკავშირებულ მოსაზრებას. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული და გაზიარებული შეხედულებით, მაშტოცმა სომხური ანბანი 405/406 წელს შექმნა. შესაბამისად, იგი შუამდინარეთში ამ დრომდე უნდა გამგზავრებულიყო. თხზულებაში დასახელებული ეპისკოპოსების იდენტიფიკაციამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ კორიუნის თხზულება ურთიერთგამომრიცხავ ცნობებს

შეიცავს, ხშირია ქრონოლოგიური აცდენები, უზუსტობანი, ამიტომ ამ ცნობათა უკრიტიკოდ გაზიარება დაუშვებელია.

თხზულების სიუჟეტის მიხედვით, შუამდინარეთში მოგზაურობისას მაშტოცს ღვთაებრივი სასწაულით ებოძა სომხური გრაფემები. მან სამოსატში, ჰპოვა ბერძნულის მცოდნე, კალიგრაფი, სახელად ჰროფანოსი, რომელმაც განსაზღვრა და დაადგინა სომხური გრაფემების დიდი და პატარა, გრძელი და მოკლე სახესხვაობანი (Աբელიან 1981: 96).

უცნაურია ის, რომ კორიუნის ჩვენამდე მოღწეული ტექსტიდან არ ჩანს, კერძოდ, რომელ ქალაქში მოხდა სომხური გრაფემების აღმოჩენა. ქალაქის სახელის ნაცვლად თხზულებაში ადგილის ზმნიზება – „იქ“ («ამს») – დასტურდება: *„იქ მან სწრაფად ჩაინიშნა [ეს ასო-ნიშნები], სახელები დაარქვა, რიგზე განალაგა და შექმნა თხზულ მარცვლებად“* (Աբელიან 1981: 96).

კორიუნის ამ ბუნდოვანმა ცნობამ მკვლევართა შორის აზრთა ორად გაყოფა გამოიწვია: ერთნი ფიქრობენ, რომ მაშტოცმა სომხური ანბანი შექმნა ქალაქ სამოსატში, ჰროფანოსის დახმარებით. მეორენი კი, ამ მნიშვნელოვანი ფაქტის აღსრულებას ედესაში ვარაუდობენ.

თხზულების სიუჟეტს თუ გავყვებით, შუამდინარეთში მაშტოცის მოგზაურობის ხაზი ასე გამოიყურება – ედესა, ამიდი, სამოსატი. ხოლო ამ ქალაქების გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ მაშტოცი პირველად ამიდში (დღევანდელი დიარბექირი) მივიდა, იქიდან გადავიდა ედესაში (ურჰა), რომელიც საკმაოდ შორსაა. სწორედ ედესაში უნდა მომხდარიყო სომხური გრაფემების აღმოჩენა. ამის შემდეგ კი სამოსატში გაემგზავრა ანბანის საბოლოოდ გასამართად (Աբელიან 1981: 26-32).

მეცნიერთა შორის პოლემიკის საგანი გახდა ისიც, თუ რა როლს ასრულებდა ჰროფანოსი (მოსე ხორენელით – რუფინოსი (Աբელიან... 1991: 326-327; აბდალაძე 1984: 222-223)) სომხური ანბანის გამართვასა და დახვეწაში. ზოგი მას კალიგრაფს უწოდებს, რომელმაც მხოლოდ მხატვრული ფორმა მისცა მაშტოცის მიერ შექმნილ სომხურ გრაფემებს (Աდაიუსი 1968: 124; Աբელიან 1981: 32-36; Աნანსიანი 1963: 244; Step-

Մինասյան 1964: 45), ზოგის აზრით კი, იგი განსწავლული გრამატიკოსია, რომლის დახმარებითაც მამტოცმა ბერძნულის მსგავსად მოაწესრიგა და ანბანურ რიგზე გააწყო სომხური ასო-ნიშნები (Մեկակ 1947: 151-179).

თხზულების თანახმად, ახლადშექმნილი ანბანით თარგმანების შესრულება დაიწყო და თავდაპირველად სომხურად გადმოთარგმნეს სოლომონის იგავები ჰროფანოსის დახმარებით, ამავდროულად ჰროფანოსი მამტოცის მოწაფეებს წერის ხელოვნებას შეასწავლიდა. სამოსატში საქმის დასრულების შემდეგ, მამტოცი დაემშვიდობა ქალაქის ეპისკოპოსს (რომლის სახელს კორიუნი არ გვაწვდის) და მოწაფეებთან ერთად მივიდა ედესასა და ამიდში, ეპისკოპოსებს წარუდგინა თავისი შრომის ნაყოფი და დაბრუნდა სომხეთში, ნორქალაქის (იგივე ვალარშაპატი) საზღვრებთან, ვრამშაპუჰის მეფობის მეექვსე წელს⁴⁴.

სომხური ანბანის გამართვისა და სკოლების დაარსების შემდეგ, მამტოცი კვლავ მქადაგებლობას აგრძელებს. კორიუნის თხზულების შემცველმა ხელნაწერებმა მამტოცის მოღვაწეობის არეალი ამ მომენტიდან უკვე განსხვავებულად შემოგვინახა. მამტოცის მისიონერული საქმიანობის შესახებ ყველაზე ვრცლად მოთხრობილია „მამტოცის ცხოვრების“ A ჯგუფის ტექსტებში. ამ ტექსტების თანახმად, მამტოცმა იქადაგა სხვადასხვა ადგილებში: მართა მხარეში; გოლთნის გავარში (გოლთნის მთავრის შაბათისა (შაბითის) და მისი ძის, გიტის ხელშეწყობით); კორიუნი აღწერს მამტოცის ამ მხარეებში ქადაგების ისტორიას და არ ასახელებს არცერთ ისტორიული პირს ან მოვლენას, რომელიც სხვა სომხური წყაროთი იქნებოდა დადასტურებული. პერსონალითა და მოვლენებით გაცილებით უფრო მდიდარია მომდევნო, სივნიეთში მამტოცის საქმიანობის შესახებ თხრობა. თხზულების თანახმად, მამტოცმა გააქრისტიანა და დაიმოწაფა მოსაზღვრე სივნიეთის (387 წ. დიდი სომხეთის სამეფოს გაყოფის შემდეგ,

⁴⁴ ვრამშაპუჰის სომხეთის ტახტზე ასვლა ორი სხვადასხვა თარიღით არის ცნობილი – გამეფდა 389 ან 400 წელს და იმეფა 414 წლამდე. მეცნიერები, რომლებიც ვრამშაპუჰის გამეფების თარიღად 389 წელს ვარაუდობენ, სომხური ანბანის შექმნის თარიღის ათვლასაც ამ პერიოდიდან იწყებენ. ნ. ადონცის მოსაზრებით, სომხური ანბანის შექმნა 392 წელს დაიწყო და 405 წელს დასრულდა (Ադոնց 1936: 16), ჰ. მანანდიანი კი სომხური ანბანის შექმნის თარიღად 391-392 წწ. მიიჩნევს (Մանանդյան 1952: 41-57:). დღეს მიღებული თვალსაზრისით, სომხური ანბანი 405/406 წელს შეიქმნა. შესაბამისად, ვრამშაპუჰის ტახტზე ასვლას 400 წლიდან ითვლიან.

სასანიდური სპარსეთის ბატონობის ქვეშ მოექცა) მოსახლეობა იმ ქვეყნის მთავრის, ვალინაკის დახმარებით. დამოწაფებულთაგან სივნიეთის ეპიკოპოსად დაინიშნა ანანია სივნიელი, რომელსაც კორიუნი უწოდებს „კაცს წმინდასა და გამოჩენილს, ეკლესიის მემკვიდრეთათვის მამობრივად [მზრუნველს]“ (Աբելյան 1981: 108). ანანია ეპისკოპოსი სტეფანოს ორბელიანის თხზულებაშიც მოიხსენიება. მისი ცნობით, ანანიას საეპისკოპოსო ტახტი დაახლ. 42 წელი ეპყრა. არსებობს მოსაზრება, რომ ანანია იყო შაჰაპივანის კრების (444 წ.) მონაწილე, აშტიშატის კრებაზე (449 წ.) კი საეპისკოპოსო რანგში პირველი ადგილი ეკავა (Սարգսյան 2002: 50).

კორიუნი განსაკუთრებული სიმპათიით არის გამსჭვალული ვასაკ სივნიელის მიმართ. ავტორი ვასაკის მმართველობას უფლის წყალობად მიიჩნევს და ახასიათებს მას, როგორც „მამაცს, ჭკვიანსა და გონიერს, შორსმჭვრეტელს, ღვთიური სიბრძნით დაჯილდოებულს“ (Աբելյան 1981: 110).

სხვა სომხური წყაროები (ელიშე, ლაზარე ფარპელი) კი ვასაკ სივნიელის მოღალატური საქციელის შესახებ საუბრობენ. ვარდანელთა ომის დროს (451 წ.) მან უღალატა სომხებს, სპარსელების მხარეს გადავიდა, სპარსულ ჯართან ერთად მონაწილეობდა აჯანყების ჩახშობაში, დევნიდა ვარდან მამიკონიანის მომხრეებს, დაატყვევა და სპარსეთში გაგზავნა ნახარარები და სასულიერო პირები.

კორიუნი V საუკუნის სომეხ ავტორებს შორის, შეიძლება ითქვას, ერთადერთია, რომელიც ვასაკს დადებით პიროვნებად გვიხატავს. ამიტომ ფიქრობენ, რომ „მამტოცის ცხოვრება“ 451 წლის აჯანყებამდე და ვასაკის სიკვდილით დასჯამდე უნდა იყოს დაწერილი (Աբելյան 1981: 55-56), წინააღმდეგ შემთხვევაში კორიუნი სამშობლოს მოღალატე ვასაკს ასეთი ეპითეტებით არ შეამკობდა.

თხზულების სიუჟეტის მიხედვით, სივნიეთში ქადაგების შემდეგ მამტოცი ქმნის ქართულ ანბანს და მიემგზავრება ქართლში. მამტოცის ქართლში მოგზაურობის საკითხს ოდნავ ქვემოთ შევეხებით და დეტალურად განვიხილავთ.

ქართლიდან მამტოცი სომხეთში (აღმოსავლეთ ნაწილში) ბრუნდება და აქედან იწყება მისი მოგზაურობა სომხეთის ბერძნულ ნაწილში. კორიუნის ნაწარმოებში ამ მოგზაურობას განსაკუთრებული ადგილი უკავია. სომხეთის ბერძნულ მხარეში

მაშტოცის საქმიანობა თეოდოსი კეისრის, არკადის ძის, ზეობის ხანას (410-450) ემთხვევა. თეოდოსი აღმოსავლეთ რომის იმპერატორი იყო 402 წლიდან, როგორც თანამოსაყდრე თავისი მამისა – არკადისა, 408 წლიდან კი იგი ერთპიროვნული მმართველი გახდა. კორიუნის გადმოცემით, თეოდოსის ბრძანებით მაშტოცს დიდი პატივი მიაგეს, სახელად აკუმეტი (*ბერძ.* ἀκίμητος „მღვიმარეს“ ნიშნავს) უწოდეს და სამეფო ეტლით გაისტუმრეს კონსტანტინოპოლში. ტიტულის მიღების შემდეგ მაშტოცი ქალაქ მელიტინეში წავიდა, სადაც იგი მელიტინეს ეპისკოპოს აკაკის შეხვდა და მას ჩააბარა მოწაფეთა ერთი ჯგუფი, თავად კი წაიყვანა დერჯანის ეპისკოპოსი გინთი, რამდენიმე მოწაფე და სამეფო ეტლით კონსტანტინოპოლში გაემგზავრა. პ. ანანიანის აზრით, მაშტოცი ქალაქ მელიტინედან კონსტანტინოპოლში შემდეგი ხაზით – კესარია-გალათია-ნიკომედია ქალაქების გავლით – უნდა წასულიყო. კონსტანტინოპოლში იგი წარსდგა სამეფო კარის წინაშე და კონსტანტინოპოლის პატრიარქ ატიკოსს (406-425) შეხვდა. მაშტოცმა სამეფო კარზე ყოფნისას მოიპოვა საიმპერატორო სიგელი, რომელიც მას სომხეთის ბერძნულ მხარეში თავისუფალი მოქმედების უფლებას აძლევდა, რაც იმას გულისხმობდა, რომ მაშტოცს საშუალება ექნებოდა, ახალი დამწერლობა და მოძღვრება დაუბრკოლებლად გაეცვრებინა ამ მხარეში. დასავლეთ სომხეთში საქმის აღსრულების შემდეგ მაშტოცი კვლავ ვალარშაპატში დაბრუნდა.

შუა საუკუნეების სომეხი ავტორებიდან თითქმის ყველა ეხება მაშტოცის სომხეთის ბერძნულ ნაწილში მოგზაურობას. სხვადასხვა დროის სომეხი ისტორიკოსები „მაშტოცის ცხოვრების“ ამ მონაკვეთს განსხვავებულად გადმოგვცემენ. ეს განსხვავებები სათანადოდ გვაქვს წარმოდგენილი გამოკვლევაში „მაშტოცი ძველ სომხურ მწერლობაში“. აქ კი მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ მკვლევართა შორის ბერძნულ ნაწილში მაშტოცის მოგზაურობის ისტორიებიდან სწორედ კორიუნისეული ვერსიას სარწმუნოდ მიჩნეული, სადაც აქ განხორციელებული საქმიანობის მთელი ინიციატივა მაშტოცს მიეწერება.

კორიუნის თხზულებაშიც და მომდევნო პერიოდის სომხურ მწერლობაშიც მუდმივად არის ხაზგასმა იმისა, რომ მიუხედავად ფორმალური გაყოფისა, ეს ორი მხარე მაინც ერთ მთლიანობად მოიაზრებოდა. ხოსრო IV (385-388), რომელიც აღმოსავლეთ

სომხეთის სამეფოს მართავდა, ბიზანტიასთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებას ცდილობდა. მისი მთავარი მიზანი კი ბიზანტიის დაქვემდებარებაში მყოფი სომხეთის შემოერთება იყო. სწორედ ამ მისწრაფებების გამო, სპარსეთის მეფემ ხოსრო IV სამეფო ტახტს ჩამოაშორა და დააპატიმრა. საჰაკ კათალიკოსი კი, როგორც ხოსროს თანამოაზრე და მისი ინტერესების გამტარებელი, ხოსროსთან ერთად ქტესიფონში დაიბარა. ქვეყანაში მშვიდობის შესანარჩუნებლად კათალიკოსი იძულებული გახდა სპარსეთის მეფე თავის ერთგულებაში დაერწმუნებინა (Աբელიან... 1991: 319-323; Տէր-Մկրտչյան... 1904: 12-13; Саркисян 2014: 92).

პოლიტიკურ ორბიტაზე საჰაკ კათალიკოსი მრჩევლის, ზოგჯერ კი ხელმძღვანელის როლს ასრულებდა. ცხადია, მას კარგად ესმოდა ის საფრთხე, რასაც შექმნილი ვითარება უქადდა ორად გახლეჩილ ქვეყანას – ერთმანეთისადმი გაუცხოება და დაკარგვა ეროვნულობისა. ასეთ პირობებში ეროვნული დამწერლობა და მწერლობა შემაკავშირებელ იარაღად უნდა ქცეულიყო ორ ნაწილად გაყოფილი სომხეთისათვის. ამიტომაც ცდილობდა სომხეთის კათალიკოსი, რაღაც უნდა დაჯდომოდა, ახლადშექმნილი სომხური დამწერლობა სომხეთის ბერძნულ ნაწილში გავრცელებინათ, რომ ქვეყნის ერთიანობის სადავეები ხელიდან არ გაეშვათ. ჩანს, ამ მიზნის მიღწევა არ აღმოჩნდა ადვილი. ბერძენი მმართველები თავდაპირველად მაშტოცს სომხური ანბანის გავრცელების ნებას არ რთავდნენ. თხზულების მიხედვით, საგანგებო დოკუმენტი – საიმპერატორო სიგელიც კი გახდა საჭირო, რომ მაშტოცს ამ მხარეში თავისუფალი მოქმედების საშუალება ჰქონოდა.

სომხეთის ბერძნულ ნაწილში ქადაგებისა და დამწერლობის გავრცელების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულ მაშტოცს მეფედ არტაშესი ხვდება. არტაშეს IV იყო ვრამშაპუკ მეფის ძე, სომხეთის არშაკუნიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი, რომელიც 422-428 წლებში მეფობდა. აქედან გამომდინარე, მაშტოცის ბერძნულ ნაწილში მოგზაურობა უნდა მომხდარიყო 422 წლამდე, არტაშესის გამეფებამდე.

აღსანიშნავია ის, რომ თხზულების მიხედვით, მაშტოცს ბერძნულ ნაწილში ყოფნისას (დაახლ. 422 წლამდე) კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი უკავშირდება.

სიუჟეტის მიხედვით, მაშტოცმა დასავლეთ სომხეთში ქადაგებისას (კერძოდ, რომელ ქალაქში, ტექსტიდან არ ჩანს) ბენიამინ ხუცესის დახმარებით დამწერლობა შექმნა ალბანელი ხალხისათვის. მხოლოდ ამის შემდეგ მაშტოცი ალბანეთში გაემგზავრა და ახლადშექმნილი დამწერლობა წარუდგინა ალბანეთის მეფე არსვალს და იერემია ეპისკოპოსს, „...რომელთაც დიდი მორჩილებით მიიღეს [იგი] ქრისტეს სახელისათვის. შემდეგ გამოიკითხეს მათ, რა განზრახვა ჰქონდა [მაშტოცს], რისთვის იყო მოსული. ხოლო მათ, ორივე თანამოღვაწემ, ეპისკოპოსმაც და მეფემაც ითავეს მწიგნობრობის გაზიარება, ბრძანება გასცეს, რომ თავიანთი სამეფოს გავარებიდან და ადგილებიდან მრავალი ბავშვი მოეყვანათ და შეეკრიბათ მწიგნობრობის ხელოვნების [შესასწავლად] შესაფერის და ხელსაყრელ ადგილებში ჯგუფ-ჯგუფად სკოლებში და [მათ] გამოსაკვებად როჭიკი დაედგინათ“ (Արևიქյան 1981: 118).

კორიუნის მონათხრობი ქრონოლოგიურად სრულ თანხვედრაშია ალბანეთის მეფისა და ეპისკოპოსის შესახებ არსებულ სხვა წყაროთა მონაცემებთან. ალბანეთის მეფე არსვალი მეფობდა დაახლ. 420-438 წლებში, მოსე ხორენელი მას არსვალენს უწოდებს, მოსე კალანკატუელი კი ესვალენის სახელით მოიხსენიებს (Առաքելյան 1983: 117). იერემია ეპისკოპოსის სახელი დასტურდება X საუკუნეში შედგენილ ალბანელი პატრიარქების ნუსხაში. სამწუხაროდ, კორიუნი არ ასახელებს იმ ქალაქს, სადაც მაშტოცი შეხვდა მეფე არსვალს (არსვალენს). ალექსიძე-მაეს შეხედულებით, ეს ქალაქი კავკასიის ალბანეთის უძველესი დედაქალაქი კაბალა/გაბალა უნდა ყოფილიყო (Alexidze... 2016: 113).

ალბანური დამწერლობის აღმოჩენამდე, მკვლევრები კორიუნის ნარატივს სხვადასხვა ახსნას უძებნიდნენ. ნ. აკინიანის განმარტებით, ბენიამინი ალბანეთიდან კი არა, ალანთა გვარიდან იყო, რომელიც კონსტანტინოპოლიდან მოვიდა, ნახა მაშტოცი, მის შესახებ ამბავი უკვე გაგებული ჰქონდა და სთხოვა, რომ ალანთა გვარისთვის, ანუ გოთებისთვის დამწერლობა შეექმნა. ამგვარად შექმნა მაშტოცმა გოთური დამწერლობა (Ակինյան 1935a: 505-550). ნ. აკინიანი მაშტოცის ალბანეთში მოგზაურობას კი იმით ხსნიდა, რომ მას სურდა, ნებართვა მიეღო ალბანეთის მეფისა და ეპისკოპოსისგან, რომ 387 წელს სომხეთის გაყოფით ალბანეთის დაქვემდებარებაში მოქცეული არცახისა და

უტიქის გავარებში მამტოცს სომხურ ენაზე სკოლების გახსნა შეძლებოდა (Ակինჯიანი 1949a: 299).

ნ. აკინიანის შეხედულებას იმთავითვე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი, რომლებიც ალბანური ანბანის არსებობას ისევ და ისევ კორიუნის თხზულებაზე დაყრდნობით ადასტურებდნენ. თხზულების მიხედვით, იერემია ეპისკოპოსმა საღმრთო წიგნების თარგმნა დაიწყო. მას წმ. წიგნი ალბანურად უნდა ეთარგმნა, რადგან სომხურად ბიბლიის თარგმნის საჭიროება აღარ იყო. კორიუნის ცნობით, საჰაკს წმ. წერილი სომხურ ენაზე ხომ უკვე თარგმნილი ჰქონდა (Աნანჯიანი 1965: 207)?!

ალბანურ დამწერლობასთან დაკავშირებით არსებული ეჭვები გაიფანტა მას შემდეგ, რაც 1937 წელს ემიაძინის ერთ-ერთ ხელნაწერში (Mat. 7117) ალბანური ანბანი აღმოჩნდა (Абуладзе 1940: 317-320). 1994 წელს სინურ პალიმფსესტებში ალბანური ტექსტების აღმოჩენამ და გაშიფვრამ (2001 წ.) კი ალბანური დამწერლობისა და მწერლობის არსებობის საკითხი საბოლოოდ გადაწყვიტა (ალექსიძე 2003). თუმცა წყაროთა განსხვავებული მონაცემებიდან გამომდინარე, მამტოცის როლი და დამსახურება ალბანელი ხალხის წინაშე და მის მიერ ალბანური დამწერლობის შექმნა დღემდე საკამათოდ რჩება.

თხზულების მიხედვით, ალბანეთში მამტოცის მოგზაურობის ეპიზოდს უშუალოდ მოსდევს თხრობა მუშელ ეპისკოპოსის დახმარებით მამტოცის მიერ ბადასაკანის (ბადასაკანის) მხარეში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ (Աբელიანი 1981: 120). კორიუნთან დასახელებული ბადასაკანი, მ. აბელიანის აზრით, არის ალბანეთის ჩრდილო-აღმოსავლურ ნაწილში მდებარე მხარე (Աբელიანი 1981: 321, ბან. 116).

აქედან მამტოცი გადადის გარდმანში და იქიდან კი – ქართლში. საინტერესოა გარდმანის ლოკაციის განსაზღვრა. კორიუნის სიტყვებით, მამტოცი ალბანეთიდან ქართლში გადავიდა გარდმანის ხევის გავლით, „...რამეთუ სმენოდა, რომ იყვნენ იმავე მწვალეულობის მიმდევრები, რომლებიც მოძებნა და აზიარა ისინი ჭეშმარიტების სიბრძნეს, კვლავ იმავე სიმართლით [მოაქცია] გარდმანელთა მთავარი, რომლის სახელი იყო ხურსი“ (Աբელიანი... 1991: 340-341).

გარდმანი კავკასიის ალბანეთის პროვინციას წარმოადგენდა. როგორც ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტები ასკვნიან, იგი მოიცავდა მდინარე შამქორჩაის ხეობას, ცენტრი იყო გარდმანის ციხე («Վարդմանաբերդ») (მუსხელიშვილი 1980: 41; Հակոբյան 2007: 243-244). ქართული ისტორიული წყაროებით, ალბანეთის ამ ნაწილის სახელწოდება „გარდმანი“ ძალიან ჰგავს ქართლის პროვინცია გარდაბნის სახელწოდებას. გარდმანის ადგილმდებარეობის შესახებ არსებული ქართული, სომხური და არაბული წყაროების საფუძველზე დ. მუსხელიშვილმა დაადგინა, რომ ქართლისა და ალბანეთის პროვინციების სახელწოდებათა საერთო წარმომავლობა უეჭველია და მოწმობს გარკვეულ პერიოდში მათ პოლიტიკურ და შესაძლოა ეთნიკურ ერთიანობასაც (აბაშიძე 1977: 698-699).

დ. მუსხელიშვილმა ყურადღება გაამახვილა კორიუნთან დასახლებული „გარდმანის“ ტოპონიმიზე. ტექსტის მიხედვით, იგი თითქოს არც ალბანეთში შედის და არც ქართლში და თითქოს ერთსაც ეკუთვნის და მეორესაც (მუსხელიშვილი 1980: 44-45). ცხადი მხოლოდ ისაა, რომ ეს ტერიტორია ქართლისა და ალბანეთის სასაზღვრო რეგიონია და ერთიდან მეორეში მიმავალი გზა სწორედ მასზე გადის.

ამგვარად, ქართლში მოსვლამდე, კორიუნის თხზულების A ჯგუფის ტექსტებში მაშტოცი სომხეთის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში, სივნიეთსა და ალბანეთში დამწერლობას ავრცელებს და ქრისტიანობას ქადაგებს.

განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის მომდევნო ეპიზოდი – მაშტოცის მეორე მოგზაურობა ქართლში. ზემოთ უკვე ვნახეთ, როდის მოვიდა ის აქ პირველად, ახლა კი ორივე ეპიზოდს ერთად განვიხილავთ უფრო დეტალურად.

მაშტოცის ქართლში სტუმრობის პირველი ეპიზოდი თხზულებაში ამგვარად არის აღწერილი:

„გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ქრისტეს საყვარელმა [მაშტოცმა] განიზრახა ეზრუნა ბარბაროსულ მხარეზე. და დაიწყო ქართული ენისათვის ასონიშნების შექმნა უფლისაგან მისთვის მინიჭებული მადლით. დაწერა, დაალაგა და წესისამებრ გამართა, თავისი მოწაფეებიდან რამდენიმე საუკეთესო წაიყვანა თან,

წავიდა და ჩავიდა ქართველთა მხარეში. მივიდა და წარუდგა მეფეს, რომლის სახელი იყო ბაკური და ქვეყნის ეპისკოპოსს – მოსეს. და უმეტესად დაემორჩილნენ მას, ღვთიური მოძღვრების თანახმად, მეფე და წარჩინებულნი, მთელი გავარებითურთ“ (Աբელიან 1981: 110).

როგორც აღვნიშნეთ, მეორედ ქართველთა ქვეყანაში მამტოცი ალბანეთიდან გარდმანის ხევის გავლით მოდის და მიემართება არშუმა პიტიახშის კარზე:

„იმ დროს ქართველთა მეფე იყო არძიული, რომელიც მეტად განაბრწყინებდა და განამშვენებდა მოძღვრებას, ის კი [მამტოცი] დადიოდა მოწაფეებთან ერთად და მოითხოვდნენ [ხალხისაგან] ჭეშმარიტებაში ყოფნას. იმ დროს ტაშირელთა მთავარი, ერთი საპატიო და ღმრთისმოყვარე კაცი, ვისაც სახელად არშუმა ეწოდებოდა, დაეხმარა მას [მამტოცს] მთელი თავისი გავარით. მან [მამტოცმა ამ მხარეშიც] ყოველგვარი დანაკლისის გარეშე გაავრცელა მოძღვრება სხვა გავარების მსგავსად. [მან] ჩააბარა ისინი წმინდა ეპისკოპოსს სამუელს, მას, ვინც ზემოთ ვახსენეთ, თავად კი დაბრუნდა დიდი სომხეთის მხარეებში“ (Աբელიან 1981: 120-122).

კორიუნის თანახმად, ამ დროს ქართლის სამეფო ტახტზე ბაკურის ნაცვლად უკვე არჩილი, ეპისკოპოსად კი მოსეს ნაცვლად სამოელი გვევლინება.

რა ცნობები მოგვეპოვება სხვა წყაროებში კორიუნთან მოხსენიებული ქართლის მეფეების – ბაკურისა და არჩილის შესახებ.

მოსე ხორენელიც საუბრობს მამტოცის ქართლში ორ მოგზაურობაზე და კორიუნის მსგავსად, ქართლის მეფეებად ჯერ ბაკურს და შემდგომ არჩილს, ეპისკოპოსად კი მხოლოდ მოსეს ასახელებს:

„ხოლო მესროპი წავიდა ქართველთა ქვეყანაში, შეუქმნა მათ ანბანი მადლის ზეგარდმო მინიჭებით, ბერძნული და სომხური ენებიდან მთარგმნელ, ვინმე ჯალასთან (ჯალა) ერთად. [მესროპს] ხელს უწყობდნენ მათი მეფე ბაკური და ეპისკოპოსი მოსე. და შეარჩია [მესროპმა] ბავშვები, გაჰყო ისინი ორ ჯგუფად და მოძღვრებად დაუტოვა თავისი [ორი] მოწაფეთაგანი, ტერ ხორძენელი და მუშე ტარონელი“ (Աբელიან... 1991: 328).

„...ხოლო თვითონ დაბრუნდა გარდმანის ხევით, რამეთუ სმენოდა, რომ იყვნენ იმავე მწვალელობის მიმდევრები, რომლებიც მოძებნა და აზიარა ისინი ჭეშმარიტების სიბრძნეს, კვლავ იმავე სიმართლით [მოაქცია] გარდმანელთა მთავარი, რომლის სახელი იყო ხურსი. იქიდან გუგარელთა პიტიახშმა, აშუშამ მიიწვია [მესროპი], იმავე საქმისთვის რომ მისულიყო მის სამთავროში, ტაშირის გავარში. სადაც მივიდა [მესროპი] და უფრო კარგად, მტკიცედ დამოდრა ისინი ვიდრე სხვა დამოწაფებულნი. იმ დროს ვინმე არძილი⁴⁵ იყო დადგენილი ქართველთა მეფედ“ (Աբելյან... 1991: 340-341).

მოსე ხორენელი მაშტოცის მოღვაწეობის აღწერისას წყაროდ კორიუნის თხზულებას ასახელებს, თუმცა მოვლენებს მცირეოდენი განსხვავებით წარმოგვიდგენს. ხორენელის „ისტორიის“ მიხედვით, მაშტოცი პირველად ქართლში მოგზაურობს თეოდოსი II გამეფების შემდეგ (408 წ.), მეორედ კი – არტაშესის მეფობის დროს (422-428 წწ.).

ივ. ჯავახიშვილი კორიუნის ცნობას ქართლის მეფე ბაკურის შესახებ არასწორად მიიჩნევდა: „კორუნის სიტყვით, მესროპმა ქართული ანბანი ვითომც ბაკურ მეფის დროს შეადგინა, მაგრამ შემდეგ, მესროპი რომ ალბანეთითგან უკან ბრუნდებოდა და სომხეთში მომავალმა საქართველოზე გამოიარა, ქართლში მაშინდელ მეფედ მას უკვე არჩილი (Արձիլ) ჰყავს მოხსენებული. ეს ცნობა მ. ხორენელსაც მოეპოვება და ერთ-ერთ ხელნაწერში მეფის სახელად სწორედ „არჩილი“ სწერია («Արչիլ», Պատմ., ... 341). არჩილის მეფობის ინდიკტიონები საკმაო სინამდვილით არის ცნობილი და დაახლოებით მას 429-437 წ. უნდა ემეფნა (ქართველი ერის ისტორია I, 218). სომხური წყაროების მიხედვით, არჩილის წინამოსაყდრედ უნდა ვითომც ბაკურ მეფე ყოფილიყო, მაგრამ სხვა წყაროებით ეს არ მტკიცდება და არჩილზე უწინარეს მეფედ ბუზმირი ყოფილა, რომელიც დაახლოებით 413-416 წლებში გამეფდა და უნდა ემეფნა 20-იანი წლების შუამდე (იქვე, 217)“ (ჯავახიშვილი 1949: 194-203; ჯავახიშვილი 1935: 171-173).

ივ. ჯავახიშვილი სომხური ანბანის შექმნის თარიღად 403-404 წწ. ასახელებდა და ფიქრობდა, რომ „მესროპის გამომგზავრება და მოღვაწეობა საქართველოსა და ალბანეთში ამის შემდგომ შეიძლება მხოლოდ მომხდარიყოს. არჩილ ქართლის

⁴⁵ მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიის“ 1694 წლის კარინში გადაწერილ ხელნაწერში „არჩილი“ წერია (Աբելյან... 1991: 341).

მეფის ინდიქტიონები მესროპის მოღვაწეობის ხანას უდგება, ბაკურ მეფე კი ამ დროს არა ჩანს“ (ჯავახიშვილი 1935: 172).

ვინ არის „მაშტოცის ცხოვრებაში“ მოხსენიებული მეფე ბაკური და როდის უნდა ემეფა მას?

IV-V საუკუნეების მიჯნაზე „ქართლის ცხოვრება“ ორ ბაკურ მეფეს იცნობს:

1. ბაქარ (ბაკურ) (დაახლ. IV ს.) მირიანის ძე, რომელმაც ააშენა წილკნის ეკლესია: „და მასვე წელიწადს დასნეულდა მირიან მეფე, რომელიცა აღესრულა. და მოიყვანა ძე მისი ბაქარ“ (ყაუხჩიშვილი 1955: 129). „... და დაჯდა მეფედ ძე მისი **ბაქარ**, და იყო მორწმუნე, ვითარცა მამა მისი. და ამან მოაქცივნა უმრავლესნი კავკასიანნი, რომელნი ვერ მოექცივნეს მამასა მისსა. და შთავარდა შორის მისსა და სომეხთა მტერობა. რამეთუ სომეხნი ბაქარის ძმისწულის, რევის ძისა, თრდატ სომეხთა მეფის ასული წულის მეფობასა ლამობდეს ქართლსა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 130). „... ამან ბაქარ ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი დიდსა სარწმუნოებასა შინა აღასრულნა, და განამრავლნა მღვდელნი და დიაკონნი ყოველსა ქართლსა და რანსა ეკლესიათა მსახურებად. ამან აღაშენა ეკლესია წილკნისა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 131).

2. ვარაზ-ბაქარი (ვარაზ-ბაკური) (დაახლ. IV საუკუნის 70-80-იანი წლები) – ძე მირდატისა ბაქარის ძისა: „და დაჯდა მეფედ ძე მისი [მირდატისა ბაქარის ძისა] **ვარაზ-ბაქარ** და შეირთნა ორნი ცოლნი: ერთი – ასული თრდატისი, რევის ძისა, მირიანის ძისწულისა; და ერთი – ძისწული ფეროზისი, მირიანის ასულის წულისა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 132). „... და უშვა რევის ძისწულმან ორნი ძენი, რომელთა სახელები ერქუა მირდატ და თრდატ; ერთი უშვა ფეროზის ძისწულმან, რომელსა ერქუა ფარსმან. ესე ვარაზ-ბაქარ მეფე იყო კაცი ურწმუნო და მოძულე სჯულისა, და ვერ იკადრებდა ერისაგან განცხადებად სჯულისა სიძულილისა, რამეთუ მოქცეულ იყო ქართლი და დიდსა სარწმუნოებასა შინა იყვნეს აზნაურნი და ყოველი ერი ქართლისა. და ვარაზ-ბაქარ შიშისაგან მათისაგან ვერ განაცხადებდა დატევებასა სჯულისასა; არა სადა აღაშენა ეკლესია, არცადა მატა შენებულთა, და ყოვლითავე იქცეოდა უსჯულოდ“ (ყაუხჩიშვილი 1955: 134-135).

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით კი, ქართლის სამეფო ტახტის მპყრობელად ბაკურის სახელით სამი მეფე გვევლინება:

1. ბაკურ რევის ძე, შვილიშვილი მირიანისა, წილკნის ეკლესიის მაშენებელი: „და მეორე დაჯდა **ბაკურ მეფე, ძმ რევისი.** და მოკუდა **იოვანე ებისკოპოსი** და დაჯდა მღდელი, რომელი ენება **ნინოს**, მთავარეპისკოპოსად. და **მესამესა წელსა** აღმართებითგან პატიოსნისა ჯუარისა შექმნა კუბად **რეგ.** და შეიქმნა საფლავი ქუემოსა ეკლესიასა რეგ და მოკუდა და დაემარხა ცოლითურთ. და შემდგომად მისა ამან **ბაკურ მეფემან** დაიწყო წილკნისა ეკლესიასა და გაამორა **ოცდამეთერთმეტესა** წელსა. და მოკუდა და დაეფლა **ქუემოსავე ეკლესიასა**“ (აბულაძე... 1963: 91).

2. ვარას-ბაკური, რომლის დროსაც მთავარეპისკოპოსობის ხარისხი იოზს ეკავა: „და **მეოთხე** მისა შემდგომად დაჯდა **ვარაზ-ბაკურ** მეფედ და მის ზე სპარსთა მეფისა მარზაპანნი სივნიეთა შემოვიდეს და იგი ჳიდრად უკმოჯდა. მთავარეპისკოპოსი იყო იგივე **იოზ.** მაშინ მოვიდა ქარზამ ხუარ ბარზადურ, სპარსთა მეფისა პიტიახში, ტფილის, კალა<ა>დ ციხედ და ქართლი მისსა ხარკსა შედგა და სომხითი და სივნიეთი და **გუასპურაგანი.** და მის ზე აღაშწნეს აზნაურთა ეკლესიად იგი წმიდად მცხეთას და დაამოთაულეს დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითა და ქარდაგებითა“ (აბულაძე... 1963: 91-92).

3. ბაკურ თრდატის ძე, რომელიც იყო ბოლნისის ეკლესიის მაშენებელი: „**მეხუთე** ამისა შემდგომად მეფო[ბ]და **[ბაკურ], ძმ თრდატისი.** მთავარეპისკოპოსი იყო ელია და ამან აღაშწნა ეკლესიად **ბოლნისისა** და იმიერით გავიდა და გაახლნა **არმაზნი** სპარსთა შიშისათჳს“ (აბულაძე... 1963: 92).

ქართული წყაროებით ცნობილი რომელი ბაკური შეიძლება გავაიგივოთ სომხურ წყაროებში დასახელებულ მეფე ბაკურთან?

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით, ბაკური მირიანის შვილიშვილია, „ქართლის ცხოვრებით“ კი – მირიანის ძე. ცნობილია, რომ 368 წლის შემდეგ ქართლში საურმაგი და ასფაგური (იგივე ვარაზ-ბაკური) მეფობდნენ, შესაბამისად, მირიანის მემკვიდრე ბაკურს 368 წლამდე უნდა ემეფა (ყაუხჩიშვილი 1955: 136-137). ნ. ჯანაშიას მსჯელობით, ამ წლის შემდეგ კი, როდესაც სპარსელებმა ფეხი მოიკიდეს ქართლში,

მეფობდა პეტრე იბერის პაპა, დიდი ბაკური (პეტრე იბერის ცხოვრების ასურული ტექსტის ცნობით). ამ უკანასკნელს მხოლოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ იცნობს, „ქართლის ცხოვრება“ მის ნაცვლად თრდატს ასახელებს. ქართლის მეფეთა თანმიმდევრობა ამ ორი ძეგლის მიხედვით ასეთ სურათს გვამლევს:

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“	„ქართლის ცხოვრება“
მირიან	მირიან
ბაკურ	ბაქარ
თრდატ	მირდატ
ვარაზ-ბაკურ	ვარაზ-ბაქარ
ბაკურ	თრდატ
ფარსმან	ფარსმან
მირდატ	მირდატ
არჩილ	არჩილ

წყაროთა მონაცემების გათვალისწინებით ნ. ჯანაშიას „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მეფეთა თანმიმდევრობა უფრო სარწმუნოდ მიაჩნია. მისი თვალსაზრისით, მირდატი ლეონტი მროველის მიერ უნდა იყოს ჩანაცვლებული იმ ადგილას, სადაც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით თრდატია. მკვლევარმა „ქართლის ცხოვრების“ მეფეთა სია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით გაასწორა და მეფე-მთავარეპისკოპოსთა ამგვარი სია შემოგვთავაზა (ჯანაშია 1986: 145-146):

ქართლის მეფეები	ქართლის ეპისკოპოსები
მირიან	იოვანე
ბაკური	იაკობ
თრდატ	იოზ
ვარაზ-ბაკურ	–
ბაკურ	ელია
ფარსმან	სჳმეონ

ნ. ჯანაშია განიხილავს პეტრე იბერის ასურული ცხოვრების ცნობებს, თუ ვინ უნდა იყოს ჩამოთვლილთაგან პეტრე იბერის პაპა, დიდი ბაკური – ვარაზ-ბაკური თუ ბაკური. ვარაზ-ბაკური (ვარაზ-ბაქარი) „ქართლის ცხოვრებაში“ დახასიათებულია, როგორც „კაცი ურწმუნო და მოძულე სჯულისა“, რომელიც აზნაურებისა და ხალხის შიშით „ვერ განაცხადებდა დატევებასა სჯულისასა“. იგი არ აშენებდა ეკლესიებს, იყო „ჩუკენი და მოშიში“ (ყაუხჩიშვილი 1955: 135-136). წყაროში მის შესახებ დადებითი არაფერია ნათქვამი. „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ მისი ზეობისას მოვიდა სპარსთა მეფის პიტიახში და ქართლი დახარკა, ხოლო „აღაშენეს აზნაურთა წმიდაჲ იგი ეკლესიაჲ მცხეთას“ (აბულაძე... 1963: 92). ვარაზ-ბაკურის დახასიათება არ შეესაბამება პეტრე იბერის ცხოვრებაში გადმოცემულ დიდი ბაკურის დახასიათებას. დიდი ბაკური ქრისტიანობის დამცველად, ჭკვიან, ქველმოქმედ პიროვნებად და მამაც მეომრად წარმოგვიდგება: „მართლმორწმუნე ბაკურიოსმა თავი მიუძღვნა მარხვას, ლოცვას, მოწყალების გაცემას, იგი კვირაში სამჯერ თავისი ხელით გვიდა ქალაქის ეკლესიას. იგი დიდი სიყვარულით იყო აღსავსე ღარიბების მიმართ და თავის ღირსების დამცირებად არ თვლიდა, თავის სასახლეში სხვადასხვა საჭმელი დაემზადებინა: შემდეგ ეს საჭმელები კალათებით მიჰქონდა ღამით თავის მიერ აგებულ ღარიბთა თავშესაფარში და იქ მყოფებს მეფე საკუთარი ხელით აჭმევდა“ (ყაუხჩიშვილი 1965: 250; Horn... 2008: 105-106).

არსებული მონაცემების საფუძველზე ნ. ჯანაშია თვლის, რომ პეტრე იბერის პაპა დიდი ბაკური, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ მოხსენიებული ბაკურ თრდატის ძე და კორიუნის „მამტოცის ცხოვრებაში“ დასახელებული ქართლის მეფე ბაკური ერთი და იგივე პირი უნდა იყოს (ჯანაშია 1986: 152). ამ მოსაზრებას იზიარებს გ. მელიქიშვილი და ბაკურის ქართლის სამეფო ტახტზე ყოფნას IV საუკუნის 80-90-იანი წლებით ათარიღებს (მელიქიშვილი 1958: 170). კ. კეკელიძეს, კორიუნის ამ ცნობისა და მოსე ხორენელის დათარიღებული ცნობის (ეს მოხდა მას შემდეგ, რაც კეისარი არკადიუსი (377-408 წწ.) გარდაიცვალა და ტახტზე თეოდოსი მცირე (408-450) ავიდა) შეპირისპირებით, მესროპის ქართლში მოსვლა, 408 წლის შემდეგ გადააქვს. ამ დროს მას მეფედ დახვედრია ბაკური (კეკელიძე 1957: 275). ა. ბოგვერაძე სამართლიანად მიიჩნევს ამ დათარიღებას. მისი

აზრით, 400-იანი წლების ბოლოს ქართლში მეფედ პეტრე იბერის პაპა, დიდი ბაკური უნდა ყოფილიყო, რომელმაც იმეფა დაახლოებით 410-იანი წლების ბოლომდე (ხოლო როდესაც ბაკურის შვილიშვილი პეტრე 421-422 წლებში ბიზანტიაში მძევლად გაგზავნეს, იოანე რუფუსის „პეტრე იბერის ცხოვრების“ სირიული რედაქციის მიხედვით, შესაძლებელია, იმ დროს მეფედ არჩილი ყოფილიყო) (ბოგვერაძე 1979: 25-26).

დიდი ბაკურის მეფობის დროს ქართლი ირანის ვასალობაში რჩებოდა. ბაკურის შესახებ პეტრეს ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ის იყო ირანის ერთ-ერთი სარდალი და ამის გამო სალაშქროდ ახლდა ხოლმე შაჰს. ამ თხზულებიდან ისიც ირკვევა, რომ ქართლის მმართველი წრე ცდილობდა შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევას და ბიზანტიელებთან პოლიტიკურად დაკავშირებას, რაც, ბუნებრივია, კეისრის კარის გეგმაშიც შედიოდა. ამის შესახებ პირდაპირ ამბობს ბიოგრაფი: „იგი [პეტრე იბერი] თორმეტი წლის ასაკში გაიგზავნა მძევლად... თეოდოსი მცირესთან, რომელთა მეფესთან. მან რამდენჯერმე გაგზავნა შიკრიკები (იბერიაში) და ბოზმარიოსმა, მისმა [პეტრეს] მამამ, იბერთა ქვეყნის მაშინდელმა მზრძანებელმა გაგზავნა იგი, ვინაიდან ის ქრისტიან რომაელთა მეგობრობას უფრო მაღლა აფასებდა, ვიდრე უღვთო სპარსელების დახმარებას“ (ყაუხჩიშვილი 1934: 256).

მ. ჩხარტიშვილი თავის მონოგრაფიაში „საქართველო III-V საუკუნეებში, ხოსროვანთა სამეფო სახლის ისტორია“ სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ბაკურების იდენტიფიკაციის საკითხსაც ეხება და განსხვავებულ შეხედულებებს გვთავაზობს. მკვლევრის აზრით, რუფინუსის მიერ მოხსენიებული „ფრიად სარწმუნო“ ბაკურისა (იგივე ბაკურ იბერიელი) და პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრების“ „დიდი ბაკურის“ ერთ პიროვნებად მიჩნევა და გაიგივება ან მირიანის მემკვიდრე ბაკურ რევის ძესთან ან ბაკურ თრდატის ძესთან, არ არის მართებული.

მ. ჩხარტიშვილის მოსაზრებით, „დიდი ბაკური“ და „ფრიად სარწმუნო ბაკური“ სხვადასხვა პიროვნებებია. პირველი შეესაბამება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ისტორიული ქრონიკის ბაკურ რევის ძეს, მეორე კი – ამავე ქრონიკის ბაკურ თრდატის ძეს. მკვლევარი მიიჩნევს, რომ „დიდი ბაკური“/ ბაკურ რევის ძე იყო პეტრე იბერის პაპა (პაპის ძმა) დედის ხაზით (ის იყო ქართლის მეფე, რომელმაც

პირველმა მეფეებს შორის ქრისტიანმა დაიკავა სამეფო ტახტი), პეტრე იბერის მამად კი ვარაზ-ბაკურს/ასფაგურს ასახელებს (ჩხარტიშვილი 2018: 91-138).

კორიუნის ცნობით, ქართლში მეორედ სტუმრობისას მაშტოცს მეფედ არჩილი დახვდა. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, ბაკურსა და არჩილს შორის ორი მეფე – ფარსმანი და მირდატი, მეფობდა. თუ ვისი შვილია არჩილი, წყაროში აღნიშნული არ არის, ვიცით მხოლოდ, რომ არჩილის დროს მთავარეპისკოპოსი იყო იონა და მის დროს ოთხი ეპისკოპოსი გარდაიცვალა: „და მის ზე აზნაურთა აღაშწნეს სტეფანე-წმიდაჲ არაგუსა ზედა და მოგუნი მოგუთას მოგობდეს ცეცხლის მსახურებასა. და მის ზევე, არჩილისსა, ოთხნი მთავარეპისკოპოსნი გარდაიცვალნეს“ (აბულაძე... 1963: 92).

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, არჩილი იყო თრდატის ძე, მირდატის შვილიშვილი: „... არჩილ მეფემან აღაშენა ეკლესია სტეფან-წმიდისა მცხეთას, კართა ზედა არაგვსათა, სადა იყვნეს კოშკნი მტკიცენი საბრძოლნი, რომელნი მას-ვე აღეშენნეს“ (ყაუხჩიშვილი 1955: 139-140). „...ამის არჩილის-ზე გარდაიცვალნეს სამნი ეპისკოპოსნი: იონა, გრიგოლი და ბასილი. ... ხოლო ამან არჩილ მეფემან ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი აღასრულნა სარწმუნოებასა შინა სამებისა წმიდისასა, ეკლესიათა შენებასა, და ყოველსა ქართლსა შინა განამრავლნა მღვდელნი და დიაკონნი და მსახურნი ეკლესიათანი, და მოკუდა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 142).

არჩილ მეფის შესახებ ორივე წყაროს ცნობები თითქმის იდენტურია, განსხვავება მხოლოდ მის წარმომავლობაშია. ნ. ჯანაშიამ განიხილა ლეონტი მროველის ცნობა არჩილის წარმომავლობასთან დაკავშირებით და გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლოა არჩილი იყო პირველი თრდატის (რევის ძე) შვილი და არა მისი შვილიშვილის – თრდატის (მირდატის ძე) შვილი (ჯანაშია 1986: 153).

მ. ჩხარტიშვილის მოსაზრებით, არჩილი რევის ძეა, დიდი ბაკურის ძმა, რომელიც სომხური წყაროებით ქართლის სამეფო ტახტზე V საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისისათვის ჩანს. ქართული წყაროები ბაკურსა და არჩილს შორის კიდევ ორი მეფეს – ფარსმანსა და მირდატს – ასახელებს. ამ მონაცემებს თუ შევადარებთ, გამოდის, რომ სანამ მაშტოცი ქართლში მეორედ ჩამოვიდოდა, მანამ გარდაცვლილა არა მხოლოდ

ბაკურ მეფე, არამედ კიდევ ორ მეფეს მოუსწრია მეფობა, არჩილს კი ტახტზე ასვლა (ჩხარტიშვილი 2018: 186-193).

არჩილის შესახებ საგულისხმო მასალა მოიპოვება იოანე რუფუსის „პეტრე იბერის ცხოვრების“ სირიულ ვერსიაში. იოანე რუფუსი აღნიშნავს, რომ დიდ ბაკურიოსს, პეტრეს პაპას დედის მხრიდან, ჰყავდა ძმა არსილიოსი (არჩილი). „მან ბაკურიოსთან და ბოზმარიოსთან ერთად ღრმა მოხუცებულმა, თანახმად იბერთა მეფეთმონაცვლეობის წესისა, იმეფა იბერიაში“ (ყაუხჩიშვილი 1934: 249). მეორეგან ავტორი მიუთითებს, რომ ბაკურიოსის ღვიძლი ძმა არსილიოსი „მეფობდა იბერიაში ბოზმარიოსთან ერთად, პეტრეს მამასთან“ (ყაუხჩიშვილი 1934: 251). ამ ცნობების თანახმად, „იბერთა მეფეთ-მონაცვლეობის წესით“ ბაკურის შემდეგ სამეფო ტახტი არჩილს დაუკავებია.

ა. ბოგვერაძის მოსაზრებით, იოანე რუფუსის ცნობა, რომ არჩილმა „ბაკურიოსთან და ბოზმარიოსთან ერთად ღრმად მოხუცებულმა, თანახმად იბერთა მეფეთ-მონაცვლეობის წესისა, იმეფა იბერიაში“, ისე უნდა გავიგოთ, რომ არჩილმა იმეფა ბოზმარიოსთან ერთად, ხოლო თავისი ძმა ბაკური „იბერთა მეფეთ-მონაცვლეობის წესის თანახმად“ შეცვალა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ამათ შორის მეფეებად, როგორც აღვნიშნეთ, ფარსმანს და მირდატს ასახელებს. ნ. ჯანაშია მირდატის მეფობას 410-420 წლების მიჯნაზე დებს, რაც არ დასტურდება იოანე რუფუსის თხზულებით. პეტრე იბერის ცხოვრებაში აღნიშნულია, რომ ბაკურის შემდეგ ტახტი იბერიაში არჩილმა დაიკავა, რომელმაც 430-იანი წლების ბოლომდე იმეფა. ა. ბოგვერაძის მოსაზრებით, 410-420-იანი წლების მიჯნამდე მეფობდა ბაკურ მეფე (მისი, როგორც პეტრეს პაპის, რაიმე მონაწილეობა შვილიშვილის ბიზანტიაში გაგზავნასთან დაკავშირებით იოანე რუფუსის თხზულებით სრულიად არა ჩანს), ხოლო მისი ძმა არჩილ მეფე 430-იანი წლების ბოლომდე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ცნობილია, რომ პეტრე იბერმა 437 წლის ბოლოს ან 438 წლის დასაწყისში საიდუმლო ვითარებაში დატოვა კონსტანტინოპოლი და თავის მოძღვართან, მითრიდატე ლაზთან ერთად იერუსალიმში წავიდა, სადაც ბერად აღიკვეცა და ერთხანს ფარულად ცხოვრობდა. იოანე რუფუსის ცნობით, არჩილმა პეტრეს იერუსალიმში ასკეტურად ცხოვრების თაობაზე რომ შეიტყო, წერილი გაუგზავნა მას. ასე რომ, 437 წელს არჩილის მეფობის დასრულება, როგორც ივ. ჯავახიშვილი

ფიქრობდა, საკმაოდ მიახლოებულია სინამდვილესთან, – აღნიშნავდა ა. ბოგვერაძე (ბოგვერაძე 1979: 32-33).

საინტერესოა, რა ვითარებაა კორიუნის თხზულებაში დასახელებულ ეპისკოპოსებთან დაკავშირებით. „მამტოცის ცხოვრებაში“ დასახელებულნი არიან მოსე და სამოელ ეპისკოპოსები. მოსე ეპისკოპოსი ქართული წყაროებით არ დასტურდება, არც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და არც „ქართლის ცხოვრება“ IV-V საუკუნეების მიჯნაზე მოსე ეპისკოპოსს არ იცნობს. სამოელი კი მოხსენიებული ჰყავთ იაკობ ხუცესს და ჯუანშერს. იაკობ ხუცესის ცნობით, იგი დაკავშირებულია ქვემო ქართლის საპიტიახმოსთან. კორიუნის ცნობით, ალბანეთიდან მამტოცი წავიდა ქართველთა ქვეყანაში, მივიდა გარდმანის ხევში, იქიდან კი ტაშირში გადავიდა. ტაშირის მთავარი არშუმა მიენდო მას მთელი თავისი სამფლობელოთი. მამტოცმა დამოდღვრა ისინი და „ჩააბარა წმინდა ეპისკოპოს სამუელს“ (Աբեղյան 1981: 122). „შუმანიკის წამების“ მიხედვით, სამოველ ეპისკოპოსი იოვანესთან ერთად შუმანიკის თანამოაზრე იყო, იგი საჭმელს უგზავნიდა დედოფალს საპყრობილეში, „რამეთუ ფარულად ილუწიდეს და ნუგეშინის სცემდეს“ (აბულაძე 1938: 22) მას. კორიუნთან დასახელებული სამოელი „შუმანიკის წამებაში“ აღნიშნულ სამოველ ეპისკოპოსის მსგავსად ტაშირში მოღვაწეობს და მათი გაიგივება სავსებით შესაძლებელია. თუმცა აქ გარკვეულ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე: ივ. ჯავახიშვილმა განსაზღვრა სამოელ ეპისკოპოსის ქრონოლოგია. მეცნიერის ვარაუდით, სამოელი მთავარეპისკოპოსი გახდა 466 წლის შემდგომ ხანებში. დღეს მიღებული თვალსაზრისით, სამოელმა საკათალიკოსო ტახტი დაიკავა პეტრე I კათალიკოსის (467-474 წწ.) შემდეგ, „მამტოცის ცხოვრება“ კი 443-451 წლებში დაიწერა (Աբեղյան 1981: 5). აქედან გამომდინარე, მამტოცი ქართლში მოგზაურობისას ქართლის ეპისკოპოსის რანგში სამოელს ვერ ნახავდა.

კორიუნის თხზულებამ რომ სერიოზული გადაკეთება-გადამუშავება განიცადა, ეს ჩანს კორიუნის თხზულების ჩვენამდე მოღწეული ტექსტების ანალიზიდან. არ ვიცით, რა წყაროთი ისარგებლა „მამტოცის ცხოვრების“ რედაქტორ-გადამკეთებელმა, როდესაც მამტოცის ქართლში მოგზაურობის ამბებს აღწერდა, ერთი რამ ცხადია: ქართველ მეფეთა ქრონოლოგია ზუსტად შეუსაბამა მამტოცის მოღვაწეობის ხანას (თუ ეს ქრონოლოგია

„პეტრეს იბერის ცხოვრების“ სირიული ვერსიით სწორად არის განსაზღვრული). მაგრამ ერთი უხეში შეცდომის – სამოელის ქართლის ეპისკოპოსად დასახელების – გამო, კორიუნის მონათხრობმა სანდოობა დაკარგა.

დავუბრუნდეთ ისევ მაშტოცის მარშრუტს. ქართლში მეორე მოგზაურობის შემდეგ ის კვლავ სომხეთში ბრუნდება. ამის შემდეგ თხზულებაში ზოგადად არის საუბარი იმის შესახებ, რომ მაშტოცი მოინახულებს სხვადასხვა ადგილებს, სადაც ქადაგებს და ამყარებს ქრისტიანობას, მაგრამ კონკრეტულ მარშრუტს მისი მოძრაობისა უკვე ვეღარ ვადგენთ.

ამგვარად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი მაშტოცის მოგზაურობის ყველაზე სრული მარშრუტი და მისი საქმიანობის ასეთი დიდი მასშტაბით აღწერა კორიუნის თხზულების მხოლოდ გვიანდელმა, XVII-XIX საუკუნეების (A ჯგუფის) ტექსტებმა შემოგვინახა. B ჯგუფის შედარებით ადრინდელ, XIV საუკუნის ხელნაწერებში მაშტოცის მოღვაწეობის არეალი ბევრად მცირეა და მისი მოგზაურობა შუამდინარეთში, ჰროფანოსის (იგივე რუფინოსის) დახმარებით სომხური ანბანის გამართვით სრულდება. B ჯგუფის ტექსტებში მაშტოცის სივნიეთში, ბალასაკანის მხარეში, სომხეთის ბერძნულ ნაწილში მოგზაურობისა და საქმიანობის შესახებ ცნობები არ დასტურდება, XIV საუკუნის ეს ტექსტები არც მაშტოცის ქართლისა და ალბანეთის მეფეებთან ვიზიტისა და ქართულ და ალბანურ დამწერლობათა შექმნის შესახებ გვაწვდიან რაიმე ცნობას. ტექსტში მხოლოდ ერთგან არის აღნიშნული, რომ მაშტოცი მთელი ცხოვრების მანძილზე ქრისტიანულ მოძღვრებას განავრცობდა სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის ყველა მხარეში და აქაც მაშტოცი ქრისტიანობის მქადაგებლად წარმოგვიდგება.

VII თავი

ცნობა მამტოცის მიერ ქართული დამწერლობის

შექმნის შესახებ

ქართული ანბანის წარმოშობის საკითხის კვლევას რთული და ხანგრძლივი ისტორია აქვს. მრავალი სამეცნიერო შეხედულება და თეორია არსებობს ქართულ დამწერლობასთან დაკავშირებით. მის პროტოტიპად თვლიდნენ ბერძნულს, არამეულს, ფინიკიურს, სომხურს. ანბანის შექმნის ქრონოლოგიას კი ძვ.წ. VII საუკუნიდან დაწყებული ახ.წ. V საუკუნემდე პერიოდით განსაზღვრავენ.

ისტორიულმა წყაროებმა ორი ურთიერთგამომრიცხავი – ქართული და სომხური, ვერსია შემოგვინახა.

ქართულმა ვერსიამ ჩვენამდე XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის, ლეონტი მროველის ცნობით მოაღწია:

„და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არ-ღა-რა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (ყაუხჩიშვილი 1955: 26).

ქართული ტრადიცია ამ მნიშვნელოვან მოვლენას წინარექრისტიანულ ხანაში ათავსებს და ქართლის პირველ მეფეს, ფარნავაზს უკავშირებს. ფარნავაზის დროს (ძვ.წ. III საუკუნე) დასრულდა ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესი და მმართველობის დასრულებული სისტემა საჭიროებდა დამწერლობას (ალექსიძე 1968: 030-031).

სომხურ ვერსიას კი ქართული დამწერლობის წარმოშობა ქრისტიანული ეპოქის მონაპოვრად მიაჩნია და მის ავტორობას V საუკუნის სომეხ საეკლესიო პირს, მამტოცს მიაწერს. წარმართობისა და ქრისტიანობის მიჯნაზე, ცხადია, დიდი კულტურულ-პოლიტიკური ძვრები და ცვლილებები იყო მოსალოდნელი (ალექსიძე 1968: 032).

ქართული ანბანის წარმოშობის ორივე – ქართულ და სომხურ – ვერსიას ჰყავს მიმდევრებიც და მოწინააღმდეგენიც.

მკვლევართა ერთი ნაწილი ლეონტი მროველის ცნობას იზიარებს და ქართული ანბანის შექმნა ფარნავაზის ეპოქის უმთავრეს მიღწევად მიაჩნია, მეორე ნაწილი,

განსაკუთრებით სომეხი მეცნიერები, გაცილებით უფრო სარწმუნოდ თვლიან კორიუნის ცნობას ქართული ანბანის შექმნის შესახებ, როგორც მაშტოცის უმცროსი მოწაფისა და თვითმხილველის ნაამბობს. არსებობს მკვლევართა ისეთი ჯგუფიც, რომელიც ორივე, ქართულ და სომხურ ვერსიას შეთხზულს უწოდებს. მათი თვალსაზრისით, ქართული ანბანი ფარნავაზამდე გაცილებით ადრე უნდა შექმნილიყო.

ქართულ სამეცნიერო წრეებში კორიუნის მონათხრობი ყოველთვის საკამათო იყო და მას დღემდე კრიტიკულად განიხილავენ. უფრო მეტიც, ქართველი მეცნიერები კორიუნის ცნობებს ერთხმად უარყოფდნენ და იმთავითვე გამორიცხავდნენ მაშტოცის რაიმე ფორმით მონაწილეობას ქართული ანბანის შექმნაში. კორიუნის თხზულება არაერთხელ გამხდარა მკვლევართა კრიტიკის ობიექტი, როგორც წყარო. და მაინც, ქართული ანბანის შესახებ საუბრისას სომხურ წყაროს გვერდს ვერ ავუვლით. ჩვენი გამოკვლევა მიზნად არ ისახავს ამ საკითხის გადაჭრას, მაგრამ კორიუნის თხზულების ყველა არსებული ტექსტის ერთ ნაშრომში განხილვის შემდეგ საჭიროდ ვთვლით ამ საკითხის ერთგვარ შეჯამებასაც.

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ და ამას კორიუნის თხზულების შესახებ მრავალრიცხოვანი გამოკვლევებიც ადასტურებენ, დროთა განმავლობაში „მაშტოცის ცხოვრების“ ტექსტმა საგრძნობი ცვლილებები განიცადა.

კორიუნის თხზულების შემცველ ნუსხათა ნაწილში (XVII-XIX საუკუნეებისა) მაშტოცი ამიერკავკასიის ხალხთათვის – სომხების, ქართველებისა და ალბანელებისათვის – დამწერლობათა შემოქმედია. მათ შორის ყველაზე ადრინდელი ხელნაწერი (Mat. 2639) 1672 წლით თარიღდება. თხზულების ეს ტექსტები ე.წ. „ვრცელ რედაქციას“ განეკუთვნება და მათში მაშტოცის მოღვაწეობის ასპარეზი ყველაზე ფართოდ არის წარმოჩენილი.

ამ ჯგუფის ხელნაწერთა (გამოკვლევაში მათ A ლიტერით აღვნიშნავთ) მიხედვით, სივნიეთში მისიონერული საქმიანობის დასრულებისთანავე მაშტოცმა იზრუნა ქართველ ხალხზე, შექმნა ანბანი ქართული ენისათვის და ქართლში გაემგზავრა; ქართლის მეფე ბაკურის, მოსე ეპისკოპოსისა და ქართველი მთარგმნელის, ვინმე ჯაღას (ჯაღა) დახმარებით, მაშტოცმა გახსნა სკოლები, გაავრცელა დამწერლობა, დამოძღვრა

და ქრისტიანულ რწმენაზე მოაქცია მთელი ქართლი, სამეფო კარის ეპისკოპოსად დანიშნა სამოელი, თავისი მისიის აღსრულების შემდეგ კი კვლავ სომხეთში დაბრუნდა (Աբუქჟან 1981: 110-112).

გარდა ამ ნუსხებისა, ჩვენამდე მოაღწია სომხურ სადღესასწაულო კრებულებში დაცულმა „მაშტოცის ცხოვრების“ უფრო ადრინდელმა, XIV საუკუნის ტექსტებმა (Mat. 3787 (1347-1350 წწ.); Mat. 3797 (დაახლ. 1347 წ.). სადღესასწაულოს ტექსტები (გამოკვლევაში B ლიტერით აღინიშნება) ე.წ. „ვრცელ რედაქციას“ განეკუთვნება, მხოლოდ უფრო მოკლე ვერსიის სახით არის შემონახული და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ამ ტექსტებში არაფერია ნათქვამი მაშტოცის მიერ ქართულ და ალბანურ დამწერლობათა შექმნის შესახებ – მაშტოცი აქ მხოლოდ სომხური ანბანის შემოქმედი და ქრისტიანობის მქადაგებელია.

სომხურ ტრადიციაში თანდათან ხდებოდა მაშტოცის როლის გაზრდა. ამას ცხადად აჩვენებს სომხურ მწერლობაში მაშტოცის შესახებ დაცული ცნობები. მიუხედავად იმისა, რომ კორიუნის თხზულება ერთ-ერთი და ზოგჯერ ერთადერთი წყაროა ძველი და შუა საუკუნეების სომეხი ავტორებისთვის, მაშტოცის ფიგურა და მისი მოღვაწეობის არეალი მაინც არათანაბრად არის წარმოჩენილი კორიუნის მომდევნო სომხურ სამწერლობო ტრადიციაში. ამ მხრივ სომეხი ავტორები შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ: ავტორთა ნაწილი – მოსე ხორენელი, მოსე კალანკატუელი (II ნაწილი), იოანე დრასხანაკერტელი, ვანაკან ვარდაპეტი, კირაკოს განძაკელი, რომელიც კორიუნს წყაროდ ასახელებს, იმეორებს ცნობას მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ. ამავე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ სომხური სვინაქსარული კრებულები, რომლებშიც აღნიშნულია მაშტოცის დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე – მაშტოცი ქართული (სომხურთან და ალბანურთან ერთად) ანბანის შემოქმედი; მეორე ნაწილი ავტორებისა კი (ლაზარე ფარპელი, ფილონ ტირაკელი, უხტანესი, სამუელ ანელი, თომა არწრუნი, მხითარ აირივანელი, სტეფანოს ორბელიანი), რომელიც წყაროდ ასევე კორიუნს ასახელებს, არაფერს ამბობს ქართველთა წინაშე მაშტოცის ამ დამსახურებაზე. უნდა ითქვას, რომ მათგან ზოგიერთ წყაროში მაშტოცი სომხური დამწერლობის შემქმნელიც კი არ არის,

მხოლოდ მისი რეფორმატორია, რაც არსებული სომხური ანბანისთვის ძირითადად ხმოვანთა დამატებაში გამოხატება.

აქვე შევნიშნავთ, რომ სომხური სვინაქსარული კრებულები და შუა სუკუნეების ის სომეხი ავტორები, რომლებიც მაშტოცს სამი ანბანის შექმნას მიაწერენ, წყაროდ კორიუნს კი ასახელებენ, მაგრამ ანბანებზე საუბრისას მათი წყარო მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“ (იხ. გამოკვლევა „მაშტოცი სომხურ ლიტურგიკულ კრებულებში“).

ამდენად, „მაშტოცის ცხოვრების“ ტექსტოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი ანალიზიდან ჩანს, რომ კორიუნის თხზულებამ სერიოზული გადაკეთება-გადამუშავება განიცადა და ამგვარად სახემეცვლილი ფორმით მოაღწია ჩვენამდე. ის მკვლევრები კი, რომლებიც მაშტოცს სომხური, ქართული და ალბანური ანბანების შემქმნელად აცხადებენ, თხზულების სწორედ გვიანდელ, გადაკეთებულ ტექსტებს ეყრდნობიან და სრულიად არ ითვალისწინებენ „მაშტოცის ცხოვრების“ ადრინდელ ნუსხებს, რომლებშიც მაშტოცი ქრისტიანობის მქადაგებლად წარმოგვიდგება და არა ქართული და ალბანური ანბანების შემქმნელად.

საინტერესოა, სომხურ ტრადიციაში როდიდან იძენს მაშტოცის ფიგურა ამიერკავკასიის ხალხთათვის დამწერლობათა შემოქმედის მასშტაბს?

ს. რაფი სომხურ ტრადიციაში მაშტოცის როლის გაზრდას ქართულ-სომხურ საეკლესიო განხეთქილებას უკავშირებს. მისი აზრით, ცნობა მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ გვიანდელი ინტერპოლაციაა და 607 წლის შემდეგ უნდა იყოს ჩამატებული კორიუნის თხზულებაში (Rapp 2003: 450). VI საუკუნის ბოლოს ამ ცნობის გაჩენის შესახებ საუბრობს ივანე ჯავახიშვილიც (ჯავახიშვილი 1935: 182), თუმცა X საუკუნეში უხტანესმა რომ არაფერი იცის მაშტოცის ამ დამსახურებაზე, ამის შესახებ უკვე ვისაუბრეთ. ისეთ ისტორიკოსს და, თავისუფლად შეიძლება ითქვას, ისეთ წყაროთმცოდნეს, როგორც უხტანესია, რომელიც ყველა შესაძლო არგუმენტს იყენებს, რათა აჩვენოს სომხური სარწმუნოების, სომხური ეკლესიის უპირატესობა ქართულთან შედარებით, გამორიცხულია, რაიმე ცოდნა ჰქონოდა მაშტოცის ამ დამსახურებაზე და ეს არ გამოეყენებინა ქართველებთან პოლემიკაში. ისიც გამორიცხულია, რომ უხტანესს

მხედველობიდან გამორჩენოდა ეს მნიშვნელოვანი არგუმენტი. ისტორიკოსი თხზულების მე-18 თავში ქართლის ისტორიაზე საუბრისას ქართულ დამწერლობასაც ეხება: „ითესლეს და განმრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ვერიას უწოდებდნენ, აქ [კი] ქართველნი ეწოდებათ. ტომითაც, ენითაც, დამწერლობითაც, მამამთავრობითაც და მეფობითაც განმტკიცდნენ, ხოლო გამოჰყო, გამოაცალკევა და განაშორა ჩვენგან კირონ სკუტრელმა“ (ალექსიძე 1975: 66-67). უხტანეს კიდევ ერთი შესანიშნავი შესაძლებლობა აქვს ქართველთა წინაშე მაშტოცის დამსახურებისთვის ხაზგასასმელად, მაგრამ, ჩანს, მის წყაროებში მსგავსი არაფერი წერია.

კრტიოქსანს: ასჲ სს კჲლრჯისანს კეთილგონივრულად და ბრძნული
მთიანაჲრ ს კათაჯატიქსანს სკასოტი შეგონებებით წარემართათ ცხოვრება,
ბერონსჲ ხასასკანს, კმთას აბსელჲ იქამდე რომ ბევრისთვის სასტიკად
კმასოთასოტი Ჲაჲადანს` იჯ თაჲრ ჲონს რთული და მნელი ჩანდა
აჯასგ ს იჯ სინჯ ართესანსაგ მინჯს გასრ ცხოვრებისეული წვრთნა. ხოლო იგი
კიჯმანს ლქანსელჲ სოტიოქსანსაჲს:

[მესროვბი] აღნიშნულს ივიწყებდა და
მოხუცებულობის ასაკით წინამავალს
განჲვრეტდა, ფიქრობდა მოახლოებულ
აღსასრულზე [და] ამჲვეყნიდან მისი
გარდაცვალების დღემდე თვალზე ძილი
და წამწამებზე რული არ მიჲკარებია.

ღი მინჯტიქრ აჲსაჲს მსრბასოტიოქსანს მაშინ, როცა მასთან მყოფ
ათ ჰიქრ ს კიოკსოტიოქსანსნს ჲოტიოქსანს ახლობლებს სულიერი გზნების
კასათოთასბიტიოქსანს, ს ჲაციოთ ჲოტიოქსანს ღმრთისმოყვარებით აღანთებდა და
ჰრათოტიც ენტი ამსნაჲს კასათის მრავალ სანუგეშო წერილს უგზავნიდა

ათაჲქერ, ანჲენ ო ნაჲინ ამაჲ ქეთ ყველა გავარს, სწორედ იმავე წელს, ქაქადანჲი ჲერანსელჲონ სრჲონჲ სահასკაჲ ო ნეტარი საჲაკის გარდაცვალებიდან ექვსი ქნგერჲოჲ ანსანს ო თასნ ს ქერჲან თვის შემდეგ, მეჲეკანის თვის 13-ს, მნხსკანჲი` ᲁსასნერ ქაქადან სრჲოჲ მოახლოვდა სომეხთა წმინდა მოძღვრის ქარჲაჲქეთჲინ ᲁაჲოგ, Ჲსერარათ გასათჲი აღსასრული აირარატის გავარში, ო სოჲ ქაჲაჲჲინ, ო სოჲ ᲁოგსქჲერ ქრასნა, ნორქალაქში, და იმავე სულიერი ᲁრჲქს ს ქათაგაჲოჲნ ᲁსაგაჲ, ᲁსასნერ რწმენით, როგორც წინათაც ვახსენეთ, სრჲოჲნ ქრჲსთოთსაკოგ კასთარჲოანს` ქეთ მოაწია წმინდანის ქრისტიანულმა ᲁსკაჲ ᲁნგ ᲁთოჲგ ᲁჲსანჲოჲქანს: Ჲს აღსასრულმა რამდენიმე დღის Ჲოჲქამ კასნგაჲ ᲁსთოთად ᲁოჲქს ავადმყოფობის შემდეგ. მაშინ როდესაც გათოჲრნ ო მჲეჲოჲ დან[ნ]ასთინ მოისურვა უფალმა გამოერჲია წმინდანი აგასქერთაგნ, ს ᲁასანს ო გონჲოჲ მზრუნველობით აღზრდილ თავის სრჲოგნ, Ჲქქესაგსაჲ ს სჲაჲაგსაჲ ო მოწაფეთაგან და შეეერთებინა გათოგნ, ს კანგნსაჲ ᲁსთაჲ ო ქოჲოქოგნ წმინდანთა დასისათვის, ტკივილებისგან მჲეჲი, ს ᲁამქარდსაჲ გდნან შემსუბუქებული და გონს მოსული ადგა ᲁანსაჲაგასთარაბუ ᲁერქჲინა, და დაგდა შეკრებილთა შორის, ხელი გაანსასთოჲრ გერჲოჲოჲქინს ᲁერჲინს, ალაჲერო მარადიული ზეცისკენ, აკურთხა ს ᲁანდნ ᲁთნსერ გაგასქერთსაჲსნ ყოვლადწმინდა სამება, დამოწაფებულნი ᲁანსაჲაჲი გნოჲჁაგნ ᲁსთოთოჲ, გჲ კი მიანდო ყოველთა მფარველი ღმრთის კაჲგნ ᲁასთათონ ო ᲁასათს ს ო ქარს მადლს, რომ მტკიცენი იყვნენ რწმენასა ᲁოჲოჲქანს, ს ᲁთანგ გაჲჲაგოჲქანს და ცხოვრების წარმართვაში, და კასთარსგნს გარჲაროჲქინს თოჲრ ᲁარგ დაუბრკოლებლად აღასრულონ მნრდათოჲრაგ ჲრჲსთოთაჲ: ქრისტესთან დაახლოებულ წმინდა მამათა განგებულება.

Ჲს ᲁნთოთსნჲ გქსათოჲ აგასქერთაგნ მასთან შეკრებილი მთავარი ქოჲოქსელგნ ᲁო ᲁა, ᲁნ ᲁჲს. ᲁოთაგნთოთს მოწაფეების სახელებია: პირველის ჲოქსქჲი, ს ჲერქოჲოჲთოთს ᲁოჲქს, ᲁრჲ ჲოვსევი, მეორისა – თოდიკი*, კაცნი

* ᲁ რედაქციის მიხედვით თადიკო (იხ. შენ. 214).

დგასაჲ და დგონაჲ. ესე ესე გონებაჲმხვილნი და ძალიან ფრთხილნი. ძინოიდაგნ` ათაგნიონს ჴმასეს` ესე ხოლო სამხედროთაგან პირველის შამქონის თხილნი, და ნიქორიჲს სახელია ჴმაიაკი²¹⁶, მამიკონიანთა ჴახანს` ჯაგდნი სამათონსაგ, ირ ესე გვარიდან, მეორისა ვაჴანი²¹⁵, ამატუნთა ხაყარაყესთ ხაჲგ შნდაგ. გვარიდან, რომელიც იყო დიდი ასათიანდასჲ და ნიქორიჲს ქასათიონი: სომხეთის ათასისთავი, მოყვარენი და ესე მინჯეთ დნჲ სრჲი ქარჲაყესთის რნი მოშიშნი დმრთისა. და ვიდრე წმინდა ნიქონსა კათკათესა კაჲრ, თესილ მოძღვარს ხელები ცისკენ ჴქონდა სრანჯელის და ჴაჯანჯანს ქონსორ ჴილადს აპრობილი, ნათელი, გაბრწყინებული ნიქონ ესე ქარჲაყარანსჲს` ირთონ ფორმის, ჴვრის მსგავსი, საოცარი ჩვენება ნიქონის ქაქანსჲს. დირ და ამნასჲს გამოჩნდა იმ სახლის თავზე, რომელშიც იოსებჲს იქნასთეს ქესა და იჯ იქნესქეს აღესრულა ნეტარი; რაც ყველა იქ მოფმა ყასთესა: ესე სრჲიჲს დსრჲი და მეგობრისგან კი არ გაიგო, საკუთარი დქარანსიქესანს ყასთიქრანს თვალთ იხილა. ხოლო წმინდანმა ასანქესა, ესე დნოიდაგნ და დნქასოიდაგნ სიყვარულისა და ერთობის აღთქმა ასრინიქესანს ყასესა და დნქასესან დაუდო მათ, ახლობლებსა და შორეულ აქარესანს ხათიესა და ესე, ასქეს აღამიანებს კურთხევით დაადგა ქარქარესის ასანქესაგ დნქეს ესე ქასთ გვირგვინი, მავედრებელი ლოცვით მამართა უფალს და სწრაფად მიაზარა სული სადიდებლად ყოვლადწმინდა სამებისა.

ღირ ასესა ჴმასესის და ჴახანსაჲს ჴმაიაკმა და ვაჴანმა მიცვალებულთა კადნიქესანს ქაქანსქეს, ხანქესა წესის მიხედვით, საერო კრებულთან აქარესანსჲს ასრქეს, ასქესიჲს ერთად, ფსალმუნებით, კურთხევით და ასრინიქესანს და ნიქარჲს ხოქონარჲს, საგლობლებით, ანთებული სანთლებით, მონქესასჲს ქარქესა და ესე აგიზგიზებული ლამპრებით, რირქესქესიჲს და ასნიქესთიჲს ქესასჲს, და სურნელოვანი საკმევით, იმ ნათელი ასნი ჴაჯანჯანს ჴათაქარესაგ წინამავალი ჴვრის გამოსახულებით,

ლოსათორ იზანასან` ქსლასკანს ხლანქინ, წაიყვანეს ოშკანში²¹⁷ და იქ
 ს ანუ ი მარტიჰოოსასკანს ქარქსან სამარტვილემში დააბრძანეს წმინდა კაცი
 ხანგონგანსქინ ციორქ აქრსნ ასათობი ს ღმრთისა, ყოველდღიურად ნეტარის
 ცარიქინათორ თასნ იქვასთასქი ღრანსქლქინ მოსახსენებელს ადასრულებდნენ. ამის
 კასთარქინ: ასყა იზანს ანსერსიოქ იქსერ, შემდეგ ნიშანი გაუჩინარდა და
 ს იოქა იქირაქვანსქირ თნეიქა იქანსაქინ, თითოეული მათგანი თავის ადგილს
 ქათათორქლქლ ს არქინსქლქლ ცასათობ ი დაუბრუნდა, ადიდებდნენ და
 ქლერაქ სქანსქლქლსაგნ ცირ სქერ ღვიოქ ი აკურთხებდნენ ღმერთს იმ
 ქლერაქ ქარქაქსქლქლს: სასწაულისათვის, რომელიც გამოუცხადა
 უფალმა [მათ] მოძღვრის გამო.

რსკ ქნთ ამანოგ ღრქგ ანსქლქლქლ ქსთ სამი წლის შემდეგ კი ღმრთის
 ქაქიქლქლქლ ასათობი ქახანსაქ შემწევნით მოხდა ისე, რომ
 ასმასთონსიოქ ქრქსთთოსაქრქი` კასმსგას ქრისტესმოყვარე ვაჰან ამატუნიმ
 თასძარ ქათოგ ანთოსანს ასათობი მოისურვა ღმრთის სადიდებელად
 ჰქინსქ ქანთონ სრქოქ ქარქაქსქლქლს, ი ტადარი აეგო წმინდა მოძღვრის სახელზე,
 თასვადიოქ ქქმასგ სქანსქლქლქლქლ თლილი ქვებით საოცარი და ლამაზად
 ქარქინსქლ ქორანსა ს ცნეცქლქლქლქლ შემკული ტადარი აღმართა, ტადარის
 კაცქლქლქლქლ. ს ანუ ი სერქსაქიოქს ქორანსქინ შიგნიოთ კი წმინდანის განსასველებელი
 ცარქიოქს ხანსქისთს ათნსქლ. ს ქაქლქლქლქლ ააგო²¹⁸. [მან] ოქრო-ვერცხლითა და
 ასყასთოქ ოსქლქლქლ ს არბაქოქლქლ ს ასქამქქლ ძვირფასი ქვებით შემკული ლამაზი
 ყასთოოსასქანსაქლ ცთონსნ ასათობი ს ნივთებით მორთო ღმრთის სახლი და
 ცანქლანს კნსარარ მარქმნიოქ ს არქანსნ ქრისტეს ხორცისა და სისხლის
 ჰრქსთთოქი ცარქარქლქლ: სქლ ცნორქინ მაცხოვრებელი ტაბლა. მისი [მესროვბის]
 ავასქლქლქლქლ ცყასთ ს ქარქსაქვასთასნ მოწაფე, ფრთხილი და კეთილმსახური
 ცმრქიქლქლ` ასყასათორ სორქინს კასციოგანსქლქლ თოდიკი მის მსახურად დაადგინეს,
 ს აქო სსა სქლქლქლქლქლ` კასთარქლ მასთან ერთად სხვა ძმებიც
 ცხანსაყადორქო ყავასთასნს: სქლ იქ ყოველდღიური მსახურების
 ქლერაქკასციო სოქოქლქლქლქლსნ ქსთ აღსასრულებლად. წმინდა მამათა

ჯაყონოქჷსან სოიქჷ ხარგნ` გვიქსუქი ს გაცხადებოთ თანახმად, შეკრებოლთა გვიქჷსან ჸაგნოცანსქინ არუ ზემდგომად დაადგინეს ჸოვსეფი²¹⁹ და ღჷმართასუქუ ს ნოღაქიხუ, ნოიგ იქუ ჸოვჸანი²²⁰, კაცნი ჸეშარიტებოთ მოყვარენი ქინქუ ქეთ ქაქიჯანსი სუქონს ადგი სდგი და გონიერნი, რომელთაც ისე მოხდა, რომ ქიორბოქჷსანგ ი ქერაქ სქსეიგ ი წმინდანებოთ [საჸაკისა და მესროვბოთ] რნასოირავ, მნსასქიქი მნსამართიქ ი აღსრულებოთ შემდეგ, უსჯულოთაგან შარას ი შიასუქინ ქაიქაქი ქასან მრავალფერი განსაცდელი, მარტოდ ჸიქისოთიქ, ქაიქოქჷსამქ რადამა. ნოიგ ს მებრძოლეობა, სჸარსელთა ქალაქ ქიუსოთიქანოქასან ასონს ქტესიფონში²²¹, ქრისტეს გამო ძათანდესაქ, ი ნოქნ ქერაქსაგნოქიქისა მრავალგზოთ დამლიეს, რისთვისაც ქარქაყესოთოქჷსან იქანსაქინ ქერქიქი აღმსარებოთ სახელი მოიპოვეს და ისევ ჸაიქიგ მოძღვრებოთ ზემდგომად დაბრუნდნენ სომხეთოთ ქვეყანაში.

ისქ რარესაგაყარონ ქასან კეთილისმყოფელი ვაჸანი კი, ქანსქარბახას სქსაგ, ასაყნჯასან რომელიც ყველას მაშიწვე აღმოუქენდა განსქაქი ამნსაქნ სუქონს ქინქუ, იქ ხოლმე [დახმარებას], ყველა წმინდანოთ აქიარხადნიოქი ხაქინსესან სასურველი მასპინძელი იყო. იგი ქვეყნოთ სესაქასან იქიქი გოთსაქ` ჸიორხაქინ ამალორბინებელ მამათა [საჸაკისა და ჸიქისოთიქ მერბასოიქ სქსაგნ ქასქიქსიქ მესროვბოთ] სულიერი შვილი იყო და ქრისტეს წყალობოთ მარადიული ცხოვრებოთ თანაზიარი გახდა.

ეს არქ იუსთ არქინასქი გრქეიგუ ათ ი აღნიშნული მაგალითებოთ მნჯ გერანსქესაგ სოიქჷ ხარგნ გქარუ ს მიხედვოთ ჩვენში ნეტარი წმინდა მამებოთ გქაქიჯანსი ქიორქი ქინჯ აყათმელიქ` ი ცხოვრება და აღსრულება მცირედ ქათაროქმნ გქანსა აბქიგ. იქ სქსე ი ხქინ მოთხრობოთ აღვწერეთ და საქმე ხამქაროიგ გროცაგ თსქესაგესაქ ს განვასრულოთ. არა თუ ძველი მათსნსაგქესაქ გაქა სარქესაქ, აქი იქიგ გადმოცემებოთ მონათხრობოთ შევიტყვეთ მნქსნ ქსქ ასქანსათსა სქერაყარანსაგნ ს და აღვწერეთ, არამედ ჩვენ თავად

აბრეშქრასკაგ ხოღსორასკან გორბოგ ვიყავით თვითმხილველნი მათი
აბრეშქრასკან. ს ლთოჲ ჯნორხაყასითომ სახეებისა და მონაწილენი წმინდანთა
ქარეჲსაყსთოქსანს. ს სოგხინ აბრეშქრასკან მიერ შესრულებული სულიერი
ქარეჲსაყსთოგ აბრეშქრასკანს ღასთ სოგხინ საქმეებისა, და მსმენელნი მათი
ასსთარასკასკანს ხრასმასკანს. იჲ ასთ მადლიანი სწავლებისა, მათი წმინდა
ასთასკასკასითომ ჯარმარესალ ღქანას ი მოძღვრების სახარებისეული მცნებების
მსერ გოქოქსინს ღხაჲქრესხინს ჯარღესლქ, აჲლ შემსრულებელნი. სიცრუე კი არ
ღქანდაქსაღქინსანს ჰოილესალ ღასთაჲქინსესკანს გადმოვეციოთ ჩვენი მამების საქებრად და
ხანღესალ, ირ ასქან ბადესესალ ჲ ი ჰქრესითომ ს პატევსაცემად, არამედ ბევრი რამ
ქასქანდაქსანს ღნო სმას ქასქინსესკანს ქასთასჲ, გამოვტოვეთ მოღვაწეთა საქმეებიდან,
ქორქანდაქსანს ღასქეს ქასთასორ ქინსლ ი მსქ აბრეშქრასკანს რომელიც ამჲამად დაფარულია
ქირეშქრასკან ასლ ასთოლ ხინჯ სჯანასორ ღქსთასკანს ქრისტეში, და მასინ მისით გაცხადდება
ასასთმესლქ` ღქასმასთასთას სქარღესკანს, დიდებით, როდესაც მოვა
იორქრასკანს იჲ მსქ ჲ ჯასხას, აჲლ ს იორქრასკანს დიდებულებით თავის წმინდანთა შორის,
ღნქრესინს, ქასქინსესკანს არასკანს არამედ მცირე რამ მნიშვნელოვანი,
ქრასკანსქრესინს: გამორჩეული [ამბები] გადმოვეციოთ,

მოკლედ აღვწერეთ, რომ იმ კაცთა
სათნოება არა მხოლოდ ჩვენთვის იყოს
სასარგებლო, არამედ მათთვისაც, ვინც ამ
მატიანეს წაიკითხავს²²⁴.

ჰასნღესალ ს იჲ ხსლს ხანღორქესესალ ქასლს რადგან მართლაც ვერ შევძლებდით
სქარესლ* ღასმესასქანს არარესესალს აბრეშქრასკანს წმინდანთა მიერ შესრულებული
ღქრესლ სჯანასკესლ ღქირასქრასკანსქირესანს, აჲლ ი თითოეული საქმე წერილობით
ღქირასღქინსანს ს ი ხსქსთასღქინსანს ღასნღქინსანს აღგვენიშნა²²⁵, ამიტომ შემოვიფარგლეთ
ასარასკანსესკანს, ს ღასნღესალ ღქრასღქინსანს უფრო ადვილი და იოლი ქანდაგებით.
არღასესესალს აბრეშქრასკანს ასთ ი წმინდანების მრავალმხრივი ღვაწლი
მასნრასკანსქრესინსანს ასინსლქო ჰოილასქ, ს უგულულებელვეყავით, გამოვტოვეთ

* აქ სამი ზმნური ფორმაა გამოყენებული ერთი აზრის გამოსახატავად.

დკარენორაფიანს ათი ჰნჯ წვრილმანები და უმნიშვნელოვანესი მათსნააფრესაჲ ესთ მერიამ სარხი, იჯ ჰ საქმენი აღწერეთ ჩვენი ყაათი რსორელინ მერდაორაგნ შესაძლებლობების მიხედვით. ეს ზრისთი, ირჲ ამნსაყაბათ ხალათი ყოველივე გადმოვეცით არა ქრისტეს ს ქარიჲ ბანოცესაჲ ზენ, აი რჩელთა პატევსაცემად, რომლებიც ჯარხნასკ ჲაჯალერჲ ჰოცორ ბნოგ გაბრწყინებული რწმენითა და ჰრესანგ, ს ირგ სოჲაჲ აჯასკერსელი ცხოვრებით გამორჩეულნი იყვენ²²⁶, ჰგენ დჯმართოქის ჯაჯა ჰრესანგ` არამედ როგორც გამამხნეველები ასანოცესა აჲ, ჰ ქათა ამნსათორჲ მაგალითი მათი სულიერი შვილებისა და ტრიორიოქესანს ჯარ ს ირჲოჲ ს ჯოცოჲ ყველა მათგანისათვის, ვინც მათი სრჲი, აჲმ ს მჲჲო ს ჯარხთნასა მეშვეობით ჲემმარტების მოწაფენი ჯარხთნჲგ. ამნ:

გახდებიან თავიანთ ერში, სადიდებლად ყოვლადწმინდა სამებისა – მამისა და ძისა და სულისა წმინდისა უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

კომენტარები:

1. თხზულებაში სომეხი საეკლესიო მოღვაწე „მაშტოც/მაშტოც“-ად იწოდება, მხოლოდ სათაურში გვხვდება „მესროპ“ ფორმით. მკვლევართა აზრით, სათაური გვიანდელი ცვლილების შედეგი უნდა იყოს. ამიტომ მ. აბელიანი სათაურშიც „მესროპ“-ის ნაცვლად „მაშტოც“ ფორმას გვთავაზობს (Աբელიანი 1981: შენ. 1). ქართულ თარგმანში ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის სახელი გადმოგვაქვს იმ ფორმით – „მაშტოცი“, როგორც ეს უძველეს ხელნაწერებში (XIV საუკუნის მრავალთავებში) დასტურდება და როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია დამკვიდრებული.
2. **ასქანაზ** (ებრ. აშქენაზ, აქად. იშქუზა) – სკვითების უძველეს ტომთა გაერთიანებას ეწოდებოდა. ჩვ.წ.აღ.-მდე VIII საუკუნეში ეს ტომები დარუბანდის გავლით გამოემართნენ სამხრეთისკენ და დასახლდნენ მდინარე მტკვრის განაპირას მდებარე ნაყოფიერ ველებზე, კერძოდ, შაკაშენის ოლქის ტერიტორიაზე. ბიბლიაში (იერ. 51: 27) ასქანაზი მოიხსენიება ძლიერ სამეფოდ, მინნისა (მანნა) და არარატის (ურარტუ) ქვეყნების მეზობლად. ჩვ.წ.აღ.-მდე VII ს. ასურეთის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში, ხშირად ერთიანდებოდა ურარტუს, მანნასა და მარასტანთან, მონაწილეობას იღებდა ნინევიის დაპყრობაში (ჩვ.წ.აღ.-მდე 612 წ.). ბიბლიის შემსწავლელი სომეხი მკვლევარნი გამერის ძეს ასქანაზს მიიჩნევდნენ სომხეთის მმართველად: „და ძენი გამერისნი: ასქანეზ და რიფათ და თორგამა“ (დაბ. 10: 3). ასქანაზიანმა ტომებმა დიდი წვლილი შეიტანეს თორგომიანების – ხურიტულ-ურარტული ან ჰაიკიანთა წარმოშობის მქონე სომეხი ხალხის ეთნოსის (განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლური ნაწილის) ფორმირების პროცესში. სომხურ ტრადიციაში აშქენაზი თარგამოსთან ერთად სომეხთა წინაპრად იყო მიჩნეული. სომხურ მწერლობაში „ასქანაზიანი“ პირველად გვხვდება კორიუნის „მაშტოცის ცხოვრებაში“, ავტორი სომხებს „ასქანაზიანთა ერს“ უწოდებს. „ასქანაზიანი“ ფორმა დასტურდება მოსე ხორენელისა და იოანე დრასხანაკერტელის თხზულებებშიც: «Հրամանն սուրբ, ասէ, Այրարատեան թագաւորութեանն և Տաքանազեան գնդին» [„უბრძანე, ამბობს, - აირარატის სამეფოსა და ასქანაზიანთა რაზმს“] (Աբელიანი... 1991: 67; Յովհաննու... 1912: 11-12).
3. ზრახვა, განზრახვა (აბულაძე 1955: 121).
4. **ჰოვსეფ I ვაიოცძორელი**, წმ. **ჰოვსეფ ჰოლოცმელი** (დაბ. თარიღი უცნობია – გარდაიც. 452) იყო მაშტოცის მოწაფე, არარატის ეპისკოპოსი, საჰაკ პართელის შემდეგ (440 წლიდან) კი სომხეთის კათალიკოსი. ჰოვსეფის მოწვევით 444 წელს ჩატარდა შაკაპივანის კრება, 449

წელს კი – არტაშატის კრება. თხზულებაში ჰოვსეფი მაშტოცის მთავარ მოწაფედ მოიხსენიება: „იქ შეკრებილი მთავარი მოწაფეების სახელება: პირველის ჰოვსეფი, რომელიც დასაწყისშიც დავეწრეთ...“ (თავი 26). თხზულების მიხედვით, საჰაკმა და მაშტოცმა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე იგი საკათალიკოსო ტახტის მპყრობელად დანიშნეს. ლაზარე ფარპელი ჰოვსეფის შესახებ წერს, რომ მაშტოცის გარდაცვალების შემდეგ „სომხეთის ქვეყნის საკათალიკოსო ტახტი დაიკავა წმ. ჰოვსეფმა, რომელიც იყო ვაიოც ძორიდან, სოფლიდან, რომლის სახელი იყო ჰოლოციმქი (Ղազարայ... 1908: 91). ჰოვსეფი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ვარდანელთა ომის დროს. ავარაირის გადაწყვეტი ბრძოლის (451 წ.) შემდეგ, იგი ტყვედ წაიყვანეს სპარსეთში და ქრისტიანობისთვის აწამეს (შდრ. Աբելյան 1981: შენ. 4).

5. მანუკ აბელიანმა თავის გამოცემაში ძირითად ტექსტად აიღო 1672 წლის ხელნაწერში დაცული „მაშტოცის ცხოვრება“. ტექსტი ბიბლიური ამბებით არის გამდიდრებული და შევსებული, რაც მის მეტაფრასულ რედაქციულობას მიუთითებს. „მეტაფრასი“ ჰაგიოგრაფიული მწერლობის ჟანრია და ბერძნულად „თარგმანებას“, „განმარტებას“, „გადაკეთებას“, „ხელახალ თხრობას“ ნიშნავს. მეტაფრასული კრებულები ბიზანტიურ სამყაროში X საუკუნეში ჩამოყალიბდა, როდესაც წმინდანთა „ცხოვრების“ მარტივი ფორმა და აღწერა მკითხველის გემოვნებასა და მოთხოვნებს აღარ აკმაყოფილებდა. ამის გამო თავდაპირველი, „კიმენური“ ტექსტების გადაკეთება-გალამაზება დაიწყო ისე, რომ ტექსტში ასახული ისტორიული ფაქტები და ძირითადი სიუჟეტი უცვლელი რჩებოდა. „მაშტოცის ცხოვრებაც“ ამგვარად არის გავრცობილი და შევსებული ბიბლიური ისტორიებით. მასში მოცემულია ეპიზოდები და მაგალითები ბიბლიურ პერსონაჟთა შესახებ, რომელთა დვთაებრივი, კეთილშობილური და სათნო საქმენი სტიმულის მიმცემი უნდა გამხდარიყო მორწმუნე თაობებისთვის; მოტანილია ციტატები წმინდა წერილიდან. ავტორი ღმრთის რჩეულ კაცთა სათნოებას აღწერს და მათი საქმიანობის ფონზე წარმოგვიდგენს მაშტოცის მოღვაწეობას. თხზულების მეტაფრასულობას მოწმობს ისიც, რომ „მაშტოცის ცხოვრების“ უფრო ადრინდელ, XIV საუკუნის ტექსტებს არ აქვთ ვრცელი, ბიბლიური ამბებით დატვირთული შესავალი, მათში მაშტოცის ბიოგრაფია მარტივად, ადვილად გასაგებად არის მოთხრობილი და თავისუფალია ზედმეტი ჩარევა-გადაკეთებისგან.
6. **მოსე** – ბიბლიის მიხედვით, ძველ ებრაელთა სჯულმდებელი და წინასწარმეტყველი, განმათავისუფლებელი და ბელადი. მოსე წინასწარმეტყველი ითვლება ბიბლიის ძველი აღთქმის პირველი ხუთი წიგნის (დაბადება ანუ შესაქმე, გამოსლვათა, ლევიტელთა,

რიცხვთა და მეორე რჯული) ავტორად. მ. აბელიანის მოსაზრებით, „მოსეს ისტორიაში“ კორიუნი მხოლოდ პირველ ორ წიგნს – დაბადებასა და გამოსვლათს – გულისხმობს (Աբელიან 1981: შენ. 5).

7. იგულისხმება ბიბლიური კაენისა და აბელის მსხვერპლშეწირვის ამბავი (დაბადება 4: 1-16). აბელი მართლად იწოდება ღვთისა და კაენის წინაშე. წმ. პავლე მოციქული ამბობს: „რწმენით შესწირა აბელმა უკეთესი მსხვერპლი ღმერთს, ვიდრე კაენმა; მისითვე მიიღო მოწმობა, რომ მართალია, როგორც იმოწმა ღმერთმა მისი მსხვერპლისათვის“ (ებრ. 11: 4).
8. კორიუნი ამ ფრაზით გულისხმობს ბიბლიურ ენოქს: „დადიოდა ღმერთთან ენოქი და აღარ იყო, რადგან წაიყვანა იგი ღმერთმა“ (დაბ. 5: 24) 365 წლის ასაკში. მას ამქვეყნიური ცხოვრების ჟამს სიკვდილი არ უგემია. ბიბლიის თანახმად, მხოლოდ ენოქ და ელია წინასწარმეტყველები (IV მეფ. 2: 11) არ მომკვდარან. პავლეს ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში ვკითხულობთ: „რწმენით გარდაიცვალა ენოქი, ისე, რომ არ უხილავს სიკვდილი, და ველარავინ დალანდა, რადგანაც ღმერთმა წაიყვანა იგი; ვინაიდან სიკვდილამდე მიიღო მოწმობა, რომ ესათნოვა ღმერთს“ (ებრ. 11:5). ენოქის მოღვაწეობა აღწერილია ძველი აღთქმის არაკანონიკურ, აპოკრიფულ ტექსტში – „ენოქის წიგნში“. სომხური სამოციქულო ეკლესიისა და სომხური კათოლიკური ეკლესიის წმინდანთა კალენდრის მიხედვით, ენოქის, როგორც დიდი მამამთავრის, ხსენების დღეს 30 ივლისს დღესასწაულობენ.
9. იგულისხმება ბიბლიური ნოე, რომელიც კაცობრიობას 120 წელი უქადაგებდა სათნოებას და რომ ვერაფერს გახდა, ღმერთმა მას კიდობნის აშენება უბრძანა, რათა თავისი მოდგმა ცხოველთა და მცენარეთა ნიმუშებთან ერთად გადაერჩინა მსოფლიო წარღვნაში (დაბ. 6, 7, 8). მან 951 წელი იცოცხლა. ნოეს კიდობანი არის ხსნის სიმბოლო. ბიბლიის მიხედვით, ნოეს კიდობანი არარატის მთაზე გაჩერდა: „და დადგა კიდობანი თთუესა მემუჯდესა ოცდამუჯდისა მის თთვსასა მთათა ზედა არარატისასა“ (დაბ. 8: 4).
10. კორიუნი აქ მიუთითებს აბრაამზე, რომელმაც, ბიბლიური გადმოცემის თანახმად, რამდენჯერმე იხილა უფალი. ღმერთმა აბრაამსა და მის შთამომავლობას აღუთქვა ქვეყანა, ეს არის ქანაანის მიწა ანუ პალესტინა (დაბ. 12:1; 14:17). ეს მიწა იქცა ღმერთსა და მის ხალხს შორის აღთქმის კავშირად.
11. **წმინდა პავლე მოციქული** (†67, რომში) – ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული. იგი პეტრე მოციქულთან ერთად „მოციქულთა თავად“ იწოდება. პავლემ მრავალი ეკლესია დააფუძნა და ამ ეკლესიებში ეპისკოპოსები დაადგინა. მას მიეკუთნება ახალი აღთქმის 14 ეპისტოლე.

კორიუნის თხზულებაში პავლეს „ებრაელთა მიმართ ეპისტოლის“ მეთერთმეტე თავი იგულისხმება.

12. **რააზი** – იერიქოში მცხოვრები ქალი, რომელმაც თავისთან დამალა ისუ ნავეს ძის მიერ გაგზავნილი ორი მსტოვარი, რომლებიც „აღთქმული მიწის“ (ქანაანის) დასაზვერად იყვნენ მოსულები. მათ კი დაიცვეს რააზი თავისი ოჯახით, როდესაც ებრაელებმა ქანაანის ქვეყანა დაიპყრეს (ისუ ნ. 6: 1-27). „სარწმუნოებით რააზ, მეძავი იგი, არა წარწყმდა ურჩთა მათ თანა, რამეთუ შეიწყნარნა მსტუარნი იგი მშვდობით. და რაღღა-მე ვთქუა? რამეთუ დამაკლებს მე ჟამი ესე მითხრობად...“ (ებრ. 11: 31, 32).
13. **ნებროთი** – ბიბლიური გმირი, ქამის ძის ხუსის (ქუშის) მითიური შვილი, სწორუპოვარი მონადირე და „გამომგონებელი“ ომისა. იგი ითვლება ბაბილონის ქალაქისა და ბაბილონის სამეფოს დამაარსებლად. დაბადებაში მასზე ნათქვამია, რომ „ამან იწყო გმირყოფად ქუეყანასა ზედა. ესე იყო გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღმრთისა და იქმნა დასაბამ მეფობისა მისისა ბაბილონი...“ (დაბ. 10: 8-12).
14. **სამსონი** – ბიბლიური ტრადიციით, ებრაელთა ლეგენდარული გმირი, ძლიერთა შორის უძლიერესი გოლიათი. ღმრთისათვის ყოფილა შეწირული და, აღთქმისამებრ, არც ღვინო უნდა დაეღია და არც თმა უნდა გაეკრიჭა (მისი ძალის საიდუმლო თმაში იყო). იგი იბრძოდა ისრაელთა მტრების ფილისტიმელების წინააღმდეგ. სამსონი ებრაელებისთვის გახდა სიმბოლო გმირისა, რომელიც მონობაში სიცოცხლეს სიკვდილს ამჯობინებს (მსაჯ. 13-16).
15. **დავით წინასწარმეტყველი, დავით მეფსალმუნე** (დ. ძვ.წ. 1035, ბეთლემი – გ. ძვ.წ. 965, იერუსალიმი) – ისრაელის სამეფოს მეორე მეფე, იესე ბეთლემელის უმცროსი ვაჟი. წმინდა წერილების მიხედვით იესო ქრისტე სწორედ დავით წინასწარმეტყველის შთამომავალია. ფილისტიმელთა თავდასხმის დროსაც დავითმა დაამარცხა ახჯარასხმული გოლიათი, რამაც ბრძოლის ბედი ისრაელელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. ამის შემდეგ ხალხმა ძალიან შეიყვარა წმიდანი. წმიდანმა ააშენა ახალი დედაქალაქი – იერუსალიმი („სახლი მშვიდობისა“). დავით წინასწარმეტყველმა 150 ფსალმუნი დაგვიტოვა.
16. **იოსები** – იაკობისა და რაქელის ძე იყო. ბიბლიის თანახმად, შურიანმა ძმებმა იოსები მონად მიჰყიდეს ვაჭრებს, რომლებმაც იგი ეგვიპტეში წაიყვანეს. აქ იოსები ჯერ საპყრობილეში მოხვდა, მაგრამ ბოლოს თავისი სიბრძნის წყალობით, ფარაონის კარზე აღზევდა და მამა და ძმები ეგვიპტეში მიიწვია (დაბ. 37-50).

17. **დანიელი** – ბიბლიური წინასწარმეტყველი. ნაბუქოდონოსორ მეფის მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ დანიელი ბაბილონში გადასახლებულ ტყვეთა შორის ყოფილა. იქ იგი მეფის ბრძანებით სხვა წარჩინებულ და ნიჭიერ ებრაელ ჭაბუკებთან ერთად იზრდებოდა. დანიელი ცნობილია თავისი სიბრძნით. ბიბლიაში შესული „წინასწარმეტყველება დანიელისი“ სამი ნაწილისგან შედგება.
18. **ბაბილონი** – მესოპოტამიის დედაქალაქი, რომლის ნანგრევები დღესაც არის შემორჩენილი ერაყში, ქალაქ ჰილის მახლობლად, ბაღდადიდან სამხრეთით, მდინარე ტიგროსსა და ევფრატს შორის. ისტორიული წყაროების ცნობით, ბაბილონი ძვ. წ-ით III ათასწლეულის დასაწყისში დაარსდა, თავიდან პატარა ქალაქი იყო, რომელიც პირველი დინასტიის აღზევების დროს აყვავდა. ძვ. წ-ით 2300 წელს ის ხდება წმინდა ქალაქი, ძვ. წ-ით 612 წელს კი სატახტო ქალაქი. ქალაქის სახელი ბაბილონი არის ბერძნული ვერსია აქადური ბაბილუსი, რაც ნიშნავს „ღმერთების კარიბჭეს“. მეცნიერები ბაბილონს ძველი სამყაროსა და საერთოდ, კაცობრიობის ცივილიზაციის პირველ „მეგაპოლისს“ უწოდებენ.
19. შდრ. „ნუუკუე უბრძნეს ხარა შენ დანიელისა ბრძენთა არა გასწავეს შენ მეცნიერება მათი?“ (ეზეკ. 28: 3) (ბიბლია... 2017: 2790).
20. **გალილეა** – ისტორიული ოლქი ისრაელის ჩრდილოეთით, ლიბანის საზღვართან. დასავლეთით აკრავს ხმელთაშუა ზღვა, სამხრეთით – ისრაელის ველი, აღმოსავლეთით კი – იორდანიის ველი. ძვ. წ. 104 წელს გალილეა ჰაშმონაიძეთა მმართველობის დროს შეიერთა ისრაელის სამეფომ. სახარების თანახმად, გალილეის ქალაქ ნაზარეთში გაბრიელ მთავარანგელოზმა მარიამს ახარა, რომ იგი შობდა იესო ქრისტეს, ძე ღვთისას: „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანაა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“ (ლუკა 1: 42). გალილეაში გაატარა ბავშვობა და ყრმობის წლები იესო ქრისტემ. გალილეა ქრისტეს მოციქულთა უმრავლესობის სამშობლოა.
21. **აბრაამი** – ბიბლიური პერსონაჟი, რომელმაც უმასპინძლა უფალსა და მასთან მყოფ ორ ანგელოზს. უფალმა მას ქალაქების – სოდომისა და გომორის დამხობის შესახებ განუცხადა: „არა დავფარო-ა მე პირისაგან აბრაჰამ, მონისა ჩემისა, რომელსა ვჰყოფ მე“ (დაბ. 18:17).
22. **სოდომი** – ვარაუდობენ, რომ მკვდარი ზღვის სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა. წმინდა წერილის თანახმად, ორი ბიბლიური ქალაქი – სოდომი და გომორი – ხალხის ცოდვების გამო „ალიგავა პირისაგან მიწისა“. გამოთქმა „სოდომური ცოდვა“ აღნიშნავს გარყვნილებას, რის გამოც ასე სასტიკად განრისხდა ღმერთი და გაწირა ეს ქალაქები დასაღუპად.

23. **იობ მრავალვინეული** (დაახლ. ძვ.წ. 2000-1800 წწ.) – ბიბლიური გმირი, მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი. იობი ცხოვრობდა ჩრდილოეთ არაბეთში, ყუცის ქვეყანაში. მისი ცხოვრება აღწერილია ბიბლიაში (იობის წიგნი). ღვთისმოშიში და ღვთისმოსავი იობი მთელი სულით უფლის ნებას იყო მინდობილი. უფალმა გამოსაცდელად მრავალი სატანჯველი მოუვლინა მას. იობმა ყველა მასზე მოწვევნილი განსაცდელი მოთმინებით დაძლია და განსაცდელშიც უფლის ერთგული დარჩა. შდრ. „კაცი უბრალო, ჭეშმარიტ, ღმრთისა მსახურ, განშორებულ ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა?“ (იობ. 1: 8) (ბიბლია... 2017: 2208).
24. **იოთორი** – მოსე წინასწარმეტყველის სიმამარი. იოთორმა ურჩია მოსეს დაედგინა ერის მსაჯულები: „და შენ თავსა შენსა ეკრძალე და გამოირჩიენ ყოვლისაგან ერისა კაცნი ძლიერნი, ღმრთის მსახურნი, კაცნი მართალნი, მოძულენი ამპარტავანებისანი; და დაადგინენ იგინი მათ ზედა ათასისთავად და ასისთავად და ერგასისთავად და ათისთავად...“ (გამოსლ. 18:21) და ისინი აღასრულებდნენ ყოველდღიურად წვრილმან საქმეებს, მოსე კი დიდ საქმეებს ხელმძღვანელობდა (გამოსლ. 18: 17-23).
25. მთაზე ქადაგებისას იესო თავის მოწაფეებს ამცნობს ცხრა ნეტარებას (მათ. 5: 3-11).
26. „თორმეტი რჩეულთაგანი“ – ქრისტეს თორმეტი მოწაფე, მოციქულები.
27. **იოანე ნათლისმცემელი** – სახარებების (მათე, მარკოზი) თანახმად, იესო ქრისტეს უახლოესი წინამორბედი, რომელმაც მესიის (ქრისტეს) მოსვლა იწინასწარმეტყველა. იგი ცხოვრობდა უდაბნოში (ელია წინასწარმეტყველის მსგავსად), ამხელდა საზოგადოების ბიწიერებას და მოუწოდებდა მონანიებისაკენ. მონათლა მრავალი ებრაელი, აგრეთვე იესო ქრისტე მდ. იორდანეში.
28. **წმიდა ნათანაელი** – იგივე ბართლომე, თორმეტ მოციქულთაგანი. შდრ. „იხილა რაჲ იესუ ნათანაელ, მომავალი მისა, და თქუა მისთვის: აჰა ჭეშმარიტად ისრაიტელი, რომლისა თანა ზაკუვად არა არს“ (იოანე 1:47) (შანიძე 1945: 298).
29. შდრ. „არცა ისრაელსა შორის ესოდენი სარწმუნოვებაჲ ვპოვე“ (მათე 8:10) (შანიძე 1945: 23).
30. შდრ. „მოუჭდა დედაკაცი, რომელსა აქუნდა ალაბასტრი ნელსაცხებელისა მრავალსასყიდლისად, და დაასხა თავსა მისსა ინაჯით მჯდომარესა.“ (მათე 26:7) „... სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე ყოველსა სოფელსა, ითქუმოდის, რომელიცა ესე ყო მაგან საკსენებელად მაგისა“ (მათე 26:13) (შანიძე 1945: 94-95).
31. შდრ. „ჴ დედაკაცო! დიდ არს სარწმუნოვებაჲ ეგე შენი“ (მათე 15:28) (შანიძე 1945: 54).

32. შდრ. „და მიჰხედა და იხილა, რომელნი-იგი დასდებდეს შესაწირავსა ფასის-საცავსა მას მდიდარნი. და იხილა ვინმე ქურივი გლახაკი, რომელმან დადვა ორი მწულილი, და თქუა: ჭეშმარიტად გეტყვ თქუენ, რამეთუ ქურივმან ამან გლახაკმან უმეტეს ყოველთასა შეწირა...“ (ლუკა 21: 1-3) (შანიძე 1945: 273).
33. შდრ. „ჰრქუა მას უფალმან: მივედ შენ, რამეთუ მე ჰური რჩეული მიპოვნის იგი, რადთა ზე აქუნდეს სახელი ჩემი წინაშე ყოველთა წარმართთა, და მეფეთა და მთავართა, მეთა ისრაჴლისათა“ (საქ. მოც. 9:15) (აბულაძე 1950: 63-65).
34. შდრ. „ხოლო ღმერთსა მადლი, რომელმან მარადის მომფინის ჩუენ ქრისტჴს მიერ და სული იგი სურნელებისად გამოაჩინის ჩუენ მიერ ყოველთა ადგილთა“ (II კორ. 2:14) (ძოწენიძე... 1974: 174).
35. შდრ. „ვინ არს მამრალეებელ რჩეულთა ღმრთისათა? ღმერთი არს განმამართლებელ“ (რომ. 8:33) (ძოწენიძე... 1974: 44).
36. საქმე წმიდათა მოციქულთა – ახალი აღთქმის წიგნი, რომელშიც ქრისტეს მოწაფეთა (მოციქულთა) სამისიონერო მოღვაწეობაა მოთხრობილი. წიგნის ავტორად ითვლება ლუკა მოციქული. ეს წიგნი კათოლიკე ეპისტოლეებთან და პავლე მოციქულის ეპისტოლეებთან ერთად შეადგენს კრებულს, რომელსაც „სამოციქულონი“ ეწოდება.
37. იგულისხმება მოციქულთა შვიდი კათოლიკე ეპისტოლე, რომელიც შესულია ახალი აღთქმის წიგნებში. „კათოლიკე“ ბერძნული სახელწოდებაა და „საყოველთაოს“ ნიშნავს. კათოლიკე ეპისტოლეთა კრებული შეიცავს ქრისტეს მოწაფეთა – იაკობის, პეტრეს, იოანესა და იუდას – ეპისტოლეებს.
38. შდრ. „განმწმინდეს თავისა თვისისა ერად მოგებულად, მობაძვად კეთილთა საქმეთა“ (ტიტ. 2:14). (ძოწენიძე... 1974: 453); „რადთა ზრუნვიდენ კეთილთა საქმეთა წარდგომად მორწმუნენი ესე ღმრთისანი...“ (ტიტ. 3:8) (ძოწენიძე... 1974: 455).
39. შდრ. „შეუდეგით სიყუარულსა და გშურდინ სულიერი იგი, უფროდსა, რადთა სწინაწარმეტყუელებდეთ“ (I კორ.14:1) (ძოწენიძე... 1974: 145).
40. შდრ. „ხოლო მსახურებისა მისთვის წმიდათადასა მეტ რადმე მიჩს მიწერად თქუენდა. რამეთუ ვიცი გულს-მოდგინებად ეგე თქუენი ჩუენდა მომართ, რომელ ვიქადი მაკედონელთა თანა, რამეთუ აქაიად განმზადებულ არს შრანდითგან, და თქუენმან მან შურმან აღაბაძვნა მრავალნი“ (II კორ. 9:1-2) (ძოწენიძე... 1974: 197-198).
41. შდრ. „კეთილ არს ბაძვად კეთილისათვს, და ნუ მისლვასა მას ჩემსა თქუენდა მიმართ“ (გალატ. 4:18) (ძოწენიძე... 1974: 237).

42. შდრ. „და ვხედვიდეთ სარწმუნოებისა ჩუენისა წინამძღუარსა და სრულებისა მოქმედსა იესუს...“ (ებრ. 12:2) (მოწენიძე... 1974: 396).
43. შდრ. „მოიკსენენით წინამძღუარნი იგი თქუენნი, რომელნი გეტყოდეს თქუენ სიტყუათა მათ ღმრთისათა, ჰხედევდით გამოსლვასა მას ცხოვრებისა მათისასა და ჰბაძევდით სარწმუნოებასა“ (ებრ. 13:7) (მოწენიძე... 1974: 402).
44. შდრ. „ესე ზრახვად იზრახებოდენ თქუენ შორის, რომელცა-იგი ქრისტე იესუსს მიერ“ (ფილიპ. 2:5) (მოწენიძე... 1974: 282).
45. შდრ. „სახედ ძურის ხილვისა და სულგრძელებისა გეცსენედ, ძმანო ჩემნო, წინაწარმეტყუელნი, რომელნი-იგი იტყოდეს სახელითა უფლისადათა. აჰა ესერა ვჰნატრით მოთმინეთა მათ. მოთმინებად იობისი მასმიეს და აღსასრული უფლისადა იხილეთ...“ (იაკ. 5:10-11) (ლორთქიფანიძე 1956: 49).
46. შდრ. „ვიდრემდე მივეწიფნეთ ჩუენ ყოველნი ერთობასა მას სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა ძისა ღმრთისასა, მამაკაცად სრულად, საზომად ჰასაკისად სავსებისა მის ქრისტესისა...“ (ეფეს. 4:13) (მოწენიძე... 1974: 261).
47. შდრ. „ხოლო ჩუენი საყოფელი ცათა შინა არს, ვინადაცა-იგი მაცხოვარსა მოველით, უფალსა იესუ ქრისტესა“ (ფილიპ. 3:20) (მოწენიძე... 1974: 290).
48. კანონიკური (*ბერძ.* kanonikos) – საეკლესიო კანონთან დაკავშირებული, მტკიცედ დადგენილი, ნიმუშად მიღებული. კანონიკური ეწოდება ბიბლიის იმ წიგნებს, რომელთა ღვთიური წარმომავლობა ტრადიციულად არის დამკვიდრებული ჯერ ძველ აღთქმაში, შემდეგ კი – ახალ აღთქმაში. ასეთ წიგნებს ეკლესიის მამების თხზულებებში ერთი აზრი აქვთ, მაგრამ სხვადასხვა ფორმით არის დაწერილი, რომელთა ქართული თარგმანი ასე გამოითქმის: კანონიკური ანუ „განკანონებულნი“ ან „დაბეჭდილნი“, ხოლო, მეორე მხრივ – არაკანონიკური, „არაგანკანონებულნი“ ანუ „დაუბეჭდველნი“. ათანასე ალექსანდრიელის თქმით: „ესენი არიან წყარონი ცხოვრებისანი... ნუმცა რაჲ ვისგან შეემატების ამათ, ნუცა კუალად გამო-რადმე-ეკუების...“ (გაბიძაშვილი... 1975: 470-471; გაბიძაშვილი... 2007: 230.)
49. „ორივესგან“ («ორიგონისგ») - აქ იგულისხმება წმ. წერილისა და მოციქულთა შემდგომ მოსულთა კანონიკური თხზულებები (Աբելუსი 1981: შენ. 48).
50. იგულისხმება საკათალიკოსო ტახტის მპყრობელი ჰოვსეფისა და მამტოცის სხვა მოწაფეებისგან მიღებული ბრძანება, რომლის შესახებ თხზულების დასაწყისშია აღნიშნული.

51. **ტარონის გავარი** (*სომხ.* Տարոն) – შედიოდა დიდი სომხეთის ტურუბერანის მხარეში. მდებარეობდა მდ. არაქსის შუა დინებისა და მისი მარცხენა შენაკადის მელრაგეტის ხეობებში. გავარის ცენტრი იყო ქალაქი მუში (თანამედროვე თურქეთის ტერიტორია). კორიუნი ერთგან „ტარონის გავარს“ («Տարոնասկան գավառ») უწოდებს, მეორედ კი – „ტარონის ოლქად“ («նահանգ Տարոնոյ») მოიხსენიებს.
52. **ჰაცეკაცი** (*სომხ.* Հացեկաց, Հասիկ, Հացիկ) – ისტორიული სოფელი დიდი სომხეთის ტურუბერანის ქვეყნის ტარონის გავარში. სომხური ისტორიოგრაფიის თანახმად, აქ დაიბადა მამტოცი, ამიტომ იგი წმინდა ადგილად ითვლებოდა. მას ხშირად სტუმრობდნენ ხოლმე სომეხი მომლოცველები.
53. თხზულებაში ვარდანს „ნეტარი“ («սուռն երանելոյ») ეწოდება. ჰრ. აჭარიანის აზრით, ეს ნიშნავს, რომ თხზულების დაწერის დროს ვარდანი უკვე გარდაცვლილი უნდა ყოფილიყო (Աճառոյան 1968: 70). მკვლევართა უმრავლესობა მამტოცს წარჩინებულთა, მამიკონიანთა გვარის წარმომადგენლად მიიჩნევს (Գաթրժճեանց 1852: 523; Էմին 1870: 42-46; Խալաթեան 1883: 4); გ. ფნტგლიანი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და შენიშნავს, მამტოცი რომ მამიკონიანთა გვარიდან ყოფილიყო, კორიუნი ამას აუცილებლად აღნიშნავდა, მით უფრო, კორიუნის გადმოცემით, საჰაკმა ახალი მწიგნობრობის შესასწავლად მამიკონიანთა გვარის წარმომადგენლები შეკრიბაო (Ֆնտղեան 1930: 94) გ. ფნტგლიანის აზრით, „ნეტარად“ სასულიერო პირებს მოიხსენიებდნენ, ამიტომ მამტოცის მამა, ვარდანი, შესაძლოა, მღვდელი იყო. თხზულების შემცველ ხელნაწერთა ადრინდელ ნუსხებში ვარდანთან მიმართებით „კაცი ნეტარის“ («սուռն երանելոյ») ნაცვლად წერია „კაცი გამოჩენილი“ («սուռն երևելոյ»), რაც, ჩვენი აზრით, აბათილებს გ. ფნტგლიანის ამ მოსაზრებას. მამტოცის კეთილშობილთა გვარიდან წარმომავლობასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები მხოლოდ ვარაუდებია, მამტოცის ბიოგრაფი ამის შესახებ არაფერს გვამცნობს.
54. **არშაკუნიანები** (*სომხ.* Արշակունիներ) – სამეფო დინასტია სომხეთში (62-428 წწ.), პართელ არშაკიდთა უმცროსი შტო. დააარსა პართიის მეფე ვალარშ I-ის ძმამ თრდატ I (62, 66-78 წწ.). თავდაპირველად სომხეთში ტახტის პრეტენდენტს რომის იმპერატორის ნებართვით პართია აგზავნიდა. პართელი არშაკიდების დაცემის შემდეგ კი, როდესაც ირანში სასანიანები გამეფდნენ, სომხეთის მეფემ ხოსროვ I-მა არ სცნო ისინი და სომეხ არშაკუნიანთა ხელისუფლება მას შემდეგ მემკვიდრეობითი გახდა. თრდატ III დიდის (298-330 წწ.) მეფობის პერიოდში სომხეთში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა (301 წ.). არშაკუნიანი მეფეები იბრძოდნენ ცენტრიდანული მოძრაობების წინააღმდეგ და

- ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ უშედეგოდ. 387 წ. დიდი სომხეთი ირანსა და ბიზანტიას შორის გაიყო და მათ დაქვემდებარებაში მოექცა. 428 წელს კი არშაკუნიანების ხელისუფლება დაეცა (Začpaṙadhošjan 1976: 107-108:).
55. სამეფო კარი – სამეფო სასახლე. ხელნაწერების ერთ ჯგუფში „კარის“ («ի դուռն») ნაცვლად წერია „გავარი“ («ի գավառն»), რაც მიუთითებს არარატის გავარზე (Աբელიან 1981: ბან. 52).
56. ათასისთავი (*სომხ.* «հազարապետ») – უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობა სომხეთსა და სპარსეთში, დიდი ვეზირი; ათასი ჯარისკაცისგან შემდგარი ჯარის მეთაური; სასანიდების პერიოდში იყო სამეფო მოხელე, რომელიც აგროვებდა გადასახადებს და სპარსეთში გზავნიდა. ათასისთავი იყო ასევე სამეფო კარის ეკონომიკურ საქმეთა მმართველი.
57. ჰრ. აჭარიანს სარწმუნოდ მიაჩნია კორიუნისა და ლაზარე ფარპელის ცნობა არავანის ათასისთავობის დროს მაშტოცის სამეფო კარზე მსახურების შესახებ (Աճառյան 1958: 79-80; Աճառյան 1942: 205); ჰ. მანანდიანის აზრით, კორიუნის პირვანდელ ტექსტში აღნიშნული უნდა ყოფილიყო ისიც, რომ მაშტოცი სომხეთის მეფის ხოსროვ III-ის (384-389 წწ.) სამეფო კარზე მსახურობდა ათასისთავი არავანის ხელმძღვანელობით (Манандян 1941: 12; Մանասյան 1957: 250). ა. მუშელიანის მტკიცებით, არავან ათასისთავი იგივე ვაჰან მამიკონიანია, მხედართმთავარ ვასაკ მამიკონიანის ძმა (Մուշեղյան 1983: 67-76:).
58. თხზულების თანახმად, მაშტოცი სამეფო კარზე სამხედრო საქმეებს განაგებდა: „იგი ღრმად ჩახედული და მცოდნე იყო საერო საქმეებისა, სამხედრო ხელოვნების გამო სასურველი გახდა თავის ჯარისკაცთათვის“. კორიუნის ცნობა, რომ ახალგზარდა მაშტოცი სამეფო კარის მდივანი გახდა და სამხედრო საქმეებს მართავდა, აფიქრებინებს მ. აბელიანს, რომ მაშტოცი კეთილშობილთა გვარიდან უნდა ყოფილიყო და არა დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი (Աբელიან 1981: 8; Աբელიან 1941: 48ა).
59. ტექსტის ახალ სომხურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე მთარგმნელებმა «հարկանէր զիշխանացն սպասաւորութիւնսն» - ეს ფრაზა გაიგეს როგორც „მთავართა მსახურებას აღასრულებდა“ (Աբელიან 1981: 85, 201, 275). «հარկანէր» ზმნის საწყისი ფორმაა «հարկանէլ», რაც ნიშნავს „1. დარტყმას, ცემას, დამსხვრევას, ზიანის მიყენებას, გადაგდებას, ძირს დაცემას; 2. შესრულებას“. ჩვენ არ ვიზიარებთ ზემოთ აღნიშნულ თარგმანს, ვფიქრობთ, აქ მაშტოცის მიერ საერო ცხოვრების დატოვებაზეა საუბარი და არა მთავართა მსახურებაზე. ჩვენს მოსაზრებას მხარს უჭერს 1774 წლის ხელნაწერის ვარიანტული (ც ვარიანტი) წაკითხვა, სადაც წერია «առ ունն հարկանէր» - „ფეხქვეშ გათელა“. ამას მოწმობს მომდევნო თავის შინაარსიც, როდესაც მაშტოცმა უარი თქვა ამქვეყნიურ სურვილებზე და

- ასკეტურ ცხოვრებას შეუდგა: «მსქსანსაჲ აჲსიღესთუ ქიქსანსაჲსი განსიქიქსანს» – „შემდგომ განიძარცვა წარჩინებულის სურვილები“.
60. „წარჩინებული“ - «ქქსანსაჲსი» – ეს არ არის სომხური ტერმინი, ხელოვნურად უნდა იყოს შექმნილი. კომპოზიტის შემადგენელი ნაწილებია: «ქქსანს»-„მთავარი“, «სქი»<«სქიქ» „მატარებელი“<„ტარება, ტვირთება“. ეს ტერმინი მხოლოდ ჰაიკაზიანის ლექსიკონში გვხვდება და ისიც კორიუნის თხზულებიდან არის შესული, სხვა სომხურ წყაროში არ დასტურდება (Ա.Լ.Խիქեան... 1836: 865:).
61. „მძოვრობა“ – ბალახის ჭამა; „მძოვარი“ – მონაზონი (ვეგეტარიანელი) (სარჯველაძე 2001: 159); განდევილობის ერთ-ერთი ფორმა, როდესაც ასკეტი მხოლოდ მცენარეულით იკვებება. «բանջարաճաշակութիւն» – „მხლისა ჭამა“ (აბულაძე 2014: 540).
62. **გოლთნის გავარი** (*სომხ.* Գոլթն, Գաղթասկան, Գաղթան, Գոլթանց գալթան) – მდებარეობს დიდი სომხეთის ვასპურაკანის მხარეში, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. არაქსის მარცხნივ. ადრეულ და შუა საუკუნეებში წარმოადგენდა ცალკე სანახარაროს, რომელიც ზოგჯერ სივნიეთის შემადგენლობაში შედიოდა. ამჟამად შედის თანამედროვე ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ნაწილობრივ მოიცავს განძის რაიონებს.
63. **შაბითი**, იგივე **შაბათი** (*სომხ.* Շաբիթ/Շաբաթ) - გოლთნის მთავარი V საუკუნეში, რომელიც დაეხმარა მამტოცს გოლთნის გავარში წარმართობის ნაშთების განადგურებასა და აღმოფხვრაში.
64. **მართა მხარე**, **მართა ქვეყანა** (*სომხ.* Մարտց աշխարհ) – იგულისხმება მდ. არაქსის სამხრეთით მდებარე მთიანი ყარაბაღი, რომელიც შედიოდა ძველი სომხეთის ვასპურაკანის ოლქის შემადგენლობაში, პარსკატუნისა და მარანდის გავარები. ძველად აქ მარები მოვიდნენ და დასახლდნენ, ამიტომაც ამ მხარეს „მართა ქვეყანა“ ეწოდა. ძველი ავტორები ქრისტიანი მქადაგებლების მიერ დევნილ ქურუმებს და კერპთმსახურებს „დევებსა და ეშმაკებს უწოდებდნენ“ (Աբելյան 1981: ბან. 55).
65. შდრ. „რამეთუ მწუხარებაჲ არს ჩემდა დიდი და მოკლებული საღმობაჲ გულისა ჩემისაჲ“ (რომ. 9:2) (მოწენიძე... 1974: 46).
66. **საჰაკ პართელი პაჰლავუნი**, **დიდი საჰაკი**, **წმ. საჰაკი** (*სომხ.* Սահակ Ա Պարթև) (348-439) – სომხური სამოციქულო ეკლესიის მე-10 კათალიკოსი (სრულიად სომეხთა კათალიკოსი 387 წლიდან). ნერსე I დიდისა და ტარონის მთავრის, ვარდან მამიკონიანის ქალიშვილის, საჰანდუხტის ვაჟი. სომხეთის მეფე, ხოსრო III-სთან ერთად დიდ წვლილი შეიტანა დიდი სომხეთის ერთიანობის აღდგენაში. ხოსრო III-ის ტახტიდან ჩამოგდებისა და ექსორიის

შემდეგ საჰაკიც ჩამოაშორეს საკათალიკოსო ტახტს (389 წ.). ვრამშაპუკ მეფის მცდელობით საჰაკი ისევ დააბრუნეს ტახტზე. შემდგომში სპარსეთის მეფე, ვრამ (ბაჰრამ) V-ის მიერ იქნა განდევნილი. გარდაიცვალა 439 წელს, დაკრძალულია ბაგრევანდის გავარ სოფელ ბლოცაცში, ტარონის აშტიშატში. საჰაკ პართელი იყო ცნობილი საეკლესიო, პოლიტიკულ-საზოგადოებრივი და კულტურული მოღვაწე. მისი სახელით ჩვენამდე მოაღწია კანონიკურმა თხზულებებმა და წერილებმა. კორიუნის თხზულების მიხედვით, საჰაკ კათალიკოსი იყო თანამოღვაწე მაშტოცისა, უშუალოდ მონაწილეობდა ბიბლიის სომხურ ენაზე თარგმნაში. ლაზარე ფარპელის „ისტორიაში“ კი საჰაკ კათალიკოსი სომხური დამწერლობის შექნასა და მთარგმნელობით საქმიანობაში მთავარ ფიგურად წარმოგვიდგება (Տէր-Մկրտչյան... 1904: 14-18).

67. კრების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ვარაუდები და მოსაზრებებია გამოთქმული. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. გამოკვლევა – „კორიუნის თხზულების ისტორიული და გეოგრაფიული რეალიები“.
68. **ვრამშაპუკი** (*სომხ.* Վրամշապուկ) (გარდ. 414) – სომხეთის არშაკუნიანი მეფე 389 ან 400 წლიდან. ტახტზე ავიდა ხოსრო IV-ის შემდეგ. ტახტის მპყრობელი იყო ქვეყნის შედარებით მშვიდობიან პერიოდში, მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებდა როგორც სასანიდურ სპარსეთთან, ასევე ბიზანტიასთან. დაახლ. 404 წელს იგი შუამდინარეთში გაემგზავრა, შუამავლის როლს ასრულებდა სპარსულ-ბიზანტიურ დაპირისპირებაში. იქ მან სომეხი და სირიელი მოღვაწეებისგან შეიტყო სომხური ასო-ნიშნების შესახებ, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სომხური მწიგნობრობის ჩამოყალიბებაში. ვრამშაპუკ მეფე დიდ დახმარებას უწევდა სომხეთის კათალიკოს საჰაკს და მაშტოცს სომხური ანბანის შექმნისა და გავრცელების საქმეში. ვრამშაპუკმა შეძლო ასევე დიდი სომხეთის ორი ნაწილის გაერთიანება. იგი დიდად უწობდა ხელს სომხეთში განათლებისა და კულტურული ცხოვრების აღორძინებას.
69. ჯ. მარკვარტი დანიელ ასურს აიგივებს არზნის ეპისკოპოს დანიელთან, რომელიც 410 და 424 წლების ქტესიფონის საეკლესიო კრებებში მონაწილეობდა. ნ. აკინიანი კორიუნის ტექსტში «Եպիսկոպոս սգնուսականի»-ს [„პატრიოსანი ეპისკოპოსი“] წაკითხვას ასწორებს «Եպիսկոպոս Արզնական»-ად [„არზნელი ეპისკოპოსი“]. არზნის გავარი, რომელიც აღმნიქის შემადგენლობაში იყო, 363 წელს ბიზანტია-სპარსეთის ხელშეკრულებით, სპარსელთა ბატონობის ქვეშ გადავიდა. ასევე უნდა მომხდარიყო ქტესიფონის კათალიკოსთან დაკავშირებითაც. მეცნიერი ამგვარად ხსნის სირიელი ეპისკოპოსის სომხურ გავარში

- ყოფნას. სომეხი მღვდელი, აბელი, რომელიც, თხზულების მიხედვით, დანიელ ეპისკოპოსთან დაახლოებული პირი იყო, სწორედ ამ გავარში უნდა ყოფილიყო (Մարկկարս 1911: 633). ნ. აკინიანის აზრით, აბელი სირიელი იყო და არა სომეხი (Աსկինեան 1949: 181-182).
70. დანიელის ანბანთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებები არსებობს: მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ დანიელის ანბანი სომხური იყო და ამ ანბანით თარგმანებს ასრულებდნენ. მეორე ნაწილის ვარაუდით, თითქოს დანიელის ანბანი წარმართული დროის ძველი სომხური გრაფემები იყო, ქრისტიანობის ეპოქაში კი დავიწყებას მიეცა და მის ნაცვლად ბერძნულ და სირიულ ანბანს იყენებდნენ. ზოგი მეცნიერი ფიქრობს, რომ დანიელის ანბანს ხმოვნები არ ჰქონდა. მ. აბელიანი უარყოფს ყველა ამ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ თხზულებაში მსგავსი არაფერი წერიაო. მისი აზრით, მამტოცის ანბანზე უწინარეს თუკი მართლაც არსებობდა სომხურ ენაზე რაიმე დაწერილი, ეს უნდა ყოფილიყო არა სომხური ანბანით, არამედ სხვა დამწერლობით შესრულებული (Աբელიან 1981: 12-16).
71. თხზულების ხელნაწერთა ნუსხებში «գութալ»-ს [„ადმოჩენილი, ნაპოვნი“] ნაცვლად წერია «գրեսալ» [„დაწერილი“] - «Որոյ [Դանիէլի] յանկարծ ուրեմն գրեսալ նշանագիրս աղիպեստաց հայերէն լեզուի: Եւ իբրև պատմեցաւ նոցա յարքայէ վասն գրելոյն ի Դանիէլէ» [„რომელმაც მოულოდნელად დაწერა სომხური ენის ანბანის ასო-ნიშნები. და როდესაც მეფემ უამბო მათ დანიელის მიერ დაწერილი [გრაფემების] შესახებ...“] 1774 წლის ხელნაწერში (რომელიც მ. აბელიანის გამოცემაში *с* ლიტერით არის აღნიშნული) გვხვდება «էր գრესაլ» - „დაწერილი იყო“. ამის მიხედვით გამოდის, რომ დანიელმა შემთხვევით დაწერა, შექმნა ასო-ნიშნები. მ. აბელიანმა «գրեսալ» გადამწერების შეცდომად ჩათვალა, მართებულად მიიჩნია «գութալ» - „ადმოჩენილი“ და ასევე შეიტანა ძირითად ტექსტში, «գրესալ» - „დაწერილი“ კი ვარიანტულ სხვაობად წარმოადგინა (შდრ. Աբელიան 1981: შენ. 58).
72. «հրովարտասկ» – დაწერილი, წიგნი, ჰროარტაკი (აბულაძე 2014: 1027); ოფიციალური სამეფო წერილი, ბრძანებულება (Ղազարեան 2000: 102).
73. თხზულების თანახმად, დანიელის ანბანი სომხეთში მოიტანეს ვრამშაპუჰის მეფობის მეხუთე წელს, *ორი წელი* ასწავლიდნენ ამ ანბანით და მიხვდნენ, რომ სომხური ენისთვის არ გამოდგებოდა. მამტოცი კვლავ ვრამშაპუჰის მეფობის *მეხუთე წელს* ახალი ანბანის საძიებლად შუამდინარეთში გაემგზავრა. შუამდინარეთში მან ახალი ანბანი შექმნა და ვრამშაპუჰის მეფობის *მეექვსე წელს* სომხეთში დაბრუნდა. ქრონოლოგიურმა აღრევამ სამეცნიერო წრეების დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. სომეხი მეცნიერები ცდილობდნენ,

გაემართლებინათ ეს უზუსტობა და ამისთვის სხვადასხვა ინტერპრეტაციებს მიმართავდნენ. მეცნიერთა ერთი ნაწილი გადამწერის შეცდომად თვლიდა ორჯერ დასახელებულ „ვრამშაპუკის მეხუთე წელს“, ნაწილი კი „ორი წლის“ ნაცვლად „ორ თვეს“ ასახელებდა. არსებობდა მოსაზრება, რომ მაშტოცის მიერ შექმნილი ახალი ანბანი სომხეთში ვრამშაპუკის მეთექვსმეტე წელს მოიტანეს, იხ. გამოკვლევა „კორიუნის თხზულების ისტორიული და გეოგრაფიული რეალიები“.

74. սիւղբայ ბերძ. მარცვალი, სილაბები.

75. იხ. შენ. 73.

76. მ. აბელიანის განმარტებით, „არამის“ სახელით წმინდა წერილში ასურეთი მოიხსენიება. ეს სახელი შუამდინარეთსა და სირიაზე ვრცელდება. ამ ქვეყნების ხალხები არამელებად რომ იწოდებოდნენ, ეს ნოეს შვილის, სემის მეშვიდე ვაჟის, არამის სახელიდან უნდა მომდინარეობდეს. არამეული ენა, უძველესი დროიდან მოყოლებული, განსაკუთრებით სპარსელთა ბატონობის დროს არაბთა დაპყრობებამდე, წინა აზიის საკომუნიკაციო ენას წარმოადგენს. შუამდინარეთის არამეული დიალექტებიდან ედესისა და მწბინის (ნისიბინი *ხ.გ.*) დიალექტები სამწერლობო ენა ხდება და იწოდება ასურულად (Աքեղյան 1981: შენ. 60).

77. **ედესა** – ქალაქი ჩრდილოეთ შუამდინარეთში, მდინარე ევფრატის აღმოსავლეთით. ძველ და შუა საუკუნეებში ქალაქს ედესა ეწოდებოდა, სომხურ წყაროებში ურჰას ან ურფას სახელითაც აღინიშნება. ერთ დროს მნიშვნელოვან პოლიტიკურ, რელიგიურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. აქ ფუნქციონირებდა მაღალი დონის სკოლა – სემინარია. ცნობილი იყო თავისი საეპისკოპოსოთი, ეკლესია-მონასტრებითა და ციხეებით. ედესის არამეული დიალექტი საფუძვლად დაედო სირიულ ენას (იხ. შენ. 76).

78. **ამიდი** – ქალაქი ჩრდილოეთ შუამდინარეთში, ახლანდელი დიარბექირი.

79. მეცნიერები „ბაბილას“ წაკითხვას გადამწერთა შეცდომად თვლიან, რადგან ამ პერიოდის ედესაში ბაბილას სახელით ეპისკოპოსი არ გვხვდება. მის ნაცვლად ეპისკოპოსად ცნობილი ღვთისმეტყველი და საეკლესიო მოღვაწე, რაბულა (412-435) უნდა ყოფილიყო. ამის გათვალისწინებით მაშტოცისა და რაბულა ეპისკოპოსის ედესაში შეხვედრას 412 წლის შემდეგ ვარაუდობენ. ეს კი ეწინააღმდეგება სომხური მწიგნობრობის საწყისად საყოველთაოდ მიღებულ დათარიღებას (405/406). მკვლევართა ნაწილს კორიუნთან დასახელებული ედესის ეპისკოპოსად ბაქიდასი ან პაკიდასი (398-408) მიაჩნია, იხ. გამოკვლევა „კორიუნის თხზულების ისტორიული და გეოგრაფიული რეალიები“.

80. აკაკი (აკაკიოსი) – ამიდის ეპისკოპოსი (400-425), მესოპოტამია (თანამედროვე თურქეთის ტერიტორია), მოღვაწეობდა აღმოსავლეთ რომის იმპერატორ თეოდოსი II-ის (401-450) დროს. ნ. აღონცი და ჰ. მანანდიანი აკაკის ეპისკოპოსად დანიშვნის თარიღად 419/420 წელს ასახელებენ, რასაც არ ეთანხმება ე. ტერ-მინასიანი (Step-Մինասյան 1964: 28-29).
81. ხელნაწერების არც ერთ ნუსხაში ამ ადგილას ქალაქი ედესა არ დასტურდება. გამომცემელმა ძირითად ტექსტში აღადგინა ქალაქის სახელწოდება და ამას თავისი ახსნა მოუძებნა: „ტექსტს აკლია ქალაქი ედესა, რომელიც აუცილებლად უნდა ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმავე წინადადებაში გაუგებარი რჩება „იქ“ [ანსიქ] სიტყვის არსებობა. გეოგრაფიული მდებარეობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მაშტოცი ჯერ ამიდში, შემდეგ – ედესაში უნდა მისულიყო, იქიდან კი სამოსატში უნდა წასულიყო. ამიტომ ნაკლებად ადგილას ედესა უნდა იგულისხმებოდეს და არა ამიდი“ (Աբեղյան 1981: შენ. 64).
82. **სამოსატი** (ცნობილია როგორც შამუშატი, ამჟამად სამსატი (თურქეთში) – უძველესი ქალაქი კომაგენეში, მდებარეობს მაღლობზე, მდ. ევფრატის მარჯვენა სანაპიროზე. ასურეთის ლურსმულ წარწერებში მოხსენიებული კუმახას სახელმწიფოს დედაქალაქი კუმახა (კუმაჰა) სამოსატთან არის გაიგივებული. ტიგრან II დიდის და არტავაზდ II-ის დროს ქალაქი დიდი სომხეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. 72 წელს რომის იმპერიამ სამოსატი (კომაგენესთან ერთად) თავის დაქვემდებარებაში მყოფ სირიას შეუერთა. სამოსატი ცნობილია, როგორც მდიდარი ქრისტიანული წარსულისა და ტრადიციების მქონე ქალაქი. სამოსატი ბერძნული და სირიული მწიგნობრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. თხზულების თანახმად, მაშტოცმა მოწაფეები ბერძნულისა და ღვთისმეტყველების შესასწავლად სამოსატში გაგზავნა.
83. იხ. „რაჟამს მოიქცე და სულთ-ითქუნე, მაშინ სცხონდე, და სცნა სადა-იგი იყავ“ (ესაია 30:15) (ბიბლია... 2017: 2508).
84. სომხური ანბანის განლაგება ბერძნულისას შეესაბამება. სომხურისთვის დამახასიათებელი გრაფემები, რომლებიც ბერძნულ ანბანს არ მოეპოვება, ანბანის შიგნით არის ჩამატებული.
85. ტექსტში წერია «հրաժարեալ յեսլիսկուպուսացն սրբոց» - „დაემშვიდობა წმინდა ეპისკოპოსებს“, რაც მ. აბელიანმა გაასწორა «հրաժարեալ յեսլիսկուպուսէն սրբոյ» - „დაემშვიდობა წმინდა ეპისკოპოსს“, ანუ ბაბილასს (ან რაბულასს). წინააღმდეგ შემთხვევაში, მ. აბელიანის აზრით, გამოდის, რომ ედესაში ერთზე მეტი ეპისკოპოსი იყო. თუმცა ამ ფრაზის გასწორების აუცილებლობას ვერ ვხედავთ, რადგან მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებების ერთ-ერთი მთავარი და ხშირი მოთხოვნა იყო, რომ ეპისკოპოსებს არ

ევლოთ სხვა ქალაქებში. ასეთი აკრძალვა გვიჩვენებს, რომ ეპისკოპოსები ხშირად გადაადგილდებოდნენ ერთი ქალაქიდან მეორეში. ამდენად, მამტოცი შესაძლოა ედესაში ერთზე მეტ ეპისკოპოსსაც შეხვედროდა (შდრ. ოქსფორდის 1981: შენ. 69).

86. **ჰროფანოსი** – V საუკუნის ბერძენი კალიგრაფი, მწერალი. თხზულების თანახმად, იგი დაეხმარა მამტოცს ახლადშექმნილი სომხური გრაფემების დამუშავება-დახვეწაში. ჰროფანოსმა შექმნა გრაფემების „ყველა სახესხვაობა – წვრილი და მსხვილი, მოკლე და გრძელი, ცალკეული და ორმაგი“. სომხური სიტყვა «կიქსალორ»-ის [„ორმაგი“] ნაცვლად ხელნაწერებში გვხვდება «კიქსაჟაჟ», რაც ნიშნავს ორი ბგერის შეერთებას. ასეთი სომხურში მხოლოდ «nl» [უ] დიფთონგია, რომელიც მარტივი ხმოვნის მსგავსია და ბერძნული ია-ს მიხედვით იწერება. ყველა დანარჩენი გრაფემა „ცალკეულია“. ჰროფანოსს მოსე ხორენელი რუფინუსის სახელით მოიხსენიებს (შდრ. ოქსფორდის 1981: შენ. 71).
87. **ჰოვჰან ეკელეცელი (ეკელეცელი)** (*სომხ.* Հովհան Եկեղեցացի) – (IV ს. ბოლო, დიდი სომხეთის ეკელელთა გავარი – V ს. დასაწყისი, დაკრძალულია მუშის სამოციქულო მონასტერში), მამტოცის მოწაფე და თანამოღვაწე, მთარგმნელი, მემატანე. იგი ახლდა მამტოცს სირიაში ყოფნისას. სამოსატში, ბერძენ კალიგრაფ ჰროფანოსთან გამგზავრებისას, მამტოცმა თან წაიყვანა ჰოვჰან ეკელეცელი და ჰოვსეფ პალანელი. სამოსატში ანზანის სრულყოფის შემდეგ ჰოვჰანი მონაწილეობას იღებდა ბიბლიის თარგმნაში. 406 წელს იგი სომხეთში დაბრუნდა და აქტიურ მქადაგებლობით და მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა.
88. **ეკელელთა გავარი** (*სომხ.* Եկեղյաց, Եկեղեց) – დიდი სომხეთის ტერიტორია. ანტიკური ხანის ისტორიკოსები ამ გავარს ეკელესენეს ან აკილისენეს სახელით მოიხსენიებდნენ. ამჟამად წარმოადგენს ერზნკას გავარს (Հակոբյան... 1986: 177-178).
89. **ჰოვსეფ პალანელი** (*სომხ.* Հովսեփ Պալանացի) – V საუკუნის საეკლესიო მოღვაწე, მთარგმნელი, მამტოცის ერთ-ერთი უფროსი მოწაფე. სომხური ანზანის შექმნის მიზნით სირიაში მამტოცთან ერთად გაგზავნილი გუნდის წევრი იყო. ჰოვჰან ეკელეცელთან ერთად შეასრულა ბიბლიის პირველი თარგმანები – დაიწყო სოლომონის იგავებით. ჰოვსეფ პალანელი თავისი მასწავლებლის მითითებით კვლავ გაემგზავრა სირიაში, საეკლესიო მამათა სწავლანი სომხურად რომ გადმოეთარგმნა. სირიიდან ეზნიკ კოლბელთან ერთად წავიდა კონსტანტინოპოლში ბერძნული ენის დასაუფლებლად. იქ მათ შეუერთდნენ ლევონდ ხუცესი და კორიუნნი. სამშობლოში დაბრუნებისას თან მოიტანეს ბიბლიის ბერძნული თარგმანის საუკეთესო ნუსხა და ნიკეისა და ეფესოს მსოფლიო კრებათა კანონები (431 წლის შემდეგ).

90. **პაღნატუნი ან პაღანელთა სახლი** (*სომხ. Պաղնատուն*) – პაღნა გავარი მეოთხე სომხეთში (წოფქში) შედიოდა, ჰქონდა პაღინის სახელით ციხე, ახლანდელი ბალუს ციხის ჩრილოეთ-დასავლეთით.
91. „იგავნი სოლომონისი“ – დამოდღვრითი ხასიათის ბიბლიური წიგნია. სათაურის მიუხედავად, სოლომონ მეფეს იგავთა ნაწილს მიაკუთვნებენ. კორიუნის ცნობით, მაშტოცმა მთარგმნელობითი საქმიანობა იგავებით დაიწყო.
92. შდრ. „ცნობად სიბრძნისა და სწავლულებისა, და ცნობად სიტყუათა გონიერებისათა“ (იგავ. 1: 2-3) (ბიბლია... 2017: 2086).
93. ნორქალაქი (*სომხ. Նոր Բաղաք*) – მდებარეობდა დიდი სომხეთის აირარატის ოლქის არაგაწოტნის გავარში. ქალაქი ვაღარშაპატი, რომელიც იმ დროს დედაქალაქი იყო.
94. იხ. შენ. 73.
95. **სინას მთა** – მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულზე. ბიბლიის მიხედვით, ღმერთი სინას მთაზე გამოეცხადა მოსეს, რომელსაც ისრაელის ხალხი ეგვიპტიდან აღთქმული მიწებისკენ მიჰყავდა და ათი მცნება გადასცა. მოსეს სინას მთიდან ჩამოსვლისას ხელში ეჭირა ორი ფიცარი, რომელზეც მცნებები ეწერა. მოსეს მთაზე ყოფნის დროს ხალხი ღმერთს განუდგა, ოქროსაგან კერპი აღადგინეს და თაყვანს სცემდნენ. ამის გამო ღმერთმა მათთვის აღთქმულ ქვეყანაში შესვლა 40 წლით გადადო და მათ სინას უდაბოში ხეტიალი მიუსაჯა.
96. **რაჰ** (*სომხ. Ռահ*) – მდინარე სომხეთის მთიანეთში, არაქსის აუზში. რთულია დადგენა, დღესდღეობით რომელ მდინარეს შეესაბამება. ზოგი აიგივებს მდ. არაქსთან, ზოგი კი – მდ. ქასალთან. სხვები თვლიან, რომ მდ. რაჰი ახურიანის ერთ-ერთი შენაკადია. დასტურდება მხოლოდ კორიუნის ნაწარმოებში, რომლის თანახმად, მდ. რაჰის ნაპირთან დახვდნენ შუამდინარეთიდან დაბრუნებულ მაშტოცს. კორიუნის აღწერით, მდ. რაჰი დედაქალაქ ვაღარშაპატთან ახლოს მიედინებოდა.
97. **მართა მხარე, მართა ქვეყანა** – იხ. შენ. 64.
98. ხელნაწერებშია «ბնուսդუ կաგուგანსქის» - „შობილებად აქციეს“. მ. აბელიანმა ტექსტი გაასწორა და შეცვალა ნ. ბიუზანდაცის მიხედვით – «ბანოჟუ კაგուგანსქის» – „მცოდნეებად აქციეს“. თარგმანში ჩვენც ასევე დავტოვეთ (Աբելյան 1981: შენ. 81).
99. შდრ. „და მრქუა მე უფალმან: მოიღე თავისა შენისა ქარტად გრაგნილი ახალი დიდი, და დაწერე მას ზედა საწერელითა კაცისადთა...“ (ესაია 8:1) (ბიბლია... 2017: 2475).
100. შდრ. „აწ უკუე დაჯედ და დაწერე ფიცართა წიგნსა, რომელსა იყოს ესე დღედმდე და ჟამამდე, ვიდრე უკუნისამდე (ესაია 30: 8) (ბიბლია... 2017: 2508).

101. შდრ. „დაიწერენ ესე ნათესავად სხუად, ერი დაბადებადი აქებდინ უფალსა (ფსალ. 101:19) (ბიბლია... 2017: 1985).
102. შდრ. „უფალი მიმოდაითქუა წიგნითა ერისაფთა და მთავართაფთა, რომელნი იყვნეს მას შინა“ (ფსალ. 86: 6) (ბიბლია... 2017: 1961).
103. შდრ. „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაფთა და ძისაფთა და სულისა წმიდისაფთა“ (მათე 28: 19) (შანიძე 1945: 109).
104. შდრ. „და იქადაგოს სახარებად ესე სასუფეველისაფ ყოველსა სოფელსა...“ (მათე 24: 14) (შანიძე 1945: 86).
105. იგულისხმება საჰაკ კათალიკოსი და მამტოცი.
106. იგულისხმება სომხური ენის გრაფემები.
107. ახალქალაქში, ვადარშაპატში.
108. შდრ. „მას დღესა შინა იყოს ყოველი ადგილი წყარო განღებულ სახლსა დავითისსა...“ (ზაქ. 13:1) (ბიბლია... 2017: 2456).
109. იგულისხმება საჰაკ პართელი და მამტოცი, რომლებიც სომხეთის სხვადასხვა ადგილებში ქრისტიანულ მოძღვრებას ავრცელებდნენ.
110. «**წანას**» აღნიშნავს „სამხედრო ლაშქარს“. «Ազատագուհոյ քանასին»-ს შეადგენს სამეფო კარი – მეფე და დედოფალი, ნახარების გუნდი, ათასისთავი და სპასპეტი, სამეფო კარის ეპისკოპოსი (Աբელიან 1981: 90).
111. იგულისხმება **ვარდან მამიკონიანი** (*სომხ.* Վարդան Մամիկոնյան) – V საუკუნის სომეხი მხედართმთავარი, სომხური ჯარის სპასპეტი. ვარდანის მამა იყო ჰამაზასპ მამიკონიანი, დედა კი – საჰაკანუში, საჰაკ კათალიკოსის ერთადერთი ქალიშვილი. 450-451 წლების ავარიის ბრძოლაში ვარდან მამიკონიანი სომეხთა განმათავისუფლებელ მოძრაობას მეთაურობდა. ვარდანი ამ ომში გმირულად დაეცა, ბრძოლას კი სახელად „ვარდანელთა ომი“ ეწოდა.
112. ნორაირ ბიუზანდაცი «**տէր եպիսկոպոս**» - „უფალ ეპისკოპოსს“ საჰაკ კათალიკოსის წოდებად მიიჩნევს (Բիւզանդացի 1900: 148, 20). «**Տէր**» - „ტერ“ ეპისკოპოსების ტიტულად გამოიყენებოდა ადრეც და ახლაც, თუმცა „ტერ“ საკუთარი სახელიც იყო. ლაზარე ფარპელი და მოსე ხორენელი მამტოცის მოწაფეებს შორის „ტერ ხორძენელს“ ასახელებენ, კორიუნი კი მას უწოდებს „ტირაირს ხორძენელთა გავარიდან“ (Աբელიან 1981: შენ. 92).
113. **კაიენაკანი** / «**Կայենասկանք**» – „კაიენის მხარე“ «գաւառն Կայենոյ», «**აქუაჰინ Կայენო**» (მდ. აღსტევის/აღსტავას ხეობაში). კირაკოს განძაკელის თხზულებაში რამდენჯერმე

მოიხსენიება: „კაინაკანი“, „კაინის მხარეები“ ან „კაინის გავარის მოსახლეობა“. შესაძლებელია, კორიუნი სწორედ ამ მხარეს გულისხმობდეს, თუმცა უცნაურია, რატომ გამოჰყო სხვა წარმართული მხარეებისგან და „ტერ“-ის სახელით ერთი ეპისკოპოსი გაგზავნა იქ საქადაგებლად. უფრო მოსალოდნელი იყო, რომ ეს გავარიც მათ რიცხვში შესულიყო, სადაც მამტოცი მოღვაწეობდა. მამტოცი თავის საქმიანობას სხვადასხვა მხარეებში ახორციელებდა: გოლთნში, სივნიეთში, ალბანეთში, გარდმანსა და ტაშირში, სომხეთის ბერძნულ მხარეში, ორჯერ ესტუმრა ქართლს. მეორე მხრივ კი, სრულიად მოულოდნელია, საჰაკ კათალიკოსს დაეტოვებინა აირარატის გავარი, სამეფო კარი, „სამეფო ადგილები“ და „სომხური ლაშქარი“ და საქადაგებლად სომხეთის ისეთ განაპირა მხარეებში წასულიყო, როგორც იყო კაინის გავარი. ამიტომ მ. აბელიანი „კაინაკანში“ ჯარის სადგომს, სამყოფელს ვარაუდობს, „ტერ ეპისკოპოსის“ წოდება კი საჰაკ კათალიკოსს უნდა მიემართებოდეს. თხზულებაში დასახელებული „კაინაკანი“ უნდა ნიშნავდეს სამეფო ჯარის გარნიზონებს, იქნება ეს „სახალხო ლაშქარი“ («нашик воин») თუ „აზნაურთა ჯარი“ («аզнаურთա յար»)». ამდენად, საჰაკ კათალიკოსი აირარატის გავარში, სამეფო რეზიდენციაში იმყოფებოდა და „ჯარის ნაწილებს“ ახალ მწიგნობრობას ასწავლიდა (შდრ. Աբելյան 1981: შენ. 93).

114. თხზულებიდან ჩანს, რომ სომხეთის სხვადასხვა კუთხეებში მოსახლეობა ჯერ კიდევ წარმართული წეს-ჩვეულებების მიმდევარი იყო. მამტოცი დადიოდა ამ ადგილებში და ქრისტიანულ სარწმუნოებას ქადაგებდა. სახარების თანახმად, „ნუუკუე განთესულთა მათ წარმართთა ეგულების მისლვად და სწავლად მუნ წარმართთა“ (იოანე 7:35) (შანიძე 1945: 325; შდრ. Աբելյան 1981: შენ. 94).
115. **ხორმენელთა გავარი** (*სომხ.* Խորմենաճ գավառ) – დიდი სომხეთის ერთ-ერთი გავარი მდ. ევფრატზე. ბერძნულ წყაროებში ხორმიანის გავარი ეწოდება.
116. **მუშე ტარონელი** (*სომხ.* Մուշե Տարոնացի) – მამტოცის მოწაფე, რომელიც მამტოცს გოლთნში ქადაგებისას ახლდა და ეხმარებოდა მას ქრისტიანობის გავრცელებაში.
117. **როტასტაკი** – დასტაკერტი (სოფელი) (*სომხ.* Դաստակերտ) დიდი სომხეთის ვასპურაკანის ოლქის გოლთნის გავარში. თხზულების თანახმად, მამტოცი სწორედ აქ გაჩერდა გოლთნში მისიონერული საქმიანობის განხორციელებისას. აგათანგელოსი როტასტაკის მდებარეობის ადგილად მოიაზრებს ქალაქ ვალარშაპატს. დღესდღეობით სარწმუნოდ ითვლება კორიუნის ცნობა. თხზულებაში ვკითხულობთ: «Երբեք ի իմանիս առ ուսս տասնն Գողթան, յառաջին դաստակերտս իմ», რაც ნიშნავს „წავიდა და ჩავიდა გოლთნის სახლში მთის ძირთან ახლოს,

თავის პირველ მამულში“. ცნობილია, რომ კორიუნის ტექსტიდან ბევრი ადგილი სიტყვა-სიტყვით არის შესული აგათანგელოსის თხზულებაში. აქ ვკითხულობთ: „მივიდა თავის პირველ მამულში, აირარატის გავარის როტასტაკში, ქალაქ ვაღარშაპატში“. ხელნაწერთა წაკითხვები: „ჰოროდასტაკი, ჰროდასტაკი, ჰროიტასტაკი, ჰროტსტაკი, ჰროტოტაკი. კორიუნთან – აროტსტაკი“ (Sᔨp-Մկրտչյան... 1909: 438). კორიუნის „აროტსტაკი“ – ეს ფორმა ორი ხელნაწერის (b-N2639, c-N1891) მიხედვით არის აღებული. „მამტოცის ცხოვრებაში“ «առուսասակ»-ს თავდაპირველად «յ» წინდებული უნდა ჰქონოდა – «յառուսასակს», როგორც ეს აგათანგელოსთან გვხვდება – «յռուսასակს». ნ. ბიუზანდაცი კითხულობს „ჰაროსტაკს“ და მიუთითებს ღ. ალიშანის «Առուսასკ»-ს (Ալիշան 1890: 204a), ხოლო აქ „აროსტაკი“ არ არის. გ. ფნტგლიანმა კორიუნის ტექსტის წაკითხვა გაასწორა და მივიღეთ: „წავიდა და ჩავიდა გოლთნის კარზე თავის პირველ მამულში“, აგათანგელოსის ტექსტს კი ამგვარად ასწორებს: „მივიდა აირარატის გავარის სამეფო ქალაქთან ახლოს, ქალაქ ვაღარშაპატში“ (Ֆնտգլեան 1930: ԺԷ). მ. აბელიანის აზრით, გ. ფნტგლიანის ეს გასწორება მიუღებელია «առ» წინდებულის გამო, რადგან აირარატის გავარის სამეფო ქალაქი და ქალაქი ვაღარშაპატი ერთი და იგივეა, ამიტომ უნდა ყოფილიყო „მივიდა აირარატის გავარის სამეფო ქალაქში, ქალაქ ვაღარშაპატში“. ჰრ. აჭარიანის ლექსიკონში „როტოსტაკი“ («Ռոտոսասակ») განმარტებულია, როგორც მთავარი ქალაქი, გავარის ან ოლქის „დედაქალაქი“ (Աճառյան 1979: 146-147). ნ. მარი „როტასტაკს“ განმარტავს, როგორც „სარწყავ ბაღს ან საზაფხულო რეზიდენციას“. ნ. მარი ამ სიტყვის ეტიმოლოგიას მხოლოდ აგათანგელოსის ცნობის მიხედვით იკვლევს და წერს, რომ როტასტაკი ვაღარშაპატში გრიგოლ განმანათლებლის ბაღი უნდა ყოფილიყო (Mapp 1894; შდრ. Աբելյան 1981: ՁԵՆ. 96).

118. **დასტაკერტი** – აგარაკი, მამული, სოფელი.

119. **შაბათი/შაბითი** – იხ. შენ. 63.

120. **სივნიეთის ქვეყანა** (*სომხ.* Սյունիք, Սյունյաց աշխարհ) – მდებარეობდა დიდი სომხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრებოდა აირარატი, ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით – არცახი, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით – ვასპურაკანი, მოიცავდა სევანის ტბის, მდინარე ოროტნისა და ჰაგარის აუზებს, არფას, ნახიჩევანისა და ერნჯაკის ზემო დინებების რაიონებს. სივნიეთის შემადგენლობაში შედიოდა 12 გავარი, მათ შორის თანამედროვე სომხეთის ზანგეზური, დარალაგიაზი (ახლანდელი ეღეგნამორი და აზიზბეკოვის რაიონები) და გელარქუნიქი

(სევანის ტბის რაიონი). 387 წ., სომხეთის სამეფოს ორად გაყოფის შემდეგ, სივნიეთი სასანიდური სპარსეთის ბატონობის ქვეშ მოექცა.

121. **ვადინაკი** (*სომხ.* Վադինակ) – სივნიეთის მთავარი (V ს.), ანდოვკის ძე, უმცროსი ძმა ბაბიკ სივნიელისა. იგი დაეხმარა მაშტოცს სივნიეთში მწიგნობრობის გავრცელებაში. ვადინაკი თავისმა ძმიშვილმა, ვასაკ სივნიელმა მზაკვრულად მოაკვლევინა და ამგვარად ჩაიგდო ხელში სივნიეთის ხელისუფლება (Աճառյան 1962: 33).
122. **ანანია სივნიელი** (*სომხ.* Անանիա Սյունեցի) – V საუკუნის მოღვაწე, მთარგმნელი, მემატანე. მაშტოცის მოწაფე. საკაკ პართელმა იგი სივნიეთის ეპისკოპოსად დანიშნა (დაახლ. 415 წელს). სტეფანოს ორბელიანის ცნობით, ანანიას საეპისკოპოსო ტახტი დაახლ. 42 წელი ეკურა. არსებობს მოსაზრება, რომ ანანია ხლებია მაშტოცს გოლთნში პირველი ქადაგებისას, მონაწილეობა მიუღია წმ. წიგნის თარგმნასა და ალბანური ანბანის შექმნაში; ალბანურად უთარგმნია რამდენიმე რელიგიური წიგნი. ანანია იყო შაჰაპივანის კრების (444 წ.) მონაწილე, ხოლო აშტიშატის კრებაზე (449 წ.) საეპისკოპოსო რანგში პირველი ადგილი ეკავა. ანანია მთარგმნელის კალამს ეკუთვნის საღვთისმეტყველო შინაარსის ნაშრომები – „სომეხი ვარდაპეტი ნეტარი ანანია – იოანე წინასწარმეტყველის რჩევისათვის“, „იოანე ნათლისმცემლისათვის ანანია ვარდაპეტის მიერ თქმული“, ასევე ფილონ ალექსანდრიელის, ირენეოსის ნაშრომების სომხური თარგმანები (Այվաყյან 2002: 50).
123. „ეკლესიის მემკვიდრეებად“ [«Ժառանգավորք եկեղեցւոյ»] იწოდებოდნენ ის ახალგაზრდები, რომლებიც რელიგიურ განათლებას იღებდნენ და ეკლესიის აღთქმის მემკვიდრეები ხდებოდნენ. ეჩმიაძინში 1883 წლამდე „მემკვიდრეთა სკოლა“ [«Ժառանգավորաց դպրոց»] კი არსებობდა (Աբելյან 1981: შენ. 99).
124. **ვასაკ სივნიელი** (*სომხ.* Վասակ Սյունի (Մարգարյան) (387-454) – სომხეთის მარზპანი 441-451 წლებში. 420-იან წლებში ვასაკი მაშტოცს ეხმარებოდა სომხეთის აღმოსავლეთ ნაწილში სკოლების დაარსებასა და იქ ცოდნის გავრცელებაში. ვასაკმა სპარსეთის სამეფო კარის ნდობით ისარგებლა, 440 წელს იგი ქართლის, შემდეგ კი სომხეთის მარზპანად დაინიშნა. ვარდანელთა ომის დროს (451 წ.) ვასაკ სივნიელი სპარსელების მხარეს გადავიდა, სპარსულ ჯართან ერთად აჯანყების ჩახშობაში მონაწილეობდა, დევნიდა ვარდან მამიკონიანის მომხრეებს, დაატყვევა და სპარსეთში გაგზავნა ნახარარები და სასულიერო პირები. სპარსეთის სამეფო კარი იძულებული გახდა სომხეთში გარკვეულ დათმობებზე წასულიყო, მიმართა შემწყნარებლურ პოლიტიკას, ვასაკ სივნიელი მარზპანის თანამდებობას ჩამოაშორეს, ჩამოართვეს ქონება, შემდეგ კი ქტესიფონში დაიბარეს და სიკვდილით

დასაჯეს. მეცნიერები თვლიან, რომ კორიუნს „მაშტოცის ცხოვრება“ ამ მოვლენებამდე უნდა დაეწერა, სხვაგვარად სომეხი ხალხის მოღალატე ვასაკ სივნიელს ასეთი ეპითეტებით არ შეამკობდა.

125. **ბაკური** – „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, ქართლის მეფე, თრდატ მეფის ძე. „ქართლის ცხოვრების“ მეფეთა სიაში გამოტოვებულია. იოანე რუფუსის (V საუკუნე) „პეტრე იბერის ცხოვრებაში“ მოხსენიებულია ბაკურ დიდი, როგორც პეტრეს იბერის პაპა დედის მხრიდან. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მას მიაწერს ბოლნისის სიონის აშენებას და არმაზის ციხის განახლებას. მკვლევართა ერთი ნაწილი ბაკურის მეფობას IV საუკუნის 80-90-იანი წლებით ათარიღებს, ნაწილის აზრით კი, ბაკური ქართლის სამეფო ტახტზე მეფედ 400-იანი წლების ბოლოს უნდა ყოფილიყო, რომელმაც იმეფა დაახლოებით 410-იანი წლების ბოლომდე. კორიუნის თანახმად, მაშტოცმა ბაკურ მეფის დროს შექმნა ქართული დამწერლობა, ამ ცნობას იმეორებს მოსე ხორენელიც. იოანე რუფუსთან ბაკური ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ არის დასახელებული. როგორც ქართველი მკვლევრები მიუთითებენ, არც ერთი ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება (აბაშიძე 1997: 338.).
126. **მოსე** – „მაშტოცის ცხოვრების“ მიხედვით, ქართლის ეპისკოპოსი V საუკუნის პირველ ნახევარში. მოსეს ეპისკოპოსად ყოფნა სხვა წყაროებით არ დასტურდება. არც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და არც „ქართლის ცხოვრება“ IV-V საუკუნეების მიჯნაზე მოსე ეპისკოპოსს არ იცნობს.
127. **ჯალა (ჯალა)** – თხზულების მიხედვით, იგი დაეხმარა მაშტოცს ქართლში ქართული დამწერლობის გავრცელებაში. ჯალა კარგად ფლობდა ქართულ და სომხურ ენებს, იყო მთარგმნელი მაშტოცსა და ქართველ მოწაფეებს შორის. ჯალას შესახებ ქართული წერილობითი წყარო არ მოგვეპოვება.
128. შერეულ გავარებში იგულისხმება ქართლისა და სომხეთის სასაზღვრო რეგიონები, რომლებზეც ხან ქართლის, ხან კი სომხეთის იურისდიქცია ვრცელდებოდა. ამ რეგიონებში ქართველები და სომხები საუკუნეთა მანძილზე თანაცხოვრობდნენ.
129. შდრ. „დაივიწყე ერი შენი და სახლი მამისა შენისაჲ“ (ფსალ. 44: 11) (ბიბლია... 2017: 1890).
130. „ერთ ხალხად შეკრა“ – ავტორი, ალბათ, იმას გულისხმობს, რომ მაშტოცმა ქართველი ერი ახალი დამწერლობით ენობრივად გააერთიანა.
131. «յորոց և ին անսարժանիս՝ եղևալ ի կարգ եպիսկոպոսութեանսն վիճակ» - „რომელთაგან მეც უღირსს წილად მხვდა ეპისკოპოსობის წოდება“. ამ ფრაზამ არმენოლოგიაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მეცნიერთა ერთი ნაწილი ამ ფრაზის საფუძველზე კორიუნის

ქართველობის დამტკიცებას ცდილობდა, ნაწილი კი მას საქართველოში მცხოვრებ სომხური ეროვნების მქონედ მიიჩნევდა. ნორაირ ბიუზანდაციმ ტექსტში გარკვეული ცვლილებები შეიტანა, ამ შესწორების შედეგად მივიღეთ – «*შირიგ ს კისან არძანსიჲ` ხლსაჲ ი კარგ ხაჲსკიპიუთიჲსაჲს ქიდას*» – „მათ შორის მოიძებნენ ღირსეულნიც, რომელთაც წილად ხვდათ ეპისკოპოსობის წოდება“. ნ. ბიუზანდაცის ეს შესწორება გახდა საფუძველი კორიუნის ქართული წარმომავლობის შესახებ პოლემიკის დასრულებისა. ხელნაწერთა ერთხმა წაკითხვის მიუხედავად, მანუკ აბელიანმა გამოცემაში უკვე შესწორებული ვერსია შეიტანა. მართალია, ნორაირ ბიუზანდაცის შესწორებულ ვერსიას ვეთანხმებით, მაგრამ ვიცავთ ხელნაწერთა წაკითხვას და თარგმანში ტექსტს უცვლელად ვტოვებთ.

132. იგულისხმება **სამოელ I**, რომელიც დაინიშნა ჯერ მცხეთის ეპისკოპოსად, შემდეგ კი – ქართლის კათალიკოსად. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი; ხსენების დღე – ძვ. სტილით 30 ნოემბერი, ახ. სტილით – 13 დეკემბერი. საქართველოს ეკლესიის ტახტზე აღსაყდრდა პეტრე I კათალიკოსის შემდეგ V ს. ბოლოს – VI ს. დასაწყისში. სამოელი ისევე, როგორც პეტრე კათალიკოსი, ბიზანტიელი იყო და მსახურობდა გრიგოლ ნაზიანზელის ეკლესიაში. ვახტანგ გორგასლის მიერ ნაზიანზის აღებისას პეტრესთან ერთად ქართლში წამოუყვანიათ. სამოელ კათალიკოსი ქართლის ეკლესიას განაგებდა მეფე დაჩისა და მისი მემკვიდრის ბაკურის დროს. მის დროს აშენდა წყაროსთავის ეკლესია ჯავახეთში. სამოელი მოხსენიებულია „შუშანიკის წამებაში“ (მეტრეველი 2000: 19-20). კორიუნის თხზულებაში დასახელებული სამოელი „შუშანიკის წამებაში“ აღნიშნულ სამოელ ეპისკოპოსის მსგავსად ტაშირში მოღვაწეობს და მათი გაიგივება თითქოსდა შესაძლებელია. თუმცა კორიუნის ცნობაში საქმე უნდა გვქონდეს ანაქრონიზმთან. დღესდღეობით მიღებული მოსაზრებით, კორიუნმა „მამტოცის ცხოვრება“ 443-451 წლებში დაწერა, სამოელი კი მთავარეპისკოპოსი გახდა 474 წლის, პეტრე კათალიკოსის (467-474 წწ.), შემდეგ, იხ. გამოკვლევა „კორიუნის თხზულების ისტორიული და გეოგრაფიული რეალიები“.

133. სომხეთი 387 წელს ორად გაიყო ორ დიდ მეზობელ სახელმწიფოს – ბიზანტიასა და ირანს – შორის. აღმოსავლეთ სომხეთი სპარსეთის მეფეთ-მეფის ბატონობის ქვეშ მოექცა, თუმცა 428 წლამდე არშაკუნიანი მეფე ჰყავდა. დასავლეთ სომხეთი ბიზანტიის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. სომხები ამ ნაწილს ბერძნულ მხარეს უწოდებდნენ, რადგან სახელწმიფო ენა ბერძნული იყო, ცენტრი კი – ქალაქი კონსტანტინოპოლი. სომხეთის დასავლეთ ნაწილში იმპერატორებმა მალევე გააუქმეს სომხური სამეფო და ქვეყანას მართავდნენ სატრაპები, რომელთაც ასევე სარდლები, სპასპეტები ეწოდებოდათ. როგორც ჩანს, ბერძნულ ნაწილში

მცხოვრებ სომხობას სრული ასიმილაციის საფრთხე ემუქრებოდა. აღმოსავლეთ სომხეთის ხელისუფალნი ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ დასავლეთ ნაწილის სომხებთან მჭიდრო კავშირი და ერთიანობა შეენარჩუნებინათ. სწორედ ამ მიზნით მიავლინეს მამტოცი სომხეთის ბერძნულ ნაწილში ახლადშექმნილი დამწერლობის გასავრცელებლად. თხზულებაში მამტოცის ბერძნულ ნაწილში მისიონერული საქმიანობის აღწერას ვრცელი ეპიზოდი ეთმობა (შდრ. Աբելյան 1981: შენ. 103).

134. „ჩრდილო მხარეებად“ იწოდება სომხეთის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნები, ამ შემთხვევაში ქართლი. „ჩრდილოეთი“ საქართველოს თანაფარდ ცნებად დადასტურებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და ლეონტი მროველისეულ ნინოს ცხოვრებაში. ქართველთა განმანათლებლის მიერ გავლილი გზა ემთხვევა სამხრეთიდან (იერუსალიმიდან) ჩრდილოეთამდე (მცხეთამდე) (შდრ. Աբելյան 1981: შენ. 104; სურგულაძე 1993: 150-160).
135. **თეოდოსიუს II უმცროსი** (401-450) – აღმოსავლეთ რომის იმპერატორი 402 წლიდან, როგორც თანამოსაყდრე თავისი მამისა – არკადიუსისა, 408 წლიდან კი ერთპიროვნული მმართველი. იგი ცნობილია როგორც ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელი. თეოდოსიუს კეისრის დროს კონსტანტინოპოლს შემოავლეს მძლავრი გალავანი, რომელიც „თეოდოსიუსის კედლების“ სახელით არის ცნობილი. 425 წ. გაიხსნა კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტი. 438 წ. გამოიცა თეოდოსიუსის კოდექსი, რომელიც მოიცავდა სისხლის, საეკლესიო და სამოქალაქო სამართალს (Codex Theodosianus). თეოდოსიუს იმპერატორი ნადირობის დროს ცხენიდან გადმოვარდა, ხერხემალი დაიზიანა და მეორე დღეს გარდაიცვალა (ასათიანი 2006: 476).
136. **არკადიუსი** (ფლავიუს არკადიუს ავგუსტუსი) (377-408) – აღმოსავლეთ რომის იმპერატორი 395-408 წლებში, რომის იმპერატორ თეოდოსიუს I-ის უფროსი ვაჟი. მამის სიკვდილის შემდეგ, 395 წელს, იგი ავიდა აღმოსავლეთ რომის იმპერიის ტახტზე, იმპერიის დასავლეთი ნაწილი კი სამართავად მის უმცროს ძმას, ჰონორიუსს ერგო. არკადიუსი 408 წელს გარდაიცვალა, ტახტზე კი მისი არასრულწლოვანი ვაჟი, თეოდოსიუს II ავიდა.
137. **აკუმეტი** – *ბერძ.* ἀκούμητος „მღვიძარეს“ ნიშნავს. ეს იყო ქრისტიანობაში ერთ-ერთი მიმდინარეობა, რომლის დროსაც ბერები მუდამ მღვიძარენი უნდა ყოფილიყვნენ, ეფხიზლათ, რათა მეორედ მოსვლა არ გამოპარვოდათ, უწყვეტად ლოცულობდნენ, კითხულობდნენ ფსალმუნს, ზოგჯერ დრო იყო განაწილებული, რათა კითხვა არ შეეწყვიტათ. ყველაზე აქტიური მართლმადიდებლური მონასტრები იყო აკუმეტური („მღვიძარეთა მონასტრები“). ერთ-ერთი ყველაზე დიდი აკუმეტური მონასტერი იყო კონსტანტინოპოლთან ახლოს, რომელსაც „მღვიძარეთა“ ტიპიკონი ჰქონდა. „ქართლის

- ცხოვრების“ ცნობით, ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტი წარმოიშვა, რის გამოც მეფემ მიქაელი დასასჯელად კონსტანტინოპოლში გაგზავნა. მიქაელი იქ მღვიმარეთა მონასტერში გაამწყესეს (ყაუხჩიშვილი 1955: 196-197).
138. **მელიტინე** – ახლანდელი მალათია, მდ. ევფრატის დასავლეთით, ქალაქ სამოსატის ჩრდილოეთით. IV-V საუკუნეებში შედიოდა რომის აღმოსავლეთ იმპერიის შემადგენლობაში და მცირე სომხეთის ცენტრი იყო.
139. **აკაკი** – მელიტინეს ეპისკოპოსი (419-425), ცნობილი იყო როგორც ნესტორის მოწინააღმდეგე. მას შემდეგ, რაც ეფესოს კრებაზე დაგმეს ნესტორიანობა და მისი მიმდევრები ქვეყნიდან განდევნეს, ნესტორიანების უმეტესობამ თავი სპარსელთა ბატონობის ქვეშ მყოფ ტერიტორიებს შეაფარა. მოვლენების ამგვარი განვითარების გამო მელიტინეს ეპისკოპოს აკაკის საჰაკ პართელისათვის წერილი მიუწერია, აფრთხილებდა მას მწვალებლების შესახებ. საჰაკ კათალიკოსმა მელიტინეს ეპისკოპოსს საპასუხო ეპისტოლე გაუგზავნა და აცნობა, რომ სომხურ მიწაზე მსგავსი ერეტიკოსები არ იყვნენ. კორიუნის თხზულებაში ამ მიმოწერის შესახებ არაფერია ნათქვამი, აკაკის ეპისტოლეები და საჰაკის საპასუხო წერილი „ეპისტოლეთა წიგნმა“ შემოგვინახა, იხ. გამოკვლევა „კორიუნის თხზულების ისტორიული და გეოგრაფიული რეალიები“.
140. **ღევონდ ხუცესი, ღევონდ ვანანდელი** (*სომხ.* Ղևոնդ Վանանդեցի) – V საუკუნის საეკლესიო მოღვაწე, საჰაკ პართელისა და მაშტოცის მოწაფე. ღევონდი 444 წლის შაჰაპივანის საეკლესიო კრების მონაწილე იყო. იგი აქტიურად იყო ჩართული სომეხთა განმათავისუფლებელ ბრძოლაში (ვარდანელთა ომში). ავარიის ბრძოლის (451 წ.) შემდეგ წაიყვანეს ქტესიფონში, ქალაქ ნიუმაპუჰში და თავი მოჰკვეთეს.
141. **დერჯანი** (*სომხ.* Դերձան) – გავარი დიდი სომხეთის ბარძრ ჰაიქის ოლქში. მდებარეობს მდ. ევფრატის ზემო დინებისა და მისი მარცხენა შენაკადის დერჯანის ხეობაში. ჩრდილოეთით ესაზღვრება სპერის, აღმოსავლეთით – კარინის, სამხრეთით – მანანადის, დასავლეთით – ეკელეცის (ეკელეცის) გავარები. აგათანგელოსის თანახმად, გრიგოლ განმანათლებელმა დერჯანში პირველი საეპისკოპოსო დააარსა. 387 წ. სომხეთის გაყოფის შემდეგ დერჯანი ბიზანტიას შეუერთდა, შედიოდა ქვედა სომხეთის (სქეჟინ ჯაჟჟ) შემადგენლობაში.
142. **გინთი (გნითი)** (*სომხ.* Գինթ, Գնիթ) – დერჯანის ეპისკოპოსი (V ს.). კორიუნისა და მოსე ხორენელის ცნობით, იგი ახლდა მაშტოცს კონსტანტინოპოლში მოგზაურობისას, საიდანაც 418 წელს დაბრუნდა (Աճառյան 1942: 478).

143. თხზულების ყველა ხელნაწერ ნუსხაში არის $\chi\alpha\sigma\alpha\rho\iota\omega\tau\iota\varsigma$ -ს წაკითხვა, მ. აბელიანმა შეცვალა $\chi\alpha\sigma\alpha\rho\iota\omega\tau\iota\varsigma$ -ით, რაც „ეტლს“ ნიშნავს (Աբելյան 1981: ბან. 109).
144. **კონსტანტინოპოლი** (*ბერძ.* Κωνσταντινούπολις) – ბიზანტიის იმპერიის, იგივე აღმოსავლეთ რომის იმპერიის დედაქალაქი (თანამედროვე სტამბოლი). იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა (306-337) ახალი ქალაქი დააარსა და 330 წ. რომის იმპერატორის ტახტი იქ გადაიტანა. იმპერიის ახალი დედაქალაქი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი გახდა. ახალ დედაქალაქს მისი დამაარსებლის პატივსაცემად კონსტანტინოპოლი ეწოდა. კონსტანტინოპოლი უდიდესი და უმდიდრესი ქალაქი იყო შუა საუკუნეებში, რის გამოც მას „ქალაქთა დედოფალი“ შეარქვეს.
145. **ატტიკოსი** (*ბერძ.* Ἀττικός) – კონსტანტინოპოლის პატრიარქი (406-425), იოანე ოქროპირისა (398-404) და არსაკ ტარსელის (404-405) შემდეგ. იგი იყო საპაკ პართელისა და მამტოცის თანამედროვე. კორიუნის მიხედვით, მამტოცი კონსტანტინოპოლში მოგზაურობისას პირადად შეხვდა ატტიკოს პატრიარქს.
146. «սակեքք» - საიმპერატორო სიგელი, რომელიც მამტოცს სომხეთის ბერძნულ ნაწილში თავისუფალი მოქმედების უფლებას აძლევდა.
147. **ზარზარიანოსი**, იგივე **ზორზორიტები** (*სომხ.* «Բարբարիանոս», «բորբորիანոս») – მწვალებლობა, რომელიც გავრცელებული იყო V საუკუნის შუამდინარეთსა და სომხეთში. მიჩნეულია, რომ მათ ყოველი წესი და ფორმა მსახურებისა გადაჭარბებული ჰქონდათ და უწესრიგობის, უპატივცემულობისა და გარყვნილების მომხრენი იყვნენ, სჯეროდათ, რომ მხოლოდ ლოცვა საკმარისია ცოდვებისაგან განსაწმენდად. კორიუნის მიხედვით, ზორზორიტების მწვალებლობა ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ სომხეთში. მათ წინააღმდეგ გაილაშქრა მამტოცმა და მან თავისი ქადაგებით გაწმინდა და აღმოფხვრა ეს მწვალებლობა (შდრ. Աբելյան 1981: შენ. 111; Մախասեանց 1944: 388).
148. სომხურ ტექსტში გვხვდება ავგუსტუსი «սւգուսთու», რაც წმინდას, დიდებულს ნიშნავს, მომდინარეობს რომის იმპერატორის ავგუსტუს ოქტავიანეს (ძვ. წ. 63-14) წოდებიდან, მისი თვითმპყრობელი მმართველობის დროიდან. „ავგუსტუსი“ გახდა ტიტული რომის ყველა იმპერატორისა და სასახლის წევრებისა. როგორც ჩანს, კორიუნი ამ მნიშვნელობით იყენებს და გულისხმობს იმპერატორ თეოდოსის და მის დას – დედოფალ პულქერიას (414-421 წწ. პულქერია ბიზანტიის იმპერიის რეგენტი იყო თავისი უმცროსი ძმის თეოდოსიუს II-ის მცირეწლოვნობისას, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ, 450-453 წწ. მმართველი დედოფალი, როგორც იმპერატორ მარკიანეს მეუღლე) (შდრ. Աբելյան 1981: შენ.112).

149. «მძღუპი» – როჭიკი, საზრდელი, საზრდო (აბულაძე 2014: 1059); ყოველდღიური სურსათ-სანოვაგე (Ղազարխան 2000p: 435). როგორც ჩანს, ეს იყო სახელმწიფოს მიერ მოწაფეთათვის დაწესებული ფულადი ჯილდო განკუთვნილი ყოველდღიური ხარჯისთვის, კერძოდ, საკვებისთვის.
150. იხ. შენ. 147.
151. ეკლესიის მამები (*ბერძ.* Ἐκκλησιαστικοί Πατέρες; მართლმადიდებელ ეკლესიებში – წმინდა მამები) – საპატიო ტიტული, რომელიც IV საუკუნიდან გამოიყენება გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწეებისა და მწერლების აღსანიშნავად, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით საეკლესიო დოგმატიკის, იერარქიული ორგანიზაციისა და ეკლესიის ღვთისმსახურების ფორმირებაში, კანონების შექმნაში. ეკლესიის მამათაგან დასავლეთში ყველაზე გამორჩეულნი არიან: ამბროსი, იერონიმე, ავგუსტინე, გრიგოლ დიდი, ხოლო აღმოსავლეთში: ათანასე, ბასილი, გრიგოლ ნაზიანზელი, იოანე ოქროპირი და სხვ.
152. ბენიამინი (*სომხ.* Բենիամին) – კორიუნის მიხედვით, ალბანელი ხუცესი, რომლის დახმარებითაც მამტოცმა ალბანური ანბანი შექმნა დასავლეთ სომხეთში მისიონერობისას. ბენიამინის წარმომავლობის შესახებ განსხვავებული შეხედულება ჰქონდა ნერსეს აკინიანს. მკვლევარი მამტოცს აღმოსავლეთ გოთური ანბანის შემოქმედად თვლიდა და არა ალბანური დამწერლობისა. ნ. აკინიანის მოსაზრებით, ბენიამინი აღმოსავლეთ გოთ-ალანებიდან უნდა ყოფილიყო. მისი თხოვნით მამტოცმა ალანებისთვის შექმნა ანბანი და ამით საფუძველი დაუდო ალანურ-გოთურ მწერლობას. არმენოლოგიაში დღეს ეს მოსაზრება უარყოფილია. მკვლევართა უმრავლესობა ბენიამინს ალბანელად მიიჩნევს. (იხ. გამოკვლევა „კორიუნის თხზულების ისტორიული და გეოგრაფიული რეალიები“).
153. **ენოქი** (*სომხ.* Ենոք) – მთარგმნელი (V ს.), მამტოცის მოწაფე.
154. **დანანი** (*სომხ.* Դանան) – მამტოცის მოწაფე.
155. **არტაშეს IV** (დაბადებისა და გარდაცვალების წლები უცნობია) – ვრამშაპუკ მეფის ძე, სომხეთის მეფე 422-428 წწ. სომხეთის არშაკუნიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი. სასანიდური სპარსეთის მეფე ვრამ (ზაჰრამ) V-ს სურდა სომხური სამეფოს გაუქმება, დიდი სომხეთის სპარსეთთან შეერთება და ბიზანტიის წინააღმდეგ საზღვრების გამყარება. თუმცა მას სომეხი ნახარარების ემინოდა, დათმობით პოლიტიკას ახორციელებდა მათ მიმართ, ამიტომ ნახარარების თხოვნით, სპარსული ჰეგემონობის ქვეშ მყოფ დიდ სომხეთში მეფედ არტაშეს IV დანიშნა. სომეხი ისტორიოგრაფების თანახმად, არტაშეს IV გამოუცდელი იყო და თავაშვებულ ცხოვრებას მისდევდა, რამაც ნახარარების

უკმაყოფილება გამოიწვია. მათ სპარსეთის მეფე ვრამს სთხოვეს, არტაშესი ტახტიდან ჩამოეგდო. ვრამ (ზაპრამ) V-მ ქტესიფონში სომხეთის მეფე და კათალიკოსი განსასჯელად დაიბარა. არტაშესმა მის წინააღმდეგ აჯანყებები წამოიწყო, მაგრამ იგი მაინც ჩამოაშორეს სომხეთის სამეფო ტახტს. სომხეთში კი არშაკუნიანთა მეფობა გაუქმდა.

156. **კავკასიის ალბანეთი** (*ძვ. ბერძ. Αλβανεια, ძვ. სომხ. Աղուսանք*, ქვეყნის სახელი მშობლიურ ენაზე უცნობია) – უძველესი სახელმწიფო სამხრეთ კავკასიაში ახლანდელი აზერბაიჯანისა და დაღესტნის ტერიტორიაზე. სიტყვა ალბანეთი ლათინურად (*ლათ. Albania*) „მთიან მიწას“ ნიშნავს. ალბანელები იბერიულ-კავკასიელი ტომები იყვნენ და ლაპარაკობდნენ ალბანურ ენაზე, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება. კავკასიის ალბანეთის დედაქალაქები სხვადასხვა დროს იყო კაბალა (გაბალა) და ბარდა (ბარდავი). კორიუნის ცნობით, მამტოცმა ალბანეთში მეფე არსვალის დროს (დაახლ. 420-438 წლებში) იმოგზაურა. ალექსიძე-მაეს შეხედულებით, მამტოცისა და არსვალ (არსვალენ) მეფის შეხვედრა კავკასიის ალბანეთის უძველეს დედაქალაქ კაბალაში (იგივე გაბალა) უნდა მომხდარიყო (Gippert... 2007a: XVI; Alexidze... 2016: 89-132).

157. **იერემია** – ალბანეთის ეპისკოპოსი V საუკუნეში. კორიუნის ცნობით, იგი, მეფე არსვალთან ერთად, მამტოცს ალბანეთში მწიგნობრობისა და ქრისტიანობის გავრცელებაში ეხმარებოდა. თხზულების თანახმად, იერემია ეპისკოპოსმა ალბანურად თარგმნა საღმრთო წიგნები. იერემიას სახელი X საუკუნის ალბანელი პატრიარქების სიაში დასტურდება (Gippert... 2007a: XVI; Alexidze... 2016: 89-132).

158. **არსვალი, არსვალენი, ესვალი** (დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი უცნობია) – მასქუთთა (ალბანეთის) არშაკუნი მეფე. იგი მეფობდა V საუკუნის I ნახევარში (დაახლ. 420-438 წლებში). კორიუნის თანახმად, მამტოცმა არსვალ მეფის დროს, 422-423 წლებში, ალბანეთში იმოგზაურა. არსვალი, იერემია ეპისკოპოსთან ერთად, დაეხმარა მამტოცს ახლადმექმნილი ალბანური დამწერლობისა და ქრისტიანობის გავრცელებაში.

159. იხ. შენ. 149.

160. **ბალასაკანი, ბალასაკანი, გარგარელთა ქვეყანა** (*სომხ. Բաղասական, Բալասական, Գարգարացւոց երկիր*) – გავარი (ნაჰანგი) დიდი სომხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარზე, მდებარეობს ალბანეთიდან გარდმანისა და ტაშირისკენ მიმავალ გზაზე. მოიხსენიება კორიუნის, ფავსტოს ბუზანდის, მოსე კალანკატუელისა და სხვა ისტორიკოსთა თხზულებებში. ზოგი ბალასანაკს (ბალასაკანს) აიგივებს დიდი სომხეთის ფაიტაკარანთან, დღესდღეობით უფრო სარწმუნოდ ითვლება დ. ალიშანისა და სხვათა მოსაზრება, რომლის

თანახმად, ბალასაკანი მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა და ალბანეთის შემადგენლობაში მყოფ ცალკეულ ადმინისტრაციურ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა.

161. **მუშელ (მუშე)** – მაშტოცის მოწაფე. კორიუნისა და მოსე ხორენელის თანახმად, იგი მაშტოცს თან ახლდა ხოლმე და ეხმარებოდა ქრისტიანობის გავრცელებაში. წყაროების თანახმად, მაშტოცმა მუშელ ეპისკოპოსი ბალასაკანის (ბალასაკანის) მხარის ზედამხედველად დატოვა, თავად კი გარდმანის ხევით ქართლში დაბრუნდა (Աճառյան 1946: 463).
162. **გარდმანი** – კავკასიის ალბანეთის ერთ-ერთი პროვინცია. ტერიტორიულად მოიცავდა ძირითადად მდ. შამქორჩაის ხეობას (აზერბაიჯანი), ცენტრი იყო გარდმანის ციხე (სომხური წყაროებით გარდმანბერდი - «Գարդմանբերդ»). ქართული ისტორიული წყაროებით, ალბანეთის ამ ნაწილის სახელწოდება „გარდმანი“ ძალიან ჰგავს ქართლის პროვინცია გარდაბნის სახელწოდებას. გარდმანის ადგილმდებარეობის შესახებ არსებული ქართული, სომხური და არაბული წყაროების საფუძველზე დ. მუსხელიშვილმა დაადგინა, რომ ქართლის და ალბანეთის პროვინციების სახელწოდებათა საერთო წარმომავლობა უეჭველია, რაც მოწმობს გარკვეულ პერიოდში მათ პოლიტიკურ და შესაძლოა ეთნიკურ ერთიანობასაც. წყაროებში პირველად გარდმანი IV საუკუნეში იხსენიება. ისტორიის მანძილზე, ზოგჯერ საქართველოს, ზოგჯერ კი სომხეთის შემადგენლობაში შედიოდა (აბაშიძე 1977: 698-699; Հակոբյան... 1985: 809). თხზულების თანახმად, გარდმანი ქართლისა და ალბანეთის სასაზღვრო რეგიონს წარმოადგენს.
163. **ხურსი** – გარდმანის მთავარი (V ს.).
164. იგულისხმება **არჩილ I** – ქართლის მეფე V საუკუნის 20-30-იან წლებში. ჯუანშერის ცნობით, არჩილ მეფე იყო თრდატის ძე, მირდატის შვილიშვილი. იგი ენერგიულად იბრძოდა ირანის ბატონობისაგან ქართლის გამოსახსნელად. მას მცხეთაში სტეფანწმინდის ეკლესია აუშენებია. იოანე რუფუსის პატრე იბერის ცხოვრების თანახმად, დიდი ბაკურის შემდეგ ტახტი იბერიაში მისმა ძმამ, არჩილმა დაიკავა, რომელმაც 430-იანი წლების ბოლომდე იმეფა, იხ. გამოკვლევა „კორიუნის თხზულების ისტორიული და გეოგრაფიული რეალიები“.
165. **ტაშირი** (სომხ. Տաշիր) – ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლის განაპირა ოლქი (ახლანდელი სომხეთის სტეფანავანისა და თუმანიანის რაიონების ტერიტორია), ცენტრით ოძუნი (შემორჩენილია VIII ს. იოანე ოძუნელის მიერ აგებული ტაძარი). წყაროებში პირველად I საუკუნეში მოიხსენიება (პლინიუს უფროსი), ამ დროს ტაშირი თრიალეთთან ერთად ქართლის სამეფოს

შემადგენლობაში შედიოდა. ერთხანს იგი არშაკუნიანთა სამეფოს და გუგარეთის საპიტიახშოს სამფლობელოს წარმოადგენდა. არშაკუნიანთა სამეფოს დაცემის შემდეგ არაბთა ბატონობამდე ტაშირის სამთავრო ქართლის შემადგენლობაში იყო. X-XIII საუკუნეებში ტაშირი ეწოდებოდა მის მეზობელ ოლქებსაც. XI საუკუნეში, ლორეს ციხის აგების შემდეგ, ტაშირის ცენტრი ლორეში გადავიდა და მხარესაც ლორე ეწოდებოდა. პერიოდულად ტაშირი სადავო ტერიტორია ხდებოდა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დროს, 1918 წ. ეს მხარე საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. ტაშირი ამჟამად სომხეთის ფარგლებშია მოქცეული და ლორეს ოლქში შედის (აბაშიძე 1985: 669; ჯასლიქიანი... 2001: 57-58:).

166. **არშუმა** – ქვემო ქართლის ანუ გუგარეთის პიტიახში V საუკუნის შუა ხანებში. არშუმა პიტიახშს ცოლად ჰყავდა აღან (აღან) არწრუნის და ანუშირვანის, რომელთანაც შეეძინა ორი ვაჟი – ვარსკენი და ჯოჯიკი. ქართული და სომხური წყაროების ცნობით, იგი ყოფილა კაცი „ჭკვიანი, პატიოსანი და ღმრთისმოყვარე“, მშობლიური კულტურის, ქრისტიანული ეკლესიის მოამაგე. დაახლ. 450 წელს, ამიერკავკასიაში მაზდეანობა რომ გაეგრძელებინათ, არშუმა ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის დიდებულებთან ერთად ირანის შაჰის, იეზდიგერდ II კარზე დაიბარეს. აქ სამი ქვეყნის დიდებულებმა ფორმალურად უარყვეს ქრისტიანობა და აღიარეს მაზდეანობა, რათა თავიანთი ქვეყნები მტრის აოხრებისაგან ეხსნათ. ამის შემდეგ შაჰმა არშუმა ერთხანს მძევლად დაიტოვა. როგორც ჩანს, არშუმა თანაუგრძნობდა სომხეთის 450-451 წლების აჯანყებას. მის კარზე თავი შეაფარეს და კარგი განათლება მიიღეს მისი ქვისლის, აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ჰმაიაკ მამიკონიანის ვაჟებმა. ამის შესახებ ცნობები დაცულია ლაზარე ფარპელის „სომხეთის ისტორიასა“ და ელიშეს „ვარდანელთა ისტორიაში“ (შდრ. აბაშიძე 1975: 614).

167. იხ. შენ. 132.

168. აქ სასულიერო პირები იგულისხმებიან.

169. კორიუნი მაშტოცის მოწაფეებს შორის ორ ჰოვსეფს ასახელებს. პირველი მათგანი თხზულების დასაწყისში მოხსენიებული ჰოვსეფია, ვისგანაც კორიუნმა ბრძანება მიიღო, დაეწერა თავისი მასწავლებლის მაშტოცის ცხოვრება (იხ. შენ. 4). მეორე კი ჰოვსეფ პალანელია, ვისთან ერთადაც მაშტოცმა თარგმანები შეასრულა სამოსატში ყოფნის დროს. სირიაში გაგზავნილ მოწაფეებს შორის ჰოვსეფ პალანელი იგულისხმება: „კვლავ მოხდა ისე, რომ მათ თავიანთი მოწაფეებიდან ორი ძმა გაგზავნეს სირიელთა მხარეში, ქალაქ ედესაში – [პირველი იყო] ჰოვსეფი, ვინც ზემოთაც ვახსენეთ...“ (XIX თავი) (იხ. შენ 89). მოსე

ხორენელიც ასახელებს ჰოვსეფს ეზნიკთან ერთად გაგზავნილ მოწაფეთა შორის, მაგრამ არ განმარტავს, თუ რომელი ჰოვსეფი იგულისხმება (შდრ. Աբեղյան 1981: შენ. 119).

170. **ეზნიკ კოღბელი** (დაახლ. 380-450) – ისტორიოგრაფი, ღვთისმეტყველი, სომეხი ფილოსოფოსი, მთარგმნელი, საზოგადო და საეკლესიო მოღვაწე. საჰაკისა და მაშტოცის ერთ-ერთი მოწაფე. იგი ჯერ აშტიშატის სკოლაში, შემდეგ კი ედესასა და კონსტანტინოპოლში სწავლობდა. 428-429 წწ. საჰაკმა და მაშტოცმა ეზნიკი ჰოვსეფ პალანელთან ერთად გაგზავნეს ედესაში სირიის წმინდა მამათა გარდამოცემების სათარგმნად, 431-432 წწ. გადავიდნენ კონსტანტინოპოლში ბერძნული ენის დასაუფლებლად. იქ მათ შეუერთდნენ ღევონდ ხუცესი და კორიუნი. სამშობლოში დაბრუნებისას მოწაფეებმა თან მოიტანეს ბიბლიის ბერძნული თარგმანის საუკეთესო ნუსხა და ნიკეისა და ეფესოს მსოფლიო კრებათა კანონები (431 წლის შემდეგ). ეზნიკ კოღბელი საჰაკ პართელთან ერთად მონაწილეობდა სირიულიდან სომხურად თარგმნილი ბიბლიის ბერძნული ნუსხის მიხედვით რედაქტირებაში. ეზნიკ კოღბელი სიცოცხლის ბოლო წლებში ბაგრევანდის ეპისკოპოსი და არტაშატის კრების მონაწილე იყო. იგი მოიხსენიება როგორც თანამედროვე, ასევე შემდგომი ხანის ავტორთა თხზულებებში. ეზნიკის ნაშრომებიდან შემორჩენილია სომხური ფილოსოფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირველწყარო „მწვალებლობათა განქიქება“ («Մղծ սպասնոց»). მასვე მიაწერენ ნაშრომებს: „კითხვა-მიგება აშოტ მეფისა და ეზნიკისა“, „კითხვა-მიგება არძან მეფისა და ეზნიკისა“, „10 რამ შექმნისათვის“, ასევე მაშტოცისადმი გაგზავნილი ორი ჰომილიის ნაწყვეტს.

171. *„გარკვეული დროის შემდეგ ისე მოხდა, რომ ძმათაგან ზოგი სომხეთის ქვეყნიდან წავიდა და ჩავიდა ბერძენთა მხარეში. მათგან პირველის სახელი იყო ღევონდესი, მეორე კი მე, კორიუნი, [ვიყავი]. მივიდნენ და შეუერთდნენ ეზნიკს, როგორც უახლოეს თანამეზრდილს ქალაქ კონსტანტინოპოლში, და იქ ერთად მოაგვარეს სულიერ საჭიროებათა საკითხი.“* ამ პასაჟში ყურადღებას იქცევს ერთი მომენტი: კორიუნი, როგორც ავტორი, თავის თავს პირველ პირში მოიხსენიებს (მე, კორიუნი) სხვა პერსონაჟებთან ერთად და ლოგიკური იქნებოდა, რომ ეს ეპიზოდი პირველი პირის მრავლობითი ფორმით ყოფილიყო გადმოცემული, მაგრამ თხრობა მესამე პირის მრავლობითში მიმდინარეობს, რაც მთელი ფრაზის ორგანულობას ეჭვქვეშ აყენებს. ამიტომ გვიჩნდება კითხვა – წინადადებაში კორიუნის მოხსენიება გვიანდელი ჩანართი ხომ არაა და ჩამმატებელმა ზმნის ფორმა აღარ შეუსაბამა ახალ შინაარსს?!

172. იგულისხმება თარგმანების შესრულება.

173. **ნიკეა** (ბერძ. Νίκαια, თურქ. İznik) – ძველი ბერძნული და ბიზანტიური ქალაქი მცირე აზიაში. დღევანდელი იზნიქი, ქალაქი და რაიონი თურქეთის ბურსას პროვინციაში. 325 წელს ქალაქ ნიკეაში ჩატარდა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება რომის იმპერატორის – კონსტანტინე I დიდის ბრძანებით. კრებამ დაწყებულა არიოზის მოძღვრება. კრებაზე შემუშავდა შვიდი პუნქტისგან შემდგარი სარწმუნოების სიმბოლო (კრედო) – მრწამსის ტექსტი და გამოიცა 20 კანონი.
174. **ეფესო** (ძვ. ბერძ. Ἔφεσος, თურქ. Efes) – ძველი ბერძნული პოლისი, შემდეგ კი მნიშვნელოვანი რომაული ქალაქი მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში. თანამედროვე სელჩუკის ადგილას, იზმირის პროვინცია, თურქეთი. ეფესო ახ. წ. 50-იან წლებიდან ადრეული ქრისტიანობის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. ეფესოს ღვთისმშობლის ეკლესიაში, 431 წელს, ჩატარდა ეფესოს საეკლესიო კრება (მესამე მსოფლიო საეკლესიო კრება) ბიზანტიის იმპერატორ თეოდოსი მცირის მოწვევით. კრებას 200 ეპისკოპოსი ესწრებოდა, კრებას კი თავმჯდომარეობდა კირილე ალექსანდრიელი. კრებამ თეოდორე მოფსუესტელის მოწაფის, ნესტორის სწავლება მწვალებლობად და ცრუმოდვრებად აღიარა. კრების წმინდა მამებმა გამოსცეს რვა კანონი და კირილე ალექსანდრიელის „თორმეტი ანათემატიზმი ნესტორის წინააღმდეგ“. კორინთის ცნობით, მამტოცის მოწაფეებმა ჩამოიტანეს და მამებს წარუდგინეს ეფესოს კრების დადგენილებები.
175. **κισακισακισακ** – ალთქმანი; წმინდა წერილი ძველი და ახალი აღთქმისგან შედგება. ქრისტიანობა ცნობს წმინდა წერილის ორივე ნაწილს, იუდაიზმი კი მხოლოდ ძველ აღთქმას. ძველი აღთქმის დიდი ნაწილი (39 წიგნი) დაწერილია ძველ ებრაულ ენაზე. მხოლოდ ზოგიერთ წიგნში (ეზრასი და დანიელისა) გვხვდება ჩანართი არამეულ ენაზე. ქრისტიანებმა წმ. წერილს 27 წიგნი დაამატეს, რომელსაც ახალი აღთქმა ეწოდება. იგი ბერძნულად დაიწერა, გარდა მათეს სახარებისა, რომელიც თავად მათე მახარებელმა დაწერა არამეულად, შემდეგ კი თვითონვე თარგმნა ბერძნულად. ქრისტიანული სწავლება მოცემულია ოთხ სახარებაში (ბერძნულად „ევანგელი“). მას მოსდევს „საქმე მოციქულთა“, ხუთი კათოლიკე ეპისტოლე, პავლე მოციქულისა და სხვათა ეპისტოლეები, რომლებიც ქრისტიანული ეკლესიის დაარსების ისტორიას გადმოგვცემენ.
176. საეკლესიო წიგნების კრებულებში საღვთისმსახურო წიგნები უნდა იგულისხმებოდეს.
177. ეზნაკი იგივე ეზნიკ კოლბელია, იხ. შენ. 170.
178. შდრ. „შჯულსა უფლისასა არს ნებაჲ მისი და შჯულსა მისსა ზრახავნ იგი დღე და ღამე“ (ფსალ. 1:2) (ბიბლია... 2017: 1821).

179. „ეკრძალე საკითხავსა, ნუგეშინის-ცემასა, მოძღურებასა; ნუ უდებ-ჰყოფ, რომელ-იგი არს შენ თანა მადლი, რომელი მოგეცა შენ წინადაწარმეტყულებითა და დასხმითა მით ჰელთა ხუცობისადათა. ამას იწურთიდ და ამას შინა იყავ, რადთა წარმატებულებად ეგე შენი ცხად იყოს ყოველსა შინა. ეკრძალე თავსა შენსა და მოძღურებითა მით დაადგერ მათ ზედა; ამას რად ჰყოფდე, თავიცა შენი იცხოვნო და მორჩილნიცა შენნი“ (შდრ. I ტიმ. 4:13-16) (ძოწენიძე... 1974: 419-420).
180. „ხშირი, ადვილად გასაგები თხრობები“ = «Հասի յաճախագոյնս, դիւրապատումս». ძველ სომხურ მწერლობაში არის ერთი კრებული, რომელიც «Յաճախապատում ճարք»-ის სახელით არის ცნობილი. უძველესი დროიდან მოყოლებული ამ თხრობებს, ჰომილიებს გრიგოლ განმანათლებელს მიაწერენ. აგათანგელოსის „სომხეთის ისტორიაში“ მსგავსი სიტყვებით ნათქვამია, რომ გრიგოლმა ჰომილიები დაწერა. აგათანგელოსისა და კორიუნის თხზულებებში მრავლად არის მსგავსი ფრაზები და საერთო ხმარების ლექსიკა. სწორედ ამის საფუძველზე ნ. ბიუზანდაცი აგათანგელოსის ისტორიის ავტორად კორიუნს მიიჩნევდა (Բիւզանդացի 1900). მ. აბელიანის აზრით, მსგავსი ადგილები კორიუნიდან უნდა შესულიყო აგათანგელოსის თხზულებაში (შდრ. Աբելյան 1981: შენ. 131).
181. „გამოცხადებად წმიდისა მახარებლისა და ღმრთისმეტყუელისა იოანესი“ = «Յայտնութիւն Յովհաննու» – ახალი აღთქმის ბოლო წიგნია. ხშირად მოიხსენიება როგორც აპოკალიფსი (ბერძ. ἀποκάλυψις, „გაშიშვლება, გახსნა, გამჟღავნება, გამოცხადება“). ქრისტიანული ლიტერატურისა და ესქატოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია, რომელიც შეიქმნა 68-69 წწ. იოანე მოციქულის მიერ და აღწერილია წუთისოფლის უკანასკნელი დღეები. ქრისტიანთა რწმენით, „იოანეს გამოცხადება“ ღრმა საიდუმლოებებს შეიცავს. უფალი იესო ქრისტე კვლავ მოვა ამქვეყნად და განსჯის ქვეყანას, თუმცა ეს როდის მოხდება, გაურკვეველია. მას მოელოდნენ და დღესაც მოელიან ქრისტიანები.
182. «Անձաւանուտ» ნიშნავს განდევილ ბერებს, რომლებიც გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ. ასევე ეწოდებოდათ მთებში განმარტოებულ ბერებს [«Լինասկան»], რომლებიც ეკლესია-მონასტრებსა და სამშობებს აშენებდნენ მთებში, „ნაშენ და დაუსახლებელ“ [«շէն և անշէն»] ადგილებში. «Արգէլսկան» [„დაყუდებული“, „შეყენებული“] ეწოდებოდათ ანაქორეტებს, განმარტოებით მცხოვრებ ბერ-მონაზვნებს.
183. შდრ. „ამისთვის სათნო-მიჩს უძღურებათა შინა ჩემთა, გინებათა, ჰირთა, დევნულებათა, იწროებათა ქრისტწსთვის, რამეთუ რაჟამს მოუძღურდი, მაშინ განვძლიერდი“ (II კორ. 12:10) (ძოწენიძე... 1974: 212).

184. იხ. „უმჯობესდა უკუე და უფროდს ვიქადოდი უძღურებათა ჩემთა, რადთა დაიმკვდროს ჩემ თანა ძალმან ქრისტესმან“ (II კორ. 12:9) (მოწენიძე... 1974: 212).
185. შდრ. „და ნუ დაითვრებით ღვნითა, რომლითა არს სიბილწე, არამედ აღივსენით სულითა. იტყოდეთ თავთა თქუენთა ფსალმუნითა და გალობითა და ქებითა სულიერითა, უგალობდით და აქებდით გულითა თქუენითა ღმერთსა.“ (ეფეს. 5:18-19) (მოწენიძე... 1974: 267).
186. იხ. „რომელთა იწყო იესუ ყოფად და სწავლად“ (საქმე მოც. 1:1) (აბულაძე 1950: 3).
187. **თაბორის მთა** – განცალკევებული მთა (588 მ სიმაღლის) ისრაელის დაბლობზე, ქვემო გალილეაში, ქალაქ ნაზარეთთან ახლოს. ქრისტიანულ სარწმუნოებაში ტრადიციულად მიიჩნევა უფლის ფერისცვალების ადგილად. თაბორის მთაზე იესომ მოწაფეებს ცხრა ნეტარება უქადაგა (მათე 5:1-12).
188. **ტიბერიის ზღვა** (იგივე **გალილეის ტბა**) – მდებარეობს პალესტინის ჩრდილოეთ ნაწილში. გალილეის ტბა ეწოდება, რადგან გალილეაში მდებარეობს. გენესარეთის ტბად იწოდება, ვინაიდან მეორე მხარე ტბისა მდებარეობს გენესარეთის მიდამოსკენ. ტიბერია ერთ-ერთი უმთავრესი ქალაქია გალილეაში, იგი აშენდა ტბის ნაპირას, ამიტომაც მას ტიბერიის ზღვა უწოდეს.
189. ბალარჯობა = «βαλαρηγιασκηρη» („უცომობა“) ებრაელთა დღესასწაული, როცა ისინი, სჯულის თანახმად, შვიდი დღის მანძილზე „ბალარჯს“ ჭამენ. ბალარჯი „ხმიადი, უსაფუარო პურია“. დიოფიზიტებისთვის საზიარებელი პური საფუარიანია და ქრისტეს ორ ბუნებაზე მიუთითებს. უსაფუარო (უცომო ანუ ბალარჯი) პური მონოფიზიტების სიმბოლოა და ქრისტეს ღვთაებრივ ბუნებას აღნიშნავს (ალექსიძე 1980: 84; 157).
190. **ზეთისხილის ანუ ელეონის მთა** – მდებარეობს ძველი იერუსალიმის აღმოსავლეთით და მისგან გამოყოფილია კედრონის ხეობით. მთამ თავისი სახელწოდება იმ ზეთისხილის ბაღებისაგან მიიღო, რომელიც მის ფერდობზე იყო გაშენებული. სწორედ ამ მთაზე ასწავლა უფალმა მოწაფეებს „მამაო ჩვენო“ და აქედან ამაღლდა ზეცად.
191. შდრ. „იღვებდით და ილოცევდით, რადთა არა შეხვდეთ განსაცდელსა; სული გულს-მოდგინე არს, ხოლო ჯორცნი – უძღურ“ (მათე 26:41) (შანიძე 1945: 98); „იღვებდით და ილოცევდით, რადთა არა შეხვდეთ განსაცდელსა; სული გულს-მოდგინე არს, ხოლო ჯორცნი – უძღურ“ (მარკ. 14:38) (შანიძე 1945: 169); „და ჰრქუა მათ: რაღსა გძინავს? აღდეგით და ილოცევდით, რადთა არა შეხვდეთ განსაცდელსა“ (ლუკა 22:46) (შანიძე 1945: 281).

192. შდრ. „რამეთუ რამცა-იგი ვილოცეთ, ვითარ-იგი ჯერ არს, არა ვიცით; არამედ თვთ იგი სული მეოხ არს ჩუენთვს სულთქუმიტა მით უსიტყუელიტა. ხოლო რომელი-იგი გამომეძიებელი არს გულისაჲ, იცის ზრახვად იგი სულისაჲ, რამეთუ ღმრთისა მიმართ მეოხ არს წმიდათათვს“ (რომაელ. 8:26-27) (ძოწენიძე... 1974: 43).
193. იხ. შენ. 186.
194. ხელნაწერის ყველა ნუსხაში არის «აռაჲქიქს», ნაწარმოებია ზმნისგან «აռაჲქი» - „გაგზავნა“, „წარვლინება“. «აռაჲქიქს» - „მოვლინებით, მოციქულებით“ ნიშნავს. მ. აბელიანმა ნ. ბიუზანდაცის კვალად შეცვალა «აռაჲქიქს»-ით, რაც ნიშნავს „ძალიან, უმეტესად, გარდამეტებულად“ (Աբელიან 1981: შენ. 146).
195. აქ იგულისხმება, რომ მამტოცმა თავის თავზე აიღო წინაპართა დანატოვარი, რაც მას წმინდა მამებისგან გადმოეცა და იგი, თავის მხრივ, გადასცემდა მასთან მყოფებს.
196. **თეოდორე მოფსუესტელი** (350-428) – მოფსუესტიის ეპისკოპოსი (392-428). მას ასევე თეოდორე ანტიოქიელს უწოდებდნენ, რადგან წარმოშობით ანტიოქიიდან იყო. თეოდორე საუკეთესო წარმომადგენელია ანტიოქიის ჰერმენევტიკული სკოლისა, რომელიც დიოდორე ტარსელმა დააარსა. თეოდორე წმ. იოანე ოქროპირთან და მახსიმე სელუციელთან ერთად ესწრებოდა ცნობილი წარმართი ფილოსოფოსისა და რიტორის ლიბანიუსის ლექციებს. მათ ერთად გადაწყვიტეს ქრისტესმიერი სრულყოფისაკენ სწრაფვა და ქრისტიანობის აქტიური შესწავლა. თეოდორემ 18 წლის ასაკში უარი თქვა ერისკაცულ ცხოვრებაზე და ასკეტურ ცხოვრებას შეუდგა. თეოდორე მრავალი ნაშრომის ავტორია. 553 წ. კონსტანტინოპოლში გამართულ კრებაზე დაგმეს მისი თეოლოგიური აზრები, როგორც ფუძემდებელი ნესტორიანობისა. ნესტორი თეოდორეს მოწაფე და მისი იდეების განმავითარებელი იყო (იხ. შენ. 174).
197. იგულისხმება ეფესოს კრების მონაწილე ეპისკოპოსები.
198. იგულისხმება **ბაჰრამ V** (ისტორიაში ცნობილია ასევე ბაჰრამ გურის სახელით) – სასანიდური სპარსეთის შაჰი (420/21-439). იეზდიგერდ I-ისა და შუშანდუხტის შვილი. ბაჰრამმა არშაკუნიანთა სომხეთის უკანასკნელი მეფე არტაშეს IV სპარსეთში დაიბარა და ტახტიდან ჩამოაგდო, ასევე სომხეთის საკათალიკოსო ტახტს ჩამოაშორა საჰაკ პართელი, რომელიც არ დათანხმდა სომეხ ნახარარებთან თანამშრომლობას სომხეთის მეფის წინააღმდეგ ამბოხებაში.
199. **იეზდიგერდ II** ან **იზდიგერდ II** (*სპარს.* „ღვთის მიერ შექმნილი“) – სასანიდური ირანის მე-16 შაჰინშაჰი (438-457), ბაჰრამ V-ის შვილი. იგი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე საომარ

მოქმედებებს აწარმოებდა აღმოსავლეთ რომის იმპერიის წინააღმდეგ. 441 წელს, რომის იმპერატორ თეოდოსიუს II-სთან (408-450) ზავის დადების შემდეგ, იეზდიგერდმა მთელი თავისი ძალებით მომთაბარე ჰუნების წინააღმდეგ გაილაშქრა. თავისი ლაშქრობების მსვლელობისას, სპარსეთის შაჰმა ქრისტიანები და იუდეველები ღალატში დაადანაშაულა. იგი ქრისტიანობას უყურებდა როგორც ბიზანტიასთან დაახლოების მიზეზს და მისიწრაფვოდა, ბოლო მოეღო სომხების შიდა დამოუკიდებლობისათვის. იეზდიგერდი აწარმოებდა დიდი სომხეთის ეკონომიკური ექსპლოატაციის, ნახარალების განადგურებისა და იძულებით გამაზდენების პოლიტიკას, რაც გახდა საბაზი სომხების 450-451 წლების აჯანყებისა („ვარდანელთა ბრძოლა“).

200. **ბაგრევანდი** (*სომხ.* Բագրևանդ) – ისტორიული სომხური გავარი დიდი სომხეთის აირარატის ოლქში, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ბაგრევანდი საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა პოლიტიკური გაერთიანების ხელში იყო. I-V სს. არშაკუნიანთა სამეფოს საკუთრებას წარმოადგენდა. მოგვიანებით ბაგრევანდის გავარის ცენტრალურ ნაწილს ვალაშკერტის გავარს უწოდებდნენ. XIII-XIV საუკუნეებში ბაგრევანდის მოსახლეობა ქართულ-სომხური იყო. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქალკედონური იყო, რასაც ადასტურებს ბაგრევანდის უმთავრესი საეკლესიო ცენტრის – ვალაშკერტის საეპისკოპოსოს – ქართლის კათალიკოსისადმი დაქვემდებარება (აბაშიძე 1997: 323; ჯაქიძე... 1985: 536).
201. **ბლოცაცი**, იგივე **ბლური** (*სომხ.* Բլուր, Բլուրաց գյուղ) – სოფელი დიდ სომხეთში, აირარატის ოლქის ბაგრევანდის გავარში. აქ აღესრულა საჰაკ პართელი (439 წ.).
202. **ნავასარდის თვე** – ძველი სომხური კალენდრით ახალი წლის პირველი თვე, აგვისტო. კორიუნის ცნობით, საჰაკ კათალიკოსი გარდაიცვალა იეზდიგერდ II-ის მეფობის პირველ წელს, ნავასარდის 30-ს. გამოდის, რომ საჰაკი აღესრულა 439 წლის 7 სექტემბერს, თავის დაბადების დღეს.
203. **კეთილსურნელოვანი ზეთისცხება** = «անուշახით յուղի պաշտամունք» – ძველად სურნელოვან ნივთიერებებში შერეული ზეთით ცხება საერო ცხოვრებასა და კულტში გამოიყენებოდა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ცხების მეშვეობით ღმრთის სიწმიდესთან ზიარება ხდებოდა. ახალ აღთქმაში ზეთისცხება სწეულებათა განსაკუთრებლად გამოიყენებოდა (ლუკ. 10:34). ასეთად მიიჩნევა *სწეულთა* ზეთის ცხების საიდუმლო. ქრისტიანული რწმენით, ზეთისცხების დროს გადმოდის მადლი, რომელიც სულიერად აძლიერებს ავადმყოფს, განწმენდს ცოდვათაგან, უმსუბუქებს ტანჯვას. თუმცა ცხება,

როგორც კურთხევის ნიშანი ნათლისღების, მირონცხების და ხელდასხმის საიდუმლოებასა და საკრამენტალიებშიც გვხვდება.

204. იხ. „და კელთა შენთა შევკვედრებ სულსა ჩემსა“ (ფს. 30:6) (ბიბლია... 2017: 1863).

205. იგულისხმება **სტეფანე პირველმოწამე**.

206. იხ. „უფალო იესუ ქრისტე, შეივედრე სული ჩემი“ (საქმე მოც. 7:59) (აბულაძე 1950: 53).

207. **დსტრიკი** – ვარდან მამიკონიანის მეუღლე. კორიუნი მას „დუსტრს“ უწოდებს, ასოლიკი კი – „დბტიკს“ (Մախխասխանց 1885: 77; Աճառյան 1944բ: 85).

208. იხ. შენ. 51.

